სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ტიტე მოსია

რუსთველოლოგიური მეცნიერება მეცხრამეტე საუკუნეში

თბილისი

2018

ნაშრომში ნაკვლევია რუსთველოლოგიური მეცნიერება XIX საუკუნეში. დაკვირვების საგნად და ობიექტად არის ქცეული შემდეგი პრობლემები: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა, პოემის შექმნის თარიღი, ფაბულის წარმომავლობა, თხზულების შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციები, ტექსტოლოგიური საკითხები, მთავარი მოტივები და პერსონაჟები, მსოფლმხედველობრივი, პოეტური მეტყველების და პოეტიკის, რუსთაველის ენის და „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების საკითხები.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართული ფილოლოგიის სტუდენტებისათვის, ამასთანავე, იგი სარგებლობას მოუტანს დაინტერესებულ პირთ.

ნაშრომი დიდად არის დავალებული გაიოზ იმედაშვილის მონუმენტური „რუსთველოლოგიური ლიტერატურით“.

რედაქტორი: **ლუარა სორდია**
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: **ნინო ვახანია**
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნანა კუცია
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

გამომცემლობა „საარი“
ISBN 978-9941-477-17-1

რუსთაველის „შესხმა-მკობანი, მუსიკობანი“

შოთა რუსთაველის მიერ 1189-1207 წლებში შეთხზული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები XIV-XV საუკუნეებში მონღოლ-თათართა მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი. ამიტომაც იმჟამინდელი დოკუმენტური მასალები პოემის და მისი ავტორის თაობაზე არ შემოგვენახა. „ვეფხისტყაოსანი“, ალბათ, მისმა ზეპირად მცოდნეებმა გადაგვირჩინეს. თხზულება მეწყერივით ჩამოწოლილი დიდი ღამიდან სინათლეზე გამოდის XVI საუკუნიდან. ჩვენმა წინაპრებმა XVI-XVIII საუკუნეებში არა მარტო ფიზიკურად გადაგვირჩინეს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, არამედ მისი ხოტბა-დიდებითი შეფასებანიც დაგვიტოვეს.

XVI საუკუნის დასაწყისში პირველი დოკუმენტური მასალა სერაპიონ საბაშვილმა დაგვიტოვა („გაბაასება ბერის რუსთველისა“), რუსთაველზე, რომელმაც შეაქოო ის, „ვინც სოფელი დაამშვენა“. სხვათა შორის, პირველად იმავე სერაპიონ საბაშვილმა გვაზიარა მისივე მხრიდან რუსთაველთან გაჯიბრების განცდას: „ნაძლევი ვარ რუსთველისა თუ მეტი ქმნა ჩემოდნობა“.

XVI საუკუნის დასაწყისში არა მხოლოდ ელოლიავებიან „ვეფხისტყაოსანს“ და მისი ავტორის სახელს, არამედ მისი შეფასების უნარსაც ავლენენ. რუსთაველის შესადარი პოეტი ამ ქვეყნად არ მოიპოვებაო. „იოსებზილიხანიანის“ ქართულ ვერსიებში ვკითხულობთ:

„მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი,
რომე აღძრნეთ უმეცურად, თავსა ირქვათ მისი დარი“...[1]

XVII საუკუნის პოეტი ნოდარ ციციშვილი ასე განადიდებდა რუსთაველს:

„სხვა მელექსე ვინცა ვინა მათად სწორად არ იქების,
თუ ვინ თავსა მათ ადარებს, ცუდ-მაშვრალობს, ცუდად სცდების.
თუ ვინ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, – ცუდ სასჯელი წაუხდების,
ვინ სხვათ ლექსთა მათ ადარებს, თურე ლექსთა ვერ მიჰხვდების“.[2]

იგივეს იმეორებს ფეშანგი ფაშვიბერტყაძე:

„მათ შეამკვეს საუბარი, სხვა ცუდია, ნუ მოსცდების.
ნუმც ედრება მათ მელექსე, დაიღალვის, ვერ მისწვდებით“.[3]

---

1. **გ. ჯაკობია**, „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიები“, თბ., 1932, გვ. 3
2. **ნ. ციციშვილი**, შვიდი მთიები, **კ. კეკელიძის** რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, თბ., 1930, გვ. 3
3. შაჰნავაზიანი, **გ. ლეონიძისა** და **სოლ. ორდანიშვილის** რედაქციით, თბ., 1935, გვ. 5

თეიმურაზ პირველი სიბრძნეს უქებს რუსთაველს:

„ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის ხმობითა".[1]

არჩილ ბაგრატიონმა ვრცელი პოემა უძღვნა რუსთაველისა და მისი ეპოქის წარმოჩენას („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა"). პოეტი რუსთაველის ენით ამბობს „ვეფხისტყაოსნის" ღირსებასა და პოპულარობაზე XVII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საზოგადოებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით:

„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს.
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს
მხიარულად წაიკითხვენ, მასზე თვალი არვის უწუხს".
„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა".
რუსთველსა, ენა-რიტორსა, მეფეს ალვისა ნაშორსა".[2]

„თუმც უცვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს" (ე.ი. რუსთველივით).

არჩილის მიხედვით, რუსთაველს მეტოქეობას პოეტებიდან არავინ უბედავდა. რუსთაველს ათქმევინებს თეიმურაზის მიმართ:

„სხვა მელექსენო მეფეო, მეტი ვერავინ მებასა".
„შესანდოსა სხვა მელექსე რუსთველს ბრძოლად ვინ მოუხდა";
„აქანამდის არვის უთქვამს, შოთას ლექსთა შესადარი".
„ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიარონ".[3]

რუსთაველის გენიის ყველაზე დიდი დამფასებელი იყო დავით გურამიშვილი, რომელიც ღრმად იყო ჩამწვდარი „ვეფხისტყაოსნის" სიბრძნესა და სახისმეტყველებაში.

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისკენაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და".[4]

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა";

„ვით მხედარს – ყრმასა მცირისა წკეპლასა ზედან ჯდომანი,
მიემსგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდომანი,
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი.

---

1. **თეიმურაზ პირველი**, თხზულებათა სრული კრებული, **ა. ბარამიძის** და **გ. ჯაკობაის** რედაქციით, თბ., 1934, გვ. 12
2. არჩილიანი, II, **ა. ბარამიძისა** და **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., 1937, გვ. 39
3. იქვე, გვ. 16, 33, 35, 37
4. **დ. გურამიშვილი**, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 58

ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმსგავსო ნდომანი.
მე ყრმითა მზგავსად მომიხდა ნამცვრევთ წალკოტთა მცვრევანი,
ბზაკალითა და წიწკიტით მონადირეთში რევანი.
ვერც ხილი ვპოვე, ნადირთაც ძალა არ მქონდა რევანი,
ვაა შემრჩა ცუდსა მეთევზეს უბრალოდ წყალთა მღვრევანი".[1]
ახლა კი იესე ტლაშაძეს მოვუსმინოთ:
„რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენატკბილო და შაქარიანო,
ავმა მთქმელებმა, ცუდმა მელებმა ლექსი მრავალი მაიგპარიანო".

თეიმურაზ მეორე აღტაცებულია რუსთაველის სიბრძნით, საკვირველი „ღრმა მეტყველებით":

„თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია...
„ვეფხის ტყაოსნის" ლექსები სხვის ლექსთა განკითხველია,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია".[2]

ანტონ ბაგრატიონი (ანტონ პირველი, ანტონ კათალიკოსი) რუსთაველს მიიჩნევს საკვირველ პოეტად, „პიიტიკოს-მესტიხედ", უწოდებს ბრძენს, ფილოსოფოსს. იგი თავის იამბიკოში წერს:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი...
თუ სამ ჰსწადდა, ღუთისმეტყუელიცა მაღალ,
უცხო საკვირველ პიიტიკოს – მესტიხე"...[3]

ზემოთ დამოწმებულ საილუსტრაციო მასალებს, ვფიქრობთ, მკითხველი საკითხიდან გადახვევად არ ჩამოგვართმევს. ამით გვსურდა გვეჩვენებინა თუ როგორ აფასებდნენ, რა სახოტბო სიტყვებს არ იშურებდნენ მეცხრამეტე საუკუნემდელი შემოქმედნი, ანუ მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების მწერლები რუსთაველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის" მიმართ. ამით თითქოს ტონი მისცეს მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს თუ მეცნიერებს (ქართველი და უცხოელნი) რუსთველის გენიის განსადიდებლად. აქ არაფერს ვამბობთ „ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის გამოცემისთვის ვახტანგ მეექვსის მიერ დართულ „თარგმანზე" (კომენტარები), რითაც საფუძველი ჩაეყარა რუსთველოლოგიურ მეცნიერებას, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ახლა კი გავეცნოთ იმ მასალებს თუ სახოტბო სიტყვებს, სადაც

1. დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 59
2. თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1938, გვ. 133
3. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1983, გვ. 28

რუსთაველის სადიდებელია გამოთქმული – გამოხატული მთელი XIX საუკუნის მანძილზე. დავიწყოთ ევგენი ბოლხოვიტინოვით.

ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767-1837) იყო პირველი რუსი (და, საერთოდ, პირველი უცხოელი) რუსთველოლოგი. იგი გახლდათ მწერალი, მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ბიბლიოგრაფი, ამასთანავე, საეკლესიო მოღვაწე (კიევის მიტროპოლიტი). სანიმუშოა მისი კეთილი განწყობა საქართველოსადმი, ქართული კულტურის მიმართ, რაც გამოხატა თავის რამდენიმე ნაშრომში, მათ შორის ჩვენთვის ამჯერად საგულისხმო ნარკვევში „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“. ის ცალკე წიგნად გამოიცა 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში. გამოიცა და იმთავითვე ითარგმნა ფრანგულ და გერმანულ ენებზე. როგორც მიუთითებენ, ამ წიგნზე არც ერთი რეცენზია არ გამოქვეყნებულა რუსეთში, სამაგიეროდ წიგნი ფართოდ გახმაურდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებში.

როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ბოლხოვიტინოვის დასახელებულმა წიგნმა დიდი როლი შეასრულა რუსთაველის ირგვლივ შეხედულების შემუშავებაზე როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მიმართულება მისცა რუსულ ლიტერატურაში რუსთაველის გატანის საქმეს. აკად. მარი ბროსეს ამ წიგნის წაკითხვისას პირველად გასჩენია ინტერესი ქართული მწერლობის მიმართ.[1] წიგნის ნაწყვეტები თარგმნილია ქართულ ენაზე.[2]

ე. ბოლხოვიტინოვის დასახელებულ წიგნში რუსთაველი მოიხსენიება თამარ დედოფლის დიდებულად: „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ დაიწერა თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის ჟამს, მისი, ასე ვთქვათ, შთაგონებით. ორივე შეუთხზავს მის უახლოეს დიდებულებს, პირველი – რუსთაველს, მეორე – ჩახრუხაძეს“. ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ბოლხოვიტინოვმა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივ-შინაარსობრივი დახასიათებისას პოემა განიხილა მსოფლიო ლიტერატურის ფონზე. მან რუსთაველი გვერდით ამოუყენა სახელგანთქმულ ევროპელ პოეტებს, როგორებიც იყვნენ არიოსტოსი (1474-1533) და ოსიანი. ე. ბოლხოვიტინოვი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი თითქოს რომანულია, აღებულია ინდოეთის ისტორიიდან. მოქმედების სურათები ემსგავსება არიოსტოს პოემას „როლანდს“ (იგულისხ-

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 5
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ., 185-189

მება „შმაგი როლანდი“ – ტ.მ.), ხოლო სილამაზე, ორიგინალობა ხატებისა, იდეებისა და გრძნობათა – ოსიანისეულია“.

შენიშნულია, რომ ე. ბოლხოვიტინოვის მსგავსად – ზოგჯერ მისი უშუალო გავლენით, „ვეფხისტყაოსანსა“ და „შმაგ როლანდს“ შორის პარალელს ავლებდნენ შემდეგი მკვლევარნი: რ. რდულტოვსკი, უ. მორფილი, ო. უორდროპი, ჟ. კარსტი, რ. ბლაიხშტაინერი, დ. ლანგი და სხვ. თუმცა განსხვავებული შეხედულებისანი იყვნენ: შ. ბერიძე, მ. ბაურა, ჰ. ჰუპერტი, რ. სტივენსონი... რაც არ უნდა საკამათო ჩანდეს რუსთაველის შედარება არიოსტოსა და ოსიანთან, ერთი რამ ცხადია, აქ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობის აღიარება და მისი უმაღლესი რანგის თხზულებათა რიგში ჩაყენების ცდა.[1]

უ. მორფილსაც შოთა რუსთაველი მოაგონებს არიოსტოს: „ადრე უკვე გვქონდა ლაპარაკი არიოსტოსებურ ეპოსზე „ვეფხისტყაოსანზე“. ამ პოემის ავტორი შოთა რუსთაველი ჭეშმარიტი ტრუბადურია და ბევრი რამით მოგვაგონებს არიოსტოს“ (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 327).

რუსი მეცნიერი, პროფესორი იაკობ ორლოვი (გარდაიცვალა 1819 წელს) თავის წერილში „რიურიკთა სახლის რუს ხელმწიფეთა სულისკვეთება“ (გამოქვეყნდა 1818 წელს) ერთგან წერს: „საქართველოს ჰყავდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მელექსენი. დიდი თამარის მეფობის დროს ქართულად დაწერილი პოემები „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ იმდენად მშვენიერნი არიან, რომ ვერც ერთმა ქართველმა ვეღარ შეთხზა უკეთესი და უმაღლესი რამ. ეს პოემები სამუდამოდ დარჩება ამ ხალხში სანიმუშოდ, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. ქართულ პოემათა უპირატესობა აიხსნება იმით, რომ მათი ავტორები ერთ წესს იცავდნენ და მონურად არ ბაძავდნენ უცხოელ მგოსნებს, რითაც დაადასტურეს ძველი ნათქვამი: „პოეტებად იბადებიან, ორატორებად იქმნებიან“.

როგორც დავინახეთ, ი. ორლოვი რუსთაველის პოემას უწოდებს მშვენიერს და ადარებს მას ჰომეროსის უკვდავ თხზულებებს „ილიადას“ და „ოდისეას“.[2]

1829 წელს გაზ. „ტფილისის უწყებანში“ დაბეჭდილ წერილში „რაიმე რუსთველისათვის“ მისი ავტორი (ლ. ა-დ) რუსთაველს ადარებს ჰომეროსს. მისი აზრით, რუსთაველს დაუწერია ჰომე-

1. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 613
2. ჟურ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია). თბ., 1977, №4

როსის „ილიადის“ სიმაღლის „ვეფხისტყაოსანი“.[1]

სოლომონ დოდაშვილი 1832 წელს ბეჭდავს წერილს „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, სადაც იგი მოსე ხონელთან, სარგის თმოგველთან და ჩახრუხაძესთან ერთად, რუსთაველს უწოდებს ტკილხმოვან მწერალს... „ესრეთ დროსა ამას საკუთრათ იქებოდნენ ოთხნი ტკბილხმოვანნი მწერალნი: ორნი პროზაიკნი: მოსე ხონელი და სარგის თმოგველი და ორნი მოლექსენი: რუსთაველი და ჩახრუხაძე“. თუმცა ს. დოდაშვილი ყველაზე მაღლა რუსთაველს აყენებს: „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაოდ არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთველისანი „ვეფხისტყაოსანი“.[2]

თავისუფლად აზროვნებისათვის 1818 წელს საქართველოში გადმოსახლებული რუსი მწერალი ალექსანდრე შიშკოვი 1831 წელს აქვეყნებს ნარკვევს „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“, სადაც იგი რუსთაველს ნათლავს საქართველოს მგოსნად: „დავით აღმაშენებელმა აღადგინა თბილისის კედლები, შემდეგ კი გიორგის მონაცვლედ, რომლის სახელის გახსენებაც კი თავზარს სცემდა სპარსელებსა და თურქებს, საქართველოს მოევლინა თამარი. საქართველო აყვავდა, ველური ტომები ველარ ბედავდნენ დიდი ხელმწიფის განრისხებას. კახეთის მინდვრები ისევ მოიფინა ყანებით, სოფლებში ისევ გაისმა მხიარული „არალო“ და საქართველოს მგოსანმა (იგულისხმება შოთა რუსთაველი – ტ.მ.) ხოტბა შეასხა ხალხის დედას, ბრძენ თამარს.[3]

პავლე ვიშესლავცევი (რუსი მოხელე) 1836 წელს თავის მიმოხილვითი ხასიათის წერილში „ქალაქი თბილისი“ „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებს ქართველთა საყვარელ წიგნს: „თამარის დროს პოეტმა რუსთაველმა შეთხზა პოემა, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის ქართული პოეზიის ერთ-ერთი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც დიდად უყვარდათ თანამედროვეებს და ამ სიყვარულით მოაღწია მათ შთამომავლებამდე“.[4]

გამოჩენილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ სანკტ-პეტერბურგში 1841 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“

---

1. ლ. ა-დ, რაიმე რუსთველისათვის, გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, №3, 21 იანვარი, გვ. 2-3
2. **ს. დოდაშვილი**, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 204
3. **ა. შიშკოვი**, თხზულებანი და თარგმანები III, სანკტ-პეტერბურგი, 1835, გვ. 44. **თ. ხეთერელი**, რუსი მწერლები თბილისში, თბ., 1978, გვ. 21
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 184

დაურთო წინასიტყვაობა, სადაც არაერთი საქებარი სიტყვები უძღვნა რუსთაველს და მის პოემას: „რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, იმთონი უფრო და უფრო მოგვწონს, მიზეზი ამის არის: პირველად, ზღაპრის (იგულისხმება პოემაში მოთხრობილი ამბავი – ტ.მ.) ტურფა თხზულება, შაირების კეთილხმიანობა, სიტყვააღრჩევით ენამჭევრობა. ჰაზრების მშვენივრად დაწმახნვა და ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიური მხატვრობა, მეორედ, კმასაყოფილი აღწერა რუსთაველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა. ამით ვამტკიცებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა და თვით ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება. ამ წიგნის დაწერითა რუსთველი გამოჩნდა არა მხოლოდ ვითარცა ჩინებული, არამედ უწარჩინებულესი ყოველთა ქართველთა მეზღაპრეთა ზედა“.[1] ასეთი საინტერესო და შთამბეჭდავი შეფასება მისხა მარი ბროსემ რუსთაველს.

მარი ბროსემ, ამასთანავე, საგულისხმო თავისი ლექსი დაურთო 1841 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, სადაც რუსთაველზე ნათქვამია:

„ვით იყო პირველთა ჟამთა ქებული სიბრძნე ქართველთა,
კვლავ იქმნა განახლებული თავისსივე ადგილს სართველთა.
შრომის მოყვარესა მოჰსცემს კაცთ სიბრძნის ნაყოფთა ქველთა.
ყვავილოვან-ჰყოფს გონებას და ვრცელ ვით სამოთხის ველთა
მოლარეთ-ხუცესს დიდსა მას, ვიტვი პიიტიკს ქართველსა,
გვარ-ჩინებულსა შოთთასა მას უწოდებდეს საბელსა,
დიდისა მეფის თამარის ჩინებულს თანა-მზრახველსა,
ამ ლექსთა ტურფა თხზულებით, სიბრძნითა გამომხატველსა.
შოთა იშვა სამესხეთოს დაბასა შინა ქებული,
მას რუსთავად უწოდებდენ, ძველთაგან იყო გებული.
ეს წიგნი ვეფხის ტყაოსნად მისგან არს სახელ-დებული,
ბრძენთ ღარმონია-დატკბობით მით იშვებს ყოველ კაცთ კრებული...
საუნჯის ესე ვითარის დაკარგვა დიაღ ძნელია...
აქებდენ და ჰნატრიდიან შოთთას ბრძენთა წინა-მძღვანსა“.[2]

სხვათა შორის, მარი ბროსეს ნესტან-დარეჯანი აგონებს დულსინეას, ხოლო ტარიელი – ჰერკულესს.[3] ფრანგ ქართველოლოგს

1. ვეფხის-ტყაოსანი, რუსულად Барсова Кожа, პოემა დაწერილი **შოთთა რუსთველის** მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა [მ] **ბროსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა** და **დ. ჩუბინოვისათა**, სპბ 1841, გვ. VII-VIII
2. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა, გვ. 223-224
3. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 37

მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის შთაგონებითაა დაწერილი: „ლექსებში ქართველები გამოყოფენ „ტარიელს“ და „თამარიანს“, რომლებიც ერთგვარად თამარის ღვთაებრივი საგმირო საქმეებითაა შთაგონებული“.[1]

რუსმა მწერალმა იპოლიტე ბარტდინსკიმ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი პოეტური თარგმანი განახორციელა რუსულ ენაზე, რომელსაც დახმარებას უწევდა დავით ჩუბინაშვილი. გარკვეული წვლილი ამ საქმეში სამეგრელოს მთავრის შვილს გრიგოლ დადიანსაც შეუტანია. სწორედ ამ უკანასკნელს ბარტდინსკიმ ლექსი მიუძღვნა („თავად გ. დადიანს“) 1840 წელს:

„შენს სამშობლოში, უდაბური მუხნარის გულში
ფართო ტოტები რომ გაშლილან დამჩრდილავ კარვად,
სინათლეს, სახელს და კაცის თვალს მოშორებული
წყარო უშრეტი, უდეგარი ამოჰქუხს მძლავრად.
იმის ღრმა წყალთა საიდუმლო ტალღების ჩქეფა
ჰგავს სქემოსანის გამოუცნობ ფარულ ღაღადისს
და მრავლის მომსწრე მის წიაღში ხომ შეიძლება
შლამი ფარავდეს და ჟანგავდეს წინაპართ მახვილს?
საუკუნეთა გადაქროლეს ამ წმინდა ადგილს.
ხალხს კი მისკენ გზა ვერ გაუხსნა ვერავინ დღემდის.
ყრუ უდაბნოზე ძველებურად ის წყარო გარბის,
მაგრამ მზის შუქი, როგორც ძველად, მაინც ვერ ეტრფის.
დროა, აწ დროა, გავხსნათ კარი დავიწყებისა,
და საუკუნეთ ღრმა წიაღში შევავლოთ კვალი...
მომეცი ხელი, ანაზარდო შთაგონებისა,
მივიდეთ, შევსვათ სასიცოცხლო ის წყაროს წყალი.
მე ვგრძნობ ცის მადლის ზეგავლენას სულის დამტკბობელს,
და შეიძლება ჩვენ წავსწყდეთ აღთქმის კიდობანს.
და გამოვტაცოთ კლანჭებიდან იმ გულშავ მფლობელს,
ვინც არ გვანებებს, რომ ნამყოთი ვაგებდეთ მყოფადს.
დროა, აწ დროა, გავხსნათ კარი დავიწყებისა
და საუკუნეთ ღრმა წიაღში შევავლოთ კვალი...
მომეცი ხელი, მეგობარო, სიმღერებისა,
მივიდეთ, შევსვათ სასიცოცხლო ის წყაროს წყალი“.[2]

ამ ლექსში უთუოდ ირეკლება „ვეფხისტყაოსნის“ შუქი ისეთი მეტაფორული გამოთქმებით, როგორიცაა: „წყარო უშრეტი, უდე-

1. იქვე; გვ. 63
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 194-195

გარი ამოჰქუხს მძლავრად". „ღრმა წყალთა საიდუმლო ტალღების ჩქეფა". „ყრუ უდაბნოზე ძველებურად ის წყარო გარბის". „მივიდეთ, შევსვათ სასიცოცხლო ის წყაროს წყალი", „მე ვგრძნობ ცის მადლის ზეგავლენას, სულის დამტკბობელს", „და შეიძლება ჩვენ წავაწყდეთ აღთქმის კიდობანს".

1842 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში[1] დავით ჩუბინაშვილი რუსთაველზე რუსულ ენაზე აქვეყნებს მრავალმხრივ საყურადღებო ნარკვევს „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", სადაც ქება-დიდებას აღავლენს თხზულების ავტორის მიმართ. მისი თქმით: „ვეფხისტყაოსანი" სახალხო პოემად იქცა. მისი მრავალი თქმა ანდაზად გავრცელდა. შემდეგდროინდელი მწერლები მისგან სესხულობდნენ აზრებსა და გამოთქმებს, ვითარცა ამგვარის ერთადერთი და სანიმუშო ქმნილებისაგან".

დ. ჩუბინაშვილს რუსთაველი ესახება კლასიკური ლიტერატურის მცოდნედ, ფილოსოფიური განათლების მქონედ. „ვეფხისტყაოსანი" მას აგონებს ებრაელთა სასულიერო პოეზიას (უმეტესწილად, ალბათ, ფსალმუნთა წიგნს გულისხმობს – ტ.მ.), ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს: „რუსთველის პოემის განხილვისას, ერთი მხრივ, ვპოულობთ მრავალ ადგილს, რომელიც გვაგონებს ებრაულ სასულიერო პოეზიას, ჰომეროსს, დასავლეთის მწრელებს, ხოლო ფილოსოფოსთა დამოწმება, ზოგან აშკარად, სახელით, ზოგან კი ფარულად, ოღონდ ისე, რომ ადვილია მათი ამოცნობა, ნათელყოფს ავტორის მიერ კლასიკური ლიტერატურის ცოდნას. მეორე მხრივ, რუსთაველის პოემის ენაზე დაკვირვებისას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით აღმოსავლურ ლიტერატურასთან მსგავსებას, უპირატესად „ათას ერთი ღამის" მოთხრობებსთან, იგივეა ვნებათა გაზვიადება, ჰიპერბოლური გამოთქმები. რუსთველის გმირები, – განაგრძობს დ. ჩუბინაშვილი, – აღმოსავლური გმირების მსგავსად, გლოვის ჟამს თავზე მტვერს იყრიან, ისევე ელვარებს მარგალიტი წყვდიადში, ბულბული აჯადოებს ტევრებს: იგივეა ეპითეტები – მზე, მთვარე, ლომი, რომლებიც ასრულებენ ნაცვალსახელთა როლს, რაც უცხოა ევროპელისათვის".[2]

დ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, რუსთაველის პოემა აღმოსავლურ რომანებს მხოლოდ გარეგნულად კი არ ემსგავსება, არამედ შინაგანი აღნაგობითაც. ეს მსგავსება იმდენად დიდ შთა-

1. დ. ჩუბინაშვილი, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", ჟურ. ЖМНП, 1842, №8, გვ. 112-126. შდრ. ქართული ქრისტომატია, II, სანკტ-პეტერბურგი, 1860, გვ. I-IX, რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 195-207
2. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 197-198

ბეჭდილებას ახდენსო მკითხველზე, რომ ზოგიერთს მიაჩნდა, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი შინაარსი – ტარიელის ისტორია შეთხზულია არა რუსთაველის მიერ, არამედ ნასესხებია აღმოსავლეთიდან, თაგრმნილია არაბულიდან თუ სპარსულიდან... გმირთა მოქმედების აღწერისას რუსთაველი ისე იჩენს თავისუფლებას, როგორც ყველა აღმოსავლელი პოეტი და მთხრობელი“.[1]

ზემოთ გავეცანით, რომ დ. ჩუბინაშვილი რუსთაველს ადარებს ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს, გამოჰყავს პოეტი კლასიკური ლიტერატურის მცოდნედ, მაგრამ წერილის დასასრულს იგი წინააღმდეგობაში მოდის რატომღაც საკუთარ თავთან, რომ თითქოს შეუძლებელია რუსთაველის შედარება ჰომეროსთან, ვერგილიუსთან, ვინაიდან ჩვენს განუმეორებელ პოეტს არ უცხოვრიაო ევროპაში, არ იცნობდაო ევროპული მწერლობის ნიმუშებს. აი, რას წერს დ. ჩუბინაშვილი ამასთან დაკავშირებით: „რუსთაველის პოემა, როგორც ითქვა, ქართველთა სახალხო პოემად იქცა. უკვე ეს მოწმობს, რომ იგი მაღალი პოეტური ღირსებისაა. მდარე თხზულება ვერ მიანიჭებდა კმაყოფილებას რამდენიმე თაობას მთელი ექვსი საუკუნის მანძილზე. არ შეიძლება ამ პოემის შედარება ჰომეროსის, ვირგილიუსის, ტასოს და სხვათა მრავალთა თხზულებებთან. რუსთველს ევროპაში არ უცხოვრია, არც ევროპული ნიმუშები ედგა თვალწინ. ენა და მსვლელობა მისი პოემისა იქნებ ეუცხოვოს ევროპელს, რომელიც ახლოს იცნობს კლასიკურ მწერლობას. მკაცრმა კლასიკოსებმა იქნებ არც უწოდონ რუსთველის ქმნილებას პოემა, რადგან მასში არაა დაცული დროისა და მოქმედების ერთიანობა. სამაგიეროდ პოეტს შენარჩუნებული ავქს პოემის მთავარი ძირითადი წესი: აზრისა და ინტერესის ერთიანობა“.[2]

საგულისხმოა, რომ დ; ჩუბინაშვილი საპირისპირო აზრს ავითარებს გაზ. „კავკაზში“[3] გამოქვეყნებულ წერილში, სადაც გამოთქმულია შენიშვნები ევლახოვის თარგმანზე „ვეფხისტყაოსნისა“ რუსულ ენაზე. აქ დ. ჩუბინაშვილი გვარწმუნებს, რომ რუსთაველის პოემა ატარებს ბერძნული გავლენის კვალს. დაწერილია ხალხური ენით. პოემა წარმოადგენსო კავკასიის ილიადას.

ა. მურავიოვი თავის წიგნში „საქართველო და სომხეთი“[4] ასე ახასიათებს რუსთაველის პოემას: „ვეფხისტყაოსანი“ თამარის კარის პოეტის შოთა რუსთაველისა, რომელიც გადმოცემის მიხედ-

1. იქვე. გვ. 198
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 200
3. გაზ. „კავკაზი“, 1846, 6 ივლისი, №27
4. ა.მურავიოვი, საქართველო და სომხეთი, სანკტ-პეტერბურგი, 1848, გვ. 214-225

ვით, თხზავდა პატრონის სიყვარულით შთაგონებული, გამსჭვალულია უნაზესი გრძნობით და აღსავსეა პოეზიის პირველქმნილი მგზნებარებით... შევძელი მთელი პოემის სილამაზის შეფასება". ა. მურავიოვის რწმენით, ავთანდილისა და როსტევანის ნადირობის აღწერა ღირსია ჰომეროსის ყალმისაო, „ვეფისტყაოსანი" აღმოსავლური პოემა არისო.

რუსმა მწერალმა იაკობ პოლონსკიმ, რომელიც 1846-1852 წლებში თბილისში ცხოვრობდა, ლექსი დაწერა „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი". დავიმოწმებთ რუსთაველისადმი მიძღვნილ ტაეპებს:

„გამოირჩევა მათში ერთი რაინდი ლაღი,
ბიზანტიური სამოსელით-მიმზიდველ სახით.
იგი დგას მშვიდად, მეოცნებე, თვალსხივოსანი.
რისთვის მოსულა სასახლეში ნეტავ მგოსანი?
იგი ივერთა მეფის ნაცვლად თამარში ხედავს
ხატებას ღვთიურ სიტურფისას, მომხიბლველს მეტად";
„მისი ტკბილი ხმის სანეტარო ბგერა ყოველი...
„იგი იცოცხლებს ხალხში სიბრძნის სხივთა მგზნებელი".[1]

გაზეთ „კავკაზში" ი. სლივიცკი 1849 წელს აქვეყნებს წერილს, რომელიც წარმოადგენდა ნაწყვეტს ავტორის მიერ რუსთაველზე დასაბეჭდად გამზადებული მონოგრაფიისა. წერილში გაკრიტიკებულია ევროპისა და რუსეთის ორიენტალისტიკა, რომელიც ვერ ჩაწვდაო აღმოსავლეთის ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურს. რაც მთავარია, სლივიცკი ამ წერილში რუსთაველს აცხადებს აღმოსავლეთის გენიადა.[2] 1860 წელს ს. ბასტამონი წერდა: „ვეფხისტყაოსნის" ავტორია შოთა რუსთაველი. ამ კაცს ქართველები ისეთ პატივს სცემენ, რომ აი უკვე ექვსასი წელია ამ თხზულებას აქ ისე კითხულობენ, როგორც ჰომეროსის ქმნილებებს სხვა ხალხები" (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1885, გვ. 399).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირველად გაიელვებს „ვეფხისტყაოსნის" ავტორის გვარი რუსთველი. 1861 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა". მასში დიდი ილია რუსთაველს მოიხსენიებს სასიქადულო შემოქმედად: „როცა გაგვახსენდება კაზლოვი და მისი პოეზია, მაშინვე

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 202-203; შდრ. თ. ხეთერელი, რუსი მწერლები თბილისში
2. გაზ. „კავკაზი" 1849, 12-20 ნოემბერი, №46-47; შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 30

ენაზედ მოგვადგებიან ჩვენი სასიქადულო რუსთაველის სიტყვები, მხოლოდ ჩვენებურად კი დავაწყობთ ხოლმე: „კაზლოვის ლექსი ცოტაა, ნაწილი მოშაირეთა, არ ძალუძს სრულ ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა"...[1]

1871 წელს პეტრბურგში დაბეჭდილ თავის „საქართველოს ისტორიაში" ს. ბარათოვი რუსთაველს უწოდებს დიდ პოეტს, შენიშნავს მისი სტილის განუმეორებლობას. ასევე, მან რუსთაველის მაქებართაგან პირველთაგანმა რუსთაველს უწოდა დიდი მეცნიერიც.[2]

ნიკოლოზ ბოჩაროვი 1872 წელს აქვეყნებს წერილს „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე" ეს რუსი ლიტერატორი და ჟურნალისტი დასახელებულ წერილში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" უწოდებს კლასიკურ ნაწარმოებს, საუკეთესო ქმნილებას, სახალხო პოემას, თვითონ პოემის ავტორს ნათლავს საუკეთესო პოეტად:

„თამარის ეპოქაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი პროზაიკოსებმა – მოსე ხონელმა და სარგის თმოგველმა, პოეტებმა – ჩახრუხაძემ და შოთა რუსთველმა. ამ ხანის საუკეთესო პოეტია შოთა რუსთველი. მისი „ვეფხისტყაოსანი" იქცა ქარველთა სახალხო პოემად და ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა შორის ერთ საუკეთესო ქმნილებად ითვლება... რუსთაველის კლასიკური ნაწარმოებია პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც პოეტი განზრახ სპარსულიდან თარგმნილად აცხადებს, მაგრამ სინამდვილეში ორიგინალური, სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია".[3]

1875 წელს აკაკი წერეთელი წერდა: „ამისთვის ჩვენ ავიღოთ უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", გავარჩიოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისის კუთხეებით და მცხოვრებლებით, ისე გამოხატულს,როგორც სარკეში ჩასახულს რამეს".[4]

ა. სავანელი 1880 წელს გაზ. „დროებაში" გამოქვეყნებული პატარა წერილით საზოგადოების მოუწოდებდა რუსთაველისთვის ძეგლის აგების შესახებ.[5] ამით გამოხატა მან უდიდესი სიყვარული და თაყვანისცემა გენიალური ქართველი პოეტის მიმართ.

1. ჟურ. „ცისკარი", 1861, აპრილი, გვ. 557-594
2. ს. ბარათოვი, საქართველოს ისტორია, სანკტ-პეტერბურგი, 1871, რვეული IV-V, გვ. 34-36
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 204-205
4. ა. წერეთელი, ხასიათები, გაზ. „დროება", 1875, 17 იანვარი, №6
5. გაზ. „დროება", 1880, 28 ნოემბერი

ა. ცაგარელი რუსთაველის პოემას უწოდებს საუკეთესო თხზულებას. მისი თქმით, ვახტანგ მეექვსემ „ვეფხისტყაოსნის“ „გამოცემას დაურთო თავისი კომენტარები, რომლებიც განსაკუთრებით იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ნათელყოფენ იმდროინდელ მოწინავე ადამიანთა გემოვნების სრულ დამახინჯებას ხელოვნების ნიმუშთა შეფასებისას და ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის საუკეთესო თხზულების გაუგებლობას“.[1] ასევე, ა. ცაგარელი „ვეფისტყაოსანს“ მოიხსენიებს კლასიკურ ძეგლად: „ქართული ლიტერატურის ამ კლასიკური ძეგლის რუსული თარგმანის გამოცემა ფრიად სასურველი და სასარგებლო იქნება რუსული ლიტერატურისათვის, რომელიც ყოველწლიურად მდიდრდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის, კლასიკური მწერლობის თარგმანებით“.[2]

ჟურნალ „იმედში“ ქვეყნდება ანონიმი ავტორის პოლემიკური წერილი, სადაც გამართულია პაექრობა კეზელთან. რაც მთავარია, აქ იგი რუსთაველს აიგივებს დანტესთან: „რუსთაველი კეზელის ხელში? განა ეს გულივერ-ლილიპუტობა არ არის? ოხ, ნეტავი, ნახევარ წუთს მაინც წამოგახედა შენ, შოთა, ჩვენო საშუალ საუკუნეების უკვდავო დანტე – ესე ვნატრობდი მაშინა“.[3]

ახლა კი ნ. გულაკს მოვუსმინოთ: „ვეფხისტყაოსანი“ არ არის „ილიადას“ ან „ნიბელუნგების“ტიპის ეპოპეა, იგი არც სიმღერაა სამშობლოს რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორც,მაგალითად, „იგორის ლაშქრობის ამბავი“, „სიმღერა როლანდზე“. ის არის ხელოვნური პოემა. რუსთველის სიტყვებიდან ჩანს, რომ პოემის დაწერას ბიძგი მისცა თამარმა. „ვეფხისტყაოსანი“ უფრო ჰგავს ბოიარდოსა და არიოსტოს რომანტიკულ ეპოპეებს, რადგან როგორც იქ, ისე რუსთველის პოემაში გვხვდება მოქმედ პირთა სასიყვარულო რომანტიკული თავგადასავლები, ხეტიალი, ბრძოლები ნახევრად ფანტასტიკურ ქვეყნებში“.[4] აქ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ნ. გულაკს „ვეფისტყაოსანმა“ მოაგონა „ილიადა“, „ოდისეა“, „ნიბელუნგები“, „იგორის ლაშქრობის ამბავი“, „სიმღერა როლანდზე“, ბოიარდოსა და არიოსტოს რომანტიკული ეპოპეა.

1884 წელს პოლონეთში პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა არტურ ლაისტის სპეციალური წერილი ქართულ ლიტერატურაზე, რო-

---

1. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 205-206
2. იქვე. გვ. 209
3. ჟურ. „იმედი“, 1883, №1, გვ. 81-86
4. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 146

მელიც იმთავითვე ითარგმნა ქართულ ენაზე.[1] წერილში ერთგან არტურ ლაისტი ამბობს: „შოთა რუსთველი თავისი ქვეყნისთვის იგივეა, რაც ტორკვატო ტასო იტალიისათვის ანდა კამოენსი პორტუგალიისათვის".[2]

რუსთაველის შედარება დანტესთან მომდევნო წლებშიც გრძელდება. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოირჩა ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც ჟურნალ „თეატრში" გამოაქვეყნა სტატია „რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე". ავტორი „ვეფხისტყაოსანს" ადარებს დანტეს და მილტონს. უფრო მეტიც. ჩვენს განუმეორებელ შემოქმედს დანტეზე მაღლაც აყენებს. შედარებისას ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ კრიტიკამ ნაკლი აღმოუჩინა დანტეს და მილტონსაც, რუსთაველს კი ასეთი არა აქვს. თუ „ვეფხისტყაოსანს" ევროპელები გაიცნობენ, დანტეზე მეტად დააფასებენ.[3]

მოსე ჯანაშვილმა 1895 წელს თბილისში დასტამბა თავისი წიგნი „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი", სადაც რუსთაველი დანტედ მოიხსენია. ავტორი უსაყვედურებს მათ, რომელთაც რუსთაველი ცის ნატეხი ჰგონიათ ჩვენი კულტურის ისტოიაში. იგი აღნიშნავს, რომ თუ შევისწავლით ქართულ კულტურას და მწერლობას, რაც რუსთაველს წინ უძღოდა, მაშინ მოულოდნელი არ იქნება ქართველების დანტეს – შოთას გამოჩენა მეთორმეტე საუკუნეში.[4]

არტურ ლაისტი ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში („ქართული ლიტერატურა") სიტყვა-სიტყვით ამბობს: „რუსთაველის შემდეგ ქართული მუზა ასე აღარ ამაღლებულა".[5] „ვეფხისტყაოსანს" იგი მარგალიტად მოიხსენიებს: „ქართული პოეზიის ამ მარგალიტის შეფასება ჩვენთვის საძნელოა. „ვეფხისყაოსანი" მართლაც რომ სულის წარმტაცად გვიხატავს ძარღვმაგარ და მჩქეფარე ცხოვრებას".[6] არტურ ლაისტი საინტერესო დაკვირვების მოწმედ გვხდის: „რუსთველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს თავის თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან". მხოლოდ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შოთა რუსთველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინე-

1. ჟურ. „ივერია", V-VI, 1884, გვ. 91-126
2. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978, გვ. 64-65
3. ჟურ. „თეატრი", 1886, №47, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 115
4. **მ. ჯანაშვილი**, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, ტფ. 1895
5. არტურ ლაისტი, ქართული ლიტერატურა, ჟურ. „ივერია", 1884, №V-VI
6. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 168

ბა, ვიდრე ეშენბახი, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია რელიგიური დოგმებისა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართისაგან" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 152).

არტურ ლაისტი რუსთაველს უწოდებს საქართველოს ტორკვატო ტასოს: „ვინ იცის, იქნებ, თბილისის ჩრდილოეან ბაღებში დასეირნობდა რუსთაველი, ეს ტორკვატო ტასო საქართველოსი, თვით უდიდესი მგოსანი კავკასიისა" (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 154).

ფრანგი მურიე რუსთაველს განასხვავებდა ევროპელი ტრუბადურებისაგან.[1] 1884 წელს საფრანგეთის კონსულის პატივსაცემად გამართულ საუზმეზე ილია ჭავჭავაძეს რუსთაველი მზესთან გაუიგივებია: „ვეფხისტყაოსნის" ფრანგული თარგმანის არსებობა, რომელიც იონა მეუნარგიას მიერ არის შესრულებული, რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია, რადგანაც, ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისეც რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგია".[2]

ილია ჭყონია რუსთაველს გენიოსად მოიხსენიებს, ხოლო „ვეფხისტყაოსანს" – უკვდავ ქმნილებად ქართული მწერლობის უცხო ენებზე თარგმანების მიმოხილვისას: „გრაფს ა. ბობრინსკის ფრანგულად უთარგმნია უკვდავი ქმნილება ჩვენის გენიოსისა".[3] სხვა წერილში ი. ჭყონია შოთას უკვდავებაზე საუბრობს: „თბილისში მცხოვრებს ახალგაზრდა რუსის გრაფს ა. ბობრინსკის ფრანცუზულს ენაზე გადაუღია პროზით უკვდავი შოთას პოემა. გრაფი მიდის პარიზში, სადაც თავისი თარგმანის დაბეჭდვას აპირებს".[4]

1885 წელს თბილისში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი", სადაც შეტანილია წერილი „შოთა რუსთაველი". ავტორის მიერ რუსთაველი შედარებულია მსოფლიო კლასიკოსებთან, საუბარია პოემის მსოფლიო ღირებულებაზე.[5]

ვასილ ბარნოვის გამოთქმებია რუსთაველზე: „დიდებული პოეტი". „რუსთაველი დიდია".[6] 1887 წელს გაზეთ „ივერიაში"

---

1. გაზ. „დროება", 1884, 28 ნოემბერი
2. გაზ. „დროება", 1884, 2 დეკემბერი, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 88
3. ჟურ. „ივერია", 1884, VII-VIII, გვ. 110-120
4. **ი. ჭყონია**, „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად თარგმნის შესახებ, გაზ. „დროება", 1884, 11 აგვისტო
5. **ი. გოგებაშვილი**, ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, თფილისი. 1885, გვ. 498-508
6. ჟურ. „მწყემსი", ქუთაისი, 1886, 20 ივნისი, №17, გვ. 68

„მგზავრის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში (დაბა და სოფელი) რუსთაველის პიროვნება ფიგურირებს როგორც „დიდებული კაცი“, „გენიოსი კაცი“; „ჩემი გული უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, თან მიხაროდა კიდეც ამ დიდებული კაცის (იგულისხმება რუსთაველი – ტ.მ.) სამშობლოს ნახვა. თან თითქო ტირილიც მინდოდა. აი-მეთქი, ვამბობდი გულში, აქ დადიოდა ის გენიოსი კაცი. აქ ატარებდა ყმაწვილობის და აქედან მოფინა სხივი დიდებისა მთელს ჩვენს სამშობლოს-მეთქი“.[1]

ილია ალხაზიშვილი რუსთაველს მოიხსენიებს დიდებულ, სასიქადულო პოეტად, ხოლო „ვეფხისტყაოსანს“ უკვდავ პოემად: „მაშ, ვინ უნდა უპატრონოს კუმურდოს, ვარძიას, საფარის, ზარზმის მონასტრებს... მაშ, ვისი მოვალეობაა ღირსეულად დაჰკრძალოს ის წმინდა ადგილი და ნასახლარი, სადაც ჩვენი სასიქადულო, დიდებული პოეტი შოთა დაიბადა და სადაც თავუკვდავი პოემა სწერა“.[2]

მელიტონ კელენჯერიძე წერდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მთელ საქართველოს მეორე სახარებად გადაექცია და მის დიადობას ვერა სკეპტიკოსი და კრიტიკოსი ვერ შეარყევს. იგი რუსთაველს ასახელებს არისტოტელეს, პლატონის, სოკრატეს, ლეიბნიცის, კანტის, გოეთეს გვერდით. პოეტს უწოდებს უკვდავს. გარდა ამისა, აი, კიდევ რას სწერს რუსთაველზე: „რუსთველს სიუჟეტი არა თუ არ უსესხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან, ეროვნული ეპოსიდან ამოუღია, შეუგნია როგორც ჰომიროს და ფირდოუსის ასეთი სახალხო სიუჟეტის ფასი და შეუქმნია სრულიად თავისუფლად ის მარგალიტი, რომელიც ასე ძლიერ ატოკებს იმ ერისა და იმ საზოგადოების გულს, რომლის თქმულებიდანაც ამოუღია იგი პოეტს. საჭირო აღარ არის გაქცევა აღარც „ბარამიანთან“, აღარც „ვისრამიანთან“, აღარც „მეჯნუნ და ლეილისთან“.[3]

ნიკო ხიზანიშვილი ამბობს, რომ შოთა რუსთაველი არის დასაბამი და დასასრული ჩვენი გონიერებისა. მას მიაჩნდა: „ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა „ვეფხის ტყაოსანზედ“ საბოლოო და ბეჯითი სიტყვა ითქმის“... პოემა საერთო განძად იმიტომ გადაიქცა, რომ ის არის ხელოვნური მატიანე, ლექსად მოთხრობილი ერცელი ისტორია ჩვენის ოქროს საუკუნისა“. ამასთანავე, იგი ერთმანეთს უპირიპირებს რუსთაველსა და დანტეს.[4]

1. გაზ. „ივერია“, 1887, 30 სექტემბერი, №202, გვ. 2-3
2. გაზ. „ივერია“, 1894, 1 სექტემბერი
3. მ. კელენჯერიძე, სახალხო პოეზია... ქუთაისი, 1896
4. გაზ. „ივერია“, 1896, 9 აპრილი, შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 203

ახლა მოვუსმინოთ ძმები თავართქილაძეების ნათქვამს: „კიდევ გაივლის მრავალი საუკუნე და „ვეფხისტყაოსანი" დროთა წყვდიადში იმოგზაურებს მანამდე, სანამ ქართველები და მათი ენა იარსებებს. დიახ, იგი არის და იქნება ქართველების გონებრივი კულტურის საწყავ-საზომი ემბლემა".[1]

1899 წელს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში" წერდა: „ვინც განგებ გონება-დახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელ-აფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება წაკითხულისა, ვინ იკადრებს თქმას, რომ „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელი ერი იმდენად ბრიყვი იყოვო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არ ჰქონიაო".[2]

რუსი მწერალი და ჟურნალისტი ევგენი სტალინსკი „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე მის მიერვე თარგმნილ ტექსტს ურთავს წინასიტყვაობას – „შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი". სწორედ აქედან ამოვიწერე შემდეგი სიტყვები: „ვეფხისტყაოსნის" ავტორი ჩვეულებრივი მოკვდავიდან იქცა წმიდა წყლის კლასიკოსად, ხოლო შემდგომ, დიდებით მოსილ ქართველ პოეტად, რომელსაც იცნობს და აღმერთებს მთელი ქართველი ერი... შოთა რუსთველი იყო იმ პირველ პიონერთა რიცხვში, რომელნიც თავიანთ ხალხში ქრისტიანულ ცივილიზაციას ნერგავდნენ".[3]

საკითხზე საუბარს დავასრულებთ ალექსანდრე ხახანაშვილის სიტყვებით: „ქართულ მწერლობაში ვერც ერთი ნაწარმოები ვერ შეედრება თავისი ღირსებითა და მნიშვნელობით რუსთველის უკვდავსა და უცვლელად ნორჩ პოემას. „ვეფხისტყაოსანი" ერთადერთი ქმნილებაა ქართველი ერის გენიოსობისა, რომელსაც უფლება აქვს გვერდში ამოუდგეს საუკეთესო თხზულებებს საკაცობრიო ლიტერატურაში. რუსთველის ჩანგი გახდა წასაბაძ, მაგრამ მიუღწეველ იდეალად ჩვენს ჩველ მწერლობაში".[4]

სპეციალურად ბოლოსთვის შემოვინახეთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ეპითეტები, რითაც შემკობილია რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი". ჯერ ილიას შეფასებებს გაეცნოთ. დიდი ილია რუსთაველს უწოდებს „თავმოსაწონებელ", „სამართლიანად სახელოვან", „სასიქადულო",

---

1. ნინასიტყვაობისებური წიგნისა – შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, გამოცემა **ძმები თავართქილაძეებისა**, ბათუმი, 1899, გვ. VIII
2. **ი. ჭავჭავაძე**, სომეხნი მეცნიერნი და ქვითა ღაღადი, გაზ. „ივერია", 1899, 25 მარტი, №65, გვ. 1-4
3. **ე. სტალინსკი**, შოთა რუსთველი-ქართველი სახალხო პოეტი, ტფ. 1885, გვ. 29-41
4. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1895

„გულთამხილავ“, „ხალხის მოჭირენახულე“, „უკვდავი“, „ქართული სიტყვის ჯადოქარ“ შემოქმედს. ამასთანავე, „ვეფხისტყაოსანი“ მონათლულია „უკვდავ ქმნილებად“, „დიდებულ პოემად“, „მსოფლიო მასშტაბის პოეტურ შედევრად“, „ქართველების გულის საუნჯედ“, „ზღვა აზრისა და გრძნობის უძირო მორევად“, „წმინდათაწმინდა ძეგლად“, „განძად“.

ახლა აკაკი წერეთელს მოვუსმინოთ, რომელიც ჩვენს გენიალურ პოეტს შეამკობს შემდეგი ეპითეტებით: „ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი“, „მწერალთა თავადი“, „ბრძენთა-ბრძენი“, „დიდებული და უკვდავი“, „მაღალი პოეტური ნიჭის პატრონი“, „საქებ-სადიდებელი“, „გენიოსი“, „სულმნათი“, „ერის მოძღვარი“. „ვეფხისტყაოსანს ეძახდა „დიდებულ და საკვირველ განძს“, „ქართველი საზოგადოების სულიერ ზრახვათა გამომხატველს“, „ენისა და ეროვნების შემნახველს“.

ვაჟა-ფშაველას თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ „უკვდავი ნაწარმოებია უკვდავი ადამიანისა“, „დიდებული ქმნილება“, „ზოგადსაკაცობრიო თხზულება“. მისი თქმით, „რუსთაველი მსოფლიო გენიოსია“, „ფრიად განათლებული“, „ფრიად დახელოვნებული ყველა დარგის მეცნიერებაში“, „ხალხის შვილი“. რუსთაველი „ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლისა და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი. იგი ამავე დროს სარკეა თავის ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი... ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნო თავისი თავი. დიაღ, შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.[1]

ამრიგად, მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართველი თუ უცხოელი მკვლევარნი და მწერლები ხოტბა-დიდებას ასხამენ რუსთაველს და „ვეფხისტყაოსანს“. საგულისხმოა მთავარი რამ: როდესაც ცარისტული ხელისუფლების რეჟიმი სასტიკად დევნიდა ქართულ კულტურას, მწერლობას, ქართულ ენას, ქართულ სკოლას, ძარცვავდა ეკლესია-მონასტრებს, კირს ასხამდა ფრესკებს და ანადგურებდა, ამ კოშმარულ პერიოდში რუსული მოწინავე ინტელიგენციის კეთილშობილი წარმომადგენლები დაინტერესებული არიან „ვეფხისტაოსნით“, განადიდებენ რუსთაველს, წერენ მასზე წერილებს, თარგმნიან პოემას, რათა მისი შინაარსი თუ

1. შდრ. **ლ. მენაბდე**, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 100, 169, 302

იდეები ახლოს მიიტანონ რუსი მკითხველების გულთან და გზა გაუკაფონ ევროპისაკენ.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი" განიხილებოდა მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, აღიარებდნენ მის საკაცობრიო ღირებულებას, მოიხსენიებდნენ მსოფლიო მნიშვნელობის თხზულებად. რუსთაველს აყენებდნენ სახელგანთქმული ევროპელი პოეტების გვერდით (არიოსტოსი, ოსიანი). რუსთაველს ადარებდნენ ჰომეროსს, დანტეს, მილტონს (დანტეზე მაღლაც აყენებდნენ). ადარებდნენ გერმანელ შემოქმედ ვოლფრამ ფონ ეშენბახს („პარციფალი"). რუსთაველი სახელდება პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, ლეიბნიცის, კანტის, გოეთეს, ფირდოუსის გვერდით. რუსთაველი წოდებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელი აღმოსავლეთის გენიად, ხაზი გაესმის პოეტის გენიოსობას, მას დიდ მეცნიერადაც ნათლავენ, აღიარებენ ბრძენთა წინამძღოლად. სიბრძნის სხივთა მგზნებელად. განასხვავებენ ევროპელი ტრუბადურებისაგან. მოითხოვენ ამ დიდი შემოქმედისთვის ძეგლის აგებას.

„ვეფხისტყაოსნის" ავტორს მზესთან აიგივებენ, უწოდებენ ჩვენი წარსული გონიერების დასაბამს და დასასრულს, დიდებით მოსილ ქართველ პოეტს. მოიხსენიებენ ტკბილხმოვან მგოსნად, ქართველთა საყვარელ პოეტად, უწონებენ ენამჭევრობას, ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიურ მხატვრობას, „ჰაზრების მშვენივრად დაწმახნვას". რუსთაველის დიდების წარმოსასახავად ხმარობენ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა: დიდი, დიდებული, უკვდავი სასიქადულო, საუკეთესო, გენიოსი და ა.შ.

ქართველ და უცხოელ მკვლევართა მხრიდან „ვეფხისტყაოსანი" შედარებულია „იდიადასთან", „ოდისეასთან", „ათას ერთი ღამის" მოთხრობებთან, „შმაგ როლანდთან", „შაჰ-ნამესთან", ებრაულ სასულიერო პოეზიასთან. პოემა წოდებულია კავკასიის „ილიადად", კლასიკურ ნაწარმოებად, საუკეთესო ქმნილებად, მარგალიტად, მაღალი პოეტური ღირსების მქონედ. უნაზესი გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებად, სიბრძნის გამომხატველ უკვდავ ძეგლად, სასიცოცხლო წყაროს წყლად, სახალხო თხზულებად, მთელი საქართველოს მეორე სახარებად, დიად ნაწარმოებად, ქართველების გონებრივი კულტურის საწყავ-საზომ ემბლემად მარი ბროსეს თქმისა არ იყოს, „ვეფხისტყაოსანი" უებროა და უამხანაგო, ევროპაშიც მისი უმჯობესი არ იპოვებაო".

„მე, რუსთველი, ხელობითა“

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, პროლოგში ფიგურირებს ავტორის მხოლოდ გვარი (თუ ფსევდონიმი) – „რუსთველი“ („მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“... დავჯე, რუსთველმან გავლექსე“...) ეპილოგშიც ვკითხულობთ: „მე რუსთველისად ამისა“; „ტარიელ მისსა რუსთველსა“... პროლოგ-ეპილოგში პოეტის სახელი „შოთა“ არ ჩანს. პ. ინგოროყვას თანახმად, ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი შემოკლებული ზედწოდება (იგულისხმება „რუსთველი“) უფრო პოპულარული და გავრცელებული ყოფილა. ინტერპოლატორი არ მოიხსენიებს არა მარტო რუსთაველის სახელს, არამედ შავთელისას. გადმოცემა პოეტის სახელის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერთა ზედწერილებიდან (იხ. ნარწერა პოეტის მინიატურისა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში) ჩანს“.

როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, სახელი „შოთა“ XII საუკუნიდან მეტად პოპულარული ყოფილ. შოთა ართავაჩოს-ძე (1177 წლის აჯანყების მონაწილე და მეთაური). შოთა კუპრი (ჰერეთის ერისთავი, რუსუდან დედოფლის, ულუ-დავითისა და ნარინ-დავითის დროის პოლიტიკური მოღვაწე), მანდატურთუხცეს ჭიაბრის სიგელზე (1184-1188) ხელისმომწერი შოთა, ჟინვანის პატრონი; ზარზმის რესტავრატორის გაბრიელ ხურსიძის მამა შიო შოთა ყოფილა, მთავარი შოთა, გამოხატული სოფელ აძიკვის ეკლესიის ბარელიეფზე. პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტრის სვეტზე მოცემულ წარწერაში ნახსენები შოთა, ამავე მონასტრის აღაპთა წიგნში დასახელებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი აქვე უნდა დასახელდეს მესხეთში, ქვაბისხევის მონასტერში აღმოჩენილი XII საუკუნის ფრესკა, სადაც გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი, რომლის სახელია შოთა (ნ. ბერძენიშვილი). ბუნებრივია, მკვლევარნი დასახელებულ შოთათა შორის ეძებდნენ პოემის ავტორს.

„ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელს რომ კონკრეტულად შოთა ერქვა, ამაზე ქართულ წყაროებში არანაირი ცნობა არ შემოგვენახა. 1941 წელს ილ. აბულაძემ და ქრ. შარაშიძემ აღმოაჩინეს ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც მინიშნების დონეზე მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე – „შოთა“. ეს არის სადგერის ეკლესიის დეკანოზის სვიმიონ შოთას ძის (ანუ შოთაშვილის) ლექსად დაწერილი ანდერძი. მასში სვიმიონი სიამაყით ლაპარაკობს თავის გვარზე. ირკვევა: მას სცოდნია თავის შორეულ წინაპარზე, როგორც პოემის

ავტორზე. ეს საკითხი უფრო ღრმად შეისწავლა რ. ფირცხალაიშვილმა და ახალ მასალებზე დაყრდნობით დაასკვნა: სეფეჯვარის მტვირთველ შოთასძეთა გვარი სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილის მფლობელთა – თორელთა საგვარეულოდან მომდინარეობს.[1]

ილ . აბულაძისა და ქრ. შარაბიძის მიერ ნაპოვნ მასალას კ. კეკელიძე გამოეხმაურა: „ილ. აბულაძეს და ქრ. შარაშიძეს უპოვნიათ XV საუკუნის მეორე ნახევრის ერთი შაირი, რომელიც შეუთხაზვს გიორგი კაპადოკიელის სახელზე მისი ხატის მხლებელსა და მსახურს, დეკანოზს სვიმონ შოთაძეს და რომელშიც ავტორი თავის გვარის დამწყებად თითქოს შოთა რუსთაველს გულისხმობს. თუ ეს მართლა ასეა, მეთხუთმეტე საუკუნეში უკვე ყოფილა ტრადიციული ცნობა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორის სახელი იყო შოთა".[2]

პირველი ლიტერატურული წყარო, სადაც კონკრეტულად მინიშნებულია იმაზე, რომ პოემის ავტორის სახელი ყოფილა შოთა, არის თეიმურაზ პირველის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „იოსებზილიხანიანის" (გადმოქართულებული არაუგვიანეს 1629 წლისა) პოეტისავე შესავალში მოცემული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტაეპი: „ესენი (იგულისხმებიან პოემის გმირები) შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა". კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ცნობა უნდა მოდიოდეს პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტრიდან. დიდი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ჯვრის მონასტრის ქართული „სვინაქსარის" აღაპთა შორის ერთი აღაპიდან (მოსახსენიებელი) ამოკითხულ ტექსტზე: „ამასვე ორშაათსა აღაპი შოთაასა მეჭურჭელეთუხუცესისაა"... კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ეს ცნობა თეიმურაზ პირველს გაგებული აქვს მასთან დაახლოებული პირისაგან, ერთხელ მისი პირადი მდივნისაგან – ნიკიფორე ჩოლოყაშვილისაგან, რომელიც 1614-1626 წლებში ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა და მისი წინამძღვარიც იყო.[3]

ასეა თუ ისე, თეიმურაზ პირველის ცნობას უნდა ემყარებოდნენ XVII-XVIII საუკუნეების შემოქმედნი: მამუკა მდივანი („შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი, ნესტან-ჯანს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი"), ნოდარ ციციშვილი („შოთას აქებდნენ"...), არჩილ ბაგრატიონი („შოთას რად ვერ წაბაძესა"), დავით გურამიშვილი („შოთამ რგო იგავთ ხეო და") და სხვ.

1. რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისთვის, თბ., 1987, გვ. 8
2. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 111
3. კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 111-112

XIX საუკუნის მკვლევარნი თუ „ვეფხისტყაოსნით" დაინტერესებული პირნი სწორედ წინარე საუკუნეების ცნობებს ემყარებიან პოეტის სახელ შოთასთან დაკავშირებით. თეიმურაზ ბაგრატიონი სახელ შოთას წარმოშობას უკავშირებს არმაზის კერპს: „შოტტა ანუ შოთთა დიაღ ძუელი სახელი არის ქართული. არმაზ კერპის სახელივე არის შოტტა და ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთმსახურებასაც ივერიელთა შორის".[1] საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში თეიმურაზ ბაგრატიონი ითვალისწინებს ვახუშტი ბაგრატიონის აზრს, რომლის მიხედვით, შოთა კერპთაყვანისმცემლობის სახელია. ამას პირველად ზაქარია ჭიჭინაძემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, რუსთველს, მართლაც, აშოთან უნდა რქმეოდეს, ვინაიდან ეს სახელი ჩვენში გავრცელებული ყოფილა, როგორც ქრისტიანული სახელი, ცნობილი არიან: აშოთან მუხრან-ბატონი, აშოთან ერისთავი და სხვ. ზ. ჭიჭინაძის თანახმად, რუსთველს უსათუოდ „აშოთან" რქმევია და ხალხს „შოთად" გადაუკეთებია, რადგან ქართველებს კნინობითი ფორმა უფრო ეადვილებაო.[2] იგივეს იმეორებს ზ. ჭიჭინაძე 1886 წელს ჟურნალ „თეატრში": ასახელებს ქართულ ხელნაწერ წიგნს „მემხოლოე სულიერი", სადაც მოხსენიებული ყოფილა თურმე შოთა რუსთველი და შოთას აშოთანი რქმევია. იგი ასკვნის, რომ პოეტის ნამდვილი სახელი აშოთანი ყოფილა.[3]

სავარაუდოა, რომ ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებას იმეორებს იაკობ გოგებაშვილიც: პოეტს სახელად ერქვა აშოთან და აქედან წარმომდგარა შემოკლებული საალერსო სახელი „შოთა".[4] 1892 წელს გამოქვეყნებულ წერილში პ. კარბელაშვილი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ აშოთან ბატონიშვილი არ არის ის აშოთანი, რომელიც წყაროებით 1140 წელსაა ცნობილი და რუსთველი ჰგონიათ. მისი მტკიცებით, ეს აშოთანი არის ერთ-ერთი წევრი მუხრან-ბატონის ოჯახისა XVII საუკუნეში. თან საყურადღებო ისიც არისო, რომ სახელი აშოთანი უკანასკნელ სამ საუკუნეში მართლაც ტრიალებს მუხრან-ბატონის ოჯახის წევრთა შორის".[5]

---

1. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, **გ. იმედაშვილის** რედაქციით, თბ., 1960, გვ. 5
2. **ზ. ჭიჭინაძე**, აშოთან თუ შოთა? გაზ. „დროება", 1885, 13 აგვისტო, №133, გვ. 8
3. **ზ. ჭიჭინაძე**, რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე, ჟურ. „თეატრი", 1886, №47
4. **ი. გოგებაშვილი**, შოთა რუსთაველი, წიგნში: ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, თფ. 1885
5. **პ. კარბელაშვილი**, „სოფელი მეტეხის ოთხთავის" შესახებ, გაზ. „ივერია", 1892, 24 მაისი

პ. კარბელაშვილის კრიტიკული შენიშვნა ეხებოდა მოსე ჯანაშვილის წერილს „სოფელი მეტეხის ოთხთავი“ ავტორის აღნიშვნით, სახარების ლუსკუმა გაუკეთებინებია ვინმე აშოთან ბატონისშვილს, რომელსაც 1140 წლით აღნიშნული წარწერაც ამოუჭრევინებია. ავტორი მიმოიხილავს შოთას და აშოთანის სახელით ცნობილ სხვადასხვა პიროვნებებს დავით აღმაშენებლიდან თამარის მეფობამდე. მ. ჯანაშვილის მიხედვით, აშოთანი რომელიმე დიდებულის შვილია. იგი ვარაუდობს, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული აშოთანი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია სახელდობრ შოთა ართავაჩოს ძის ძე.[1]

სარგის კაკაბაძის თვალსაზრისით, „შოთა“ მომდინარეობს ღვთაება იაზდანის სახელიდან, რომელმაც ქართლში მიიღო ფორმა „აშოთან“. ძველ სპერში (ჭოროხის ხეობა) ქართველ ბაგრატიონთა შორის გავრცელებული იყო სახელი „აშოტ“. აქედან გადავიდა ის მეზობელ სომხეთში V-X საუკუნეებში, ხოლო საქართველოში გავრცელდა აშოთანის და შოთას სახელით.[2]

როგორც ზემოთ ვთქვით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარი (თუ ფსევდონიმი) „რუსთველი“ პოემის „დასაწყისში“ და დასასრულში“ რამდენიმეჯერ მოიხსენიება: „მე, რუსთველი, ხელობითა“, „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“... „მე რუსთველისად ამისა“, „ტარიელ მისსა რუსთველსა“... ფორმა „რუსთველი“ პირველად ანტონ ბაგრატიონმა (ანტონ კათალიკოსი, ანტონ პირველი) გაშალა – „რუსთაველი“. დღემდე გრძელდება ამ გვარწოდების ორივე ფორმით ხმარების ტრადიცია.

პოემის პროლოგშივე ავტორი მკითხველს ამცნობს მისი გვარის „რუსთავიდან“ წარმომავლობას. სპეციალურ ლიტერატურაში პრობლემად წამოიჭრა, თუ რომელი რუსთავიდანაა ჩვენი გენიალური პოეტი – თბილისთან ახლო მდებარე რუსთავიდან, ან მესხეთის რუსთავიდან. ზოგი მკვლევარი პირველ ვერსიას იზიარებს, ზოგი კი – მეორეს.

ალექსანდრე ბარამიძის თანახმად, „რუსთველი (რუსთაველი) არც სახელია პოეტისა, არც გვარი, არც ფსევდონიმი. იგი ნიშნავდა ან რუსთავიდან წარმოშობილს (რუსთავის მკვიდრს), ან რუსთავის ციხე-ქალაქის, რუსთავის მამულის მფლობელ – მეპატრონეს... „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ზედწოდება „რუსთველი“ რუსთავის მფლობლობას უნდა გამოხატავდეს. რუსთველი ეწო-

1. **მ. ჯანაშვილი**, სოფელ მეტეხის ოთხთავი, გაზ. „ივერია“, 1892, 14, 17, 18 აპრილი

2. **ს. კაკაბაძე**, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 95-100

დებოდა აგრეთვე რუსთავის (თბილისის ახლომდებარე რუსთავის) ეპისკოპოსს".[1] ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ ითქმის რუსთველი გვარად, ან ფსევდონიმად, სწორედ რუსთავის მკვიდრობა თუ მისი მფლობელობა ანიჭებს მას გვარწოდება „რუსთველს". მაშინ გამოდის, რომ კ. კეკელიძესაც არ დაეჯერება: „ძველად ჩვეულება იყო, რომ გვარი წარმოდგებოდა ხოლმე რომელიმე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქისაგან, რომელთანაც დაკავშირებული იყო ესა თუ ის პირი (ორბელი, თმოგველი, სურამელი).[2]

საკითხთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა იმოწმებს შუა საუკუნეების ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის მატიანეს, სადაც მითითებულია იმაზე, რომ ქართველი ფეოდალური მფლობელი გვარები ღებულობდნენ საგვარეულო სახელწოდებას მათი სამფლობელო რეზიდენციის მიხედვით: „ივერიელთა ხალხს წესად აქვს უწოდონ თავიანთ თავადებს სახელები მათი ადგილების მიხედვით".[3] მკვლევარი იქვე განაგრძობს: „საისტორიო წყაროების განხილვა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ძველ საქართველოში სახელწოდებას გეოგრაფიული სახელებიდან ღებულობდნენ ორ შემთხვევაში: ერთად – დიდგვაროიანი არისტოკრატიული მფლობელი გვარები, და მეორედ – სასულიერო პირნი.[4] ნიმუშად მეცნიერი ასახელებს არისტოკრატიული მფლობელი გვარებიდან: ორბელიანი, ორბელი-ორბეთის ციხიდან, დადიანი – ბედიანი – ბედიიდან, და დადის ციხიდან, თმოგველი – თმოგვის ციხე-ქალაქიდან, თორელი – თორის ციხიდან, ჩორჩანელი – ჩორჩანის ციხიდან (ზარზმის ახლოს). სასულიერო პირნი: გარემჯელი, ხანძთელი, შატბერდელი, იყალთოელი, მღვიმელი, გენათელი.

გაერკვეთ, იმაში თუ რომელი რუსთავიდან იყო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი. ეს საკითხი მეცხრამეტე საუკუნის მკვლევართა დაინტერესების საგანი გამხდარა. ჯერ გავეცნოთ იმათ შეხედულებებს, რომელთა თვალსაზრისით შოთა რუსთაველი წარმოშობით იყო თბილისთან ახლომდებარე რუსთავიდან.

თეიმურაზ ბაგრატიონმა 1843 წელს შექმნილ ნაშრომში „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა" პირველთაგანმა გამოთქვა მოსაზრება პოემის ავტორის კახეთის რუსთავიდან წარმომავლობის შესახებ. თითქოს იქ დაბადებულიყო პოეტი და იქვე

1. **ა. ბარამიძე**, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 35
2. **კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 114
3. **სტეფანოზ ორბელიანი** ისტორია, მოსკოვის გამოცემა, 1861, შდრ. **პ. ინგოროყვა**, რუსთველოლოგიური თხზულებანი, II, თბ., 2016, გვ. 126
4. **პ. ინგოროყვა**, რუსთველოლოგიური თხზულებანი, II, გვ. 126

ცხოვრობდა. იგი რუსთავის გამგებელიც იყოო. გავეცნოთ მის თვალსაზრისს:

„თუმცაღა წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაც მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთთა რუსთველისა, რომელი იგი იყო ადგილით ჰერეთით, ქალაქით რუსთავით და ქალაქიცა იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან. გარნა ან ახლად ვიპოვეთ მოთხრობა საქართველოისა აღწერილი ფარსადან გორგიჯანისძისა, მას შინა წერილ არს რუსულად მეფისა მოთხრობასა შინა შემდგომნი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და აღილო შინა და ფიცი მათგან უვნებლობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებულნი კაცნი შანშე და ავაქ და ვარამ გაგელი და ერეთის ერისთავი შოთთა, რომელიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების. ამ მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთთა რუსთველი თუ სადაით იყო იგი".[1]

იგივეს იმეორებს თეიმურაზ ბაგრატიონი სანკტ-პეტერბურგში 1848 წ. გამოქვეყნებულ წერილში„ისტორია დაწყებითგან ივერიისა"... მისი აზრით, რუსთაველი იყო ქ. რუსთავის მთავარი, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი".[2]

გ. არაბულის მიხედვით, თეიმურაზ ბაგრატიონის მოსაზრებას სათანადო დასაბუთება აკლია, იგი საჩოთირო არგუმენტს წარმოადგენს: „ეს ამონაწერი ეხება საქართველოს სამეფო კარსა და დამპყრობელ მონღოლთა ხელისუფლებას შორის საზავო მოლაპარაკება ს 1241-1243 წლებში. თ. ბაგრატიონის მსჯელობით, თამარ მეფის ყოფილი მეჭურჭლეთუხუცესი და უპირველესი პოეტი შოთა რუსთაველი აქ მოგვევლინა ჰერეთის ერისთავად და შორეული ელჩობის მონაწილედ".[3]

მიუხედავად ამისა, თ. ბაგრატიონის მტკიცებულებებს მომხრენი გამოუჩდნენ როგორც XIX, ისე XX საუკუნის რუსთველოლოგთა წრეში. მომხრეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1870 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო წერილი „შოთა რუსთველი (1174-1212)". ეს წერილი იმითაა საინტერესო, რომ ავტორი მასში პირველად ეხება ნეოპლატონიკური ნაკადის არსებობას „ვეფხისტყაოსანში", პოე-

1. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა", გვ. 291
2. **თ. ბაგრატიონი**, ისტორია დაწყებითგან ივერიისა... სანკტ-პეტერბ., სტამბას შინა სამეცნ. აკადემიისა 1848 წლისა, 2-18
3. **გ. არაბული**, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 17

მის ლიტერატურულ წყაროებს ფსალმუნთა წიგნის, სახარების, ბასილი დიდის თხზულებების სახით. განიხილავს რუსთაველის იდეოლოგიას, რელიგიას, სიუჟეტის წარმომავლობას, პოეტის ბიოგრაფიას და, რაც ამჯერად ჩვენთვის მთავარია, ეხება რუსთველის დაბადება-მოღვაწეობის ადგილს. ეტყობა, იგი თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწერის ზეგავლენის ქვეშაა და ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: „შოთა რუსთველი თბილისის რუსთავიდან ანუ ბოტან-ქალაქიდან იყოო.[1] რუსთაველის წარმომავლობით დაინტერესებულა ვ. ზოტოვი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ავტორს მიიჩნევს წარმოშობით თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან.[2] ეტყობა, იგი ითვალისწინებს ამ მიმართულებით თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებას. იგივე ითქმის ნ. ბოჩაროვზე: „შოთამ თავისი ზედწოდება რუსთველი მიიღო ძველად ბოსტან-ქალაქის სახელით ცნობილ ქალაქ რუსთავიდან.[3]

სათანადო მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ფაქტიურად თეიმურაზ ბაგრატიონი და პლატონ იოსელიანი აცხადებენ ყოველგვარი დოკუმენტური მონაცემების გარეშე რუსთაველის თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან წარმოშობილობას: რუსთაველი დაბალებულა თურმე კახეთ-ჰერეთის რუსთავში, ყოფილა მისი გამგებელი და თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი. ერთი სიტყვით, გაიგივებულია „ვეფხისტყაოსნის" ავტორის და შოთა კუპრის პიროვნება. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ი. ბარტდინსკიც რუსთველს თვლიდა ჰერეთში დაბადებულად. სწორედ ბარტდინსკის კრიტიკისას გამოავლინა ზაქარია ჭიჭინაძემ თავისი შეხედულებანი ამასთან დაკავშირებით. მან უარყო რუსთაველის ჰერეთიდან წარმომავლობა ასევე, უარყო „ვეფხისტყაოსნისა" და შოთა კუპრის იგივეობის აღიარება (ზ. მთაწმინდელი – ზაქარია ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1884). ასევე, თედო ჟორდანიაც უარყოფს შოთა ართავაჩოსძის თუ შოთა კუპრის პიროვნებათა იდენტიფიცირებას რუსთაველთან. იგი ყურადღებას ამახვილებს 1190 წლის თარიღით დაბეჭდილ ტექსტზე თამარ მეფის სიგელისა, რომელსაც თავისი ხელწერით ამტკიცებს ვინმე შოთაც: „ქ. მე შოთაა ჩემს ჟინვანის ქუნებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შოგა სწერია"... ამ ტექსტს

1. პლ. იოსელიანი, შოთა რუსთველი (1174-1212), გაზ. „კავკაზი", 1870, 30 იანვარი, გვ. 2-4

2. ვ. ზოტოვი, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურა, ტ. I, სანკტ-პეტერბურგი – მოსკოვი, 1877, გვ. 543-544

3. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 204

თედო ჟორდანია ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ეს შოთა უნდა იყოს რუსთველი (მხედველობაში აქვს „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი შოთა რუსთველი – ტ.მ.), სხვა შოთა ისტორიულ პირთა შორის არ ჩანს თამარის დროს. შოთა ართავაჩოსძე 1177 წელს დაისაჯა, როგორც „შინა გამცემი“ გიორგი მეფისა. ხოლო „შოთა კუპრი“ რუსუდანის მეფობაში სჩანს“ (თ. ჟორდანია, განმარტება შოთას ხელწერაზე, წიგნში: ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1896).

მეცხრამეტე საუკუნეში დაგროვდა უფრო მეტი და უტყუარი მასალები იმის დასასაბუთებლად, რომ შოთა რუსთაველი იყო წარმოშობით მესხეთის რუსთავიდან (XX საუკუნის კვლევა-ძიებამ კიდევ უფრო დაასაბუთა და განამტკიცა ეს შეხედულებანი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით). ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისის პოეტი არჩილ ბაგრატიონი თავის საისტორიო ეპიკურ ძეგლში ალაპარაკდა რუსთაველის ჯავახურ წარმომავლობაზე. მას რომ რაიმე დოკუმენტური მასალა არ ჰქონოდა ხელთ, მითუმეტეს, საისტორიო პოემაში ამაზე არც გაამახვილებდა ყურადღებას, რაც არც თეიმურაზ ბაგრატიონს და არც პლატონ იოსელიანს არ გაუთვალისწინებიათ.

სამაგიეროდ არჩილის მონაცემებს ბევრი მომხრე გამოსჩენია მეცხრამეტე საუკუნეში (გაცილებით მეტი მეოცე საუკუნეში). პირველ რიგში სახელდება დავით ჩუბინაშვილი იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში პირველთაგანმა წამოსწია წინ რუსთაველის მესხური წარმომავლობის საკითხი. მან 1846 და 1850 წლებში გამოქვეყნებულ წერილებში: ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“[1] და ქართულ პოემა „ვეფხისტყაოსანზე“[2] დავით ჩუბინიშვილი ერთ წინადადებაში ატევს სათქმელს: „შოთა რუსთველი დაიბადა პატარა ქალაქ რუსთავში, ახალციხის პროვინციაში. მისი ცხოვრების შესახებ მცირე ცნობებია შემორჩენილი“.[3] საიტერესოა, რომ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელნი, თანამოაზრენი და თანამებრძოლნი თეიმურაზ ბაგრატიონი და დავით ჩუბინაშვილი ერთსა და იმავე დროს განსხვავებული შეხედულებისანი აღმოჩნდნენ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

1. **დ. ჩუბინიშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: ქართული ქრისტომატია, სანკტ-პეტერბ., 1846, გვ. I-IX
2. გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“, 1850, 12 ოქტომბერი
3. შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1888, გვ. 196

ივანე კერესელიძე 1870 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებულ მასალაში „ცნობა სამცხე-საათაბაქოზე" შენიშნავს: „სოფელი რუსთავიც ვარძიის კუთვნილება ყოფილა, სადაც ჩვენი სასიქადულო პოეტი რუსთველი დაბადებულა".[1] 1870 წელს ჟურნალ „ცისკარში" ქვეყნდება ა. ხოძკოს „ვეფხისტყაოსანი" (რუსთველის პოემა). ამასთან დაკავშირებით გ. იმედაშვილი წერს: „სარჩევში წერილის ავტორად აღნიშნულია ივ. კერესელიძე, თვით ტექსტს კი ბოლოში უწერია კაზიმირ ლაპჩინსკი. წერილს პირველი ნაწილი შესავლის სახით ივ. კერესელიძეს ეკუთვნის, მეორე ნაწილი – სტატია საქართველოსა და „ვეფხისტყაოსანზე" – ხოძკოს. ეს სტატია დართული ჰქონია წინასიტყვაობის სახით პოლონურ ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს", რომლის ქართული თარგმანი კაზიმირ ლაფჩინსკის რუსული თარგმანის მიხედვით ივ. კერესელიძემ შეასრულა. საბოლოოდ გაირკვა, რომ პოემის პოლონური თარგმანის წინასიტყვაობის ავტორი ყოფილა თავად მთარგმნელი კაზიმირ ლაპჩინსკი. ჩვენთვის საგულისხმო ის არის, რომ ივ. კერესელიძის მიერ თარგმნილ კაზიმირ ლაპჩინსკის წერილში აღნიშნულია: რუსთველი დაიბადა ახალციხის რუსთავში.[2]

1882 წელს ჟურნალ „ივერიაში" ქვეყნდება ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ობოლი", საინტერესოა ლექსის სქოლიოში მოცემული მისივე ავტორის შენიშვნა. სადაც გატარებულია აზრი, რომ შოთა რუსთაველი წარმოშობით მესხი ყოფილა, მშვენიერი სახის ადამიანი, იგი ყოფილა სოფელ რუსთავიდან, რის გამო დარქმევია რუსთაველი. გავეცნოთ ამ შენიშვნას: „ამ ლექსის დამწერს ხშირად გაუგონია მეფის ირაკლის ასულის თეკლასაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წელს, რომ საქართველოს სამეფოს სახლში ძველი დროითგანვე სიტყვიერად შემდეგი გადმოცემა იყოო: შ. რუსთაველი ყოფილა ობოლი, ტომით მესხი, სოფლის რუის-თავიდგან, რომლის სახელადაც იმ დროებში უწოდებიათ მისთვის რუისთაველი... შოთა ყოფილა მშვენიერის სახის კაცი".[3]

1884 წელს თბილისში ზაქარია ჭიჭინაძე (ზ. მთაწმინდელის ფსევდონიმით) აქვეყნებს წიგნს „შოთა რუსთველი (სურათით). გ. იმედაშვილი მას კომპილაციური ხასიათის ნაშრომს უწოდებს.[43] ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ზ. ჭიჭინაძე

1. **ი. კერესელიძე**, ცნობა სამცხე-საათაბაგოზე, ჟურ. „ცისკარი", 1870, მარტი, გვ. 149
2. ჟურ. „ცისკარი", 1870, ივნისი, გვ. 256-283
3. **ვ. ორბელიანი**, ობოლი, ჟურ. „ივერია", 1882, №1, გვ. 99-124
4. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 96

არ ეთანხმება თეიმურაზ ბატონიშვილის ნააზრევს რუსთაველის ჰერეთიდან წარმოშობილობის თაობაზე, უარყოფს „კუპრისა" და რუსთველის იგივეობის თვალსაზრისს. ჩვენი განუმეორებელი პოეტი მას ახალციხის რუსთავში დაბადებულად მიაჩნია, რასაც აფიქსირებს „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ბიოგრაფიის გადმოცემისას.[1] ე. სტალინსკი 1888 წელს თავის წერილში აღნიშნავს რუსთაველის დაბადებას რუსთავში, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითებს, რომელი რუსთავია იგი – თბილისის თუ მესხეთის.

ჟურნალ „მწყემსში" მ. ნათაძე გულისტკივილით წერს იმჟამინდელ გახრიოკებულ მესხეთზე ანუ შოთა რუსთაველის სამშობლოზე: „მესხეთი დიდებული სამშობლოა დიდებულის კაცებისა. გული გიდუღდება, როდესაც ხედავ, რომ რუსთავი, ეს ბედნიერი სამშობლო შოთასი, დღეს გახრიოკებული ქურთების სოფელია. ტბეთის მონასტერი, სადაც სწავლობდა შოთა, მივარდნილი და მიყრუებულია".[2]

თავის ნარკვევში რუსთაველზე 1889 წელს ალექსანდრე ხახანაშვილი ამბობდა: შოთა რუსთაველმა, ტომით მესხმა, დაგვიტოვა ცნობილი პოემა „ვეფხისტყაოსანი".[3] 1890 წელს ალ. ხახანაშვილი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნებულ წერილში წუხდა მესხეთში ქრისტიანობის სავალალო მდგომარეობაზე მაჰმადიანთა გარემოცვაში. თანაც შენიშნავდა: ეს ის ქვეყანაა, სადაც XI-XII საუკუნეებში განათლება იყო დანერგილი, რომელშიც აღიზარდა შოთა რუსთაველი.[4] როგორც ვნახეთ, XIX საუკუნის მასალების უმეტესობა აფიქსირებს შოთა რუსთაველის მესხეთის რუსთავიდან წარმოშობილობის ფაქტს.ამ მიმართულებით უფრო ღრმა კვლევა-ძიება XX საუკუნეში გაგრძელდა და მეცნიერულად დასაბუთდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი მესხეთის რუსთავშია დაბადებული და აღზრდილი.

1877 წელს გაზეთ „ივერიაში" ქვეყნდება დიმიტრი ბაქრაძის სტატია „ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი". აქ ერთგან ნათქვამია: მესხი იყო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი, რომელიც თავის სამშობლოდ ახსენებს რუსთავს – სამცხეში მდებარე დაბას.[5] ამავე წელს დიდი ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში" წერდა: „ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ

1. **ზ. მთაწმინდელი,** (ზაქარია ჭიჭინაძე), შოთა რუსთაველი, თბ., 1884, გვ. 68
2. **მ. ნათაძე**, შენიშვნა, ჟურ. „მწყემსი", 1888, 30 სექტემბერი
3. **იხ. გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 148
4. **ა. ხახანოვი**, გაკვრით შოთა რუსთაველზე, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1890, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 161
5. **დ. ბაქრაძე**, ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი, გაზ. „ივერია", 1877, 5 მაისი

მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილი ადამიანობისა, სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამოდებული სიყვარული იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას, ერთას დროს".[1] ახლა კი ოლივერ უორდროპს მივუსმინოთ: „ვიცით, მხოლოდ, რომ რუსთაველი წარმოშობით ახალციხის მახლობლად მდებარე სოფლის, რუსთავის, მკვიდრი იყო.[2] იგივეს იმეორებს უ. მორფილი: „რუსთავი, საიდანაც ყოფილა პოეტი, ახალციხის მახლობლად მდებარეობს".[3]

კაზიმირ ლაპჩინსკი „ვეფხისტყაოსნის" პოლონური თარგმანის წინასიტყვაობაში წერს: „შოთა რუსთველი დაიბადა ახალციხის შემოგარენში. პატარა ქალაქ რუსთავში. მას ათენის სასწავლებელში უნდა მიეღო განათლება. სამშობლოში დაბრუნებისას თამარ მეფეს მეჭურჭლეთუხუცესად დაუდგენია, შემდგომ ბერად შემდგარა, გაემგზავრა იერუსალიმში და იქ გარდაიცვალა ქართველთა ჯვრის მონასტერში".[4] როგორც ვხედავთ, კაზიმირ ლაპჩინსკი იმეორებს მისდროინდელ მონაცემებს რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

XIX საუკუნეში მაინც და მაინც დიდი ინტერესი არ ჩანს რუსთაველის დაბადების თარიღისადმი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა გამოთქმულ აზრს. პოლონელი ხოძკო 1833 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი" თამარ მეფეს მოიხსენიებს ქართველ სემირამიდად, ხოლო რუსთაველს მისი კარის პოეტად და იქვე ასახელებს დიდი პოეტის დაბადების თარიღად 1183 წელს.[5] თუმცა მისი წერილიდან არ ჩანს თუ რა წყაროს, დოკუმენტურ მასალას ემყარება იგი. გამომდინარე აქედან, მისი ცნობა მიუღებელი ჩანს. უფრო ადრე, 1829 წელს ვინმე ლ.ა-დ თავის წერილში „რაიმე რუსთველისათვის" პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემისას დაბადების თარიღსაც ეხება და ასახელებს ყოვლად გაუმართლებელ ციფრს, თითქოს

1. გაზ. „ივერია", 1877, №9
2. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 332
3. იქვე, გვ. 318
4. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 59-60
5. **მ. ხოძკო**, ქართველი პოეტი შოთა რუსთველი, ჟურ. „ტელესკოპი", მოსკ. 1833; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 10

შოთა რუსთაველი დაბადებული იყოს 1229 წელს.[1] ფრანგი მურიე რუსთაველის დაბადების თარიღად ასახელებს 1172 წელს. ამასთან დაკავშირებით ა. ხახანაშვილი შენიშნავდა: „ჩვენ არ ვიცით, რაზე ამყარებს მურიე თავის ცნობებს შოთა რუსთაველის შესახებ, რომელნიც მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად გადათარგმნის გამო. იგი გვაუწყებს, რომ შოთა დაიბადა 1172 წელს რუსთავში (ახალციხის მაზრა.[2] 1884 წელს გამოქვეყნებულ ზ. მთაწმინდელის (ზ. ჭიჭინაძე) წიგნში „შოთა რუსთველი“ მინიშნებულია პოეტის დაბადების თარიღზე – 1172 წელი. ჯერ კიდევ 1830 წელს პოლონელი მწერალი და მთარგმნელი კ. რდულტოვსკი თავის წერილში „ქართველი პოეტი შოთა რუსთველი“ გამოხმაურებია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების თარიღს. ყველასთვის უცნობ რაიმე წყაროზე დაყრდნობით თუ საკუთარი ფანტაზიით იგი რუსთაველს აცხადებს 1183 წელს დაბადებულად: „შოთა რუსთველი დაიბადა 1183 წელს. მისი დაბადების ადგილად მიიჩნევენ მესხეთის დაბა რუსთავს, საათაბაქოს პროვინციაში, რომელიც ამჟამად ახალციხის საფაშოს წარმოადგენს“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978, გვ. 56).

მთელი XIX საუკუნის მანძილზე აქტიური ყოფილა დაინტერესება ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მხრიდან რუსთაველის აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებით. თუმცა ვერც ერთმა იმათთაგანმა დოკუმენტური მასალების უქონლობის გამო ლეგენდა-თქმულებათა იქით ნაბიჯი ვერ გადადგა. ცხადია, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ ამ მიმართულებით თუ ვინ რას ამბობდა.

1829 წელს ლ. ა-დ თავის წერილში „რაიმე რუსთველისათვის“ აღნიშნავს, რომ თამარმა რუსთაველი სხვა ჭაბუკებთან ერთად ათინაში გაგზავნა, სადაც მიიღო ბერძნული კლასიკური განათლება. საქართველოში დაბრუნებისას მეთაურობს ჯარს, წერს „ილიადას“ სიმაღლის პოემას.[3] 1841 წელს პეტერბურგში დასტამბული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში მარი ბროსე წერდა: „რუსთველმა არაბულიც კარგად იცოდა, როგორც ამტკიცებენ ესოდენნი არაბული სიტყვები, შემოტანილნი მის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ აგრეთვე ბერძნულიც, რომელსაც აჩვენებს სხვადასხვა ბერძენთა მწერლების სახელების წოდება და ამისთვის ვერ უარყ-

1. ლ. ა-დ, რაიმე რუსთველისთვის, გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, 21 იანვარი, №3, გვ. 2-3
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 216
3. ლ. ა-დ, რაიმე რუსთველისათვის, გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, 21 იანვარი, №1, შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა. გვ. 8

ვოფთ, რომ რუსთველს საბერძნეთში საერო სწავლა არ მიეღოს, რამეთუ სომეხთ მეისტორიენე ვარდანი თავის „საზოგადო მსოფლიო ისტორიაში" მოუთხრობს, რომ დავით აღმაშენებელმა გაგზავნა ორმოცამდინ ყმაწვილი კაცები ათინაში სასწავლებლად და შემდგომად ამისა, ყოველ წელიწადს გაიგზავნებოდნენ ესოდენნი ქართველთა მეფეთაგან. უეჭველად რუსთველი იყო ერთ-ერთი აღზრდილი საბერძნეთის შკოლაში, და რაც ბერძნულად ენახა და ეპოვნა პოემანი თუ ფილოსოფიური წიგნნი, უთუოდ სულ ნაიკითხა, და მას უკან თავისი პოემაც დაწერა.[1]

დავით ჩუბინაშვილი ზეპირ გადმოცემას ემყარება, როცა ეხება რუსთაველის მიერ საბერძნეთში განათლების მიღების საკითხს: „შოთა რუსთაველი დაიბადა ქალაქ რუსთავში, ახალციხის პროვინციაში. მისი ცხოვრების შესახებ მცირე ცნობებია შემორჩენილი. გადმოცემის მიხედვით მას განათლება მიუღია ათენში. იქიდან დაბრუნებულს თავისი ლექსებით მიუქცევია თამარის ყურადღება. მის მთავარ საქებარს თამარი წარმოადგენდა".[2]

1877 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა წიგნი „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია" I, სადაც შესულია ვლ. ზოტოვის წერილი „ქართული ლიტერატურა" დამოწმებული აქვს პლ. იოსელიანის და დ. ჩუბინაშვილის ნაწერები. რუსთაველის ბიოგრაფიაზე საუბრისას შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორმა განათლება ათინაში მიიღო, იცოდა ბერძნული, სპარსულ-არაბული ენები, იყო თამარის მოლარეთუხუცესი, მოხუცებისას გაემგზავრა იერუსალიმში და სადაც აღესრულა კიდეც.[3]

გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში" მითითებულია გაზ. „დროებაში" გამოქვეყნებულ მასალაზე (უავტორო) „ცნობა რუსველზედ", „ცნობა მიუღიათ თ. ათანასე მაყაშვილის ასულის, თ. გიორგი ჯორჯანელის მეუღლის ეკატერინესგან. ეკატერინეს თავის მამის წიგნებში უპოვია რვეული, რომელშიც შოთა რუსთველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ყოფილა მოცემული . ამ ცნობების მიხედვით, ქ. გრემის სკოლაში სწავლობდა რუსთველი, რომელიც იქ მოუყვანია მის ბიძას. სწავლის შემდეგ ოთხ ბერს წაუყვანია ათინაში, სადაც სწავლა დაუმთავრებია და 22 წლისა ჩამოსუ-

1. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 61-62

2. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: ქართული ქრისტომატია, პეტერბ., 1846, გვ. I-IX, იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III

3. **ვ. ზოტოვი**, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია I, პეტერბ., 1877; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 60

ლა საქართველოში. ეს რვეული თავის დროზე გადაუციათ პლატონ იოსელიანისთვის და შემდეგ რა ბედი ენია მას, არავინ იყოს".[1]

ზ. მთაწმინდელის (ზ. ჭიჭინაძის) წიგნში (1884) „შოთა რუსთველი", მოტანილია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები. ამ ცნობების მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი დაბადებულია ახალციხის რუსთავში, ის მიუბარებიათ ტბეთის მონასტერში, უსწავლია გრემსა და იყალთოში, აქედან სასწავლებლად წასულა ათინაში. საინტერესოა, რომ ზ. ჭიჭინაძე ამ ცნობების დაფიქსირებისას ხაზს უსვამს მათ ლეგენდურ წარმომავლობას.[2]

ევგენი სტალინსკის წიგნი „შოთა რუსთველი-ქართველი სახალხო პოეტი" დაიბეჭდა თბილისში 1885 წელს (განმეორებით დაისტამბა 1888 წელს). მასში სხვა საკითხებთან ერთად რუსთაველის სწავლა-აღზრდაზეა საუბარი. ტრადიციული ცნობების ანუ ხალხური გადმოცემების საფუძველზე სტალინსკიც წერს: „ვეფხისტყაოსნის" ავტორმა განათლება მიიღო საბერძნეთში – ათენის სკოლაში. იგი ჩვეულებრივი მოკვდავიდან იქცა წმიდა წყლის კლასიკოსად, ხოლო შემდგომ დიდებით მოსილ ქართველ პოეტად, რომელსაც იცნობს და აღმერთებს მთელი ქართველი ხალხი.[3]

იაკობ გოგებაშვილი 1885 წელს გამოცემულ „ბუნების კარში" რუსთაველის ბიოგრაფიას გადმოსცემს ზეპირი მონაცემების მიხედვით. საუბარია პოეტის აღზრდა-განათლებაზე, სწავლა-განათლების მისაღებად საბერძნეთში ყოფნაზე, საქართველოში დაბრუნებაზე, თამარ მეფის მიერ მოლარეთუხუცესად დანიშვნის თაობაზე.[4]

წერილობით წყაროებში თუ ხალხური გადმლცემების მიხედვით შოთა რუსთაველი მოიხსენიება თამარ მეფის მდივნად, „მწერალთა უხუცესად"; კარის პოეტად. მოლარეთუხუცესად, მეჭურჭლეთუხუცესად და ა.შ. ეს, ეტყობა, ტრადიციულად დამკვიდრდა XIX საუკუნის საზოგადოებრივ აზროვნებაში. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე შოთა რუსთაველს თამარ მეფის მდივნად აცხადებს. მანამდელ წერილობით წყაროებში ამის შესახებ ვერაფერს შეიტყობთ, განსაკუთრებით ვერც არჩილ ბა-

---

1. უავტორო, ცნობა რუსთველზე, გაზ. „დროება", 1881, 6 იანვარი; **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 75
2. **ზ. მთაწმინდელი, ზაქარია ჭიჭინაძე**, შოთა რუსთველი (1172-1216), თბ., 1884, გვ. 68
3. **ე. სტალინსკი**, შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი, თბ., 1885, შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 211
4. **ი. გოგებაშვილი**, ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, თფ., 1885, გვ. 498-536

გრატიონის ეპიკურ საისტორიო თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა". საინტერესოა თუ რა წყარო ალაპარაკებდა თეიმურაზ მეორეს რუსთაველის მდივნობაზე:

„როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა,
მაშინ მის ჟამსა მე ვიყავ შინა ყმა თამარ მეფისა...
იმისგან პატივცემული ვახლდი მდივანი სეფისა"...[1]

გ. არაბულის შენიშვნით, თამარ მეფის დროს სიტყვა „მდივანი", საერთოდ, არ იხმარებოდა, ეს ცნება XV საუკუნიდან იჩენს თავს ჩვენს ლექსიკურ ფონდში, ხოლო იმ მოხელეს, რომელსაც თეიმურაზ მეორე მდივანს უწოდებს, XII-XIII საუკუნეებში მწიგნობარი ერქვა. გ. არაბული აქვე იხსენებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის იოანე ბაგრატიონის ნათქვამს: თამარ მეფემ შოთა უცხო მხარეთა მდივნად ყო".[2] მკვლევარის ვარაუდით, თუ იოანე ბაგრატიონის მიერ ხსენებული „უცხო მხარეთა მწიგნობარს" ვიგულისხმებთ, ის უნდა ყოფილიყო მეფის ან ვაზირთა საბჭოს თანაშემწე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში.[3] იოანე ბაგრატიონი, ამასთანავე, რუსთაველს „მწერალთა უხუცესს" უწოდებდა. გ. არაბული თვლის, რომ აქ მეფის კარის პოეტებისა და მემატიანეების მეთაურობა იგულისხმება.

ე. ბოლხოვიტინოვი რუთაველს თვლის თამარ მეფის დიდებულად: „საგანგებო მოხსენიების ღირსია ორი უძველესი ქართული პოემა: „ვეფხისტყაოსანი" და „თამარიანი", ე.ი. ქება თამარისა, ორივე დაიწერა ექვსასი წლის წინ, თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის ჟამს. მისი, ასე ვთქვათ, შთაგონებით ორივე შეუთხზავს მის უახლოეს დიდებულებს, პირველი – რუსთაველს, მეორე – ჩახრუხაძეს".[4] ე. ბოლხოვიტინოვის ამ გამონათქვამზე აქცენტს აკეთებს 1827 წელს ნიკო ჩუბინაშვილი: „საქართველოს ისტორიულ სურათში" (იგულისხმება ბოლხოვიტინოვის ნაშრომი – ტ.მ.), რომელიც 1802 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში, ამ პოემის (ვეფხისტყაოსნის – ტ.მ.) შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ იგი დაიწერა 600 წლის წინ თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის ჟამს, მისი შთაგონებით უახლოესი დიდებულის რუსთველის მიერ.[5]

---

1. **თეიმურაზ მეორე**, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 123
2. **იოანე ბატონიშვილი**, კალმასობა, II, თბ., 1968, გვ. 256
3. **გ. არაბული**, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1992, გვ. 123
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 185
5. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 187

პოლონელი მ. ხოძკო ჟურნალ „ტელესკოპში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“ თამარ მეფეს მოიხსენიებს ქართველ სემირამიდად, ხოლო რუსთაველს – მისი კარის პოეტად.[1] რუსთაველს თამარ დედოფლის კარის პოეტად აცხადებს ა. მურავიოვი თავის წერილში „საქართველო და სომხეთი“: „ხოლო მეორე პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თამარის კარის პოეტის შოთა რუსთაველის მიერ, რომელიც გადმოცემის მიხედვით თხზავდა პატრონის სიყვარულით შთაგონებული“.[2]

მარი ბროსე, თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ჩუბინაშვილი, ნ. ბოჩაროვი, ვ. ზოტოვი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები რუსთაველს აღიარებენ თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესად. ჩანს, ისინი უეჭველად ემყარებიან პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერში დაცულ ცნობებს რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობაზე, სხვა დოკუმენტური მასალა თუ წერილობითი წყარო ამის თაობაზე არ არსებობს. მარი ბროსე 1841 წელს „ვეფხისტყაოსნის“ პეტერბურგის გამოცემის წინასიტყვაობაში შენიშნავს: „მთხზველი „ვეფხიყტაოსნისა“ იყო შოთთა რუსთაველი, რომელიც სიტყვითა რომელთამე ქართველთა მეცნიერთა იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთ თუ მოლარეთუხუცესი, მაგრა „ქართლის ცხოვრებაში“ მისი სახელი სრულიად არსად არ მოიხსენიება“.[3]

თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, რუსთაველი იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი.[4] ახლა დავით ჩუბინაშვილს მოვუსმინოთ: „რუსთველის მთავარს საქებარს თამარი წარმოადგნდა. მისი საუკეთესო ქმნილებაა დიდი დედოფლის სადიდებლად დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. მან პოეტს მოუტანა ახალი წყალობა, როდესაც იგი თავის მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა“.[5] იგივეს იმეორებს ნ. ბოჩაროვი: „შოთა დიდხანს იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი, მისი გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში, სადაც აღესრულა კიდეც“.[6] ვ. ზოტოვიც რუსთაველის

---

1. **ი. ხოძკო**, ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, ჟურ. „ტელესკოპი“, მოსკოვი, 1833, გვ. 70; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 10
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 200
3. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში,I, გვ. 62
4. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით (დაწერილია 1843 წელს)
5. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 196
6. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 196

მოლარეთუხუცესობაზე საუბრობს: რუსთველი იყო თამარის მოლარეთუხუცესი, მოხუცებისას წავიდა იერუსალიმს და იქ აღესრულა.[1]

იაკობ გოგებაშვილი ზეპირი ცნობების საფუძველზე გადმოგვცემს რუსთაველის ბიოგრაფიას და იქვე ამბობს, რომ სამშობლოში დაბრუნებულ შოთა რუსთაველს თამარ მეფემ მოლარეთუხუცესობა მისცაო.[2]

XIX საუკუნის პრესაში თუ ცალკე გამოცემულ წიგნში ქართველთა და უცხოელთა მხრიდან ერთობ აქტიურია საკითხი – რუსთაველი და პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერი: რუსთაველის მიერ სარესტავრაციოდ მონასტრისთვის შეწირული ქონება; მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მისი ფრესკული გამოსახულება; იქვე მოცემული წარწერა; მონასტერში დაცული აღაპთა წიგნი, რომელიც ადასტურებს შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობას; მოხუცი შოთას იქვე სიკვდილი და დასაფლავება. ეს ცნობები XIX საუკუნეში გადმოვიდა XVII-XVIII საუკუნეებიდან. სწორედ ამ პერიოდში გააქტიურებულა ყურადღება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. აქ უნდა დასახელდეს მამია გურიელის (II), ლევან დადიანის (II), თეიმურაზ პირველის, ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილების, იმერეთის მეფეების გიორგი და ალექსანდრე მესამის, ქართლის მეფე გიორგი XI-ის მიერ გაწეული დახმარებანი.

1614-1626 წლებში ჯვრის მონასტრის წინამძღვრობა იტვირთა საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა (ირუბაქიძე-ირბახი). 1757-1758 წლებში იერუსალიმში იმყოფებოდა ტიმოთე გაბაშვილი. აქ მოაგროვა მან ცნობები მონასტრის ისტორიაზე, აქვე ნახა შოთა რუსთაველის ფრესკული გამოხატულება ერთ-ერთ სვეტზე. აქვე მისთვის ცნობილი გახდა შოთას მონაწილეობის შესახებ ჯვრის მონასტრის რესტავრირება-განახლებაში როგორც ითქვა, ჯვრის მონასტერმა შემოგვინახა ჩვენი განუმეორებელი პოეტის სურათი. სვეტის ერთ გვერდზე დახატული არიან ქართველ შემოქმედთან ერთად დიდი საეკლესიო მოღვაწენი: მაქსიმე აღმსარებელი (VII ს), იოანე დამასკელი (VIII ს). აქვეა საინტერესო წარწერაც: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან, ამინ, რუსთველი". ამის შესახებ პირველი ცნობა თანამემამულეებს მიაწოდა 1657-1658 წლებში ჯვრის მონასტერშინა მყოფმა საეკლესიო მწერალმა, მოგზაურმა და არქიეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა: „ჯვრის მონასტერი

1. ვ. ზოტოვი, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, I, პეტერბურგი-მოსკოვი, 1877, გვ. 383-389

2. ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ., 1885, გვ. 436

დაძუელებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული".[1]

შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობას ადასტურებს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში ნიკო მარის მიერ 1902 წ. აღმოჩენილი აღაპთა ნიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ამასვე ორშაბათსა, აღაპი შოთაასა, მეჭურჭლეთუხუცესისაა, ვინ შეცვალოს, შე-მცა-ცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაასა".[2]

ს. ცაიშვილი წერს: „ტიმოთე გაბაშვილის ვარაუდი, რომელიც მონასტერში დამკვიდრებული ტრადიციიდან მოდის, სრული ზედმიწევნილობით დასტურდება: ფრესკაზე გამოხატული შოთა რუსთაველი და აღაპებში მოხსენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი" ერთი და იგივე პირია. იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის თანხვედრა და ამასთან ფრესკის წარწერის ცნობა, თუ რა ღვაწლის გამო (შოთას, როგორც ჩანს, მისივე საფასით განუახლებია კედლის მხატვრობა) შეუტანიათ მისი მოსახსენებელი მონასტერში არსებულ საღაპე წიგნში... შოთას მოსახსენიებელი, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეშივე შეუტანიათ. იამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე".[3]

ხალხური გადმოცემებიც ღაღადებენ „ვეფხისტყაოსნის" ავტორის დაკავშირებაზე იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. კერძოდ, აქ საუბარია ხანდაზმულობის პერიოდში რუსთაველის წასვლაზე იერუსალიმში, იქ დამკვიდრებაზე და გარდაცვალებაზე, ჯვრის მონასტერში მისივე დაკრძალვაზე. მიგვაჩნია, რომ ხალხური ლეგენდები ყოველივე ზემოთ თქმულზე უთუოდ ეფუძნება ჯვრის მონასტერში დაცული ცნობების XVII საუკუნეში საქართველოში შემოსვლას, ამ უნიკალური ცნობებთან ქართველთა ზიარებას.

აღნიშნული მონაცემები შემოჭრილია XIX საუკუნის ქართველთა სააზროვნო სივრცეში, შემოსულია და გაზიარებული კიდეც. XIX საუკუნის ქართველ თუ უცხოელ მოღვაწეთა მცდელობანი ამ მიმართულებით ამავე ცნობების და მონაცემების იქით ვერ მიდის ქვემოთ მოკლედ გავეცნობით იმათ ნააზრევს, ვინც ამ საკითხზე დაფიქრებულა და თავისი შეხედულებანი გამოუთქვამს.

1846 წელს დავით ჩუბინაშვილი თავის წერილში „ქართული

---

1. **ტ. გაბაშვილი**, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ელ. მეტრეველმა**, თბ., 1958, გვ. 80
2. აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, იერუსალიმსა შინა, გამოსცა **ნიკო მარმა**, პეტერმა, 1912, გვ. 78
3. **ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 16-17

პოემა „ვეფხისტყაოსანი" მოკლედ მოხაზავს რუსთაველის ბიოგრაფიულ ეპიზოდებს. იქვე გვამცნობს, რომ იგი ემყარება ხალხურ გადმოცემებს: „შოთა რუსთველი დაიბადა პატარა ქალაქ რუსთავში, ახალციხის პროვინციაში. მისი ცხოვრების შესახებ მცირე ცნობებია შემორჩენილი. გადმოცემის მიხედვით, მას განათლება მიუღია ათენში, იქიდან დაბრუნებულს თავისი ლექსებით მიუქცევია თამარის ყურადღება მის მთავარ საქებარს თამარი წარმოადგენდა. მისი საუკეთესო ქმნილებაა თამარის სადიდებლად დაწერილი „ვეფხისტყაოსანი". მან პოეტს მოუტანა ახალი წყალობა თამარისა, რომელმაც იგი თავის მეჭურჭლეთ-უხუცესად დანიშნა. შემდეგში შოთა ბერად შედგა. მიტროპოლიტ ტიმოთეს თქმით, ცხოვრების უკანასკნელი წლები მან გაატარა იერუსალიმში, სადაც დაიკრძალა კიდეც ჯვარის მონასტერში. მიტროპოლიტი ტიმოთე თავის „მიმოსვლაში" მოგვითხრობს, რომ მის დროს მონასტერში დაცული იყო რუსთაველის პორტრეტი".[1]

თეიმურაზ ბაგრატიონი 1848 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში („ისტორია დაწყებითგან ივერიისა"...) ტიმოთე გაბაშვილის ცნობების მიმოხილვისას შენიშნავს: „არის ჯვრის მონასტერსა შინა დახატული შოთა რუსთაველი, რუსთავის ერისთავი. დიდის თამარის მეფისა მეჭურჭლეთ-უხუცესი და მოლარეთ-უხუცესი, რომელსაცა განუახლებია ჯვრის მონასტერი, მრავალი შეუწირავს და მუნვე მრავლითა სათნოებითა აღვსილი აღსრულებულ-არს და ჯვარის მონასტერსა შინა დაფლულ-არს".[2]

1853 წელს თბილისში გამოქვეყნებულ ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობას" პლატონ იოსელიანი ურთავს ასეთ შენიშვნას: „შოთა რუსთველი ჰსცხოვრებდა თამარისა დედოფლისა ჟამსა. მონაზვნად აღკვეცილა, გარდაიცვალა იერუსალიმსა, 1215 წელსა შრომა მისი მაღალი და ბრწყინვალე, რომლითაცა ადიდა ენა ქართული, არის ვეფხისტყაოსანი".[3]

რუსთაველის იერუსალიმელობის ტრადიციულ ცნობებს იმეორებს ვ. ზოტოვიც: შოთა რუსთაველი იყო თამარის მოლარეთუხუ-

---

1. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: ქართული ქრისტომატია, სანკტ.პეტერბ. 1846, გვ. I-IX, იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 196

2. **თ. ბაგრატიონი**, ისტორია დაწყებითგან ივერიისა... სანტკ-პეტერბ., 1848, გვ. 268 შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 27-28

3. **პ. იოსელიანი**, შენიშვნები რუსთველზე და ვეფხისტყაოსანზე, წიგნში: წყობილ-სიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა, კათალიკოს-პატრიარხისგან, თფ. 1853, გვ. 316

ცესი, მოხუცებისას წავიდა იერუსალიმს და იქ აღესრულა.[1] ზაქარია ჭიჭინაძე 1887 წელს შენიშნავდა: შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის" დაწერისთვის აუჯანყდნენ და საქართველოდანაც განდევნა სამღვდელოებამ, რუსთაველი იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში გარდაიცვალა, უსიამოვნებაში და სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი,[2] როგორც ვხედავთ, ზ. ჭიჭინაძე ამჯერად წინ წამოსწევს სამღვდელოების დანაშაულს რუსთაველის საქართველოდან გაძევების თაობაზე, ცხადია, ამის დამადასტურებელი დოკუმენტური წყარო არ არსებობს. ამიტომ ეს განცხადება თქმულების ფარგლებში რჩება.

1872 წელს ნ. ბოჩაროვი წერდა: „რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" იქცა ქართველთა სახალხო პოემად... შოთა დიდხანს იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესად. მისი გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში, სადაც აღესრულა კიდეც. ქართველმა მიტროპოლიტმა ტიმოთემ ქართველ მეფეთა მიერ აშენებულ ჯვრის მონასტერში იხილა მისი საფლავი და კედელზე გამოსახული მისი პორტრეტი, მოღვაწის სამოსში".[3] აქვე უნდა გავიმეოროთ სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებული შენიშვნა: დავით ჩუბინაშვილი, მარი ბროსე, თეიმურაზ ბაგრატიონი, პლ. იოსელიანი და სხვები. ტიმოთე გაბაშვილს შეცდომით მიაწერდნენ ცნობას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის საფლავის არსებობის შესახებ,[4] რასაც იმეორებს ნ. ბოჩაროვიც.

ახლა კი მოვუსმინოთ ალექსანდრე ცაგარელს, თუ რას ამბობდა იგი 1888 წელს თავის წერილში – „ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე": „იბნ. შადადი მოგვითხრობს, რომ 1192-1193 წლეში თამარ მეფემ და ქართველებმა 200 ათასი დინარი შესთავაზეს სულთან სალადინს მუსულმანთა მიერ 1187 წელს იერუსალიმის აღების დროს ხელში ჩაგდებულ ჯვარში, რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული. მათ სთხოვეს იმავე სულთანს, რომ დაებრუნებინა იერუსალიმის წართმეული სავანეები.

ვინ იცის, ეგების თამარის თანამედროვე ქართველი პოეტის რუსთაველის მოგზაურობა წმინდა მიწაზე ამ სახელოვანი მეფის ნებით შესრულდა. გადმოცემის თანახმად, პოეტმა განაახლა და

---

1. **ე. ზოტოვი**, ქართული ლიტერატურა, ნიგნში: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, I, პეტერბ-მოსკოვი, 1877
2. **ზ. ჭიჭინაძე**. ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თფ. 1887, გვ. 17
3. **ნ. ბოჩაროვი**, ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგ. XVIII საუკუნეში; რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 204
4. **გ. შარაძე**, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 81-83

მოხატა ჯვრის მონასტერი. ეს გადმოცემა, რომელსაც გვაუწყებენ XVII-XVIII საუკუნეების ქართველი მწერლები – მეფე არჩილი, კათალიკოსი ანტონ I, ეპისკოპოსი ტიმოთე – აისახა თვით ჯვრის მონასტრის ფრესკებზე 1643 წელს... პოეტი წარმოდგენილია შუა საუკუნეების ქართველი ერისკაცის და არა სასულიერო პირის ტანისამოსით, რაც გვაფიქრებინებს, რომ გადმოცემა მისი ბერად შედგომის შესახებ არ დასტურდება".[1]

ე. სტალინსკიც ხაზს უსვამს რუსთაველის იერუსალიმში გარდაცვალებას.[2] რუსთველი დაიბადა რუსთავში და ცხოვრება დაამთავრა იერუსალიმში, სადაც ის გაემგზავრაო თამარისაგან უიმედო სიყვარულის გამო.

1889 წელს გაზეთი „ივერია" აქვეყნებს არისტო ქუთათელაძის „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილს". წერილში ავტორი გვამცნობს, რომ მისთვის ნისიმე მონაზონს გადაუცია ჯვარის მონასტრიდან (იერუსალიმიდან) 1858 წელს ჩამოტანილი ხელნაწერი, შესრულებული ალექსანდრე ლორთქიფანიძის მიერ, რომელშიც მრავალ საყურადღებო ცნობას შოის მოიპოვება მონასტრის ფრესკების აღწერა, სადაც აღნიშნულია, რომ „წმიდა მაქსიმე და იოანე დამასკელს შორის შუა მუხლზედ მდგომია მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა, თავზედ ხურავს მაღალი თეთრი არაღჩენი, შავი ძალა (ბეწვის გარშემო ნაკერები) შემოდებული, მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზევიდამ ასხია ჯიგრის ფერი ხორლა საერისკაცო თეთრისა სამხრით. ამას აწერია: ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ, შოთა რუსთველი".[3]

როგორც ცნობილია, XVII-VVIII საუკუნეების საქართველოში კლერიკალურ-საეკლესიო საზოგადოების გარკვეული ნაწილი მტრულად იყო განწყობილი რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის" მიმართ. სწორად შენიშნავდა ა. ბარამიძე: „საეკლესიო კლერიკალური წრეების მხრით რუსთაველის წინააღმდეგ გაბოროტებას, როგორც ჩანს, ისიც უწყობდა ხელს, რომ XVII-VVIII სს. ქართველი მკითხველი საზოგადოება გულგრილობას იჩენდა სასულიერო-საეკლესიო ხასიათის წიგნებისადმი, ხოლო გატაცებული იყო „საშაირო" ლიტერატურით, ე.ი. უწინარესად „ვეფხისტყაოსნით".[4]

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 208
2. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 132
3. ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, გაზ. „ივერია", 1889, 1 აპრილი; იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 115
4. ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 456

თეიმურაზ პირველი ამ ფაქტს ჩივილით თუ გულისტკივილით ასე გამოეხმაურა:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა,

არ გიკვირთ, რომ დაიეწყეს შემოქმედი (ეი.ი. ღმერთი – ტ. მ.) მისგან ქმნულთა“.

„ვეფხისტყაოსნის“ „ავად მჩხრეკელი“ კონსერვატიულ-კლერიკალური წრიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი. მისი ანტირუსთველური განწყობა გამოვლინდა შემდეგ ფრაზაში: „რუსთველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“.[1] სათანადო მონაცემების საფუძველზე თითქოს ამტკიცებენ, რომ აგრესიულად განწყობილი პირნი არა მხოლოდ იწუნებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შინაარსობრივ მხარეს, არამედ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენე პოემას – ცეცხლში სწვავდნენ ან წყალში ყრიდნენ.

XIX საუკუნის ქართველი თუ უცხოელი მოღვაწენი ეხმაურებიან ამ საზარელ ფაქტებს, თუმცა ამის გამოხატულებას მასშტაბური ხასიათი არც მიუღია. 1852 წელს პლატონ იოსელიანმა გამოსცა წიგნი „მოხილვა წმინდათა ადგილთა ტიმოთესგან“. იგი წინასიტყვაობაში ამბობს: „ტიმოთე გაბაშვილის ჰაზრისაებე იყო (იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ – ტ.მ.) თვით კათალიკოსი ანტონ პირველი, რომელმანცა მრავალნი, დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროსა 1710 წელსა(?) „ვეფხისტყაოსანი“ დაჰსწვნა, შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამის ქართველთა“.[2] ან კიდევ: „დღესა ერთსა (იგულისხმება ანტონ კათალიკოსი – ტ.მ.) 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისა დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამველი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა“.[3]

პლატონ იოსელიანის ამ გამონათქვამს ნაკლებად დაეჯერება, ვინაიდან ამისი დამადასტურებელი დოკუმენტური წყარო თუ მასალა არ წარმოუდგენია მისი არარსებობის გამო. ანტონ ბაგრატიონი იყო დიდი მოაზროვნე – „მზამეტყველების“, „სპეკალის“, „მარტირიკის“, „წყობილსიტყვიერების“ და სხვა მნიშვნელოვან ნაშრომთა

1. **ტ. გაბაშვილი**, მიმოსლვა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, 1956, გვ. 80

2. მოსილვა წმინდათა ადგილთა ტიმოთესაგან, **პლატონ იოსელიანის** გამოცემა, თბ., 1852, გვ. 154

3. **პლ. იოსელიანი**, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936, გვ. 182

ავტორი. იგი გახლდათ რუსთაველის მაღალი შემფასებელი: „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი... თუ სამ სწადდა ღვთისმეტყველიცა მაღალ, უცხო საკვირველი პიიტიკოს – მესტიხე"... მას არ პატიობენ იამბიკოს ასე დასრულებას: „მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე". იამბიკოს ბოლო ტაეპით მან რუსთაველს დაუწუნა საერო მწერლობისთვის დამახასიათებელ თემებზე წერა, რომელთაგან, ალბათ, უწინარესად მიწიერი მიჯნურობის მოტივზე წერა ჰქონდა მხედველობაში. ასეთ უმაღლეს დონეზე რუსთაველის აზროვნების და პოეტური გენიის დამფასებელი ანტონ პირველი წარმოუდგენელია თუ ძნელად დასაჯერებელი „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეულ გამოცემას დაწვავდა და ფერფლს მტკვარში ჩააყრევინებდა ვინმეს. ამით პლატონ იოსელიანმა უფრო ანტონ კათალიკოსისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, ვიდრე სიმართლე-პოემისადმი მტრული განწყობა. დიდმა ივანე ჯავახიშვილმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა პლ. იოსელიანს: „ანტონ კათალიკოზმა სიტყვიერი და წერილობითი პაექრობა არ აკმარა (იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი" – ტ.მ.), არამედ თხზულების სრული მოსპობა და ცეცხლით დაწვა ამჯობინა".[1]

XIX საუკუნის პრესაში თუ ცალკე გამოცემულ წიგნებში აქცენტირებულია რუსთაველის დამოკიდებულება თამარ მეფის მიმართ. იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარში" ამბობს: „თავის პოემაში შოთამ მოიწადინა გამოეხატა თამარი თავისი მშვენიერებით, სათნოებით, სიბრძნით, საქართველოს წარჩინებული პირნი, ღირსებანი და თვისებანი ქართველი ერისა. რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირი დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომაც მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში".[2]

ქართველი თუ უცხოელი მოღვაწეების მხრიდან ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი" შექმნა თამარ მეფის შთაგონებით. ევგენი ბოლხოვიტინოვი: „საგანგებო მოხსენიების ღირსია ორი უძველესი ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი" და „თამარიანი", ე.ი. ქება თამარისა. ორივე დაინერა ექვსასი წლის წინ, თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის ჟამს. მისი, ასე ვთქვათ, შთაგონებით. ორივე შეუთხავს მის უახლოეს დიდებულებს, პირველი – რუსთველს, მეორე – ჩახრუხაძეს".[3]

1. **ი. ჯავახიშვილი**, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 6

2. **ი. გოგებაშვილი**, ბუნების კარი, გვ. 507

3. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 185

ე. ბოლხოვიტინოვის ამ სიტყვებს ნ. ჩუბინაშვილი იმეორებს. („ვეფხისტყაოსანი", ქართული პოემა, შეთხზული შოთა რუსთველის მიერ"): „საქართველოს ისტორიულ სურათში" (იგულისხმება ე. ბოლხოვიტინოვის ნარკვევი – ტ.მ.), რომელიც 1802 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში, ამ პოემის („ვეფხისტყაოსნის" -ტ.მ.) შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ იგი დაინერა 600 წლის წინ, თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის ჟამს, მისი, ასე ვთქვათ, შთაგონებით უახლოესი დიდებულის რუსთაველის მიერ".[1] რუსთაველი რომ პოემას თავისი პატრონის თამარის სიყვარულის შთაგონებით წერდა, ამას გადმოცემაზე დამყარებით ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ა. მურავიოვი: „ხოლო მეორე პოემა „ვეფხისტყაოსანი" თამარის კარის პოეტის შოთა რუსთველისა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, თხზავდა პატრონის სიყვარულით შთაგონებული".[2]

ი. პოლონსკი ხალხური თქმულების საფუძველზე ქმნის ვრცელ ლექსს – „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთველი", რომელიც აგებულია თამარისა და რუსთაველის ურთიერთ სიყვარულზე.[3] ალექსანდრე ხახანაშვილი თავისი „ქართული სიტყვიერების ისტორიაში" ამბობს: „ტრადიცია, ამასთანავე, გადმოგვცემს, რომ რუსთველი ეტრფოდა თამარ მეფეს და რადგან თანაგრძნობის იმედი არ ჰქონდა, იგი შედგა ბერად იერუსალიმში".[4]

პეტერბურგში გამომავალ ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ წერილში („საქართველო და სომხეთი") ვინმე ი.გ. „ვეფხისტყაოსანსაც" ეხება და აღნიშნავს, რომ პოემა დაწერილია თამარზე შეყვარებული მისივე სასახლის საჯარო პოეტის შოთა რუსთველის მიერ, რომელსაც მოქმედება განგებ გადაუტანია არაბეთში.[5]

1847 წელს ე. შტაკელბერგი წერდა: „შოთა რუსთაველი მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა სახელოვანი თამარ მეფის დროს. მას ღრმა, მაგრამ მოკრძალებული გრძნობით შეჰყვარებია ეს დიდი მონარქი ქალი და, როგორც ყველა მაღალი სულის ადამიანს მოსდის, ამ სიყვარულით გამონვეული ტანჯვის წყალობით პოეტი გამხდარა რადგან შოთას არ შეეძლო აშკარად გამოეხატა თავისი გრძნობები, მას შეუთხზავს პოემა „ვეფხისტყაოსანი" ანუ კაცი, რომელსაც ვეფხის ტყავი აცვია".

1. იქვე, გვ. 187
2. იქვე, გვ. 200
3. იქვე, გვ. 201-203
4. იქვე, გვ. 217
5. ი.გ. საქართველო და სომხეთი, ჟურ. ЖМНП, 1849, გვ. 94-134

პოემაში მან აღწერა თავისი ტკბილი წამება, მაგრამ მოქმედება სხვაგან გადაიტანა... დედოფლის გარდაცვალების შემდეგ შოთა რუსთაველი იერუსალიმში წავიდა სალოცავად. იქ მონასტერში აღკვეცილა და ღრმა მოხუცებული მომკვდარა.[1] როგორც ვხედავთ, შტაკელბერგს 1847 წლისათვის კარგად სცოდნია ხალხური გადმოცემები რუსთაველის ბიოგრაფიაზე.

რაც შეეხება ჟან მურიეს, იგი უარყოფს თამარისა და რუსთაველს შორის სიყვარულის არსებობის შესაძლებლობას.[2] არტურ ლაისტი წერს: „იმ დროს, როდესაც რუსთველი თინათინის სახეს ან ავთანდილის სასიყვარულო გატაცებას ასახავს, ეჭვი არ დაგებადებათ თქმულების სიმართლეში, რომელიც გადმოგვცემს, რომ პოეტი თამარის სიყვარულს ატარებდა გულში.[3] საწინააღმდეგოს ამბობს იგი სხვა წერილში („ვეფხისტყაოსნის" კულტურული მნიშვნელობა"): „დაე სხვებმა თქვან, თითქოს თამარი უყვარდა და მხოლოდ მისმა სიყვარულმა დააწერინა „ვეფხისტყაოსანი". მე ამ აზრს არ ვიზიარებ და პოემაში კიდევ უფრო ამაღლებულ აზრს ვხედავ".[4]

XIX საუკუნეში მოძრაობდა მოსაზრებანი, რომ რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის" გარდა ჰქონდა სხვა ნაწარმოებებიც. ამ მხრივ პირველთაგანმა მარი ბროსემ გამოიჩინა თავი. 1830 წელს თავის წერილში „ტარიელის" ავტორის შესახებ" ამბობს: „პოემა ტარიელი" შექმნილია თამარის მეფობის დროს, მხედართმთავარ რუსთაველის – „თამარიანის" ავტორის მიერ. თანამედროვეები ამტკიცებენ, რომ ამ ორი ნაწარმოებიდან მას მხოლოდ პირველი ეკუთვნისო, მაგრამ ჩვენ მაინც ვატორის ნათქვამს ვეყრდნობით.[5] ალბათ, მარი ბროსე გულისხმობდა პოემის პროლოგში ნათქვამს: „ვთქვენი ქებანი ვისნი (ე.მ. თამარის – ტ.მ.) მე, არ ავად გამორჩეული. აღსანიშნავია, რომ შემდეგში ფრანგი ქართველოლოგის ამ თვალსაზრისს მომხრენი გამოუჩნდნენ ნიკო მარის და სხვათა სახით.

დავით ჩუბინაშვილის მიერ 1846 წელს პეტერბურგში დაბეჭდილ „ქართული ქრისტომატიაში", სადაც, ბუნებრივია, თავის ადგილს პოულობს „ვეფხისტყაოსანი". იგი მთავრდება დ. ჩუბინაშვილის შენიშვნით „დასასრული „ვეფხის ტყაოსნისა", რააც მოჰყვება

1. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 67
2. გაზ. „დროება", 1884, 28 ნოემბერი
3. **არტურ ლაისტი**, საქართველოს გული, წიგნში: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 147
4. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 149
5. **მ. ბროსე**, „ტარიელის" ავტორის შესახებ", წიგნში: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 45

რუსთაველისათვის მიკუთვნებული ლექსები... 1. „ნარის სოფელს ნუზალა საყდარზედ დაწერილი ლექსი"; 2. „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა ხახულის ღვთისმშობლის დროშა და მინიაკი მოართვა, ეს ტამბიკო ხუთეული ოც-და-ხუთ ლექსად აღიწერა"; 3. „იამბიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა-წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის-მშობლისასა".[1]

ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისით, რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის" გარდა სხვა თხზულებაც დაუწერია. მაგალითისთვის მოაქვს ხახულის ღვთისმშობლის ხატზე დაწერილი იამბიკო. ცხადია, აქ იგი იმეორებს დავით ჩუბინაშვილის ნათქვამს, რაზეც ზემოთ იყო მითითებული ზაქარია ჭიჭინაძეს, ასევე, პროლოგისეული გამოთქმა: „მას ვაქებ, ვინცა მიქია" აფიქრებინებს რუსთაველის სხვა თხზულებათა არსებობას".[2]

მოსე ჯანაშვილი „ამირანდარეჯანიანის" და „ვეფხისტყაოსნის" ეპიზოდების სქემების შედარებისას მისულა დასკვნამდე: „ვინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი", „აწ დავჯე, რუსთველმან გავლექსე" იმას ნიშნავდეს, რომ მოსე ხონელის პროზა მან შექმნა პოემად.[3]

1899 წელს მეთოთხმეტედ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი". იგი გამოაქვეყნა ვლადიმერ ყიფიანმა. წამძღვანებული აქვს მისივე წინასიტყვაობა. რაც ამჯერად ჩვენთვის არის მთავარი – ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს სამი ლექსი, როგორც რუსთაველის კუთვნილება:

„თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღვთის-მშობელს დროშა და მინიაკი მიართვა. ეს იამბიკო ხუთეული ოც-და-ხუთ ლექსად შოთა რუსთაველმა აღწერა" (გვ. 239); „იამბიკო ესე თქმული რუსთაველის მიერ, ზედა-წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღუთის-მშობლისასა"; შვიდი სტრიქონი" (გვ.240); „ზრდილობა და გვარიშვილობა, თქმული შოთა რუსთაველის მიერ ერთი სტროფი (ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცოლობა (გვ. 240).[4]

ორიოდე სიტყვა რუსთაველის სურათზე. 1875 წლის გაზეთი „დროება" იუწყება: როიანოვის ფოტოგრაფიაში უნახავთ შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც გადმოღებული ყოფილა ფრანგული გამოცემიდან: „რუსთაველი ფეხმოკვეცილი ზის და ხელში რეული

---

1. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის ტყაოსანი, წიგნში: ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართველთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ, სანკტ-პეტერბურგი, 1846, გვ. 224
2. **ზ. მთაწმინდელი** (ზაქარია ჭიჭინაძე), შოთა რუსთაველი, თბ., 1884
3. **მ. ჯანაშვილი**, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, ტფ. 1895, გვ. 25
4. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი (სურათებით), მეთოთხმეტე გამოცემა **ვლადიმერ სინონის ძე ყიფიანის** მიერ, თბ., 1899, გვ. 239-240

აქვს, რომელზედაც თავის უკვდავ პოემას „ვეფხვის ტყაოსანს" სწერს. თვითონ სურათი ჩინებულად არის გადაღებული, ნამდვილი ქართველის აღტაცებული პოეტური სახეა".[1] 1883 წელს იგივე გაზეთი „დროება" ახალ ამბავს ამცნობს მკითხველ საზოგადოებას: მ. მინგრელსკის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შეუწირავს შოთა რუსთაველის სურათი.[2] 1896 წელს გაზეთ „ივერიაში" ქვეყნდება „ახალი ამბავი" (უავტორო), სადაც ვკითხულობთ: „ქუთაისიდან როზალია ივანეს ასულ მეფისაშვილს თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ჩამოუყვანია მისივე ოთხი წლის ნამუშევარი ხელოვნურად ხავერდზე ნაკერი სურათი – რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის" მირთმევა თამარ დედოფლისათვის" (ეს ნამუშევარი ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმში და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საკუთრებას შეიცავს)[3].

რუსმა მხატვარმა გ. გაგარინმა 1840-1856 წლებში გაიცნო კავკასია, ახლო ურთიერთობა დაამყარა ქართველ საზოგადოებასთან, მოხატა რამდენიმე ქართული ტაძარი. დაამზადა და პარიზში გამოაქვეყნა მოზრდილი კრებული (ალბომი), რომელშიც ქართულ თემაზე 30-ზე მეტი სურათია, მე-11 ტაბულაზე წარმოდგენილია რუსთაველის პორტრეტის პირი, რომელიც მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის" ავტორის იმ მინიატურიდან, რომელიც ერთხანს ე.წ. ზაზასეულ ხელნაწერში იყო, ხოლო ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.[4] ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ე. შტაკელბერგი გ. გაგარინის ალბომში გამოქვეყნებული ტაბულების (სურათების) განმარტების ავტორია.[5]

1872 წელს პეტერბურგში ქვეყნდება ვინმე ნ.ბ-ს წერილი „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე". მასში ავტორი აღწერს „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთ ხელნაწერს და 1712 წლის გამოცემას. წერილს დართული ჰქონია შოთა რუსთაველის სურათი, შესრულებული სპარსული მინიატურული სტილით (ილუსტრირებული გაზეთი, სანკტპეტერბურგი, 1872, ივლისი).

1863 წელს ჟურნალ „ცისკარში" ქვეყნდება ანტონ ფურცელაძის „შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი (გვერდით მინერილია

1. გაზ. „დროება", 1875, 3 ღვინობისთვე, №122
2. გაზ. „დროება", 1883, 8 მაისი
3. გაზ. „ივერია", 1896, 5 მაისი
4. შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსანი" ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968, გვ. 43-56
5. იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 421

„ძველებური ლეგენდა").[1] იგი 1886 წელს ცალკე წიგნად გამოდის თბილისში,[2] ხოლო ბათუმში – 1899 წელს.[3] გავეცნოთ ნაწყვეტს დასაწყისიდან: ერთს კვირეს დღეს რუსთაველისათვის იყო დანიშნული სადილი მეფის სასახლეში თამარისა და იმის მეუღლე დავითისაგან. აქ იყვნენ მოწვეულნი მრავალნი პიიტიკოსნი, ჩინებულნი კარის და სამეფოს კაცნი. რუსთველს უნდა წაეკითხნა დასასრული თავის ახლად გათავებული ვეფხისტყაოსნისა. რუთველი იყო კარგ გუნებაზედ და კითხულობდა თავის ქმნილებას მშვენივრათ, სიმღერის ხმაზედ, რომელიც იყო ჩვენში საბერძნეთიდამ შემოტანილი, თამარმა ბეჭედი მისცა, დავითმა ხმალი აჩუქა. ამ საერთო წვეულებაში და ზეიმში მყოფ შოთასთან მოდის უცხო პიროვნება და ატყობინებს ცოლის ღალატს. სახლში დაბრუნებული პოეტი ნახავს თუ როგორ ეხვევა მის ცოლს აბდულა არაბი"... აქვე ა. ფურცელაძე კომენტარს უკეთებს რუსთველისეულ გამოთქმას: „მე, რუსთველი, ხელობითა"... და ასკვნის, რომ რუსთველობა ხელობა ყოფილა. იგი არ ნიშნავს ჭკუიდან შეშლას. ეს გამოთქმა უნდა გავიგოთ, როგორც ხელობით მოშაირეობა, მოლექსეობა. ა. ფურცელაძის ამ წიგნს იმთავითვე მოჰყვა კრიტიკა.[4]

ამრიგად, XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი მკვლევარნი, მწერალნი და მოღვაწენი „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობაზე ფიქრისას ძირითადად XVII-XVIII საუკუნეების მონაცემების თუ ქართული ხალხური თქმულებების ზეგავლენის ქვეშ არიან. მათ რაიმე ახალი დოკუმენტური წყარო და მასალა არც მოუპოვებიათ. მათთვისაც მთავარი დასაყრდენი გახლავთ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში რუსთაველზე შემონახული დოკუმენტური მასალები.

წინა საუკუნეებთან შედარებით XIX საუკუნეში უფრო დაფიქრებულან პოეტის სახელზე „შოთა", რომლის თავდაპირველი ფორმა იყოო „აშოთანი". სახელი „შოთა" დაუკავშირეს არმაზის კერპს, ან ღვთაება იაზდანის სახელს. ერთხმად აღიარებენ, რომ პოემის ავტორის გვარი თუ ფსევდონიმი მოდის სიტყვა „რუსთავიდან".

XIX საუკუნეში განსჯის საგანი გამხდარა თუ რომელი რუსთავიდან იყო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი. ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ პოეტი იყო თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან (თ.

1. ა. ფურცელაძე, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, ჟურ. „ცისკარი", 1863, იანვარი, გვ. 39-52
2. ა. ფურცელაძე, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, თბ., 1886
3. ა. ფურცელაძე, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, ბათუმი, 1899
4. ჟურ. „თეატრი", 1886, №32; გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1866, 4 სექტ.

ბაგრატიონი, პლ. იოსელიანი, ვ. ზოტოვი, თ. ბარტდინსკი). XIX საუკუნეში უფრო მეტი და უტყუარი მასალები დაგროვდა იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტი იყო მესხეთის რუსთავიდან (ზ. ჭიჭინაძე, თ. ჟორდანია, დ. ჩუბინაშვილი, ი. კერესელიძე, ვ. ორბელიანი, მ. ნათაძე, ა. ხახანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე...).

XIX საუკუნეში დაინტერესებული ყოფილან რუსთაველის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებისა თუ გეოგრაფიული ადგილების დაზუსტებით, თუმცა უშედეგოდ. ასევე, ფიქრის საგანია პოეტის აღზრდა-განათლება საქართველოში და საზღვარგარეთ, ამასთანავე, უცხო ენების ცოდნა. განსჯის საგანი ხდება რუსთაველის ურთიერთობა სამეფო კართან. რუსთაველი მიჩნეულია თამარ მეფის დიდებულად, უცხო მხარეთა მდივნად, კარის პოეტად, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესად (მოლარეთუხუცესად).

ამავე პერიოდში აქტიურობს საკითხი: რუსთაველი და იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი. პრესაში გაიელვებს მასალები რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნისადმი" კონსერვატიულ-კლერიკალური საზოგადოების დამოკიდებულების თაობაზე. თუმცა XIX საუკუნის ქართული და უცხოური პრესა ნაკლებად აქტიურობს „ვეფხისტყაოსნის" დევნაზე სამღვდელოების მხრიდან, რადგანაც ამისი საფუძველი არ გააჩნია.

პრესაში აქა-იქ გამოჩნდება მსჯელობანი თამარისა და რუსთაველის სამიჯნურო ურთიერთობაზე, რუსთაველის მიერ პოემის თამარის შთაგონებით შექმნაზე. გვხვდება სათანადო მასალები რუსთაველის სურათთან დაკავშირებით.

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე"...

XIX საუკუნის მანძილზე „ვეფხისტყაოსნის" სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად პრესაში დაკვირვების საგანია რუსთაველის პოემის დაწერის თარიღის განსაზღვრა. იგი ქართველ მკვლევართა გარდა, არანაკლებ აინტერესებთ უცხოელთ. ამ მხრივ, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს გაზეთ „ტფილისის უწყებანში" 1829 წელს გამოქვეყნებული წერილი „რაიმე რუსთველისათვის".[1] ხელისმომწერია ვინმე „ლა ა-დ.". ამბერკი გაჩეჩილაძემ გამოთქვა ეჭვმიუტანელი ვარაუდი, რომ ეს სტატია ეკუთვნის მწერალ ლავრენტი არდაზიანს: „ლ. არდაზიანს ეკუთვნის 1829 წლის „ტფილისის უწყებანის" №3 მოთავსებული წერილი რუსთაველზე

1. ლ. ა-დ., რაიმე რუთაველისათვის, გაზ. „ტფილისის უწყებანი", 1829, 21 იანვარი, №3

სათაურით „რაიმე რუსთველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ლ. ა-დ“ ... რედაქციის შენიშვნიდან ჩანს, რომ აღნიშნული წერილი დაუწერია მოწაფეს, მასწავლებლის დახმარებით. ეს მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი უნდა იყოს“.[1]

გავეცნოთ რედაქციის შენიშვნის ტექსტს: „მუხლი ესე დაწერილ არს როსიულსა ენისა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიცა ჯერეთ ჰსდგას ზღურბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა, მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა, და განვახალასე მე, რათა ჰსთარგმნოს მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა მისსა, რომელიცა გარე მოეზღუდე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოებასათა... რათა სხუანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, რომელთაც შრომანი დაშთებიან უკვდავად შთამოებისათვის“.[2]

წერილში „რაიმე რუსთველისთვის“ მესამე აბზაცი ასე იწყება: „ვმწუხარებ, რომელ მე პირველსა მსურს თქმად მისთვის, ვინაათგან არავის აქამომდე მოუცია ჩვენთვის სრულიადო შემეცნებაა ცხოვრებისათვის დიდისა ამის კაცისა, რომელსაცა უდიდებიეს მამული თვისი და ბრძენი მეფა მისი ვრცელითა გონებითა პოეტიკებრითა ტალანტითა დამოგვებრითა კალმითა თვისითა“.

მომდევნო აბზაცში ავტორი განაგრძობს რუსთაველზე საუბარს, ჩვენ ოდენ ნაწყვეტების გადმოწერით დავკმაყოფილდებით: „იგი (ე.ი. შოთა რუსთაველი – ტ.მ.) დაიბადა 1229-სა წელსა, მშობელთაგან საშუალოოსა მდგომარეობისათა, ხოლო 1251 წლითგან, ვითარცა იხილვების ისტორიისაგან თამარისა, იწყო მან მსახურება მამულისა. მშობელთა შენიშნეს მის შორის მცირის წლიდგან ვითარმე განუსვენებლობაა სულისა, ვითარმე შინაგანი მწყურვალებაა ცნობისადმი ყოვლისა... მან (თამარმან – ტ.მ.) წარგზავნა ჭაბუკნი კაცნი, აზრაურის გვარისაგანნი სასწავლებლად ათინასა შინა, და მათ შორის იყო რუსთაველიცა... ხოლო რუსთაველი აღიზარდა ტაძარსა შინა სიბრძნისასა, რომელიცა გამოიზარდა სულითა დიდთა სახეთა კლასიკებრისა საბერძნეთისასა, და საკუთრად ღომერის (ჰომეროსი – ტ.მ.) მიერ განხურვებულმან, შესწირა თავისი აღმკობილსა პოეზიასა“[3]...

ერთი სიტყვით, გაზეთ „ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყ-

1. ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1952, გვ. 184
2. გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, 21 იანვარი, №3
3. გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, 21 იანვარი, №3

ნებული ახალგაზრდა ავტორის წერილი „რაიმე რუსთველისათვის", მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც ეხება რუსთაველთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს როგორიცაა: რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების წარმოჩენა, პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებზე ყურადღების გამახვილება, რუსთაველის დაბადების თარიღის ჩვენება, რასაც უკავშირდება პოემის შექმნის თარიღის განსაზღვრაც. შემოქმედის მიერ სწავლა-განათლების მიღება საბერძნეთში, სამშობლოში დაბრუნებისას იარაღით ხელში მტრების წინააღმდეგ ბრძოლა. რუსთაველის შემოქმედებითი ნიჭის შედარება ჰომეროსთან, „ვეფხისტყაოსნის" შექმნით „ილიადას" სიმაღლის წვდომა, ქართული ენის რეფორმატორობა და ა.შ.

როგორც წერილის ავტორი გვარწმუნებს, პირველად გადმოსცემს რუსთაველის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს: „ვმწუხარებ, რომელ მე პირველსა მსურს თქმად მისთვის, ვინაითგან აქამომდე არავის მოუცია ჩვენთვის სრულიადი შემეცნებაა ცხოვრებისათვის დიდისა ამის კაცისა, რომელსა უდიდებიეს მამული თვისი"... კი გვაცნობს იგი რუსთაველის ბიოგრაფიულ ეპიზოდებს, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროებს არსად უთითებს თუ საიდან მოიპოვა ეს მასალები. ალბათ, ხალხურ გადმოცემებს ემყარება.

ჩვენი საკითხისათვის ამჯერად გვაინტერესებს წერილის ავტორის ცნობა რუსთაველის დაბადების თარიღთან დაკავშირებით: „იგი (შოთა რუსთაველი – ტ.მ.) დაიბადა 1229 – სა წელსა, მშობელთაგან საშუალოსა მდგომარეობისათა". საინტერესოა, ეს თარიღი სადმე ამოიკითხა თუ ის მისი ფანტაზიის ნაყოფია რადგან წყაროს არ უთითებს, მისადმი ნდობა მიუღებელია.

წერილში ავტორი არაფერს ამბობს კონკრეტულად „ვეფხისტყაოსნის" დაწერის თარიღზე. მისი დაახლოებით განსაზღვრის უფლება დაინტერესებულ პირთ ეძლევა, ვინაიდან მან გვამცნო პოეტის დაბადების წელი. ამ „მონაცემის" მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველს შეუთხზავს XIII საუკუნის II ნახევარში.

როგორც ცნობილია, უკრაინელმა მკვლევარმა, პედაგოგმა, ჟურნალისტმა მიკოლა გულაკმა 1884 წელს თბილისში რუსთაველზე და მის პოემაზე წაიკითხა ლექცია. იმავე წელს მისი წიგნი-რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" დაიბეჭდა თბილისში (ქართულ ენაზე წიგნი შემოკლებით თარგმნა რ. ხვედელიძემ). მ. გულაკი თავის ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად შეეხო პოემის დაწერის თარიღსაც: ცნობილია, რომ ქართული პოემა „ვეფხის-

ტყაოსანი“ დაიწერა თამარის მეფობის ხანაში, არა უადრეს XII საუკუნის მიწურულისა. მართალია, შვიდასი წელი გავიდა მისი შექმნის შემდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოემა ახლაც საუნჯეა არა მხოლოდ განათლებული, არამედ წერა-კითხვის მცოდნე ყველა ქართველისათვის“.[1]

როგორც დავინახეთ, გულაკი „ვეფხისტყაოსნის“ თარიღზე საუბარს იწყებს სიტყვით „ცნობილია“. ეს ძალზე საგულისხმოა. არანაირი დოკუმენტური წყარო არ არსებობს იმის თაობაზე თუ როდის შეიქმნა პოემა. ძნელი სათქმელია, გულაკი რა მასალაზე დაყრდნობით ამბობს ასე თამამად „ცნობილიას“. ალბათ, მხედველობაში აქვს ტრადიციული გადმოცემები პოემის შეთხზვის თარიღთან დაკავშირებით. მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ უცხოელი მკვლევარიც დაფიქრებულა რუსთაველის ნაწარმოების შექმნის დროსთან დაკავშირებით. თუმცა მის დრომდე არც ისე აქტიური ჩანს მთელი XIX საუკუნის მანძილზე ამ პრობლემაზე მსჯელობა (მცირე გამონაკლისის გარდა).

ზ. მთაწმინდელი (იგივე ზაქარია ჭიჭინაძე) 1884 წელს თბილისში დაბეჭდილ თავის 68 გვერდიან წიგნაკში „შოთა რუსთაველი“ შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღს. იგი წუხს იმაზე, რომ უცნობია პოემის შეთხზვის ზუსტი თარიღი: ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერედ დღესაც არ ვიცით სისწორით: თუ შოთა რუსთაველმა რომელ წელიწადს დასწერა „ვეფხის ტყაოსანი“. ამ საგნის შესახებ არცა რას სხვანი მოგვითხრობენ და თუ სადმე რამ უთქვამთ, ისიც თვით პოემის ცნობით მეოხებით განუმარტავთ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ თამარ მეფის დროს არის დაწერილი“.[2] იქვე წიგნის ავტორი განაგრძობს:

„ამ თვალ მარგალიტი წიგნის გამოჩენის პირველ დროის გამოსაცნობად, აგერ ეს რამდენიმე ხანია ყურადღებას ვაპყრობდით და რაც კი შევძელით, შევკრიბეთ და გავარკვიეთ. იმედია, რომ მე თუ ვერ გავარკვევ ზედ მიწევნით, ამით შემდეგ მაინც იხელმძღვანელებენ სხვანი და შესაძლებელიც იქნება, რომ როგორმე განსაზღვრონ უფრო სიმტკიცით“.[3] ზ. მთაწმინდელმა მაინც „რა შეკრიბა და გაარკვია?“ მკვლევარი ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის განსაზღვრას „აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ თარიღის დამტკიცების საფუძველზე. მისი აზრით, იოანე შავთელს თამარ მეფის სახოტბო ნიმუში შეუქმნია 1188 წელს. მისი თქმით,

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 156
2. ზ. მთაწმინდელი, (ზაქარია ჭიჭინაძე) „შოთა რუსთაველი“, ტფ. 1884, გვ. 34
3. იქვე

„ეს რიცხვი აღნიშნულია ძველს ხელს ნაწერს დედანზე". ავტორი იქვე განაგრძობს: „რუსთაველისავე თანამედროვე ჩახრუხაძეს პოემა „თამარიანი" დაუწერია 1195 წელს... „ვეფხის ტყაოსნიდამ" სჩანს, აბდულ მესია რუსთაველზე წინეთ უნდა დაეწეროს. ამას რუსთაველიც ამტკიცებს, რადგანაც მოიხსენებს „ვეფხის ტყაოსნის" ბოლოში. ჩახრუხაძისაგან დაწერილს „თამარიანის" შესახებ კი რუსთაველი არას ამბობს „ვეფხის ტყაოსანში" (როგორც ვხედავთ, ავტორი ხან „ვეფხვის ტყაოსნად", ხან კი „ვეფხვის ტყაოსნად" მოიხსენიებს პოემას – ტ.მ.).. აქ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩახრუხაძის პოემა „ვეფხის ტყაოსნის" შემდეგ არის ნაწერი".[1]

დამოწმებული ციტატა ორმხრივ იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, გამოთქმა „აბდულ მესია" თხზულების („აბდულმესიანის") ავტორის ერისკაცობის სახელად მიაჩნია ზ. მთაწმინდელს. ასევე, „ვეფხისტყაოსნის" ეპილოგის ბოლო სტროფი („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა, აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა"...) ავტორის მიერ რუსთაველის კუთვნილებად არის გაცნობიერებული, რაც შემდგომი დროის კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა.

ზ. მთაწმინდელის კიდევ ერთ არგუმენტს მოვუსმინოთ: „ჩახრუხაძე „თამარიანის" ბოლოში მოიხსენებს ისეთ გმირთა სახელებს, რომელნიც დაახლოვებით ნაჰგვანან „ვეფხვის ტყაოსანს". მაგალითად თუნდ ბოლოში, აი, „ასე თინათინ, ნუ ის თინათინ არაბეთს იყო სულადიანი, ჯერეთ ყმაწვილი წმინდა ნაწილი, სამოთხის ვარდი პირად მზიანი". ამ სტრიქონებში მოხსენებული სახელების მეოხებით მკითხველი ნათლივ მიხვდება, რომ ესენი პირდაპირ „ვეფხის ტყაოსნიდამ" უნდა იყოს ამოღებული. ამ სტრიქონებიდან, – განაგრძობს ზ. მთაწმინდელი, – აშკარად მტკიცდება, რომ „ვეფხის ტყაოსნის" მიბაძვით ჩაურთო ჩახრუხაძემ თავის პოემაში... აშკარად სჩანს, რომ ჩახრუხაძის თინათინში თამარ მეფე იგულისხმება".[2]

ამგვარი მსჯელობით ზ. მთაწმინდელი ამტკიცებს, რომ ჩახრუხაძის „თამარიანი" „ვეფხისტყაოსნის" შექმნის შემდეგ არის დაწერილი. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი" წარმოშობილა 1188-1195 წლებში: „მაშასადამე, „ვეფხის ტყაოსნის" დაწერის დროთ ჩვენ ზედმინევრით უნდა გვწამდეს ზემორე მოხსენებული წელნი 1188-დან 1195 წლამდის, ე.ი. რვა წლის განმავლობაში უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს თავის ბრძნინვალე „ვეფხის

1. **ზ. მთაწმინდელი**, შოთა რუსთაველი, გვ. 35
2. იქვე, გვ. 35-36

ტყაოსანი". ჩვენ ასე გავარკვიეთ და ვინც უფრო ზედ მიწევნით შეისწავლის, ის უფრო უკეთესი. უნდა ვაღიარო, რომ ეს ცნობები მე დაჭეშმარიტებით არ მომყავს აქ".[1]

„ვეფხისტყაოსნის" თარიღის „ზედ მიწევნით შესწავლის" (ზ. მთაწმინდელის სიტყვებია) შედეგად გაირკვა, რომ რუსთაველის პოემა წარმოქმნილია 1189-1207 წლებში. ასე რომ, მეცნიერულად დაზუსტებულ თარიღთან ნაწილობრივ სიახლოვეს იჩენს ზ. მთაწმინდელი ანუ ზაქარია ჭიჭინაძე.

ჩვენი დაკვირვებით, 1884 წლამდე ზ. მთაწმინდელი აღმოჩნდა პირველი მკვლევარი, რომელიც ზოგადად კი არ ასახელებს რუსთაველის პოემის შექმნის თარიღს, არამედ მისებური მტკიცებულებების, გარკვეულწილი მსჯელობის შედეგად ცდილობს დაადგინოს „ვეფხისტყაოსნის" თარიღი... სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია მის მიერ წარმოდგენილი საბუთები. რაც მთავარია, იგი მეცნიერულად უკვე დადგენილ თარიღთან სიახლოვეს იჩენს.

პეტერბურგის ცნობილ ჟურნალში (ჟმნპ, 1885, XII, გვ. 200-203) ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა წერილი რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე", რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია პოემის დაწერის დროზე. 1887 წელს მოსკოვში იბეჭდება ა. ხახანაშვილის წიგნი „ქართული სიყტვიერების ისტორია", სადაც შესულია ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი". იგი ეხება ჩვენი დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს. აქვე საუბარია პოემის შექმნის თარიღის შესახებაც. დასახელებული მასალები რუსულ ენაზეა დაწერილი, რაც მკვლევარმა გადმოაქართულა და ქართველ მკითხველს შესთავაზა მისი შემოკლებული ვარიანტი. დაბეჭდა იგი 1904 წელს – „ქართული სიტყვიერების ისტორია" (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის გასულამდე). მასში მოთავსებულია თავი „შოთა რუსთაველი" (ჩვენ ვსარგებლობთ ამ გამოცემით).

ა. ხახანაშვილი დაინტერესებულია დიდი შოთას ბიოგრაფიით: „შოთა რუსთაველი ეკუთვნის თამარ მეფის დროის წრეთა მწერლებს. მას უსწრებენ მოსე ხონელი – ავტორი „ამირანდარეჯანიანისა", სარგის თმოგველი – გადმომლებელი სპარსულით „ვისრამიანისა" და დამწერი „დილარიანისა", და შავთელი, რომელმაც შესხმითი ქება უძღვნა თამარ მეფეს... ჩვენ უტყუარად არ ვიცით, – განაგრძობს მკვლევარი, – არც რა გვარს ეკუთვნის რუსთაველი, არც მისი ადგილი საზოგადოებაში, არც გვაქვს მისი

1. იქვე, გვ. 36

სწავლა – განათლების შესახებ საჭირო ცნობანი, არც დრო და ადგილი მისი დაბადებისა, აღზრდისა და მოღვაწეობისა".[1]

ა. ხახანაშვილი გაკვირვებულია თუ რა ცნობებს ემყარებაო ბ-ნ მურიე შოთა რუსთაველის შესახებ, რომელიც მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად გადათარგმნისას. მკვლევარი იმეორებს მურიეს ცნობებს: „იგი (მურიე – ტ.მ.) გვაუწყებს, რომ შოთა დაიბადა 1172 წელს რუსთავში (ახალციხის მაზრა). შემდეგ 1186 წელს გაგზავნეს სასწავლებლად გრემს მეცნიერ ორთელაშვილთან, ბავშვობიდგან შეისწავლა მან სხვა -და სხვა ვარჯიშობა, – სროლა ცხენზედ ჯდომა, ნადირობა. ოცი წლის რომ შეიქმნა, 1192 წელს წავიდა ათინაში, სახელმწიფო ხარჯით, იმ ოც-და-ათ ყმაწვილთა შორის, რომელთაც მთავრობა გზავნიდა სწავლის შესასრულებლად საზღვარ-გარედ. აქ შეისწავლა რუსთაველმა ისტორია, ფილოსოფია, გალობა და მუსიკა. 1212 წლამდის. დაბრუნების შემდეგ ასრულებდა მოლარეთ-უხუცესის თანამდებობას. დასასრულს წავიდა იერუსალიმს".

ა. ხახანაშვილი მურიეს ამ ზღაპარივით მოყოლილ ცნობებს ნდობას არ უცხადებს, ვინაიდან იგი ამის დამადასტურებელ რაიმე დოკუმენტურ წყაროს არ უთითებდა. ამის შემდეგ ა. ხახანაშვილი იმეორებს რუსთაველის ბიოგრაფიაზე არსებულ ხალხურ გადმოცემებს. მკვლევარისთვის რუსთაველის ბიოგრაფიის დადგენა ნიშნავდა „ვეფხისტყაოსნის" დაწერის თარიღის დაახლოებით მაინც გარკვევას, რადგანაც ა. ხახანაშვილი დარწმუნებით ამბობს, „შოთა რუსთაველი ეკუთვნის თამარ მეფის დროის წრეთა მწერლებს". ეს იმას ნიშნავს, რომ მას რუსთაველის პოემა თამარ დედოფლის მეფობის პერიოდში დაწერილად მიაჩნია.

ამრიგად, XIX საუკუნის მკვლევარნი თუ „ვეფხისტყაოსნით" დაინტერესებული პირნი არ გამოირჩევიან დიდი ენთუზიაზმით პოემის დაწერის დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი სიმართლისგან შორს დგას მითუმეტეს სათანადო დოკუმენტური მასალა არ სახელდება. ერთადერთი მკვლევარი აღმოჩნდა ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც მსჯელობის საფუძველზე სცადა „ვეფხისტყაოსნის" თარიღის დადგენა, რითაც იგი ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულ თარიღს თითქმის მიუახლოვდა.

---

1. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 341

„ესე ამბავი სპარსული“...

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისეული გამოთქმა „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ მუდამ იყო დაფიქრებისა და განსჯის საგანი. მკვლევართა გარკვეული ნაწილი მას ინტერპოლატორის ჩანართად მიიჩნევდა და არა რუსთაველის კუთვნილებად. დამოწმებულ ტაეპზე კომენტარი პირველად ვახტანგ მეექვსემ გაგვაცნო. რადგან სწავლულმა მეფემ იგი ახსნა-განმარტების ღირსად სცნო, იმაზე მეტყველებს, რომ ეს გამონათქვამი რუსთაველისეულად მიაჩნდა. მეფე-კომენტატორმა პირველთაგანმა მოუძებნა მას სწორი ახსნა.

ვახტანგ მეექვსეს თურმე სპარსეთში ვერსად უპოვია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის შემცველი ნაწარმოები მისი არარსებობის გამო. მისი აზრით, „ესე ამავი სპარსული“ უნდა გავიგოთ, როგორც „სპარსულის მიბაძვით“ შექმნილი. ამაში იგულისხმება მწერლის ფანტაზიით შექმნილი გამონაგონი ამბავი (ფაბულა) და მოქმედი გმირები. ვახტანგი გვარწმუნებს: რუსთაველმა პოემა შეთხზა თამარ მეფის დავალებით:

„ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო: და უბძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო: აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო: თვარამ სპარსიდ ეს ამბავი არსად იპოვება: ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც იმასთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო. თამარმა ქართულად ლექსის თქმა უბძანა, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“.[1]

ამდენად, ვახტანგ მეექვსე იყო პირველი მკვლევარი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის საკითხს შეეხო და იგი გამოაცხადა რუსთაველის კუთვნილებად („ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“). ამით დიდმა სწავლულმა საფუძველი ჩაუყარა პოემის ფაბულის ორიგინალობის ფაქტორს და შთამომავალთ მისცა მაგალითი, თუ როგორ უნდა გაეაზრებინათ „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“. მეფე-კომენტატორი წინასწარ გრძნობდა: პროლოგისეული ეს გამონათქვამი მომავალშიც დააბნე-

1. **შოთა რუსთაველი**, „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წლისა, აღდგენილი **აკაკი შანიძის** მიერ, თბ., 1937, გვ. სჟე-სჟვ

ვდა „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულთ. თავისი „თარგმანით“ ანუ კომენტარით სურდა არა მხოლოდ მის თანამედროვეთ, არამედ შთამომავლობასაც სწორად გაეგოთ მისი არსი, არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ პირდაპირი წაკითხვით და მისი შინაარსის პირდაპირი გაგებით, არამედ ღრმად ჩაწვდომოდნენ გამოთქმულის ნამდვილ საიდუმლოს.

საკითხთან დაკავშირებით ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ვახტანგ მეექვსემდე „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმომავლობას შეხებია არჩილ ბაგრატიონი და იგი დაუგულვებია „სპარსთა ნაჭორ ამბად“. არჩილის ეპიკურ ძეგლში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ერთგან ნათქვამია:

ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთველსა, ენა რიტორსა, მეფეს ალვისა ნამორსა,
ერთმანეთს რად ვაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა,
სრულად იტყვიან უკლებლად ამბავსა, სპარსთა ნაჭორსა“.[1]

საცილობელი არ უნდა იყოს, რომ არჩილი გამოთქმაში „ამბავსა, სპარსთა ნაჭორსა“ გულისხმობს სპარსულ თხზულებას, ფანტაზიით გამონაგონ ფაბულასა და პერსონაჟებზე აგებულს. არჩილისთვის, როგორც „მართლის თქმის“ პრინციპის დამამკვიდრებლისთვის, ამგვარი ნაწარმოებები მიუღებელია და, აქედან გამომდინარე, პოეტი გაბედულად შედის რუსთაველთან პოლემიკაში.

ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობის მტკიცებასთან დაკავშირებით ვახტანგ მეექვსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მეცხრამეტე საუკუნეში გამოუჩნდნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. მხედველობაში გვაქვს ქართველი და უცხოელი მკვლევარნი თუ პოემით დაინტერესებული პირნი. ამან არანაკლებ ცხოველმყოფელი ხასიათი მიიღო მეოცე საუკუნეშიც.

პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი ჯერ კიდევ 1827 წელს გამოეხმაურა ვახტანგ მეექვსის კომენტარებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმომავლობასთან დაკავშირებით. მის მიერ გამოთქმული შეხედულების ქვეტექსტში იგრძნობა მისივე მხარდაჭერა ვახტანგის პოზიციისადმი, რომ პოემის ფაბულა ორიგინალურია და იგი არ არის სპარსულიდან ნასესხები. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაზე საუბრისას ნიკო ჩუბინაშვილი წერდა: „ვახტანგის სიტყვით, თუმცა ავტორი (რუსთაველი – ტ.მ.) ირწმუნება, რომ თითქოს ესე ამბავი

1. არჩილიანი, I, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. 37

სპარსულიდან თარგმნა, სინამდვილეში იგი მხოლოდ შეთხზულია სპარსულ ყაიდაზე. ასეთი ამბავი ამ ენაზე სრულებით არ არსებობს, რაშიც იგი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, როდესაც დიდხანს ცხოვრობდა სპარსეთში და თარგმნიდა მრავალ წიგნს".[1]

მარი ბროსე 1828 წელს თავის წერილში „ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა" შენიშნავდა: „შოთა რუსთველი, ამ სპარსული ამბის ავტორი, მის ანდერძებსაც კი გვამცნობს". თუმცა ამ აზრს იგი ბოლომდე არ შერჩენია. პოემაში გადმოცემული ამბები ალეგორიულ თხრობად, ხოლო უცხოელი გმირები ქართველ მამულიშვილებად აღიარა. როგორც შენიშნულია, მარი ბროსე, ამასთანავე, არა მხოლოდ ზოგადად აცხადებდა პოემას ქართულ ნაწარმოებად, არამედ მასში მოთხრობილი ამბის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებას ლამობდა.[2] ახლა კი გავეცნოთ თუ რას წერს მარი ბროსე „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის პეტერბურგის გამოცემის წინასიტყვაობაში: „თუმცა მოიხსენებს რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი" პირველ იყო სპარსულად „მარგალიტი ხელის-ხელ საგოგმანები", მაგრამ ნათლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათვის".[3]

ერთი სიტყვით, მარი ბროსეს როგორც პოემა, ისე მისი ფაბულაც ორიგინალურად მიაჩნია და უარყოფს მასზე სპარსულ-არაბულ გავლენას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფრანგი ქართველოლოგი „ვეფხისტყაოსანზე მსჯელობისას, საერთოდ, განიცდის ვახტანგ მეექვსის და თეიმურაზ ბაგრატიონის გავლენას. იგი ჯერ კიდევ 1831 წელს ამბობდა: ტარიელის მოთხრობა გარეგნულად ინდური ამბავია, ჩანს პოემის ყველა სახელი სპარსულია, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი არსებითად ქართულიაო.

პოლონელი მწერალი და მთარგმნელი კ. რდულტოვსკი 1830 წელს ისეთ აზრს ავითარებდა, თითქოს „ვეფხისტყაოსანში" მოთრობილი ამბები სპარსულ ენაზე არსებობდა პროზად, მას იცნობდა თამარ მეფე, რუსთაველსაც გააცნო იგი და მოითხოვა მისი გალექსვა. თუმცა რა წყაროზე დაყრდნობით ამბობს ამას, უცნობია: „რუსთველის მიერ დაწერილ პოემას ეწოდება „ვეფხისტყაოსანი". ეს ნაწარმოები რუსთაველმა დაწერა თამარის მოთხოვნით. თამარმა იგი წაიკითხა სპარსულად, პროზად დაწერილი და ინება

1. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 188
2. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 421
3. „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის პეტერბურგის გამოცემის წინასიტყვაობა

მშობლიურ ენაზე ეხილა ლექსად გარდათქმული".[1]

როგორც ჩანს, თანამემამულის ნათქვამს იმეორებს 1833 წელს პოლონელი მ. ხოძკო თავის წერილში „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი". ხოძკოს მიხედვითაც, „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველმა სპარსულიდან ქართულად გადმოლექსაო თამარ მეფის სურვილით, რომელსაც ის წაკითხული ჰქონდა სპარსულად პროზაული სახით.[2]

გ. იმედაშვილი თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ 1843 წელს პეტერბურგში შესრულებულ ნაშრომს „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა" ხელნაწერში გაეცნო (მოგვიანებით გამოაქვეყნა კიდეც). იგი შენიშნავს: „თეიმურაზ ბაგრატიონი ავითარებს ვახტანგის დებულებას ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ. მისი აზრით, ეს ნიგნი „ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს შეწყობილი, ხოლო მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი, ჩვეულება, გინა ზნეობა (გვ. 197-198). ვეფხისტყაოსანი „ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობითა, ჩვეულებითა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა" (გვ. 198).[3]

მეცხრამეტე საუკუნეში დავით ჩუბინაშვილი იყო „ვეფხისტყაოსნის" და მისი ავტორის ერთ-ერთი დიდი ჭირისუფალი და დამფასებელი: ამჯერად ჩვენ ყურადღებას იქცევს მისი ნარკვევი „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც რუსულ ენაზე 1842 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში. მასში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებულია პოემის ფაბულის წარმომავლობის საკითხი. გავეცნოთ მისი ნაშრომიდან რამდენიმე ნაწყვეტს: „ზოგიერთს მიაჩნდა, თითქოს „ვეფხისტყაოსნის" მთავარი შინაარსი – ტარიელის ისტორია შეთხზულია არა რუსთაველის მიერ, არამედ ნასესხებია აღმოსავლეთიდან, თარგმნილია არაბულიდან თუ სპარსულიდან. თვით რუსთაველი ამბობს, რომ „ტარიელი", მისი გამოთქმით, ეს იდუმალი მარგალიტი, მან სპარსეთში იპოვა, მიიჩნია იგი უჩვეულო ფასის მქონედ, ჩამოაცილა სპარსული საბურველი და დაამუშავა თავისი ხალხის გემოვნების მიხედვით". ავტორი არ აკონკრეტებს თუ ვინ არის ის „ზოგიერთი", რომელსაც

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 56

2. **მ. ხოძკო**, ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, ჟურნ. „ტელესკოპი", მოსკოვი, 1833, გვ. 61-70; იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 11

3. შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა გვ. 18

ზემოთ თქმული ასე მიაჩნდა. სწორედ ამისთვის საყურადღებოდ განაგრძობს: „ძნელი არაა იმის დანახვა, რომ რუსთაველს სურდა ფასი მოემატებინა თავისი პოემისათვის. შევნიშნავთ, რომ ტარიელის ისტორია არ იპოვება არც ინდოეთში, არც სპარსეთში... უარვყოფთ რა ამ პოემის სესხებას აღმოსავლელ მწერალთაგან, შეიძლება დავეთანხმოთ, რომ იგი შედგენილია აღმოსავლური ნიმუშების მიხედვით. გმირთა სახელების უმრავლესობას ეძებნებათ მნიშვნელობა სპარსულ და არაბულ ენაზე. მაგალითად, როსტევანი, სარიდანი, რამაზი, ფატმანი, ფრიდონი და სხვა, მაგრამ მთავარი გმირების სახელები – ტარიელი, ავთანდილი, თინათინი – ქართულია“... დავით ჩუბინაშვილის მტკიცე დასკვნით: „რუსთაველს არ უსესხია თავისი პოემის სიუჟეტი აღმოსავლური პოეტებისაგან. იგი შექმნილია მის მიერ და გამიზნულია დიდი თამარის საქებრად.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე გამოცემის წინასიტყვაობაში ლაპჩინსკი საუბრობს ფირდოუსის გავლენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსზე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ბერძნული ლიტერატურის გავლენაზეც.[2] 1870 წელს გამოქვეყნებულ პლატონ იოსელიანის წერილში „შოთა რუსთველი“ „ვეფხისტყაოსნის“ წყაროებად დასახულია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნი, სახარება ოთხთავი, ბასილი დიდის თხზულებანი, პირველად არის წამოჭრილი საკითხი რუსთაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონური ნაკადის თაობაზე. პლატონ იოსელიანი აქვე აფიქსირებს თავის პოზიციას პოემის ფაბულის წარმომავლობის შესახებ. მისი მტკიცებით „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი არაბული წარმოშობისაა. სიუჟეტთან ერთად რუსთაველ პოეტური აპარატი არაბული ლიტერატურულლი სამყაროდან აქვსო შეთვისებული, პოემის სათაური სპარსულიაო. ამას ლაპარაკობს „შაჰ-ნამეზე“ დაყრდნობით: ხოსროს დროინდელი სპარსელები ვეფხვის ტყავს იცვამდნენო.[3]

1872 წელს ნ. ბოჩაროვი („ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნეში“) პლატონ იოსელიანისგან განსხვავებით იმათ აზრს იზიარებს, ვისაც პოემის სიუჟეტი თუ ფაბულა რუსთაველის კუთვნილებად მიაჩნია: „რუსთაველის კლასიკური ნაწარმოებია პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც პოეტი განზრახ სპარსულიდან თარგმნილად აცხადებს, მაგრამ სინამდ-

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 198
2. ჟურ. „ცისკარი“, 1870, ივნისი, გვ. 257-289
3. პლ. იოსელიანი, შოთა რუსთაველი (1174-1212), გაზ. „კავკაზი“, 1870, 30 ივნისი, გვ. 2-4; ეს ნაშრომი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა

ვილეში ორიგინალურია, სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია. პოემას „ვეფხისტყაონი“ იმიტომ უწოდა, რომ მისთვის სპარსული ელფერი მიეცა. „შაჰ-ნამედან“ ცნობილია, რომ ძველი სპარსელები ხოსაროს მეფობამდე ვეფხვის ტყავით იმოსებოდნენ“.[1]

სანკტ-პეტერბურგში 1872 წელს ქვეყნდება ვინმე ნ.ბ-ს (ალბათ, ნიკო ბერძენოვი?) სტატია „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“. აქ გატარებულია აზრი, რომ რუსთველმა თავის პოემას განგებ უწოდა სპარსულიდან თარგმნილი. იგი წარმოადგენსო ქართული სინამდვილის ანარეკლს. ავტორი იმეორებს სხვათა ნათქვამს პოემის სათაურთან დაკავშირებით, რომ ძველი სპარსელები ვეფხვის ტყავს იცვამდნენო.[2]

ვ. ზოტოვიც მხედველობიდან არ უშვებს პოემის ფაბულის წარმოშობილობას. იგი ფაქტიურად იმეორებს ზემოთ ციტირებულ მასალებს იმის თაობაზე, რომ რუსთაველმა განგებ უწოდა თხზულებას სპარსულიდან თარგმნილი. სინამდვილეში იგი ორიგინალური ქართული თხზულებაა. „შაჰ-ნამეს“ გმირის მსგავსად მთავარ გმირს ვეფხისტყაოსანი დაარქვაო.[3]

საინტერესოდ შენიშნავს უკრაინელი ნ. გულაკი 1884 წელს („რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“): „სპარსული ლიტერატურის, მცოდნეთა ძიების მიუხედავად, პოემის სპარსული პროტოტიპი მიკვლეული არ არის, ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ ეს პოეტის სატყუარაა“.[4] იგი იქვე განაგრძობს: „ფათერაკები, გმირებს რომ თავს გადახდებათ ინდოეთში, გულანშაროში, ქაჯთა მიწაზე „აღებული უნდა იყოს „ათას ერთი ღამის“ მსგავსი სპარსული ამბიდან“.[5]

1884 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა არტურ ზუტნერის წერილი „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ იმავე წელს, ასევე, გაზეთ „დროებაში“. წერილში ვკითხულობთ: „რუთაველი თავის პოემაში ამბობს, რომ იგი სპარსულ ლეგენდას ემყარება. ამან „ვეფხისტყაოსნის“ არა კეთილმოსურნეთა შორის, შეიძლება დაბადოს ეჭვი, რომელიც რამდენიმე სიტყვით ასე გამოითქმის:

---

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 215
2. ნ.ბ. ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე. ილუსტრირებული გაზეთი სანკტ-პეტერბურგი, 1872, ივლისი, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 54
3. **ვ. ზოტოვი**, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, I, პეტერბ-მოსკოვი, 1877, გვ. 393-394
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 141
5. იქვე, გვ. 145

რუსთაველის პოემა არ წარმოადგენს არც ორიგინალურ და არც ეროვნულ ნაწარმოებს. ვფიქრობ, რომ ჩალის ფასი აქვს საკითხის ასე დასმას. პირველი საყვედურის, საპასუხოდ უნდა განვაცხადო: „რუსთაველის დიდებას ვერაფერს დააკლებს ის გარემოება, რომ მან, შესაძლოა, ისარგებლა ადრე არსებული ლეგენდით“.[1]

1885 წელს ზაქარია ჭიჭინაძე ალაპარაკდა „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსის გავლენის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსზე: „ვინც ამ რომანს („ამირანდარეჯანიანი“ – ტ. მ.) წაიკითხავს, იმას ცხადად გაახსენდება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს ერთობ დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსზე“.[2]

რ. ალისუბნელი (რაჟდენ ჩიკვაიძე) „ვისრამიანის“ გავლენის კვალს ხედავს „ვეფხისტყაოსანში“. იგი რუსთაველის პოემის თარგმნილად მიჩნევას სირეგვნეს უწოდებს. აქამდე გადაწყვეტილი არ არის საკითხი – „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია თუ ნათარგმნი.[3] ე. ვეიდენბაუმის მიხედვით „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად ჩანს ქრისტიანობის და ბერძნული განათლების გავლენა. სწორედ ეს აძლევს ავტორს იმის მტკიცების საშუალებას, რომ შეუძლებელია ეს ყველაფერი სპარსულ ორიგინალში ყოფილიყო.[4] გამომდინარე აქედან, მას პოემის ფაბულა სპარსულიდან ნასესხებად არ მიაჩნია.

ი. ჯაბადარის (ნ.დ.) ე.წ. ნაწერში „წერილი საქართველოზე“ ბორძიკობს აზრი, რომ რუსთაველის პოემა არ არის ორიგინალური ნაწარმოები, ის უნიჭო მიბაძვაა სპარსული ლიტერატურული ძეგლებისა მხედველობაშია მიღებული ნიზამი განჯელის ლეილა-ჯნუნიანი, ფახრ უდდინ გურგნის „ვის ო რამინ“ და ფორდოუსის „შეჰ-ნამე“.[5] სამწუხარო ფაქტია, მაგრამ იმის დაფიქსირებას ვერ გავექცევით თუ როგორ გამოექომაგა ჩვენი დიდი ნიკო ნიკოლაძე ნარდონის ანუ ივანე ჯაბადარის ნაბოდვარს. მისი თვალსაზრისით, ქართველმა ინტელიგენციამ უმართებულოდ აქცია ნარდონის (ჯაბადარის) შეხედულება იმის შესახებ, თითქოს რუსთველმა

1. **ა. ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, გაზ. „კავკაზი“, 1884, ნოემბერ-დეკემბერი; ჟურ. „ივერია“ 1884, № XI-XII; გაზ. „დროება“, 1884, ნოემბერ-დეკემბერი; რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 154-173, ციტატა მოგვაქვს ამ უკანასნელი წიგნიდან
2. **ზ. ჭიჭინაძე**, ამირან დარეჯანიანი, გაზ. „დროება“ 1885, 30 ივლისი
3. ჟურ. „თეატრი“, 1885, №9
4. **ვ. აიდენბაუმი**, მოგზაურობა კავკასიაში, ტფ. 1888
5. იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 149-150

თავისი თხზულების შინაარსი სპარსულიდან ისესხა. ნ. ნიკოლაძე თვლის, თითქოს საკითხი სწორად არაა დასმული და გაგებული. სესხება ლიტერატურაში არაფერს ნიშნავს, გოეთემ, შექსპირმა, ჰიუგომ თავიანთი თხზულებების შინაარსები ისესხეს, მაგრამ ამით მათი ღირსება არ მცირდება და ქართველი საზოგადოება ამითვის არ უნდა ეკამათებოდეს და უწყრებოდეს ნარდონს".[1]

1889 წელს ქუთაისში დაბეჭდილ ერთ-ერთ კრებულში მოთავსებულია პ. კვიცარიძის წერილი „ქართული ალექსანდრიანი", სადაც ავტორი იზიარებს, რუსთაველის თხზულების ფაბულის სპარსულ წარმომავლობას. „შოთას ლექსი „ესე ამბავი სპარსული"... პირნმინდად მისაღებია. ნუთუ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს სრულიად არ ამცირებს პოეტს, პირიქით, ამაღლებს კიდეც. ის ფაქტი, რომ ხალხურ ზეპირ გადმოცემებზე დაუმყარებიათ თავისი გენიალური ნაწარმოები. შექსპირის დრამები, გეტეს ფაუსტი და სხვები სულ ეგრე არიან აგებული ხალხურ თქმულებებზე. სარგის თმოგველის „ვისრამიანს" შეგვიძლია თარგმანი ვუწოდოთ იმდენათ, რამდენადაც „ვეფხისტყაოსანს".[2]

ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ დაიცვა ივ. ჯაბადარის პოზიციები ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა კი, პირიქით, კრიტიკის ალში გაატარა იგი. მან თავის წერილში „ნიზამი და რუსთველი", მკაცრად გააკრიტიკა ივ. ჯაბადარი ქართული მწერლობის სპარსულის უბრალო მიბაძვის აღიარების გამო, ასევე, „ვეფხისტყაოსნის" ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანის" გადაკეთებად მიჩნევის უსაფუძვლობის გამო. გ. წერეთელი შენიშნავს: ორივე ნაწარმოების ერთმანეთთან შედარებისას ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსანი" შეუძლებელია „ლეილმაჯნუნიანის" გადაკეთებას წარმოადგენდეს".[3]

ივ. ჯაბადარის წინააღმდეგ გაილაშქრა იაკობ გოგებაშვილმა 1890 წელს, საერთოდ, საქართველოს დამამცირებელი წერილების გამოქვეყნების გამო, ასევე, მკაცრად ამხილა იგი „ვეფხისტყაოსნის" სპარსულიდან გადმოკეთებულ თხზულებად შერაცხვისათვის.[4]

1890 წელს გაზეთ „თეატრში" ქვეყნდება ნიკო მარის „წერილი „ვეფხისტყაოსნის" გამო". ეს იყო, საერთოდ, პირველი წერილი ამ დიდი მეცნიერისა „ვეფხისტყაოსანზე". დასაწყისშივე გაკრი-

1. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1889, 2 ნოემბერი

2. პ. კვიცარიძე, ალექსანდრიანი, კრებული ც.დ.ა. ქუთაისი, 1889, №1

3. გ.წერეთელი, ნიზამი და რუსთაველი, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1890, 9 იანვარი

4. იაკობ სვიმონიძე (გოგებაშვილი), ძირითადი უკუღმართობა, გაზ. „იერია", 1890, 20 მაისი

ტიკბულია ალ. ხახანაშვილის მიერ 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატია „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და „ვეფხისტყაოსანი“. ნიკო მარი არ იზიარებს ალ. ხახანაშვილის შეხედულებებს რუსთაველის პოემაში მოთხრობილი ამბების ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობის შესახებ: „ტარიელის ამბავი რომ ხალხში დადის, ეს კიდევ არაფერს არ მოასწავებს, რადგან ქართველებში სხვათა შორის ფირდოუსის „შაჰ-ნამედანაც“ ბევრს ამბავს გაიგონებთ. მაგრამ ყველა ეს ხალხში მწერლობიდგან არის გადასული... ამის გარდა სხვა-და-სხვა კუთხეში ერთი და იმავე თხზულებას, შეუძლია სხვა-და-სხვა ცვლილება მიიღოს ხალხის გადაცემაში და ამგვარად წარმომდგარა ეგრეთ წოდებული ხალხური ვარიანტები რომელიმე თხზულებისა“.[1]

როგორც ჩანს, ა. ხახანაშვილის კრიტიკა „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსის ხალხურიდან წარმომავლობის შესახებ, ნ. მარს ერთგვარ საბაბად დასჭირდა, რათა მთავარ სათქმელამდე მისულიყო რუსთაველის თხზულების ფაბულის სპარსულიდან მომდინარეობის დასამტკიცებლად. დიდი მეცნიერი სვამს კითხვას: „ვისი ქმნილება უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“, ერის თუ რუსთაველის – უნდილად არის აღძრული. თვალ-საჩინო კითხვა აქ ეხება თვით შინაარსს. თუ ასეა, ჯერ ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდგან არ არის გადათარგმნილი? ან ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრითაც, ვინ დაგვიმტკიცა იმდენად, რომ ეხლა მის მეტი საეჭვო და საძიებელი არა დაგვრჩენოდეს-რა“.[2]

ამის შემდეგ ნიკო მარი გვიმხელს მთავარ სათქმელს: „რავდენად სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მაძლევს, მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდგან ნათარგმნი ამბავი უნდა გაელექსოს, რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ“.

ნიკო მარს სპარსულ დდანთა შორის „ლეილმაკნუნიანი“ არ ეგულება. სპარსული დედნის ძიებითა და პოვნით იმედმოცემული მეცნიერი დარწმუნებულია, რომ სპარსულ დედანში ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს მოთხრობილი. „ტარიელი“ მას ესახება გადმოქართულებული სპარსელი კაცის სახელად – „შაჰრიერი“, რაც ნიშნავსო ხელმწიფეს. ნესტან-დარეჯანიც

1. ნ. მარი, წერილი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამო, გაზ. „თეატრი“, 1890, №12
2. იქვე

სპარსელი ქალის სახელად დაუგულვებია. სპარსულად ითქმისო – „ნესტან-დარიჯეჰან და გულისხმობს: „არ არის ქვეყანაზე, ანუ ქვეყანაზე არ არის მისი მსგავსი, ე.ი. უებრო.

დიდად დაიმედებული ნიკო მარი ელოდა თურმე ცნობებს ლონდონში, ბრიტანულ მუზეუმში შენახულ ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც შეიცავსო კატალოგის მიხედვით „შაჰრიერ-ნამეს". მოვუსმინოთ დიდ მეცნიერს: „ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ლონდონში და იქნება თვით „ვეფხის-ტყაოსნის" დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან ჩანს, „შაჰრიერ-ნამეს", ე.ი. წიგნს შაჰრიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა, ბრიტანული მუზეუმის „შაჰრიერ-ნამე" რომ სხვა რამე აღმოჩნდეს და არა ქართული „ვეფხის-ტყაოსანი", სხვა „შაჰრიერ-ნამეთა" მოპოვება და გასინჯვა იქნება რუსთაველის ნაწერთა მკვლევარის პირველი ვალდებულება, როცა სიტყვა შინაარსის სადაურობაზე ჩამოვარდება".

1895 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ წერილში ნიკო მარი შენიშნავდა: რადგან „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის სპარსული დედანი არ არსებობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობდა. ისევე როგორც ვახტანგ მეექვსე ცდილობდაო დაემტკიცებინა „ვეფხისტყაოსნის" ქართულობა და მისი სპარსეთში არ არსებობა მხოლოდ იმ საბუთით, რომ ის სპარსეთში ცნობილი არ არისო".[1]

ნიკო მარი 1898 წელს დაბეჭდილ წერილში, სადაც ის ეკამათება აკაკი წერეთელს, კვლავ ადასტურებს: განა არ უნდა გამოვარკვიოთ, რომ ცნობილი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" სპარსული ორიგინალიდან მომდინარეობს, რომ შოთამ სპარსული რომანის პროზაული თარგმანიდან შექმნა პოემა.[2] მეცნიერი მომდევნო წლებშიც არ ცელის პოზიციას. 1899 წელს აცხადებდა, რომ არსებობდა „ვეფხისტყაოსნის" ჩვენამდე მოუღწეველი პროზაული თხზულება, რომელიც რუსთაველმა გამოიყენაო.[3]

ილია ჭავჭავაძემ თავის განუმეორებელ პუბლიცისტურ წერილში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" სასტიკად დაგმო და გაკიცხა ნიკო მარის შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის წარმომავლობის შესახებ, პოემის სპარსულიდან თარგმნილობის თაობაზე.[4]

---

1. ЖМНП პეტერბურგი, 1895, ივნისი
2. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე.", 1898, 31 მარტი
3. ЖМНП, 1899, XII, გვ. 223-232
4. ი. ჭავჭავაძე, სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი, გაზ. „ივერია", 1899, 25 მარტი

გაზეთ „ივერიაში" 1895 წელს ს. პავლიაშვილი თავის სტ
ტიაში შეეხო ნიკო მარის განცხადებას იმის გამო, რომ „ვეფხ
ტყაოსნის" ორიგინალი სპარსულ ენაზე ბრიტანეთის მუზეუ
მოიპოვებაო, ასევე სწადია „ამირანდარეჯანიანში" სპარსუ
წყაროს აღმოჩენა და დამტკიცება. აქვე ავტორი შენიშნავს: ნ
მარის წერილში საბუთების ნაცვლად წინასწარ აღებული აზრ
გამოყენებული ჩვენი ეროვნული მწერლობის დასაკნინებლ
რომ პატკანოვის მოადგილეს ჩვენი წარსულის დაწიხლვა
დერძად დარჩენია.[1] ასე რომ, ნიკო მარის თვალსაზრისი „
ფხისტყაოსნის" ფაბულის სპარსული წარმომავლობის თაობა
იმთავითვე მოექცა კრიტიკის ობიექტში. ჯერ კიდევ XIX საუკუ
დასასრულისთვის, რამაც მასშტაბური სახე მიიღო XX საუკუნე
1898 წელს გაზეთ „ივერიაში" იბეჭდება წერილი „პრივატდოცენ
მარი და მისი სამეცნიერო მეთოდი (ავტორი „მე გახლავარ") ჩ
რილის მიზანია ნიკო მარის მოსაზრებათა უგულებელყოფა, მი
მტკიცებულებების საწინააღმდეგო აზრის დაფიქსირება. ავტორ
მიხედვით, მარის მიზანია დაამტკიცოს, რომ თითქოს „ვეფხი
ტყაოსნის" დედანი სპარსულია, რომელიც თურმე ბრიტანეთ
მუზეუმში ეგულება. ბევრ კომპეტენტურ სწავლულს უთქვა
რომ „ვეფხისტყაოსანი" სპარსულიდან არ არის ნათარგმნი,
გრამ მარი საწინააღმდეგოს გაიძახისო.[2]

1890 წელს გაზეთ „თეატრში" გამოქვეყნებული ნიკო მარ
წერილი „ვეფხისტყაოსნის" სპარსულიდან მომდინარეობის შ
სახებ იმთავითვე აუტაცნია მოსკოვის უნივერსიტეტის პროფ
სორს, არქეოლოგსა და ლინგვისტს კ. მილერს, რომელსაც „ეთნ
გრაფიულ მიმოხილვაში" დაუბეჭდავს სტატია. მასში გაუტარებ
აზრი, თითქოს ადვილად შესაძლებელია, რომ „ვეფხისტყაოსან
მართლაც უბრალოდ სპარსულიდან თარგმნილი თხზულება ა
მოჩნდეს, თუმცა მე ქართული ენა არ ვიციო". იმავე 1890 წე
მარისა და მილერის კრიტიკას ვეცნობით გაზეთ „ნოვოე ობოზრ
ნიეში" გამოქვეყნებულ წერილში (ავტორის სახელი და გვა
წარმოდგენილია ინიციალებით „ვ.ვ.").

ამ სტატიის შინაარსის ანოტაციის წესით გადმოცემისას
იმედაშვილი შენიშნავს: „ავტორი დასცინის იმ ყალბ მეცნიერებ
რომელთაც არ იციან რა ენა და ლიტერატურა ხალხისა, ამტკ

1. ს. პავლიაშვილი, ნიკო მარის აზრი „ამირანდარეჯანიანზედ", გაზ. „ი
რია", 1895, 10 ივლისი

2. გაზ. „ივერია", 1898, 16 აპრილი, შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიუ
ლიტერატურა, გვ. 210

ცებენ ამ ენისა და ლიტერატურის განუვითარებლობასა და სიღარიბეს. მესხის პიესის „რუსთაველი"-ს დადგმასთან დაკავშირებით ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის პრობლემისადმი არამკითხე დამოკიდებულებას (როტინიანცის, მილერის, ნარდონის) და აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ორიენტალისტმა მარმა გამოაცხადა, „ვეფხისტყაოსნის" სპარსულ ორიგინალს ვიპოვიო (გაზ. „თეატრი"). ავტორის შენიშვნით, ჯობდა მარს ჯერ ეპოვნა სპარსული დედანი და მერე გაეკეთებინა ასეთი განცხადება."[1]

1892 წელს იონა მეუნარგია („ეგრის" ფსევდონიმით) ბეჭდავს გაზეთ „ივერიაში" სტატიას „რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი" უწერია". ავტორი გვმოძღვრავს და შთაგვაგონებს „ნურვის ჰგონია, ვითომ რუსთველის უკვდავი სახელი შეიძლებოდეს დამდაბლდეს მით, რომ აღმოჩნდეს ის „ამბავი", რომელიც გახდა შონაარსად მისი უკვდავის პოემისა.[2] იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსანში" მოთხრობილი სწორედ ის „ამბავი" სპარსულიდან მომდინარედ მიაჩნია. მას სწამს სიმართლე პოემის პროლოგში გახმოვანებული ტაეპისა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები". იონა მეუნარგიას სრულიად შესაძლებლად ესახება, ერთ-ერთი სპარსული წარმოშობის ზღაპრის საფუძველზე შეთხზულიყო რუსთველის მიერ უკვდავი პოემა. მოწინააღმდეგეთა დასამშვიდებლად მოაქვს მაგალითები დიდი მწერლებიდან, რომლებიც ხშირად ემყარებოდნენ ხალხურ შემოქმედებას, მაგრამ ამას ოდნავადაც არ დაუმცირებია მათი შემოქმედებითი ღირსება.

ამჯერად ჩვენთვის საგულისხმო ის არის, რომ იონა მეუნარგია დასახელებულ სტატიაში „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის ამოსავალ წყაროდ მიიჩნევს სპარსული წარმოშობის „ბარამიანს" ან „ბარამგულიჯანიანს". მისი აზრით, ონანა მდივნის ქობულოვის მიერ გალექსილი „ჩუბინ ბრძენისგან ქირმანეულის" ნათქვამი ბარამიანი სპარსულიდან არის გადმოღებული.

იონა მეუნარგიას მიერ დასახელებული „ონანა მდივნის ქობულოვის" – იგივე ონანა ქობულაშვილია, ვახტანგ მეექვსის თანამედროვე, რომლის ამალასთან ერთად 1724 წელს რუსეთში გადახვეწილა. მას ასტრახანში 1726 წელს გაულექსავს „ბარამგულიჯანიანი". ონანა „ბარამგულიჯანიანისთვის" დართულ ანდერძში ამბობს: „ძემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმან ონანამ

1. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1890, 30 აპრილი, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 155
2. გაზ. „ივერია", 1892, 27 მარტი ,№66

გავლექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბით ნათქვამნი". „ამბით ნათქვამში", ცხადია, თხზულების პროზაული ვერსია იგულისხმება.

ალ. გვახარია (სპარსოლოგი) წერს: „თუ ონანა ქობულაშვილის სიტყვებს დავუჯერებთ, უნდა ვივარაუდოთ პროზაული ტექსტისა და სპარსული დედნის არსებობა. არც ერთი, არც მეორე – ჯერ-ჯერობით არსად ჩანს. ჩუბინ ქირმანელი, როგორც პოეტი, უცნობია სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურისათვის. უარყოფილია ცდა მისი გაიგივებისა ხაკო ქირმანელთან". „ბარამ-გულიჯანიანის" პროზაული ვარიანტის არსებობა ქართულ ენაზე საეჭვოდაა მიჩნეული.[1] ა. გვახარიასაც ეეჭვება, საერთოდ, ჩუბინ ქირმანელის და მისი პოემის არსებობა. იგი თვლის, რომ ლიტერატურულ ფიქციასთან გვქონდეს საქმე.

ამ მოსაზრებათა და ეჭვების გაზიარება გაჭირდება, ვინაიდან ამით უგულებელვყოფთ თვითონ ონანა მდივნის ცნობას: „გავლექსე მათ მიჯნურთა (ბარამისა და გულიჯანის – ტ.მ.) სატრფიალონი ამბით ნათქვამნი". ამით მინიშნებულია უშუალოდ პროზაული ტექსტის არსებობაზე. ჩვენ კი რა უფლებით უარვყოფთ მას. სხვა საკითხია, რომ მისი კვალი გამქრალია სპარსულ და ქართულ ლიტერატურაში. ამდენად, ონანა ქობულაშვილის ნათქვამს სრული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ონანას მიერ გალექსილი „ბარამგულიჯანიანიდან" შემდეგი სიტყვები:

„თქვიან[2]: ბარამ გავს ტარიელს, არს ავთანდილის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მონაგვარია";
„შეიპყრა, სცემდა უწყალოდ, იგივე დაშვრა, დავარდა,
ვახსენოთ ნესტან-დარეჯან, ვითა მას უყო დავარ და".

უპირველესად ყურადღებას იქცევს დამოწმებული ტაეპებიდან ხაზგასმული სიტყვა „თქვიან". გამლექსავი უშუალოდ, პირდაპირ გვამცნობს: თურმე ონანა ქობულაშვილამდე მოძრაობდა აზრი და ამას აფიქსირებდნენ კიდეც – „თქვიან", რომ „ბარამგულიჯანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი წააგავდა ერთმანეთს. აქ, ცხადია, ნაგულისხმევია პროზაული „ბარამგულიჯანიანის" ტექსტი, ვიდრე მას გალექსავდა ონანა მდივანი. ამით ეს უკანასკნელი უშუალოდ ადასტურებს „ბარამგულიჯანიანის" პროზაული ტექსტის მის ხელთ ქონას. სწორედ ამიტომ გააკეთა მასზე აქცენტი იონა მეუნარგიამ, როცა „ვეფხისტყაოსნის" შესაძლო წყაროდ აღნიშნული ნაწარმოები აღიარა. კ. კეკელიძემ პირველთაგანმა

1. დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბ., 1958, გვ. 45
2. ხაზგასმა ჩვენია – ტ.მ.

შენიშნა იონა მეუნარგიას თვალსაზრისი, რასაც გაცნობია გაზეთ „ივერიაში".[1] აღსანიშნავია, რომ შემდეგში იონა მეუნარგიას შეხედულებას მხარი დაუჭირა იუსტინე აბულაძემ.[2]

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ არტურ ლაისტის თვალსაზრისებს „ვეფხისტყაოსნის" კულტურულ მნიშვნელობაზე, სადაც გაკვრით პოემის ფაბულის სესხებაზეც არის მინიშნება. მკითხველს ვთავაზობთ ვრცელ ამონარიდს მისი წერილიდან „ვეფხისტყაოსნის" კულტურული მნიშვნელობა. ავტორი წერს:

„ჩემი აზრით, როდის დაიწერა პოემა ან ვისგან ისესხა რუსთაველმა ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავლის ამბავი, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობა ზნეობრივ, გონებრივს და მხატვრულ ღირსებაში მდგომარეობს. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" შექმნის დროს, საეჭვოა, რომ ასეთი უაღრესად განვითარებული, დახვეწილი ენით დაწერილი და უმაღლესი კულტურული ცხოვრების ამსახველი პოემა თამარ მეფის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ შექმნილიყო, იმ დროს, როცა ქართველი ხალხი და მისი კულტურა დაცემული იყო. ჩვენ არ გვაინტერესებს, – განაგრძობს არტურ ლაისტი, – „ვეფხისტყაოსნის" ამბავი. უნდა ვიფიქროთ, ასეთი იყო თვით რუსთველის დამოკიდებულება პოემის ამ მხარისადმი. რუსთველისათვის ფაბულას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამბავი მისთვის მხოლოდ ქარგა იყო, რომელშიც ავტორს შეეძლო ჩაექსოვა თავისი აზრები და შეხედულებანი... და სხვებმა თქვან, თითქოს თამარი უყვარდა და მხოლოდ მისმა სიყვარულმა დააწერინა „ვეფხისტყაოსანიო". მე ამ აზრს არ ვიზიარებ და ამ პოემაში უფრო ამაღლებულ აზრს ვხედავ".[3]

მეცხრამეტე საუკუნის 80-90 -იან წლებში გააქტიურდა მსჯელობანი და მტკიცებულებანი, რომ „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის წყარო სპარსულ ლიტერატურაში კი არ ვეძიოთ, არამედ იგი ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვებაო, ხალხური „ტარიელიანი" დაედო საფუძვლად რუსთაველის პოემის შექმნასო (ეს აზრი მეოცე საუკუნეშიც განვითარდა). ამ მიმართულებით საუბარს დავიწყებთ ალექსანდრე ნანეიშვილის წერილით „ვეფხისტყაოსანი" და ზეპირ-სიტყვიერება", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში"

1. **კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 417
2. **იუსტ. აბულაძე**, რუსთაველი და მისი ვეფხის ტყაოსანი, შესავალი წიგნისა: **შოთა რუსთაველი**, ვეფხის ტყაოსანი, **ი. აბულაძის** რედაქტორობით, ტფ. 1914
3. **ა. ლაისტი**, „ვეფხისტყაოსნის" კულტურული მნიშვნელობა, წიგნში: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 149

1888 წელს. გავეცნოთ ვრცელ ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა მეტად საგულისხმო გარემოებამ, რომ რუსთველის ლექსები თვით ხალხის პოეზიას შეუთვისებია, შეუხორცებია, რაც იმის საწყაოა, თუ რამდენად მაღალი და ძლიერი იყო რუსთველის ნიჭი, თავისებური კილო დაუჩნევია, გადაუსხვაფერებია და ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც ხალხში „ვეფხისტყაოსანი" ზეპირ-გადმოცემით ტრიალებდა და არსებობდა. ის ნაწყვეტები, რომელიც დღემდის დაბეჭდილი იყო, ნებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ხალხში არსებობს მთელი „ვეფხისტყაოსანი" და შესაძლოა აღვადგინოთ იგი". ამ ვითარების ღრმად გაცნობიერებამ ალ. ნანეიშვილი მიიყვანა იმის შეგნებამდე, რომ „შესაძლოა ის აზრიც დაჰბადოს, რუსთველის წინადაც არსებობდა ხალხში ლექსად ან ამბად „ვეფხისტყაოსანი" და მხოლოდ რუსთველმა შეჰკრიბა, გაალაზათიანა და გააშალაშინა ხალხის გარდამონაცემი, მაგრამ ის უფრო საფიქრებელია, რომ რუსთაველის ნაწერი გავრცელდა და ჩაინერგა ხალხის გულში".[1]

როგორც ვნახეთ, ალ. ნანეიშვილმა ორი შესაძლებლობა დაუშვა: „ვეფხისტყაოსნის" ხალხში გავრცელება და შესისხლხორცება ან ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან რუსთაველის პოემის წარმოშობა. თუმცა ბოლოს მაინც სწორ და მართებულ შეხედულებაზე შეჩერდა: „ვეფხისტყაოსანი" გავრცელდა და ჩაინერგა ხალხის გულში.

ალ ნანეიშვილის წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ იბეჭდება ალ. ხახანაშვილის „მგზავრის დღიურიდამ", სადაც გატარებულია აზრი და სურვილი: იქნებ ხალხურმა „ვეფხისტყაოსანმა" გადაწყვიტოს აქამდის გაუთავებელი ბაასი, საიდგან არის აღებული შინაარსი ამ ძვირფასის ნაშთისა".[2] აქვე ა. ხახანაშვილი მკითხველს აცნობს ცალკეულ ვარიანტებს, რომელიც უმთავრესად ლექსებისგან შედგება. მათში არეკლილი თუ ასახულია პოემის ცალკეული მოტივები ტარიელთან, ნესტან-დარეჯანთან და ავთანდილთან დაკავშირებით. ყოველივე ამას იგი ამბობს საგურამოსთან ახლოს (ბიწმენდში) გლეხის ივანე (ფოთოლა) ბეკორაშვილისგან მოსმენილი „ვეფხისტყაოსნის" საინტერესო ხალხური ვარიანტის საფუძველზე.

ალ. ნანეიშვილსა და ალ. ხახანაშვილზე ადრე დავით ხიზანიშვილი გაზეთ „ივერიაში" აქვეყნებს წერილს „ხალხური „ვეფხისტყაოსანი".

1. **ალ. ნანეიშვილი**, „ვეფხისტყაოსანი" და ზეპირ-სიტყვიერება, გაზ. „ივერია", 1888, №52, 11მარტი

2. **ალ. ნანეიშვილი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი", გაზ. „ივერია", 1888, 28 თებერვალი

აქ იგი საუბრობს ხალხურ ვარიანტზე „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მოუსმენია და ჩაუნერია სოფელ არტაანში.[1] იმავე 1888 წლის ნოემბერში ქვეყნდება გაზეთ „ივერიაში“ დ. ხიზანიშვილის „ზღაპარი ტარიელისა ანუ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“.[2] ავტორი მკითხველს აუწყებს, რომ ეს ზღაპარი გაგონილი აქვს თიანეთის მაზრაში, კერძოდ, სოფელ არტაანში მცხოვრებ ვინმე პაპუაშვილისაგან. ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევ თხრობას. იგი გაჯერებულია „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებით, გამსჭვალულია ქრისტიანული სულისკვეთებით.

1888 წელსვე გაზ. „ივერიაში“ იბეჭდება ს. მაჭავარიანის „ხალხური „ვეფხისტყაოსანი“.[3] პოემის ერთი ეპიზოდის ხალხური ვერსია მას ჩაუწერია ქსნის ხეობაში. ტექსტი შემცველია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ეპიზოდის გამოხატულებისა:

„ერთი ვინმე მოყმე ვნახე
მომტირალი წყლისა პირსა...
გულის სატფრო დაჰკარგვოდა,
დანა არ უხსნიდა პირსა“.

1890 წელს ერთობ გააქტიურებულია „ტარიელიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. სწორედ ამ გაზეთში, ამავე წლის 11 იანვრის ნომერში თედო სახოკია ბეჭდავს წერილს „ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“.[4] ტარიელის ზღაპარში მოთხრობილი ამბავი გადმოცემულია ლექსნარევი პროზით. პროზასა და ლექსებში იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული მოტივები და თემები.[5]

თ. სახოკიას მიერ ქართლში გაგონილი „ტარიელის ზღაპრის“ მიხედვით, ტარიელის მხრიდან მეფის სასიძოს მოკვლის ამბავი ასეა გადმოცემული:

„ტარიელ დავსვი ვეზირად,
სიტყვა შენ დაგაბჭობინე.
გინდოდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?

---

1. **დ. ხიზანიშვილი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1888, 28 თებერვალი
2. **დ. ხიზანიშვილი**, ზღაპარი ტარიელისა ანუ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1988, 2-3 ნოემბერი
3. **ს. მაჭავარიანი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1888, 8 მარტი
4. **თ. სახოკია**, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1890, 11 იანვ.
5. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 157-158

ხორასანთ მეფისა სისხლი
კარზე რად მომაღებინე,
შვიდის წლის უძრავი ხმალი
სისხლში რად გამარევინე.
არც შენ მოგცემ და არც მაგას,
ორივ ხელს აგაღებინებთ".

1890 წელს ყურადღების ცენტრში მოექცა გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი ა. ხახანაშვილის ნაშრომი „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას „ვეფხისტყაოსანი".[1] სტატიიდან ირკვევა, რომ ავტორს იმხანად ხელთ ჰქონია ხალხური „ვეფხისტყაოსნის" ხუთი ვარიანტი. ამ ვარიანტების გაცნობის საფუძელზე იგი მკითხველს აუწყებს: „ამ ხანად არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას, რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის". ხალხური „ტარიელიანისა" და „ვაეფხისტყაოსნის" შედარებითი ანალიზისას ა. ხახანაშვილი მიდის დასკვნამდე, რომ უცილობლად რუსთაველის პოემის საფუძველი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებაა. ხალხურსა და ლიტერატურულს შორის ბევრ საერთოობას ხედავს „ვეფხისტყაოსნის" „ფორმალური შემუშავების" გარდა. ავტორი გვარწმუნებს პოემის ძირითადი ნასკვის სქემის ერთნაირობაში „ტარიელიანსა" და „ვაეფხისტყაოსანს" შორის.

ა. ხახანაშვილი სვამს კითხვას: „შოთას პოემამ იმოქმედა ერის მეხსიერებაზედ და გვასწავლა, როგორც ერისგანვე შედგენილი მოთხრობა, თუ საერთოდ გაერცელებულმა „ვეფხისტყაოსანმა" მისცა მასალა პოეტს, ტარიელის ამბვაი სალიტერატურო ხელოვნებით აგებულ ნაწერად გადაექცია".[2] ავტორის საბოლოო და მტკიცე დასკვნით, რუსთველმა ხალხური „ტარიელიანი" გადაამუშავა და თავისი პოეტური სული შთაბერა მას. აქვე ა. ხახანაშვილი შეგვახსენებს მსოფლიო კლასიკოსებს, რომლებიც ხალხიდან იღებდნენ თავიანთი თხზულებებისათვის საჭირო მასალას, მაგალითები მოაქვს მსოფლიო ლიტერატურიდან (შექსპირი, გოეთე, მოლიერი, ლესინგი). მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი აზიიდან იყოს გადმოსული და ხალხში გავრცელებული.[3]

1. **ა. ხახანაშვილი**, ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას „ვეფხისტყაოსანი", გაზ. „ივერია", 1890, 1 თებერვალი, №25, გვ. 3
2. იქვე
3. **ა. ხახანაშვილი**, ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას „ვეფხისტყაოსანი", გაზ. „ივერია", 1890, 1 თებერვალი, №25, გვ. 3

კიდევ ერთ ნაწყვეტს გავეცნოთ ა. ხახანაშვილის ხსენებული წერილიდან: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილია ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა. თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები. შოთას გაუმშვენებია პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველი ენით, პოეტური აღმაფრენით".[1] კ. კეკელიძის თანახმად, ა. ხახანაშვილი იყო „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის „სესხების" თეორიის ფოლკლორისტული ვარიანტის პირველი წარმომადგენელი.

ა. ხახანაშვილის მოსაზრებებს იმთავითვე გამოეხმაურა იმავე გაზეთ „ივერიაში" დიდი ვაჟა-ფშაველა წერილით „ვეფხისტყაოსნის" შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს). ბუმბერაზი შემოქმედი თავიდანვე შენიშნავს: „მარტო ბ-ნი ა. ხახანაშვილი არ უცქერის „ვეფხისტყაოსანს", ცოტა არ იყოს, ეჭვიანი თვალით, სხვებიც მოიპოვებიან ჩვენში ამ აზრისანი. ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედობა გაარჩიონ ხალხურადგან".[2]

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, რუსთველი რომ არ გვიხატავდეს თანამედროვე ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედ-მოღერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში, არ აძლევდეს პასუხს უმთავრესს იმ საუკუნის კითხვაზე, მაშინაც კი ვერ ვიტყოდით, რომ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი", იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდამ, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა".

ამავე წერილში ვაჟა ამბობს: „ვეფხისტყაოსანის" ლიტერატურულ ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა (დაბოლოება) აქვს და საერო ვეფხისტყაოსანშიაც" ამას ვხედავთ... ბ-ნი ხახანაშვილი როგორც საერო, ისე სალიტერატურო „ვეფხის ტყაოსანში" მარტო აზრის ერთიანობაში ხედავს მსგავსებას".

ერთი სიტყვით, ვაჟამ იმთავითვე მკაცრი პასუხი გასცა ა. ხახანაშვილს „ყალბი მეთოდით" გამოთქმული მოსაზრების გამო, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ლევან მენაბდის ენით რომ ვთქვათ, ვაჟას აზრით, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელი იყო „ვეფხისტყაოსნის" მომდინარეობა ხალხური „ტარიელიანი-

1. იქვე

2. **ვაჟა-ფშაველა**, „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, გაზ. „ივერია", 1890, 21 თებერვალი, №39

დან".[1] ვაჟამ თავის წერილში ფაქტიურად განაჩენი გამოუტანა. ხახანაშვილის კონცეფციებს და კატეგორიულად უარყო რუსთაველის პოემის ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან წარმომავლობა. ვაჟას თქმით: თუ მართლა იყო ეს ამბავი და ერმაც იცოდა, ლექსებიც კი იყო და თვითონაც მიითვისა – მაშ, ვისღა ატყუებდა, ვის აჯერებდა, რომ სპარსულია და არა ქართული. პოემის შინაარსი, ფორმა, მომენტები, – განგრძობს დიდი ვაჟა, – ლიტერატურულია და არა ხალხური. პოემის შექმნისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა თამარის დიდებულ ეპოქას". ვაჟას თანახმად, რუსთაველის პოემასა და ხალხურ „ტარიელიანს" შორის არც აზრობრივი მსგავსებაა და არც ფორმალურიც. იგი გადაჭრით აღიარებდა: „ვეფხსტყაოსანი" არის პირველადი ძეგლი და „ტარიელიანი" მასზე დამოკიდებულიო. თუმცა ვაჟა იქვე დასძენდა: „არც ის გარემოება დაამცირებს შოთას დიდებულ პოემას, რომ ის იყო აგებული რაიმე ზღაპარზე – სპარსულზე, არაბულზე, თუნდა ქართულზე.

1890 წელს მოსკოვში ქვეყნდება ანონიმი ავტორის მოკლე რეცენზია, სადაც იგი ეხება ა. ხახანაშვილის მიერ ხალხური „ტარიელიანის" ექვსი ვარიანტის შედარებას „ვეფხისტყაოსანთან, რომლის საფუძველზე გამოითქვა აზრი, რომ შესაძლოა რუსთაველმა ამ ხალხური თქმულებებით ისარგებლა. ექვსივე ვარიანტში მოიპოვებაო ისეთი ლექსები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში" არ არის. ეს იმის ნიშანია, რომ ისინი უფრო ძველ ხანას ეკუთვნის, ვიდრე „ვეფხისტყაოსანი".[2]

ა. ხახანაშვილი მომდევნო წლებშიც უბრუნდება „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის წყაროს საკითხს. 1895 წელს ერთ-ერთ ჟურნალში ქვეყნდება მისი პოპულარული ხასიათის წერილი „XII საუკუნის ქართული პოემა რუსთაველისა".[33] ამ წერილში ავტორი პოემის წყაროდ კვლავ მიიჩნევს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. გამომდინარე აქედან, მის მიერ უგულებელყოფილია „ვეფხისტყაოსნის" სპარსული წარმომავლობა თუ ამ ენიდან მისი გადმოღება ქართულ ენაზე. ერთობ მოულოდნელი ჩანს ა. ხახანაშვილის ნათქვამი 1897 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ნაშრომში „ქართული

1. ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 309

2. ჟურ. ეთნოგრაფიული მიმოხილვა, მოსკ. 1890, №2, შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 159

3. ა. ხახანოვი, XII საუკუნის ქართული პოემა რუსთველისა, ჟურ. ЖМНП, სანკტ-პეტერბურგი, 1895, XII

სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები".[1] აქ გატარებულია აზრი, რომ სპარსეთიდან მომდინარე „ვეფხისტყაოსნის" ამბავს ქართულ ნიადაგზე ლიტერატურული დამუშავების დროს დაემატა ცალკეული ეპიზოდები ადგილობრივი პირობების მიხედვით. რუსთველს განგებ გადააქვს მოქმედება არაბეთსა და ინდოეთში. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც საქართველოს ბუნების ნიშნებს ატარებენ.[2]

კიდევ ერთ ვრცელ ამონარიდს შევთავაზებთ მკითხველს ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიიდან": „აქამდე ჩვენს მწერლობაში გაუთავებელი სჯაა იმის შესახებ, თუ საიდან აიღო რუსთველმა სიუჟეტი (არაკი) „ვეფხისტყაოსნისა". სამნაირი აზრი იყო გამოთქმული ამ საგნის გამოსარკვევად. პირველი აზრი დამყარებულია თვით პოეტის სიტყვებზე მე-9 ტაეპში (იგულისხმება სტროფი – ტ.მ.):

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები.
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები".

ეს ტაეპი, ა. ხახანაშვილის გამოკვლევით ყალბად მიჩნეული, მოწმობს, რომ რუსთველმა სპარსული ამბავი ქართულად თარგმნა. მაგრამ პოეტის სიტვებს ვახტანგ მეფის დროიდან უკანასკნელის ჟამამდე ვერ მოუპოვეს სპარსულ ლიტერატურაში დამამტკიცებელი საბუთი. „ვეფხისტყაოსნისთანა" თხზულება სპარსულ ენაზე არ არსებობს. მეორე აზრი ამ პოემის სიუჟეტის შესახებ პირველად გამოთქვა დ. ჩუბინაშვილმა, იგი ამტკიცებს, რომ რუსთაველს აღმოსავლეთის მწერლობიდან არ უსესხია „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი. სიუჟეტი შექმნა თვით პოეტმა და მიმართა იგი შესხმად თამარ მეფის. მესამე აზრი მეკუთვნის მე. ამ ამ რამდენიმე წლის წინ ჯერ ქართულად და შემდეგ რუსულად შევადარე ხალხში დარჩენილი ლექსები ტარიელზე და შოთას მიერ დაწერილი პოემა და მიველ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ქმნილება დამყარებულია სახალხო ლექსებზე იმგვარადვე, როგორც გეტეს „ფაუსტს" და შექსპირის „ჰამლეტს" ფესვები შუა საუკუნეების გადმოცემაში მოეპოვებათ".[3]

---

1. **ა. ხახანოვი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები, მოსკოვი, 1897
2. **ა. ხახანოვი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები, მოსკოვი, 1897, გვ. 265-268
3. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 219

აქვე გვინდა დავაფიქსიროთ ის ფაქტი, რომ 1890 წლის ნოემბრის თვის გაზეთ „ივერიაში" იბეჭდება თედო რაზიკაშვილის „ლექსები ხევსურულის „ვეფხისტყაოსნისა" (ლექსები შეიცავს რუსთველის პოემის ამბავთა ცალკეულ მოტივებს);[1] „ხალხური ლექსები „ვეფხის-ტყაოსნისა" (მოტანილია სათანადო ტექსტები, რომელთაც აქვს ასეთი შენიშვნა: ზოგი ლექსები გამოვტოვეთ, რადგანაც თედო სახოკიას მიერ ჩაწერილ ვარიანტში იყო დაბეჭდილი);[2] „ლექსები ხალხურის „ვეფხის-ტყაოსნისა", რომელიც კახეთშია გავრცელებული" (მოტანილია ტექსტები შენიშვნებითურთ).[3]

XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესაში ერთობ აქტიურობს „ვეფხისტყაოსნის" ხალხური სიტყვიერებიდან წარმოშობის თაობაზე სჯანი. ამისი ერთ-ერთი გამოხატულებაა მელიტონ კელენჯერიძის მიერ 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებული წერილი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა" ავტორი საინტერესოდ მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" ფაბულაზე. მისი თქმით, თუ დამტკიცდა შოთა რუსთაველის მიერ პოემაში მოცემული შონაარსის ირანული ეპოსიდან კავკასიაში შემოტანა, თვით სპარსეთში კი მისი დაკარგვა, ამ შემთხვევაში „შოთა რუსთაველს კიდევ უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე აქამდე ჰქონდა, რადგან ამით დამტკიცდება, რომ რუსთაველს სიუჟეტი არა თუ არ უსესხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან, ეროვნული ეპოსიდან ამოუღია".[4] ამის დამტკიცების შემთხვევაში მ. კელენჯერიძის მიხედვით, რუსთველს დაერქმევაო „ხალხური ნაციონალური გენია".[5]

მ. კელენჯერიძე ახსენებს პროლოგისეულ გამონათქვამს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვნახე და ლექსად გარდავთქვი"... და იქვე აღნიშნავს: მხოლოდ პროფანებს შეუძლიანთ თქმა, რომ ამ „ამბავის" (ხალხურისა) ნახვა და გალექსვა ვითომ ხელოვნურის ნაწარმოების თარგმანს ნიშნავდეს.[65]

ახლა გავეცნოთ გ. საძაგელოვი-ივერიელის სტატიას „ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში". სხვა საკითხებთან ერთად, ავტორი გვერდს ვერ უვლის რუსთაველის პოემაში მოთხრობილი ამბავის წარმომავლობას.

1. გაზ. „ივერია", 1890, 9 ნოემბერი
2. გაზ. „ივერია", 1890, 10 ნოემბერი
3. გაზ. „ივერია", 1890, 23 ნოემბერი
4. მ. კელენჯერიძე, სახალხო პოეზია... ჟურ. „მოამბე", ტფ., 895, მაისი, №4, გვ. 38
5. იქვე, გვ. 39
6. იქვე, გვ. 40

იგი უარყოფს მისი სპარსულიდან ნასესხობას და აღნიშნავს, რომ იგი ეკუთვნის ქართველი ხალხის უმაღლეს ნიჭს: „დედა-აზრი „ვეფხისტყაოსნისა“ რომ სპარსულიდან არ არის ნასესხები, ეს დღესავით ცხადია. სიუჟეტი ამ საკვირველი ქმნილებისა სპარსული კი არ არის, როგორც ზოგს ჰგონია, ნამდვილი ქართულია და ჩვენის ქართველი ხალხის უმაღლეს ნიჭს ეკუთვნის. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც – კი გულისყურით გადაიკითხავს ქართულს ლეგენდებს და შეუფარდებს ამირან – დარეჯანიანს“.[1]

ზემოთ მ. კელენჯერიძის სტატიაზე გვქონდა საუბარი, რომელიც ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა 1895 წელს. 1896 წელს იმავე ავტორის წიგნი იბეჭდება ქუთაისში – „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“, სადაც „ვეფხისტყაოსანზეც“ არის ავტორის აზრი გამოთქმული: რუსთაველი არ იყო „ცრუ კლასიკი“, ის იყო „ღირსეული შვილი ერისა, გამსჭვალული მისის სურვილითა და მიმართულებით, მისი საჭიროების შეგნებით“.[2] „ვეფხისტყაოსანს“ მ. კელენჯერიძე საქართველოს მეორე სახარებას უწოდებს. მას მიაჩნია, რომ ხალხური და ხელოვნური ეპოსის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა,საერთოდ, ბოლოს მოუღებს უთავბოლო და დაუსრულებელ კამათს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

მ. კელენჯერიძე წერს: „თუ ჩვენის ეპოსის გამოკვლევა აღმოაჩენს, რომ ის სიუჟეტი, რომელიც შოთა რუსთაველს განუმარტავს თავის გენიოსურს ნაწარმოებში, უუძველესის დროიდან შემოუტანია კავკასიაში აქ გავრცელებულს (მოსე ხორენელის მოწმობით) ირანულს ეპოსს და, ერთის მხრით, შეუხორცებია, შეუდუღებია ადგილობრივი ეპოსისათვის და, მეორეს მხრით კი თვით ირანში დაკარგულა ეს თქმულება, დავიწყებია იქაურ ხალხს რის მაგალითსაც ცხადად გვიჩვენებს ჩვენ შედარებითი მითოლოგია – ამ შემთხვევაში არა თუ მოეღება ბოლო ზემოხსენებულს უნაყოფო კამათს, არამედ, ამას გარდა, ცხადად დამტკიცდება ისიც, რომ შოთა რუსთველს კიდევ უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე აქამდე ქონდა, რადგან ამით დამტკიცდება, რომ რუსთველის სიუჟეტი, არა თუ არ უსესხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან, ეროვნული ეპოსიდან ამოუღია, რომ შეუგნია, როგორც ჰომიროსს და ფირდუსის ასეთის

1. **გ. საძაგელოვი-ივერიელი**, ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“, გაზ. „ივერია“, 1895, 3 მაისი, №93

2. **მ. კელენჯერიძე**, სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნ. მნიშვნ., ქუთაისი, 1896, გვ. 34

სახალხო სიუჟეტის ფასი და შეუქმნია სრულიად თავისუფლად ის მარგალიტი, რომელიც ასე ძლიერ ატოკებს იმ ერისა და იმ საზოგადოების გულს, რომლის თქმულებიდანაც ამოუღია იგი პოეტს".[1] შეგნებულად შევთავაზეთ მკითხველს მ. კელენჯერიძის წიგნიდან ამოწერილი ვრცელი ციტატა, რომლის მცირე ნაწყვეტი ზემოთაც გვქონდა მოხმობილი ავტორის საჟურნალო სტატიიდან.

1897 წელს ჟურნალ „კრებულში" მკითხველი ეცნობა სოსიკო მერკვილაძის სტატიას „ზღაპრათ ხალხური „ვეფხის ტყაოსანი".[2] ტექსტი წარმოდგენილია ლექსნარევი პროზით. აქ არის მოცემული გახალხურებული, გადაკეთებული ეპიზოდები და მოტივები რუსთაველის პოემისა. პერსონაჟებიდან, გარდა ტარიელისა, ავთანდილისა, თინათინისა, და მზე-ქალთა, წარმოდგენილი არიან ფარსმანი „ადენ" და „ომარე".

1898 წელს მოსკოვში ქვეყნდება ე. ბარსოვის „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი".[3] წერილის ანოტირებულ ვარიანტში გ. იმედაშვილი წერს: „ავტორი აქენებს დებულებას, რომ რუსთაველმა სპარსულიდან კი არ აიღო სიუჟეტი, არამედ ტარიელის შესახებ ხალხში არსებული ზეპირი თქმულება გამოიყენა. იქვე პარალელი გაჰყავს თქმულებასა და „ვეფხისტყაოსნის" შინაარსს შორის. ავტორი ავითარებს შეხედურებას, რომ პოემა ქართული ნაციონალური თხზულებაა".[4]

ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი) გამოეხმაურა გაზეთ „ივერიაში" მოსე ჯანაშვილის ნაშრომს შოთა რუსთაველზე და იქვე შეეხო „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის საკითხს. მისი აზრით, რუსთაველის პოემა ქართულ სინამდვილეს გვისურათხატებს, მისი შესწავლა გამოარკვევს „თუ რა ამაო ცოდვილობაა პოემის ძებნა სპარსეთში... „ვეფხისტყაოსანი" ორიგინალური თხზულებაა და არა ნათარგმნი".[5]

მოსე ჯანაშვილი 1895 წელს აქვეყნებს წიგნს „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი". ამ ნაშრომის ავტორი „ვეფხისტყაოსნის" მთავარ წყაროდ მიიჩნევს „ამირანდარეჯანიანს". საერთოდ, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ პოემის ნერისას რუსთაველისათვის ამოსავალი პუნქტი იყო ქართული სინამდვილე,

1. იქვე, გვ. 275-276
2. **ს. მერკვილაძე**, ზღაპრათ ხალხური „ვეფხის ტყაოსანი", ჟურ. „კრებული", III, 1897, ნოემბერი, გვ. 33-35
3. **ე. ბარსოვი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი", მოსკ. 1898
4. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 208
5. **ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი)**, საბიბლიოგრაფიო შენიშვნები, გაზ. „ივერია", 1896, 2 აპრილი

რომ თხზულების შინაარსის საფუძველი რუსთაველის მშობელი ქვეყანაა. ამ მიზნით მოსე ჯანაშვილი პარალელებს ავლებს რუსთაველისა და შავთელის შემოქმედებას შორის, რუსთაველისა და ქართული ხალხური სიტყვიერებას შორის. თუმცა მისი დაკვირვების უპირველესი საგანია „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ურთიერთობის საკითხი.

ორივე ნაწარმოების შედარებითი ანალიზისას გამოვლენილი შემხვედრი წერტილების საფუძველზე მოსე ჯანაშვილი ასკვნის: „ვინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი, ან დავჯე რუსთველმან გავლექსე“ იმას მოასწავებდეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნასიტყვნი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ „აწ მარგალიტი წყობილი“ (პოემა)... იქნებ პოეტმა მოსე ხონელის პროზა შექმნა პოემად.[1] ამის დასამტკიცებლად მას მთელი რიგი პარალელები აქვს მოხმობილი, ეპიზოდთა სქემები. ხონელის ინდო ჭაბუკი და რუსთაველის ტარიელი ქართველები არიანო.

მოსე ჯანაშვილი 1896 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ წერილში ეკამათება ნიკო მარის დებულებებს იმის შესახებ, რომ ლონდონის სამეფო ბიბლიოთეკის კატალოგში მოიპოვებაო სპარსული ხელნაწერი შაჰრიერ-ნამე, რომელიც შეიძლება „ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი იყოსო.[2]

ამით ვასრულებთ საკითხთან დაკავშირებული მასალების მოკლე მიმოხილვას. მართალია, მოხმობილი ციტატებით გადაიტვირთა ნარკვევი, მაგრამ ამას საგანგებოდ მივმართეთ იმის ნათელსაყოფად, თუ რა აქტუალური ყოფილა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს საკითხი. დამოწმებული ციტატებისა და ნაწყვეტების წყალობით ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება.

შეიძლება დავასკვნათ: XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროზე მსჯელობა, დაფიქრება თუ დაკვირვება რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა და მოღვაწეთა ერთი ნაწილი ფაბულას რუსთაველის კუთვნილებად თვლიდა. ისევე როგორც მთელ პოემას (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ბაგრატიონი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. ჰაელიაშვილი, მარი ბროსე, ი. ბოჩაროვი, ვ. ზოტოვი, კ. ეიდენ-

1. **მ. ჯანაშვილი**, მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, წერილი მ. **ჯანაშვილისა**, ტფ. 1895, გვ. 17-25

2. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1896, ივნისი, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 214

ბაუმი...), მეორე ნაწილი კი „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს და შინაარსს ნასესხებად მიიჩნევდა (პ. იოსელიანი, პ. კვიცარიძე, ი. მეუნარგია, ი. ჯაბადარი, ნ. გულაკი, ნიკო მარი, კ. მილერი, კ. რდულტოვსკი, კ. ლაპჩინსკი და სხვ.).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მოსაზრებანი და კონცეფციები იმის თაობაზე, რომ რუსთაველის „ვეფხისტაოსანი“ ქართული ხალხური შემოქმედების ნაყოფია, რითაც უსარგებლია გენიალურ ქართველ შემოქმედს (ა. ხახანაშვილი, ა. ნანეიშვილი, დ. ხიზანიშვილი, ს. მერკვილაძე, თ. სახოკია, მ. კელენჯერიძე, ა. საძაგელოვი-ივერიელი, ს. მაჭავარიანი, ვ. ბარსოვი...): ზოგიერთი მკვლევარი კი რუსთაველის პოემის წყაროდ „ვისრამიანს“ და „ამირანდარეჯანიანს“ ასახელებდა.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციებიდან“

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მოქმედებანი მიმდინარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ როგორც რეალურად არსებულ (არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი ანუ ჩინეთი...), ისე პოეტის ფანტაზიით გამოგონილ ქვეყნებში (მულღაზანზარეთი, გულანშარო, ქაჯეთი). სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ რუსთაველს მომარჯვებული აქვს სინამდვილის ასახვის ალეგორიული მეთოდი: მართალია, პოემაში მოქმედება ხდება უცხოეთის ქვეყნებში და შესაბამისად მოქმედი პირებიც უცხოელნი არიან, მაგრამ მათში ალეგორიულად წარმოსახულია თამარის ეპოქის საქართველო, იმჟამინდელი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული ვითარება. უცხოელ პერსონაჟებში ალეგორიულად იკითხება თამარისა და მისი თანამებრძოლების სახეები.

როგორც სამართლიანად არის შენიშნული, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა ჩვენი ისტორიული ყოფისა, ცოდნისა და კულტურის მიმართებით ეჭვმიუტანლად გვარწმუნებს, რომ პოემაში ასახული სინამდვილე, სოციალ-პოლიტიკური და მორალურ-ეთიკური იდეალებით, გმირთა ქცევითა და განცდით, აიხსნება მხოლოდ თამარის ეპოქის საქართველოს სინამდვილით, რაც რუსთაველისათვის წარმოადგენდა შთაგონების ერთადერთ წყაროს. თავისი კულტურით, ფილოსოფიითა, მწერლობისა და ხელოვნების ნიმუშებით.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, „ვეფხისტყაოსანში“ ასახული პატრონ-ყმობის ინტიტუტი და ვაჭართა საზოგადოე-

ბრიობა იკმარებდა იმის დასასაბუთებლად, რომ პოემაში აისახა XII საუკუნის ქართული სინამდვილე.

გ. იმედაშვილი წერს: „რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური კეთილდღეობის, დიდი კულტურული აღორძინების მიღწევა პატრონყმური წესრიგის ნაყოფი იყო. სხვა ფორმაციის საზოგადოება და იდეოლოგია მაშინ საქართველოში არ არსებობდა და რუსთაველმა თავისი პოემის გმირთა ცხოვრება სწორედ ქართული პატრონყმური ინსტიტუტის ტრადიციებით გაიაზრა, რომლის იდეოლოგიური დასაბუთება მისთვის იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცოდნა-განათლების ტრადიციები, ეთიკურ-მორალური იდეალებით და ეროვნულიდან შეთვისებული ქრისტიანობით".[1]

XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის შედარებამ „ვეფხისტყაოსანში" ასახულ მთელ რიგ დეტალთან მკვლევართა გარკვეული ნაწილი (იგულისხმებიან ქართველი და უცხოელი მკვლევარნი), ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიყვანა რუსთაველის პოემაში ისტორიული ანალოგიების ძიებამდის. ამან XX საუკუნეშიც შეინარჩუნა დაინტერესების მუხტი. გავეცნოთ „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციების, ისტორიული ანალოგიების ძიების მომენტებს XIX საუკუნეში – ქართველი და უცხოელი მკვლევართა თუ დაინტერესებულ პირთა მხრიდან.

საკითხზე საუბარს შევუდგებით თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის („განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა") საფუძველზე. მასში ავტორი იზიარებს და ავითარებს ვახტანგ მეექვსის კონცეფციას პოემის ფაბულის ორიგინალობასთან დაკავშირებით. თავის შეხედულებას ამაგრებს შემდეგი დებულებით: „ვეფხისტყაოსანი" ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს შეწყობილი, ხოლო მოლექსეობასა შინა რუსთველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი ჩვეულება, განა ზნეობა".[2]

თ. ბაგრატიონის ნაშრომი შეიქმნა სანკტ-პეტერბურგში 1843 წელს. მისი ხელნაწერი ინახება საქართველოს მუზეუმში (შ 1732, 231 გვ.). სწორედ ხელნაწერში გაეცნო მას გ. იმედაშვილი და მისი ანოტირებული მასალა წარმოადგინა თავის ფუნდამენტურ წიგნში

---

1. **გ. იმედაშვილი**, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1966, გვ. 112
2. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა", თბ., 1960, **გ. იმედაშვილის** რედაქციით. გვ.97

„რუსთველოლოგიური ლიტერატურა“. თ. ბაგრატიონის აღნიშნული ნაშრომი გ. იმედაშვილის რედაქციით გამოიცა 1966 წელს.

ზემოთ ვახსენეთ რუსთაველის მიერ თამარის დროინდელი საქართველოს ამბების, XII საუკუნის ისტორიული სინამდვილის ალეგორიით ასახვის შესაძლებლობაზე „ვეფხისტყაოსანში“. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ მისეულ კონცეფციას გვაზიარა. დიდ მეცნიერს ამ მიმართულებით ალეგორიულობაზე საუბარი მისაღებ და საიმედო გზად ესახება, თუ, რასაკვირველია, ალეგორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა.

„ახალი დროის მკვლევარნი ამ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით უდგებიან. ისინი ეძებენ – არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“, თუგინდ იგავ-გაკვრით, გადაკრული სიტყვით, ალეგორიით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის, აღნიშნული რაიმე ფაქტი ან მოვლენა საქართველოს იმდროინდელი ისტორიიდან. თანამედროვე ამბების ალეგორიულად ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი ამბავია. ასე შეეძლო მოქცეულიყო ჩვენი პოეტიც, და თუ მის ნაწარმოებში ასეთი რამე აღმოჩნდებოდა, ეს უტყუარი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ თხზულება საქართველოში, ქართველის მიერ არის დაწერილი. დღევანდელ პირობებში ასეთი გზა თუ ერთადერთი არა ერთ-ერთი საიმედო და მისაღები გზაა, თუ, რასაკვირველია, ალეგორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა“.[1]

რუსთაველის პოემის კვლევას, ისტორიაში მისი შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია თუ ალეგორიულობის ჩვენება სიღრმისეულად პირველად მოგვცა დავით ჩუბინაშვილმა, 1842 წელს პეტერბურგში, სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში (ЖМНП) ქვეყნდება მისი ნარკვევი „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“.[2] ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ პოემა ქართველი ხალხის ეროვნული განძია, მისი სიუჟეტი არ არის ნასესხებიო. ეს ნარკვევი დ. ჩუბინაშვილმა დაურთო შემდეგში მის მიერ პეტერბურგში დაბეჭდილ წიგნს „ქართული ქრისტომატია“.

ახლა კი გავეცნოთ დ. ჩუბინაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პარალელების ჩვენებას XII საუკუნის ქართულ სინამდვილეში:

---

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 168-170
2. ЖМНП, სანკტ-პეტერბ, 1842, „ქართული ქრისტომატია“, პეტერბ. 1846.

„რუსთაველს არ უსესხია თავისი პოემის სიუჟეტი აღმოსავლელი პოეტებისაგან. იგი შექმნილია მის მიერ და გამიზნულია დიდი თამარის საქებრად". ამის დასასაბუთებლად მიმართავს იგი შედარების მეთოდს რუსთაველის პოემასა და თამარის ეპოქას შორის, რითაც მკითხველს აზიარებს საგულისხმო პარალელებს: „თუ შევადარებთ დედოფლის ცხოვრებას პოემაში აღწერილ ამბებს, ვნახავთ საოცარი მსგავსების ნიშნებს, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მთავარი გმირი ქალის ნესტან-დარეჯანის სახელის ქვეშ იმალება თვით თამარი".

ამის შემდეგ დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს ამ მსგავსების ზოგიერთ ასპექტზე: „ნესტან-დარეჯანი იყო ინდოეთის მეფის ფარსადანის ერთადერთი ასული, ისე, როგორც თამარი იყო ერთადერთი ასული გიორგი მესამისა. ნესტან-დარეჯანის აღზრდა ფარსადანმა დაავალა თავის დას დავარს; თამარის აღზრდა დავალებული ჰქონდა გიორგი მესამის დას რუსუდანს, რომელიც ცოლად ჰყავდა ოს მთავარს. მან გაზარდა იგი თავისი მეუღლის ნათესავთან დავით სოსლანთან ერთად, ისე როგორც ნესტან-დარეჯანი იზრდებოდა ტარიელთან ერთად. ნესტანის და ტარიელის ერთად აღზრდის შედეგად იშვა მათი სიყვარული. ასევე, შესაძლებელია თამარი ბავშვობიდანვე შეეთვისა დავით სოსლანს, თუმცა ქართული წყაროები არაფერს გვეუბნებიან ამის შესახებ".[1]

„ვეფხისტყაოსნის" შინაარსის განხილვისას დ. ჩუბინაშვილი შენიშნავს: „ფარსადანს სახელმწიფოებრივი ინტერესებით სურდა მიეთხოვებინა თავისი ასული ხორეზმის მძლავრი შაჰისათვის, ხოლო ნესტანი წინ აღუდგა ამ გეგმას. თუ ქართველ მემატიანეებს დავუჯერებთ, ხორეზმის შაჰი ეძიებდა თამარის ხელს და ისეთივე უარი მიიღო, როგორც მისმა წინამორბედმა ნესტანისაგან, თუმცა ასცდა ის საშინელი ხვედრი, რომელიც ერგო ხორეზმის შაჰს რუთაველის პოემაში".[2]

დ. ჩუბინაშვილი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ისტორიის თამარის ისტორიასთან მსგავსების ჩვენების დასრულებისას, მიგვანიშნებს გარკვეულ მსგავსებაზე მოქმედების ადგილის-ინდოეთის მიხედვით: „რუსთველი ინდოეთს ყოფს შვიდ სამეფოდ, მე მქონდა შემთხვევა, მენახა უძველესი ქართული სიგელები, რომლებშიც ქართველი მეფენი უწოდებენ თავის თავს შვიდი

1. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 199

2. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 199

სამეფოს მეფეებს"... ამასვე ადასტურებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი. მართლაც, თამარის მამა გიორგი მესამე, ფარსადანის მსგავსად, ფლობდა შვიდ სამეფოს. აი, მათი სახელები: აფხაზეთი, ჰერეთი, საათაბაგო, ქართლი, კახეთი და რანი, მათ შეიძლება დაემატოს ოსთა სამეფო, სადაც ბატონობდა ქართლში გამეფებული ბაგრატიონთა დინასტიის შტო. პოემაში მოხსენიებული ქაჯთა ციხე, რომელშიც ნესტან-დარეჯანი იყო დატყვევებული, ქართული რუკების მიხედვით, მდებარეობს იმერეთში, ახალციხის მხარეში".[1]

დ. ჩუბინაშვილის მიერ გავლებულ პარალელებს გამოეხმაურა კ. კეკელიძე, რომლის თანახმად, მოყვანილი ანალოგიებიდან ზოგი ისტორიულად არ მართლდება, ზოგი კი შემთხვევითი ხასიათისაა. მოვუსმინოთ ჩვენს დიდ მეცნიერს: „თამარი არ იყო ერთადერთი ასული გიორგი მესამისა, როგორც ნესტანი თავისი მამისა. როგორც ახლა უკვე გარკვეულია, ჰყავდა მეორე და, დედოფალი რუსუდანი".[2] ეს თვითონ კ. კეკელიძემ გაარკვია.[3] შემდეგ დიდი მეცნიერი განაგრძობს: „დავარი ტარიელს არ ზრდიდა ისე, როგორც რუსუდანი დავითს. იმას მიანდვეს განცალკევებულ კოშკში აღზრდა მხოლოდ ნესტანისა მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი შვიდი წლის გახდა; თამარსა და დავით სოსლანს შორის სამიჯნურო ურთიერთობა არ ყოფილა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ნესტანსა და ტარიელს შორის; ისტორიულად სწორი არაა, ვითომც ხვარაზმშას თამარის ცოლად შერთვა სწადდა აქ არეულია, ალბათ, ხვალარზმშა და შირვანშა; ინდოეთის შვიდ სამეფოდ დანაწილება და აგრეთვე საქართველოსიც, არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან „შვიდი სამეფო", „შვიდი იყლიმი", „შვიდი ქიშვირი" შაბლონური ადგილია სპარსულ რომანებში"... არსებითად ნესტან-ტარიელისა და თამარ-დავითის ამბები ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან".[4]

კ. კეკელიძის კრიტიკულ დამოკიდებულებას დ. ჩუბინაშვილის შეხედულებების მიმართ გარკვეულწილად ვერ გავიზიარებთ, რისი ახსნა-განმარტება ამჯერად სცილდება ჩვენი საკითხის ფარგლებს. მთავარი ის არის, რომ XIX საუკუნის შუანლებიდან დ. ჩუბინაშვილის მეთოდს მიმდევრები გამოუჩნდნენ როგორც ქართველ, ისე უცხოელთა მხრიდან, რომლებიც ფაქტიურად იმეო-

1. იქვე
2. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 170
3. კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული", გვ. 134
4. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 170-171

რებდნენ დაფიქსირებულ პარალელებს და ანალოგიებს. იმეორებდნენ იმიტომ, რომ ასე სწამდათ და სჯეროდათ.

მართალია, დ. ჩუბინაშვილის სიღრმით და მასშტაბით არა, მაგრამ რაღაც მინიშნებების დონეზე გაცილებით ადრე მარი ბროსეს პირველთაგანს უცდია „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის დაკავშირება ქართულ სინამდვილესთან. ამ მხრივ საგულისხმოა მისი სტატია „ტარიელის" მოქმედების ადგილი და საკუთარი სახელები". იგი გამოქვეყნებულია 1831 წელს. მარი ბროსე იყო უცხოელთა შორის პირველი დიდი ქართველოლოგი. აი, როგორ აფასებდა მას დდი ილია ჭავჭავაძე: „ბროსემ პირველმა აიღო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიერო შესწავლის საგნად და მას მიაპყრო მთელი განათლებული ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება".

როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მარი ბროსე თავდაპირველად რუსთაველს „სპარსული ამბის ავტორად" მიიჩნევდა, შემდგომ მან აზრი შეიცვალა, „ვეფხისტყაოსანში" ქართველთა ცხოვრების ანარეკლი, ისტორიული ვითარების კვალი შენიშნა და პოემაში გადმოცემული ამბავი ალეგორიულ თხრობად, ხოლო უცხოელი გმირები ქართველ მამულიშვილებად აღიარა. ამასთანავე, იგი არა მხოლოდ ზოგადად აცხადებდა პოემას ქართულ ნაწარმოებად, არამედ მასში მოთხრობილი ამბის საქართველოს კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებას ლამობდა.[1]

დავუბრუნდეთ მარი ბროსეს ზემოთ ხსენებულ სტატიას. ამთავითვე ვიტყვით: ფრანგი ქართველოლოგი პოემას „ვეფხისტყაოსნობით" კი არ უხმობს, არამედ მას ანაცვლებს „ტარიელს". ალბათ, იგი თხზულების ეპილოგისეული გამოთქმიდან ამოდის: „ტარიელ მოსსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრომელსა". ახლა კი მივმართოთ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის საილუსტრაციო მასალებს: „ტარიელი" – მისი ავტორის გამოთქმას თუ ვიხმართ – ეს ობოლი მარგალიტი – მან ინდოეთში იპოვა. ფასდაუდებლად მიიჩნია, სპარსული სამოსი მოაშორა და თავისი ხალხის გემოვნებით მორთო. ცხადია, როცა რუსთაველი ამბობდა, ეს ამბავი შორიდან მოდისო, ამით სურდა მეტი ფასი მიეცა თავისი წიგნისათვის".[2]

მარი ბროსე გვარწმუნებს, რომ არ აპირებს თავისი მოსაზრების გამოთქმას პოემის გმირების სახელთა მნიშვნელობის თაობაზე, მაგრამ მაინც რამდენიმე შენიშვნას გვაზიარა: „სახელი როს-

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 411

2. მარი ბროსე, „ტარიელის" მოქმედების ადგილი და საკუთარი სახელები, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 55

ტევანი ორივე ხელნაწერში (იგულისხმება ჭ და E ხელნაწერები – ტ.მ.) გვხვდება ხან როსტენის, ან როსტანის ფორმით. ეს უნდა იყოს როსტომი, რესტანი, რუსტამი – სპარსეთსა და საქართველოში მეტად გავრცელებული სახელი, ეს არის დაუთ-ხანის და სიმონ პირველის ძმისწულის კეთილშობილი მეფის სახელი".[1]

ამის შემდეგ მარი ბროსე „ვეფხისტყაოსნის" დანარჩენ პერსონაჟთაგან გამოყოფს ნესტან-დარეჯანის სახელს, რომელიც ჩვენს ისტორიაში ყველაზე ცნობილ სახელად ესახება: „ამ რომანის („ვეფხისტყაოსნის" – ტ.მ.) დანარჩენ სახელთაგან საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცნობილია და ხშირად გვხვდება ნესტან-დარეჯანის ანუ დარეჯას სახელი, ხოლო ნესტან-ჯარ გვხვდება ჭ ხელნაწერში. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ხუთ ქალს ერქვა ეს სახელი 1. მეფე ლუარსაბ მეორის დას, დიდი თეიმურაზის ცოლს; 2. თეიმურაზის დას, იმერეთის მეფის ალექსანდრე მეორის ცოლს; 3. მის შვილიშვილს... 4. მეორე ნესტანს, მეტსახელად ჯავარს, ლუარსაბ მეორის დედას და 5. კიდევ ერთ ნესტან-დარეჯანს, ქართლის დედოფალს."[2]

მარი ბროსე ყურადღებას ამახვილებს სახელზე – რამაზი: „საქართველოს ისტორიაში გვხვდება რამაზი – დავითის ვაჟი, რომელიც გამაჰმადიანებულა, ავთანდილი – დიასამიძეების ოჯახიდან; თინათინი – იმერეთის მეფის ალექსანდრეს ვაჟის, ბაგრატის ხასა; ფატმანი – ლუარსაბ მეორის მეორე და, რომელიც შაჰ-აბას პირველზე იყო გათხოვილი და ფარსადანი – ციციანთა საგვარეულოდან. არც ერთი ეს სახელი ინდოეთის ისტორიაში არ გვხვდება".[3] „ასე დაწვრილებით განზრახ შევჩერდი, – განაგრძობს ბროსე, – ამ საკითხზე, რათა მეჩვენებინა, რომ „ტარიელის" გმირები ისევე შეიძლება იყვნენ ქართველები, როგორც ინდოელები ან სპარსელები და რომ ისინი ალბათ ეროვნული გრძნობით შეარჩია ავტორმა, რაც პოეტისათვის სავსებით ნებადართულია". მარი ბროსე აქ არაფერს ამბობს იმაზე, რომ სწორედ „ვეფხისტყაოსნის" გავლენით დაერქვა მეცნიერის მიერ ჩამოთვლილ ქართველებს პოემის გმირთა სახელები, რაც, საერთოდ, ჩვეულებრივი მოვლენაა. გავიხსენოთ „შაჰ-ნამეს" პერსონაჟთა სახელები როგორ გავრცელდა საქართველოში. „შაჰ-ნამეს" და „ვეფხისტყაოსნის" გამირთა სახელებს თავიანთ შვილებს დღემდე არქმევენ მშობლები ჩვენს ქვეყანაში.

1. **მარი ბროსე**, „ტარიელის" მოქმედების ადგილი და საკუთარი სახელები, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 55
2. იქვე, გვ. 55-56
3. იქვე, გვ. 56

ყოველივე ამის შემდგომ მარი ბროსეს მკითხველის ყურადღება გადააქვს პოემის მოქმედების ადგილმდებარეობაზე. მიაჩნია, რომ მის მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება პოემაში ნახსენები ქალაქები და ხალხი. გავეცნოთ ამ უებრო ქართველოლოგის პაფიქრალიდან ზოგიერთ ნაწყვეტს: „ამ ორი ქვეყნის კიდეზე (გულისხმობს გულანშაროს და მულღაზანზარს – ტ.მ.) ქაჯთა ქვეყანაა, იმ გრძნეულთა სამშობლო, რომლებიც აბრმავებდნენ ტყვეებს მალკოლმის მიერ მოხსენიებული მაზანდარელი დევის მსგავსად. რადგან ქაჯთა ქვეყანასა და მის სახელწოდებაზე ვსაუბრობთ, მინდა ერთი შენიშვნაც დავუმატო: მტკვრის ზემო წელზე ოდესღაც გაშენებული ყოფილა ქაჯთა ქალაქი, რომელსაც შემდეგ არტანისა და ჰურის სახელწოდება მიუღია".[1]

აქვე მარი ბროსე ყურადღებას გვამახვილებინებს როსტევანის დედაქალაქზე: „მიზგითა ანუ მირდჯითა, როსტევანის დედაქალაქი, ვფიქრობ, სიტყვაში უნდა ვეძებოთ ქართველთა ქვეყნის ძველი დედაქალაქის მცხეთის სახელი. ამაში უფრო იმით დავრწმუნდი, რომ სანამ ავთანდილი ტარიელის საძებნელად მეორედ წავიდოდა, იგი აქ მივიდა და საქმის წარმატებით დაგვირგვინება შესთხოვა ღმერთს".[2]

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსანში" მოცემული ქვეყნებიდან მარი ბროსესათვის ყველაზე ძნელი მაინც რამაზის ქვეყნის სახელი აღმოჩნდა: „ჩვენს ერთ-ერთ ხელნაწერში იგი ჩვეულებრივ ხატაეთის ფორმით გვხვდება. (ხათეთი), ხოლო ხალხის სახელია ხატაელი, ხატაველი. ამ სახელთა უბრალო გადასინჯვაც კი ნებას გვაძლევს, ავხსნათ იგი ქართული ენის თავისებურებათა მიხედვით. ხატაი, ხატველის სახით, მაგრამ ამ ენაში სხვა სიტყვაც არსებობს: ხატი, საიდანაც იწარმოება მხატავი, ხატების მკეთებელი ან ხატაველი, ხატიანი კაცი, რომელსაც შეიძლებოდა ხატთაყვანისმცემლის მნიშვნელობა ჰქონოდა. თუ ხატაია საწყისი ფორმა იყო, ხატაველს შეიძლებოდა ჰქონოდა ხატაელის მნიშვნელობა. ხატი ცნობილი სახელია საქართველოს ისტორიაში და ჩვენს რომანს ისეთ გრანდიოზულობას ანიჭებს, რომ მისი უგულებელყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ იგი ნაკლებად აღძრავს ჩვენში რაიმე სახეს და ნაკლებად მაღალფარდოვანია, ვიდრე მეორე სახელი – ხატთაყვანისმცემელთა ქვეყანა".[3]

საკითხთან დაკავშირებით მარი ბროსემ თავისი პოზიცია წინა წერილთან შედარებით კიდევ უფრო მკაფიოდ დააფიქსირა

1. **მარი ბროსე**, „ტარიელის" მოქმედების ადგილი და საკუთარი სახელები, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 57
2. იქვე
3. იქვე

პეტერბურგში 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში: „თუმცა მოიხსენებს რუსთველი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პირველ იყო სპარსულად „მარგალიტი... ხელისხელ საგოგმანები“, მაგრამ ნათლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათვის... ამის გარდა, ხვარაზმშაჰის ძის ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურების ამბავი. ვინ არ მიხედება მოსლვასა ხორაზმობისა ტფილისს და თხოვნა თამარ მეფისა ცოლად, როგორც მოუთხრობს ვახტანგ მეფე თავის „ქართლის ცხოვრებაში“. და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედი პირნი „ვეფხისტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვით მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა. მესმა სწავლულთა ქართველთაგან, რომ თვით ქაჯთა გვირაბი, რომელშიაც დატუსაღებული იყო ნესტან-დარეჯან, მისი მსგავსი იპოვება იმერეთში. გარნა გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით, ვსთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს გამოგვიხატავენ“.[1] საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ზემოთ დამოწმებული სიტყვების წერისას თუ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებისას მარი ბროსე სარგებლობდა თეიმურაზ ბაგრატიონის და დავით ჩუბინაშვილის კონსულტაციებით თუ შეგონებებით.

ერთი სიტყვით, პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ არა მხოლოდ უარყო „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სესხების თეორია, არამედ საფუძველი ჩაუყარა იმის მტკიცებულებებს, რომ რუსთაველის პოემაში ალეგორიულად არეკლილია თამარის ეპოქის ისტორიული ამბები, XII საუკუნის ქართული სინამდვილე. იგი გაზიარებულ იქნა XIX საუკუნის ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა, მწერალთა თუ პარალელებისა და ანალოგიების ძიებით დაინტერესებულ პირთა მიერ. მათი ნაფიქრალ-ნააზრევი ფაქტიურად ზემოთ გახმოვანებულ შეხედულებათა გამეორებამდე მიდის, იმის იქით ნაბიჯს ვერ დგამს.

1847 წელს ჟ. შტაკელბერგი წერდა: „შოთა მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა – სახელოვანი თამარ მეფის დროს. მას ღრმა, მაგრამ მოკრძალებული გრძნობით შეჰყვარებია ეს დიდი მონარქი ქალი... შოთას არ შეეძლო აშკარად გამოეხატა თავისი გრძნობები. მას ფიქციისთვის მიუმართავს და შეუთხზავს

1. **მარი ბროსე**, „ტარიელის“ მოქმედების ადგილი და საკუთარი სახელები, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 61

პოემა „ვეფხისტყაოსანი"... პოემაში მან აღწერა თავისი ტკბილი წამება, მაგრამ მოქმედება სხვაგან გადაიტანა და სიმართლე სპარსული და არაბი ავტორებისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლით შენიღბა. ტრადიცია არაფერს ამბობს იმის შესახებ, მიუხვდა თუ არა თამარ მეფე ალეგორიას".[1]

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ა. მურავიოვი 1848 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველო და სომხეთი" იმეორებს და იზიარებს დ. ჩუბინაშვილის ნათქვამს როსტევანის გიორგი მესამესთან და თინათინის თამარ მეფესთან გაიგივების შესახებ: „რუსთველმა მოქმედების არეალი გადაიტანა ბედნიერ არაბეთში. მან ვერ გაბედა სამეფო პირთა პირდაპირი მინიშნება და მოხდენილად წარმოსახა ისინი მის მიერ გამოგონილი ქვეყნის მბრძანებელთა სახით. მძლეთამძლე მეფე გიორგი, რომელმაც უბოძა ტახტი თავის ერთადერთ ასულს თამარს, წარმოგვიდგება სახელოვანი მეფის როსტევანის სახელით, ხოლო მისი ასული თინათინი, მზე აღმოსავლეთისა, წარმოადგენს თამარის პოეტურ ხატს".[2]

1884 წელს პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა არტურ ლაისტის „ნარკვევები საქართველოდან". ეს იყო სპეციალური წერილი ქართულ ლიტერატურაზე. იგი იმთავითვე თარგმნილა ქართულ ენაზე.[3]

აი, რას წერდა არტურ ლაისტი 1884 წლისათვის „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის, მოქმედი პირების ალეგორიულ ქართულ სინამდვილესთან, XII საუკუნის საქართველოსთან დაკავშირებით: „შოთა რუსთაველი თავისი ქვეყნისათვის იგივეა, რაც ტ. ტასო იტალიისათვის, ან ლ. კამოენსი პორტუგალიისათვის... ამ ეპოპეის („ვეფხისტყაოსნის" – ტ.მ.) გმირებსა და გმირ ქალებში თითოეული ქართველი პოეტის ცხოვრების დროის სხვადასხვა ისტორიულ პირს შეიცნობს: როსტევანი არის მეფე გიორგი, თინათინი – მისი ქალიშვილი თამარი, ხოლო ავთანდილი თვით რუსთაველი უნდა იყოს, რომელსაც ფარულად უყვარდა ეს მშვენიერი მეფის ასული და რომელიც დიდი ხნის მანძილზე იყო მისი მინისტრი – მეჭურჭლეთუხუცესი". იქვე არტურ ლაისტი განაგრძობს: „პოეტი გვაცნობს მეფე გიორგის სასახლის კარს, მის ცხოვრებას ათასგვარი ფერებით გვიხატავს. ასეთია, მაგალითად,

1. **ფ. შტაკელბერგი**, შოთა რუსთაველი, წიგნში: რუსთაველი მსოსფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 67
2. **ა. მურავიოვი**, საქართველო და სომხეთი, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 200-201
3. ჟურ. „ივერია", V-VII, 1884, გვ. 91-126

ტახტიდან გადადგომის ცერემონია, თამარის ასვლა ტახტზე, ნადიმები, ნადირობები და ჩვეულებრივი შეკრებულებები. მერე აღწერს (რუსთაველზეა საუბარი – ტ.მ.) ავთანდილის მოგზაურობას, რომელიც მისი საკუთარი მოგზაურობა უნდა იყოს... თამარ მეფემ შოთა რუსთაველი იერუსალიმს გაგზავნა საკმაოდ დიდი თანხით, რათა განეახლებინა იერუსალიმის ქართული მონასტერი. აქ მან შეიტყო თამარ მეფის გარდაცვალების ამბავი, რის შემდეგ იგი მონასტერში ბერად აღიკვეცა და იქვე გარდაიცვალა.".[1]

როგორც დავინახეთ, არტურ ლაისტი (ეს დიდი მოყვარული და პატრიოტი საქართველოსი, მისი კულტურისა) ჩვენს საკითხთან დაკავშირებით იმეორებს ადრინდელ შეხედულებებს, თანაც მათში ერთგვარი კორექტივი შეაქვს – ეს არის რუსთაველის პიროვნების გაიგივება ავთანდილთან. რაც შეეხება მის მიერ რუსთაველის დაკავშირებას იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერთან, ნარკვევის ავტორი უთუოდ ხალხური გადმოცემებიდან ამოდის თუმცა ამაზე, სამწუხაროდ, არანაირ წყაროს არ უთითებს.

1884 წელს თბილისში წიგნაკის სახით გამოქვეყნდა უკრაინელი მ. გულაკის „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ".[2] მიკოლა გულაკი იყო მკვლევარი, პედაგოგი, ჟურნალისტი, „ვეფხისტყაოსნით" დაინტერესებული პირი. ეს ნაშრომი მას თავდაპირველად ლექციების სახით ნაუკითხავს, რასაც იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოება ინტერესით შეხვედრია. რად ღირს იმ ფაქტის დასახელება, რომ მ. გულაკის რუსთველოლოგიურ ძიებებს დადებითად გამოხმაურებია აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

გავეცნოთ ნაწყვეტებს მ. გულაკის ნააზრევიდან საკითხთან დაკავშირებით: „არაბეთი, ინდოეთი და ჩინეთი მხოლოდ იდეალური ქვეყნებია „ვეფხისტყაოსანში", რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ამავე სახელის სახელმწიფოებთან და მის მოსახლეობასთან, გარდა იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არ არიან. ყოველი არაბი, ინდოელი „ვეფხისტყაოსანში" ნამდვილი ქართველია, ქართული ელემენტი ვარდის სურნელივით ჩაღვრილა მთელს პოემაში".[3]

ამ წერილში მ. გულაკის მიერ დ. ჩუბინაშვილის დამოწმებიდან ნათლად ირკვევა, რომ იგი სწორედ ქართველი მეცნიერის ნააზრევიდან ამოდის, როდესაც საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" ში-

1. იქვე. შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978, გვ. 63-65
2. მ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, ტფ., 1884
3. მ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 140

ნაარსის მსგავსებაზე თამარ მეფის ეპოქასთან. ამით ცხადდება ამ შეხედულების გაზიარებაც მისი მხრიდან: „პოემაში აღწერილ ეპიზოდებს თუ შევუდარებთ თამარის ცხოვრებას, ფრიად საგრძნობ მსგავსებას შევნიშნავთ. ეს უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ პოემის მთავარი გმირის ნესტან-დარეჯანის სახეში საგულვებელია თამარი. დ. ჩუბინაშვილის აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, მაგრამ თამარი იგულისხმება არა მარტო ნესტან-დარეჯანის, არამედ თინათინის სახეშიც. ეს კი არა და, რამდენიმე ასეთი პერსონაჟიც რომ იყოს პოემაში, – ყველა მათგანი ალბათ თამარის სახით იქნებოდა შთაგონებული იმ უბრალო მიზეზით, რომ რუსთაველი ღრმა გრძნობით იყო გათანგული თამარისადმი. თუმცა ამაზე არაფერს ამბობს არც ვახტანგ მეფე, არც მარი ბროსე, არც დ. ჩუბინაშვილი“.[1] ამით უკრაინელმა მკვლევარმა ფაქტიურად დაუწუნა ზემოთ დასახელებულ სახელოვან მოღვაწეებს თინათინის სახეში თამარის პიროვნების დაუნახველობა. შემდეგში მისი ეს ხედვა სხვებმაც სავსებით სამართლიანად გაიზიარეს.

რუსთაველის პოემის „ამბავის“ XII საუკუნის ქართულ სინამდვილესთან დაკავშირების თაობაზე დაფიქრებისას მიკოლა გულაკის მსჯელობანი, სხვებისაგან განსხვავებით, უფრო შორს მიდის, გამოირჩევა სიღრმისეული დაკვირვებებით: „ვეფხისტყაოსნის“ სცენაზე ჩნდებიან არაბეთის მეფე როსტევანი და მისი ასული თინათინი. ეს სახელები წმინდა ქართულია. მემატიანენი მოგვითხრობენ თინათინზე, კახეთის დედოფალზე, გურიელის ასულზე, ლევან ბატონიშვილის მეუღლე თინათინზე“ და სხვა“.[2]

მ. გულაკი იქვე განაგრძობს: „სავსებით გასაგები დელიკატური გრძნობის გამო, პოეტს არ სურდა და, იქნებ, არც შეეძლო პოემის გმირთა მოქმედება საქართველოში გაეშალა, თამარის მამას, მეფე გიორგი მესამეს, ძე არ ჰყავდა, მშვილდოსნობაში როსტევანსავით სახელგანთქმული იყო. მემატიანის ცნობით, ძველი და ახალი დროის არც ერთ მშვილდოსანს არ შეეძლო მასთან გატოლება. სწორედ ამიტომ აირჩია რუსთაველმა არაბეთი, აღმოსავლეთის ქვეყნისა, რომელიც თავისი წყობით მეტ-ნაკლებად ჰგავდა საქართველოს... თუმცა პოემაში ბუნება წმინდა ქართულია... წმინდა ქართულთა პოემის გმირთა ჩვეულებაც: ნადირობის დროს მეფის ამალა შედგება დიდებულებისა და მონებისაგან; სცენაზე ჩნდებიან მომღერლები, მუსიკოსები, იხსენიება ბუკი

1. იქვე, გვ. 141-142

2. მ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 144

და წინწილა, ასევე ეროვნული თამაშებიც – ნარდი და ბურთი; ავთანდილი ფიცულობს თავის მზეს, როსტევანი თინათინის მზეს, ეს წმინდა ქართული ფიცია".[1]

საკითხთან დაკავშირებით გავეცნობით ევგენი სტალინსკის 1885 წელს თბილისში გამოქვეყნებულ ნაშრომს „შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი" რუს მწერალს და ჟურნალისტს მიაჩნია, რომ „თავიანთი ოქროს ხანის – წარმოშობას ქართველები თამარ მეფეს მიაწერენ, – და, საფიქრებელია, ქართველი ქალის ემანსიპაციის საკითხი, ამის გამო იქცა ერთადერთ ნიადაგად, რომელზეც შეხვდნენ სახელგანთქმული მეფე და სრულიად უცნობი, მომავალი სახალხო პოეტი საქართველოსი". ამის შემდეგ ე. სტალინსკი საუბრობს რუსთაველის მიერ მოქმედების განგებ გადატანაზე ინდოეთის სამეფოში და ამის მიზეზსაც ასახელებს: „პოეტს უხერხულად მიაჩნია „ვეფხისტყაოსანში" წარმოჩენილ სამეფო პირებზე პირდაპირი მითითება. მან ლამაზი ფერებით დახატა ისინი, ვითარცა ინდოეთის სამეფოს უცხო ხელმწიფენი თამარი გარდასახა ნესტან-დარეჯანის, ხოლო მისი ქმარი, დავით სოსლანი, ტარიელის პიროვნებაში".[2]

ე. სტალინსკი აქვე უთითებს გამოთქმული ვარაუდის დამამტკიცებელ საბუთზე: „ნესტან-დარეჯანი იყო ინდოეთის მეფის, ფარსადანის, ერთადერთი ასული. თამარი თავის მხრივ, ასევე, ერთადერთი ასულია საქართველოს მეფის გიორგი მესამისა; ნესტან-დარეჯანის აღზრდა ფარსადანმა მიანდო თავის დას დავარს, ასევე, თამარის აღზრდა გიორგი მესამემ მიანდო თავის დას, რუსუდანს, რომელიც მას ზრდიდა თავის მცირეწლოვან ნათესავთან, დავით სოსლანთან ერთად, ზუსტად – ისე, როგორც ნესტან-დარეჯანს ზრდიდნენ ტარიელთან ერთად. აღზრდის შედეგად ნესტან-დარეჯანს და ტარიელს შეუყვარდათ ერთმანეთი, თამარიც ამავე მიზეზით პატარაობიდანვე ახლოს იყო დავით სოსლანთან, ფარსადანს პოლიტიკური მოსაზრებით სურდა თავისი ასული მიეთხოვებინა ხვარაზმშას ძისათვის, ნესტან-დარეჯანი კი წინ აღუდგა ამ გეგმას. ქართველ მემატიანეთა გადმოცემით, ხორეზმის შაჰიც ეძიებდა თამარის ხელს და მანაც უარი მიიღო. ნესტან-ტარიელისა და თამარ-დავითის ისტორიათა მითითებულ მსგავსებათა გარდა, შეინიშნება აგრეთვე ინდოეთის მსგავსება

1. იქვე
2. ე. სტალინსკი, შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი, ტფ. 1885; იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 212

საქართველოსთან. ასე მაგალითად, პოეტი ინდოეთს ფარსადანის საქვეშევრდომო შვიდ სამეფოდ ანაწევრებს, ქართველი ისტორიკოსის ვახუშტის ცნობით, გიორგი მესამეც შვიდი სამეფოს მფლობელი იყო და ამიტომ იწოდებოდა მეფეთ მეფედ თამარის მეუღლე დავით სოსლანი იყო შვილი ერთ-ერთი სამეფოს, ოსეთის, მსფლობელისა, რომელიც, ტარიელის მამის მსგავსად, ცნობდა ქართველ მეფეთა სუზერენობას. დაბოლოს, პოემაში მოხსენიებული ქაჯეთის ციხე, სადაც გამომწყვდეული იყო ნესტან-დარეჯანი, მდებარეობდა ახლანდელი ახალციხის რაიონში".[1]

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთ დამოწმებული ვრცელი ციტატა ე. სტალინსკის ნარკვევიდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერილია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული დ. ჩუბინაშვილის წერილიდან. თუმცა ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ იგი იზიარებს თვალსაზრისს „ვეფხისყაოსნის" შინაარსის ალეგორიულობაზე და მასში თამარისა და რუსთაველის დროინდელი საქართველოს სურათს ხედავს.

როგორც ცნობილია, კაზიმირ ლაპჩინსკიმ გიორგი ერისთავთან ერთად თარგმნა 1850-1854 წლებში პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი". ამ თარგმანს უძღვის კ. ლაპჩინსკის წინასიტყვაობა, სადაც ყურადღება განაწილებულია ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხისათვის: „თუ გაიხსენებთ რომ როსტევანს, ისევე როგორც გიორგი მეფეს, არ ჰყავს ვაჟიშვილი, რომ არაბეთის მეფე ემსგავსება თამარის მამის პორტრეტს, როგორსაც მემატიანენი გვაწვდიან, აგრეთვე იმას, რომ თამარი განთქმული იყო გულუხვობით ზუსტად ისე, როგორც თინათინი, მაშინ მივიღებთ, რომ არა მარტო ნესტანის სახეში, არამედ პოემის მეორე გმირი ქალის (თინათინის) სახეში შეფარვით იგულისხმება თვით თამარ მეფე".[2]

ეს ყველაფერი კ. ლაპჩინსკის სხვანაირად ვერ წარმოუდგენია, ვინაიდან ის ფიქრობს, რომ „გმირ ქალთა რიცხვი ათზე მეტიც რომ იყოს, თითოეული მათგანი დაემსგავსებოდა თამარს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩინებულ პოეტს შოთა რუსთაველს უყვარდა თამარი, თუმცა მის შესახებ (არ ვიცი რატომ) არც მარი ბროსე და არც დავით ჩუბინაშვილი არაფერს ამბობენ. ამ სიყვარულზე დღესაც მოგვითხრობენ საქართველოში, ხოლო წერილობით ეს დასტურდება რუსთაველის პოემის შესავალში".[3]

1. **ე. სტალინსკი**, შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი, ტფ. 1885; იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 212-213
2. **კ. ლაპჩინსკი**, „ვეფხისტყაოსნის" პოლონური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978, გვ. 61
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 62

როგორც ირკვევა ამ ბოლო ფრაზიდან, კ. ლაპჩინსკი ზუსტად იმეორებს მ. გულაკის ნათქვამს, რაც ზემოთ გვაქვს ციტირებული. იგივეს იმეორებს ვახტანგის (აქ ბროსეს) და დ. ჩუბინაშვილის საყვედურის ჩართვით.

რგორც გაირკვა, ქართველებზე ნაკლებად არც უცხოელნი არიან დაინტერესებულნი ალეგორიის მეთოდის გამოყენებით „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციით, რათა პოემაში გადმოცემული ამბავი საფუძვლიანად და დასაბუთებულად დააკავშირონ თამარის ოქროს ხანად წოდებულ ეპოქასთან. ეს ყველაფერი ემსახურებოდა „ვეფხისყაოსნის" ორიგინალობის დასაბუთებას.

„ვეფხისყაოსნის" ორიგინალობის დასამტკიცებლად ყველა ზემოთ მოხმობილი ავტორების ნააზრევისგან განსხვავებით, ანუ ისტორიულ-ალეგორიული თეორიისაგან განსხვავებით აკაკი წერეთელმა სრულიად სხვა გზა აირჩია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი აკაკი იზიარებდა დ. ჩუბინაშვილის თეორიას და ნესტანს თამარ მეფედ სახავდა, ფარსადანს – გიორგი მესამედ, დავარს – რუსუდანად, ტარიელს – დავით სოსლანად. „ცოცხალ სურათებში" (1899 წ) იგი როსტევანს გიორგი მესამესთან აიგივებდა, თინათინს – თამარ მეფესთან, სოგრატს – ჭიაბერთან, ავთანდილს – ზაქარია მხარგრძელთან. აკაკის მიაჩნდა, რომ საქართველოში არსებულმა კონკრეტულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ მისცა ბიძგი რუსთაველს, მაგრამ პოემაში ამ მომენტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ძირითადი ადგილი დაიკავა საქართველოს სხვადასხვა ტომთა ერთმანეთთან შეკავშირების იდეამ.[1]

თავის ლექციებში „ვეფხისტყაოსანზე" აკაკი ლაპარაკობდა პოემის გმირთა ქართულ წარმომავლობაზე. ამასთანავე, გმირებს არ ჩამოაცილა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნები.[2] დიდი პოეტი ამტკიცებდა: „როგორც ტარიელში ამერთა და ავთანდილში იმერთა კაცები, ზნე და ხასიათი იხატება, ისე ნესტანში ამერთა და თინათინში იმერთ ქალების ხასიათები". როგორც ვხედავთ აკაკი მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის" მთავარ პერსონაჟთა ხასიათებზე და ამის საფუძველზე ცდილობდა დაესაბუთებინა მათი ქართველობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლობა, ერთიანი ბრძოლა თავიანთი იდეალების განსახორციელებლად „ამის ჩვენებით, – შენიშნავს ლ. მენაბდე, – აკაკი არა მარტო პოე-

1. **ლ. მენაბდე**, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 182
2. იქვე, გვ. 183

მის ორიგინალობის დამტკიცებას ლამობდა, არამედ ქართველთა ეროვნული გრძნობის გაღვივებასაც".[1]

აკაკის ასეთმა მიდგომამ საკითხისადმი ილია ჭავჭავაძის კრიტიკა გამოიწვია. მისი დაკვირვებით, ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი ზოგადსაკაცობრიო ტიპები არიან. მას მიუღებლად მიაჩნდა ამ გმირების ეროვნულ-ტომობრივ ჩარჩოებში მოქცევა: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვა მამაკაცნი და დედაკაცნი „ვეფხისტყაოსნისა" ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი", ილია ასკვნის: „რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელი სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე".

ამრიგად, XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის შედარებამ „ვეფხისტყაოსანში" ასახულ რიგ დეტალებთან ქართველ და უცხოელ მკვლევართა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიყვანა რუსთაველის პოემაში ისტორიული ანალოგიების ძიებამდის. ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ გარკვეული მინიშნებების დონეზე პირველად მოგვცა 1831 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის დაკავშირება თამარის ეპოქასთან. მან ქართველთა ცხოვრების ანარეკლი და ისტორიული ვითარების კვალი შენიშნა „ვეფხისტყაოსანში". მასში გადმოცემული ამბავი ისტორიულ თხრობად, ხოლო უცხოელი გმირები ქართველ მამულიშვილებად გამოაცხადა. ამ საკითხზე დაკვირვება კიდევ უფრო გააღრმავა დავით ჩუბინაშვილმა, რომელმაც ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ისტორიის თამარის ისტორიასთან მსგავსების ჩვენებას დაუკავშირა ასევე მოქმედების ადგილის (ინდოეთი-საქართველო) მსგავსებაც ამის დასამტკიცებლად გავლებულია მეტად მეტყველი პარალელები.

საგულისხმოა, რომ XIX საუკუნეში დ. ჩუბინაშვილის მეთოდს მიმდევრები გამოუჩნდრენ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მხრიდან, რომლებიც ფაქტიურად იმეორებდნენ მისეულ პარალელებს და ანალოგიებს მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი მიმართული იყო „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის ორიგინალობის დასაბუთებისკენ.

---

1. ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 181

აკაკი წერეთელი ფაქტიურად იზიარებდა დავით ჩუბინაშვილის თუ მისი მიმდევრების თეორიას, მაგრამ, ამასთანავე, მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქართულ წარმომავლობაზე, თუმცა ამ გმირებს არ აცლიდა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნებს. დიდი პოეტი პოემის მთავარი პერსონაჟების საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ქართლი, იმერეთი, ზღვისპირეთი – სამეგრელო) წარმომადგენელთა დასახვით ცდილობდა არა მხოლოდ პოემის ორიგინალობის დამტკიცებას, არამედ ქართველთა ეროვნული გრძნობების გაღვივებასაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხები

ხელნაწერების კვალდაკვალ. დღეისათვის შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ძველი ხელნაწერები თარიღდება XVII საუკუნით. ერთი ფრაგმენტი XVI საუკუნისაა. პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერს წარმოადგენს მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1646 წელს ლევან მეორე დადიანის სამთავრო კარზე ზუგდიდში გადაწერილი ტექსტი (ც-599). მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების მთელი რიგი მინაწერები სხვა ხელნაწერებზე და მატერიალურ ძეგლებზე.

ქვემოთ მოკლედ შევეხებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მდგომარეობას და სიცოცხლეს XIX საუკუნის მანძილზე. გავეცნობით მასალებს და ინფორმაციებს, რომელიც შემოგვინახეს რუსთაველის პოემის ხელნაწერთა შესახებ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეებმა. გვინდა წინ გავუსწროთ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ამ მიმართულებით და ყურადღება გავამახვილოთ 1880 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე იონა მეუნარგიას, იაკობ გოგებაშვილის და რაფიელ ერისთავის მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაზე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასინჯვისა და დადგენის თაობაზე:

„დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“ და აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი გამოცემა გაიყიდა და ზოგიერთი გამომცემელნი აპირებენ ხელახლა ბეჭდვას, გვაძლევს მარჯვე შემთხვევას, ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ დაუყოვნებლივ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხისტყაოსანში“, თუ ეს ცვლილება არ

იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა) შევათანხმოთ ვეფხისტყაოსანი სხვა და სხვა ვარიანტებთან, რაც აკლია შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია გამოვაკლოთ. ხელთ გვაქვს ხუთი ხელთნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენიმეს;

ბ) თუ შესაძლებელი იქნება, შევიტყოთ – ვინ არიან ამ დამატების ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი, მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე.[11] იონა მეუნარგიას მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის უკეთესად და კრიტიკულად დადგენა. სწორედ მისი თაოსნობით შედგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია: გრიგოლ ორბელიანი (თავმჯდომარე), დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უშიკაშვილი, ნიკო დადიანი, დავით ერისთავი და სხვა.

რაც ამჯერად ჩვენთვის მთავარია, რედაქციის უმთავრესი საზრუნავი იყო ხელნაწერების შეგროვება. გაზ. „დროებაში" ქვეყნდება ცნობა, რომ რედაქციაში სხვადასხვა პირისაგან შემოსულა 16 ხელნაწერი. საინტერესოა, რომ რედაქციას მუშაობა დაუწყია მის ხელთ არსებული 22 ხელნაწერით, რომელიც ეკუთვნოდათ თურმე: ე. ქავთარაძეს, დ. თუმანოვს, ა. მამაცოვს, გ. მუხრანსკის, ზ. ჭიჭინაძეს (სამი ეგზემპლ.), ა. მელიქოვს, დ. ბაქრაძეს, ე. მარიჯანიძეს, ნ. წერეთელს, ბ. წერეთლის მემკვიდრეებს, ი. მერკვილაძეს, ნ. კორინთელს, რ. ერისთავს, გ. თუმანოვს, ა. თუთაევს, პ. უმიკაშვილს, კეზელს, ი. მეუნარგიას.[2] ეს უკანასკნელი გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს" შეუდარებს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს. იძლევა მის მოკლე დახასიათებას ამ ხელნაწერების სიძველისა და სანდოობის თვალსაზრისით. იქვე ჩამოთვლის რედაქციის ხელთ არსებულ ბეჭდურ გამოცემებს.[3]

იონა მეუნარგია გაზეთ „დროების" ფურცლებიდან იუწყებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიას მუშაობა შეუწყვეტია ხელნაწერების უქონლობის გამო. იგი მიმართავს ოჯახებს, რათა ათხოვონ დროებით პოემის ტექსტის ხელნაწერები. აქვე იგი იხსენიებს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ნ.

1. გაზ. „დროება", 1880, №341
2. გაზ. „დროება", 1881, 11 იანვარი
3. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 71-74

ელიოზოვის ოჯახში უნახავს ალექსანდრე მეფის (1443) ნაქონი „ვეფხისტყაოსანი".[1]

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ გამოსაცემად მომზადებული პოემა, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, – ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რამდენადმე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გაცხრილული ტექსტი, გასწორდა ზოგიერთი ტექსტობრივი შესაბამობა, გაიმართა არა ერთი ადგილი, გასწორდა მრავალი სიტყვის დაწერილობა, შეიცვალა სტროფული შედგენილობაც. იგი არსებითად არცაა პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.[2]

სარგის ცაიშვილის ენით რომ ვთქვათ: „1880 წლის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კომისიის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ ამ დროს მოხდა პირველი თავმოყრა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებისა. „ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა ნუსხა პირველად მაშინ მოხვდა მკვლევართა ყურადღების სფეროში. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგი ამ ხელნაწერთაგან მაშინ კვლავ დაუბრუნდა პატრონებს და იქნებ ზოგი მათგანი ჯერ კიდევ არ არის მოხვედრილი ხელნაწერთა საცავებში. (ამას მოწმობს „დროებაში" გამოქვეყნებულ მფლობელთა გვარები, რომელთაგან ზოგი აღარ ჩანს ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერთა შესწავლის შედეგად)".[3]

რადგან ზემოთ იონა მეუნარგიას ღვაწლზე ვსაუბრობდით, ბარემ შევნიშნავთ: პარიზში ყოფნისას ეს ჩინებული მწიგნობარი ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადმოწერს ნანუჩა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" დამატებანის 396 სტროფს. ჯერ კიდევ 1842 წელს დავით ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ ნანუჩა ციციშვილმა პოემას გაგრძელება დაუწერაო, მაგრამ მისი სტროფები არ დავბეჭდეთ, რადგან ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო.[4]

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსთვის, კერძოდ, 1829 წელს ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე პირველად ალაპარაკდა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერზე. ამას ყურადღება მიაქცია ჯერ გაიოზ იმედაშვილმა თავის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში", ასევე, სარგის ცაიშვილმა: „თავის წერილში მარი ბროსე ახსენებდა ხელნაწერს,

1. გაზ. „დროება", 1881, №123
2. დ. მენაბდე, იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის" გამომცემელი და მთარგმნელი, კრებ. „რუსთველოლოგია", III, თბ., 2003, გვ. 314
3. ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 355
4. ჟმნპ, 1842, №8

რომელიც ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ეს ხელნაწერი ბროსემ პირველად გადაწერა და იყენებდა მას თავისი ფრანგული თარგმანის შესასრულებლად. მის მიერ გადაწერილი ეს ხელნაწერი ამჟამად ინახება ლენინგრადში. როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – იგი წარმოადგენს პირს 1702 წელს შემახიაში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ახლაც ინახება პირიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში“.[1]

ს. ცაიშვილი იქვე შენიშნავს: „ამ ხელნაწერის აღწერილობები თავის დროზე გამოაქვეყნეს ი. მეუნარგიამ, ა. ხახანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. ამჟამად კი ჩვენ მოგვეპოვება ამ ხელნაწერის სრული ფოტოპირი.[2]

გ. იმედაშვილი ორიოდე სიტყვით გვაცნობს ი. ევლახოვის მიერ გაზეთ „კავკაზში“[3] გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ევლახოვი გაკვრით ეხება „ვეფხისტყაოსანს“, აღნიშნავს მის ხალხურობას, პოპულარობას და მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს, რომელიც თავად ნ. დ-ს ჰქონია.[4] ახლა კი ს. ცაიშვილს მოვუსმინოთ: „1847 წელს „ვეფხიტყაოსნით“ დაინტერესებული მკვლევარი (და შემდეგ წიგნის ავტორი) ი. ევლახოვი ერთ თავის მოგზაურობის დღიურში ახსენებს თავად ნ. დ-ს კუთვნილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს. მკვლევარი იძლევა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობას. ცხადია, რომ თავად ნ. დ-ს-ში იგულისხმება სამეგრელოს თავადი ნ. დადიანი, რომელმაც სხვა საქველმოქმედო საქმეებთან ერთად იმითაც ისახელა თავი, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა თავისი მდიდარი საგვარეულო წიგნთსაცავი და ხელნაწერთა კოლექციები („ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი, ალბათ, ამ გზით მოხვდა აღნიშნული საზოგადოების ფონდებში, რაც 1908 წელს აღწერა ე. თაყაიშვილმა“.[5]

როდესაც ვეხებით XIX საუკუნის ცნობებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პლატონ იოსელიანის საინფორმაციო მასალებს. მან 1852 წელს გამოსცა ტ. გაბაშვილის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები „მიმოსლვა“. აქ გამომცემელი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონატერში დაცულ რუსთაველის პორტრეტზე საუბრისას ასეთ ცნობას გვაწვდის: „არა უწყი არისა დღესაცა სახე ესე შოთა რუსთაველისა იერუსალიმს

1. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 349
2. იქვე
3. გაზ. კავკაზი", 1847, №1 მარტი №9, გვ. 31-32
4. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 26
5. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 349

– აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას ჰქონდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი, სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთველისა ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ეს წიგნი და პორტრეტი წარვუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთსა ქალაქსა პარიჟსა, რათა გადაბეჭდონ იგი მრავალრიცხვედ ეგზემპლარებად ხრომო-ლიტოლრაფიით".

ამ ცნობასთან დაკავშირებით ს. ცაიშვილი შენიშნავს: „პლატონ იოსელიანის ამ ცნობამდე რამდენიმე წლით ადრე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერსა და, კერძოდ, იქ გამოხატულ რუსთაველის პორტრეტს შეეხო გრ. გაგარინი თავის ცნობილ ალბომში (საუბარია 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომზე – ტ.მ.)".[1] მკვლევარი სპეციალურად იმეორებს ამ ალბომისთვის დართულ განმარტებას: „პორტრეტი (იგულისხმება რუსთაველის პორტრეტი – ტ.მ.), რომელიც XI ტაბულაზეა მოთავსებული, ეკუთვნის ძალიან ძველ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი არის ნაწილი თავად რევაზ ერისთავის ქალიშვილის მზითვისა. ხოლო რევაზ ერისთავი ცხოვრობდა დაახლოებით 1700 წელს. შემდეგ ეს ხელნაწერი გახდა ირაკლი მეფის ქალის თეკლა ბატონიშვილის საკუთრება. დღეს კი ეკუთვნის მის ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს, რომელმაც იგი გადასცა ამ გამოცემის ავტორებს".

გურამ შარაძის დაკვირვებით, დასახელებულ ალბომში მოთავსებული ცნობები გამორჩენილია გ. იმედაშვილის წიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა". გაგარინის ალბომზე დართული ეს განმარტება ეკუთვნის გრაფ ე. შტაკელბერგერს.[2]

ს. ცაიშვილის მიხედვით, პლ. იოსელიანის ცნობა და გაგარინის ალბომის განმარტებაში მოთავსებული ცნობა ერთსა და იმავე ხელნაწერს გულისხმობს. ეტყობა, პლ. იოსელიანს ანვალებდა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა საკითხი და მასზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას 1870 წელს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილში. მასში ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" სამ ხელნაწერზე, რომელიც თვითონვე უნახავს. ეს ხელნაწერები შესრულებული ყოფილა საუკეთესო კალიგრაფების მიერ. მათგან ერთი ხელნაწერი უძველესი ყოფილა, ეტრატზე დაწერილი და ხარვეზებიანი. იგი ეკუთვნოდა თურმე იმერელ თავადს, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთელს. ასევე ავტორი გვაცნობს მეორე ხელნაწერს, რომელიც უნახავს აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილის

1. იქვე, გვ. 350
2. გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1982, გვ. 135

ოჯახში. ეს ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა თურმე მეფე ალექსანდრეს, გადაწერილი ყოფილა დაახლოებით 1440-იან წლებში. ს. ცაიშვილის შენიშვნით, პლ. იოსელიანს ეს თარიღი ალექსანდრე დიდის (1412-1443) მეფობის წლების მიხედვით უნდა ჰქონდეს დადგენილი. პლ. იოსელიანი ლაპარაკობს მესამე ხელნაწერზეც, რომელიც ვახტანგ შაჰნავაზის კუთვნილება ყოფილა თავიდან, ბოლოს კი ხელთ ჰქონია თეკლა ბატონიშვილს. ხელნაწერის აღწერის შემდეგ პლ. იოსელიანი იქვე აღნიშნავს, რომ თეკლა ბატონიშვილის ნაქონი ეს ხელნაწერი მემკვიდრეთა დავალებით თვითონვე გადაუცია მთავარმართებელ მ.ს. ვორონცოვისათვის.

ს. ცაიშვილი მსჯელობს რა პლ. იოსელიანის მიერ მოწოდებულ ცნობებზე „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერზე, განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს მესამე ხელნაწერზე: „1935 წელს ლენინგრადიდან საქართველოში ჩამოიტანეს ერთი ხელნაწერი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინახებოდა ვორონცოვთა საგვარეულო არქივში. მაგრამ იმ ცნობებზე დაყრდნობით, რაც პლ. იოსენიანმა 1870 წელს წარმოადგინა, საკმაოდ გაძნელდებოდა ამ ხელნაწერში სწორედ ის მესამე ხელნაწერი შეგვეცნო. საქმე ისაა, რომ მინიატურები და რუსთაველის პორტრეტი, როგორც ეს აღნიშნული აქვს მკვლევარს, უკვე აღარ ჰქონდა ხელნაწერს... მეორეც – პლატონ იოსელიანი ზუსტად ასახელებს ხელნაწერის გადაწერის თარიღს – 1678 წელს, ხოლო ჩამოტანილ ხელნაწერს არავითარი ჩვენება თარიღზე არ აქვს. მესამე – პლატონ იოსელიანს ხელნაწერის მფლობელად ვახტანგ V შაჰნავაზი მიაჩნია; თუმცა ანრაგიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ 1678 წელს შაჰნავაზი უკვე გარდაცვლილი იყო. ნამდვილად კი ხელნაწერის მფლობელად სხვა პიროვნება ჩანს".[1]

როგორც ცნობილია, ეს ხელნაწერი მეცნიერულად შეისწავლა გიორგი ლეონიძემ. მან პირველმა გამოავლინა ამ ხელნაწერის ნამდვილი მფლობელი ზაზა ციციშვილი და გაარკვია ხელნაწერთან დაკავშირებული რიგი საკითხები. დღეს ეს ხელნაწერი, – წერს ს. ცაიშვილი, – „ზაზასეულის" სახელითაა ცნობილი და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელნაწერად ითვლება.[2]

1. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 351-352; შდრ. **გ. ლეონიძე**, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, წიგნში: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 304-323

2. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 351-352; შდრ. **გ. ლეონიძე**, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, წიგნში: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 353

ვ. ზოტოვი თავის წერილში „ქართული ლიტერატურა" შეეხო „ვეფხისტყაოსანს", სხვა საკითხებთან ერთად. შეჩერდა პოემის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაზე. აქცენტირებულია ამ გამოცემის განხორციელება წარყვნილი ხელნაწერის საფუძველზე, რომელიც 1678 წლის შაჰნავაზის ნაქონი ხელნაწერი უნდა იყოსო.[1] ეტყობა, ზოტოვი პლ. იოსელიანის ნათქვამს იმეორებს ხელნაწერის ვახტანგ V კუთვნილებასთან დაკავშირებით. იმეორებს იოსელიანისეულ შეცდომას, რადგან შაჰნავაზი 1678 წელს ცოცხალთა შორის არ იყო (გარდაიცვალა 1675 წელს).

პეტრე უმიკაშვილი 1877 წელს ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში გვამცნობს, მას გაგონილი ჰქონია, რომ 50-55 წლის წინათ ვიღაცას „ვეფხისტყაოსნის" ძველი ხელნაწერი მოეტანოს თითქოს. ასევე, პ. უმიკაშვილი ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში „გარდამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი"[2] საუბრობს პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე", რომელსაც მოკლედ ახასიათებს. მისი თქმით: „ამ ახლო ხანებში ერთ სახლში აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი", გადაწერილი პეტრე ლარაძისაგან (ახლა დიმიტრი ბაქრაძესა აქვს). ეს „ვეფხისტყაოსანი" ადგილ-ადგილ ძალიან შეცვლილა". გ. იმედაშვილი წერს: „ეს ხელნაწერი ლარაძის შენიშვნით გადაწერილი ყოფილა გიორგი თუმანიშვილის ნაქონი ძველი ხელნაწერიდან, რომელიც არტანუჯში მოუპოვებია იმასო. ავტორის (იგულისხმება პ. უმიკაშვილი – ტ.მ.) შენიშვნით, ლარაძეს შეესაძლოა „ვეფხისტყაოსანში" თვითონვე მოეხდინოს ჩასწორებები და ავტორიტეტობის გულისთვის არტანუჯი დაესახელებინოს, როგორც საქართველოს განათლების პირველი მიწა-ადგილი".[3]

1879 წელს გაზეთ „დროების" რედაქტორს კოტონი უგზავნის წერილს, სადაც აღნიშნულია საგულისხმო ცნობა, რომ კნ. პელაგია წერეთლისას განკარგულებაში ყოფილა სურათებიანი ვეფხისტყაოსანი. რომელიც პერგამენტზე ყოფილა ნაწერი. აქვე მოცემულია მისი მოკლე აღწერა.[4] ასევე, გაზეთ „დროებაში" ვეცნობით ალექსანდრე როინიშვილის წერილს რედაქტორთან, სადაც იგი შესთხოვს კნ. ნ. დადიანისას, რომ დროებით დაუთ-

1. ვ. ზოტოვი, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, პეტერბურგი-მოსკოვი, 1877, გვ. 343-344
2. პ. უმიკაშვილი, გარდამწერი ქართული წიგნისა დავით რექტორი, ჟურ. „ივერია", 1877, 21 ნოემბერი, №8, გვ. 7-14
3. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 62
4. გაზ. „დროება", 1879, 22 თებერვალი, №38, გვ. 3

მოს დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი სურათების გადასაღებად“.[1]

1880 წლის 21 ივნისის გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა პ. კარბელაშვილის წერილი „შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ განგრძობა“. ავტორი იუწყება მის ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ უცნობ ხელნაწერზე. მისი ვარაუდით, ეს ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს, რომელიც ჩანართების შემცველია პ. კარბელაშვილს ამ ხელნაწერის 1846 წლის პოემის დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემასთან შედარებისას გამოურკვევია, რომ ეს ხელნაწერი უფრო სრულია, 314 სტროფით მეტი. აქედან გამომდინარე, ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ აღნიშნული ჩანართები კარგად ავსებენ (ზოგ შემთხვევაში) „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არსებულ ხარვეზებს და ლოგიკურად ამთავრებენ პოემის ბოლოს, რომელშიაც იგრძნობა ერთგვარი დაუმთავრებლობა.[2]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პ. კარბელაშვილს ვეფხისტყაოსნის „გაგრძელების“ ტექსტი გაუგზავნია ჟურნალ „ივერიის“ რედაქციისთვის, რაც გამოქვეყნდა კიდეც. გავეცნოთ სარედაქციო შენიშვნას: „ეს „გაგრძელება“ ვეფხვის ტყაოსნისა მოგვივიდა პ. კარბელაშვილისაგან და ვბეჭდავთ „ივერიაში“, რადგან საინტერესოა ჩვენი ლიტერატურისათვის. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს გაგრძელება „რუსთაველის“ კალამს არ დაუწერია“.[3] გაგრძელებათა ტექსტი შეიცავს 308 სტროფს. დანართი თავების სათაურები სტროფთა რაოდენობით ასე გამოიყურება:

1. ტარიელისგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა, 1573-1574;
2. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება, 1575-1611;
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, 1612-1654
4. აქ ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშასაგან სისხლისათვის მოხდომა, 1655-1676;
5. ესმა ინდოთ მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა ინდოეთში, 1677-1689;
6. გამარჯვება ხვარაზმთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედან, 1692-1694;
7. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშველად, 1695-1714;

1. გაზ. „დროება, 1879, 3 მარტი, №47, გვ. 3-4
2. პ. კარბელაშვილი, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ განგრძობა. გაზ. „დროება“, 1880, 21 ივნისი, №132, გვ. 2-3
3. ჟურ. „ივერია“, 1880, №111, გვ. 3-35

8. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშველად, 1715-1727;

9. აქა ავთანდილისა და ფრიდონის წასვლა ხვარაზმშას საომრად, 1728-1758;

10. ომი ზედ დასხმით ხვარაზმთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა ზედა, 1759-1806;

11. ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცვლებოდა მის ჟამის ნათქვამი, 1807-1836;

12. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა, 1837-1858;

13. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილისა ჟამსა, 1843-1858;

14. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა, 1859-1864;

15. მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა ტაგრუტსა ზედა, 1865-1881.

გ. იმედაშვილს თავის ანოტაციაში დამოწმებული აქვს გაგრძელებათა ტექსტის დასაწყისი სტროფი, რასაც ჩვენც გავიმეორებთ:

„ქედსა ზედა გადმოადგა მეტად დიდი ქარავანი.
კაცები და სახედრები მეტად იყო შავოსანი.
გარეშემო მოეკეცნეს უკანა მათ დალალანი.
მეფე ბრძანებს: მოასხენით, ჩვენ დავჰყოვნოთ ცოტა ხანი".[1]

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერული მემკვიდრეობის შესასწავლად ს. ცაიშვილს საყურადღებოდ ესახება პ. კარბელაშვილის ზემოთ ფიქსირებული ცნობები. მეცნიერი წერს: „პ. კარბელაშვილს ეკუთვნის რამდენიმე წერილი ვეფხისტყაოსანზე. 1880 წელს გაზეთ „დროების" ფურცლებზე მან გამოაქვეყნა მოკლე ცნობა „ვეფხისტყაოსნის" ერთი ვრცელი ვარიანტის შესახებ, ხოლო იმავე წელს ჟურნალ „ივერიაში" მთლიანად დაბეჭდა ამ ვარიანტის ბოლო თავები მოკიდებული „ინდო-ხატაელთა ამბიდან". უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც არ არის ცნობილი, თუ რომელი ხელნაწერით სარგებლობდა მკვლევარი".[2] აქვე ს. ცაიშვილი წინასწარი ცნობის სახით შენიშნავს შემდეგს: „პ. კარბელაშვილის ხელში გაუვლია ორ ხელნაწერს. ეს არის Ც – 2610 და თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ჭ-27, ჯერ ს. ყუბანეიშვილმა, ხოლო ბოლო ხანებში ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და ირკვევა, რომ „ივერიაში" გამოქვეყნებული ნუსხა არ ემთხვევა არც ერთ ამ ხელ-

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 69
2. ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 356

ნაწერს. კარბელაშვილი საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდის მის მიერ ნახულ ხელნაწერებზე. ამის გამო იმედს არ ვკარგავთ, რომ საბოლოოდ მივაკვლევთ აღნიშნულ ხელნაწერს".[1]

1880 წლის გაზეთი „ობზორი" ეხმაურება პ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნი პოემის ხელნაწერს. გამოხმაურების ვინაობა უცნობია. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსნის" ეს ხელნაწერი ბეჭდურ ტექსტთან შედარებით შეიცავს ბევრ უცნობს სტროფს. მთლიანად ხელნაწერში 1907 სტროფია, აქამდე კი ბეჭდურით 1593 სტროფი იყო ცნობილი. ახალი სტროფები უმთავრესად დაბოლოებას შეიცავს. ანონიმი ავტორი, ამასთანავე აღნიშნავს, რომ წინასწარი შთაბეჭდილების მიხედვით, წერილში მოყვანილი სტროფები რუსთაველს არ უნდა ეკუთვნოდეს. ამ ხელნაწერიდან ჩანს, რომ არსებობდა რუსთაველის პოემის განვრცობის ტრადიცია.[2]

1880 წლის 23 ივნისს გაზეთი „ობზორი" აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ იონა მეუნარგიას რედაქციისთვის წარუდგენია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერიდან „ვეფხისტყაოსნის" 396 სტროფი, რომელიც 1702 წელს ყოფილა გადაწერილი ქ. შემახაში ბეჟანა ოცხანას ქალიშვილის მიერ. ამ საინფორმაციო მასალაში მოცემულია შენიშვნაც, რომ პარიზის ხელნაწერი შესწავლილი იყო მარი ბროსეს მიერ, რომელმაც ეს ზედმეტი სტროფები „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის პეტერბურგის გამოცემაში არ შეიტანა. არ მოათავსა იმიტომ, რომ ისინი რუსთაველის კუთვნილებად არ მიიჩნია.[3]

1880 წლის გაზეთ „დროების" ფურცლებზე (6 ივლისი, 9 დეკემბერი, 13 დეკემბერი, 21 დეკემბერი) ქვეყნდება ცნობები „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების ოჯახებში აღმოჩენის თაობაზე, მათი მოკლე აღწერილობით. აქვეა ცნობა იმის შესახებ, რომ პ. კარბელაშვილისაგან მიღებულია წერილი „ვეფხისტყაოსნის" ვრცელ ხელნაწერზე. „დროების" რედაქციას მიუღია ცნობა თ. გრ. დ. გურიელისაგან პელაგია წერეთლის ოჯახში დაცული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ, ამავე ხელნაწერს ეხება ცნობა დ. წერეთლისა, რომელიც, მისი სიტყვით, მეფე სოლომონ დიდის ნაქონი ყოფილა და დარეჯან ბატონიშვილისაგან ივანე აბაშიძის ოჯახში გადასულა. ასევე საინფორმაციო ცნობა იუწყება ქართლში დავით ბეგთაბეგოვის სახლში დაცული ხელნაწერი

1. იქვე
2. გაზ. „ობზორი", 1880, 22 ივნისი, №534, გვ. 3; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 66-67
3. გაზ. „ობზორი", 1880, 23 ივნისი, გვ. 1

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აქვე ვეცნობით: დ. ი. ყიფიანისთვის პელაგია წერეთლისას რედაქციისათვის გადასაცემად მიუწოდებია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი; აგრეთვე საჩხერეში მცხოვრებ თ.ა. დავითის ძე წერეთელს ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სიძველითა და ლირსებით სჯობდა პელაგია წერეთლის ვეფხისტყაოსანს.[1]

გაზეთ „დროების“ ფურცლიდან (1881, 16 ივნისი) იონა მეუნარგია იუწყებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია წყვეტდა მუშაობას ხელნაწერების უქონლობის გამო და სთხოვდა ოჯახებს ვეფხისტყაოსნის დროებით რედაქციისთვის მიწოდების შესახებ. აქვე ნახსენებია ნიკოლოზ ელიოზოვის ოჯახში პლატონ იოსელიანის მიერ ნანახი ვეფხისტყაოსანი, რომელიც ალექსანდრე მეფის (1443) ნაქონი ყოფილა.

1881 წლის 1 იანვრის გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება განცხადება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შეგროვებაზე. ეს იყო რუსთაველის პოემის დამდგენი კომისიის მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი – დროებითი სარგებლობისათის რედაქციისთვის ეთხოვებინათ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

1881 წლის 11 იანვრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილია ინფორმაცია, რომ სოფ. ახმეტაში რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში ჰქონიათ მეფე ერეკლეს ნაქონი ტყავზე ნაწერი არშია დაბასმული ვეფხისტყაოსანი. აქვე ვკითხულობთ, იონა მეუნარგიას ცნობას, რომ სხვადასხვა პირისაგან რედაქციას მოსვლია 16 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“. ტექსტის დამდგენ მუშაობაში გამოსაყენებლად, ჩამოთვლილია ამ ხელნაწერთა მფლობელნი და ის პირნი, რომელთაგან კიდევ ელიან ხელნაწერებს.[2]

გაზეთ „ივერიაში“ (1886, 6 სექტემბერი) შემოსულა ცნობა რედაქციის მისამართით, რომ სოფელ ახმეტაში ნ. მაყაშვილს ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი პირი. ხელნაწერის მოკლე აღწერაში აღნიშნულია, რომ ის გადაწერილია მეფე ვახტანგ V შაჰნავაზ გიორგის ძის მეფობის მესამე წელს – 1661-1664 წლის დასასრულს. აქვე მითითებულია, რომ ეს წიგნი მოსკოვში შეუძენია 1781 წელს ერეკლე მეორის მიერ რუსეთში გაგზავნილ სახლთხუცეს თავად ჩოლოყაშვილს.[3]

1888 წლის 10 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია: ერევნის გუბერნიის მკვიდრი სომხის ოჯახში აღ-

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 67
2. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 75-76
3. შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 113

მოჩენილა „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უძველესი ხელნაწერი. იგი ერთი სომხის მიერ ნაპოვნი ყოფილა ქურთების სოფელში. ხელნაწერი შესრულებული ყოფილა ტყავზე. აქვე გამოთქმულია სურვილი პოემის გამოცემებთან მისი შედარებისა. ამავე წლის 18 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილია ცნობა ლევან მჭედლიშვილზე, რომელსაც ბათუმიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს შავშეთში ნაპოვნი ძველ ხელნაწერებთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“.

გაზეთ „ივერია“ (1889, 8 სექტემბერი) იუწყება, რომ მ. ქართველიშვილს სხვა ხელნაწერთა შორის ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება, რომელიც ისე იწყება, როგორც ა. ხახანაშვილის მიერ აღწერილი პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი (ლაპარაკია ომაინის ამბავზე).[1]

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ (28 მკათათვე, 8 მარიამობისთვე, 6 სექტემბერი) იბეჭდება ა. ხახანაშვილის „საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“ (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები). ავტორი გვამცნობს ბიბლიოთეკის კატალოგში მოხსენიებულ სამ ხელნაწერზე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პირზე. პოემის ხელნაწერის აღწერისას ა. ხახანაშვილი საუბრობს მის ორ ნაწილზე – საკუთრივ პოემის და მისი გაგრძელების, კერძოდ, ომაინის ამბავზე, სათაურით: „ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომაინ ჭაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მიებმის ამბავსა ვეფხისტყაოსნისასა“. ა. ხახანაშვილი ამ გაგრძელებაში ხედავს ვეფხისტყაოსნისადმი დიდ ინტერესს – მკითხველ საზოგადოებას არ აკმაყოფილებს პოემის ამგვარი დასრულება და სწყურია ამბავის შემდგომ გაგრძელება. მისი შენიშვნით (იგი მინაწერიდან ამოდის), ეს ხელნაწერი გადანუსხულია 1782 წელს დავით რექტორის მიერ.

1895 წლის 3 მაისს გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება გ. საძაგელოვი-ივერიელის (იგივე ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მკვლევრის, ეპისკოპოს კირიონის – ტ.მ.) საინტერესო წერილი „ახალი ვარიანტი ვეფხის-ტყაოსნისა“. ავტორი ჯერ მსჯელობს XIX საუკუნის 80-იან წლებში ვეფხიტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე. მისი შენიშვნით, პოემის ტექსტის ვარიანტებთან შედარებისას კომისიის ხელთ არსებულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველი ხელნაწერი 1646 წელსაა გადაწერილი. ავტორი კომისიას უქებს ჩატარებულ მუშაობას და იქვე მიუთითებს ნაკლზეც. კირიონს მიაჩნია, რომ კომისია ვალდებული იყო აღდგენილი ტე-

1. იქვე, გვ. 143

ქსტის ქვეშ ყველა ვარიანტი მოეყვანა, საჭირო იყო 1888 წელს გამოცემული პოემის ტექსტი დაბეჭდილიყო ნუმერაციით, რაც მათ სარგებლობას გაადვილებდა. ამასთანავე, კირიონი არ იზიარებს დასურათებაში ტარიელის ჩაცმულობას, რომელსაც მთელი ვეფხის ტყავი ადევსო ზედ.

აქვე მოცემულია კირიონის მიერ ნანახი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა XVIII-XIX საუკუნეებში ცნობილი კალიგრაფის პეტრე ტაბლიაშვილის მიერ. კირიონს ეს ხელნაწერი შეუდარებია სხვა ცნობილი ტექსტისთვის და გამოუტანია დასკვნა, რომ იგი ზოგ შემთხვევაში უკეთეს წაკითხვას იძლევა. გამოყოფს რამდენიმე სტროფს, რომელიც ტექსტს აკლია სიტუაციის მიხედვით, ეს კი ავსებს. იმავე 1895 წელს გ. საძაგელოვი-ივერიელი წერილით მიმართავს გაზეთ „ივერიის" რედაქციას აქვე (98) დაბეჭდილი შენიშვნის გამო რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში შენახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის შესახებ. იგი რედაქციას ამცნობს თავის გადაწყვეტილებას ვეფხისტყაოსნის ვარიანტების დაბეჭდილ ტექსტთან შედარების თაობაზე. გამომდინარე აქედან, კირიონი თხოვნით მიმართავს ჩოლოყაშვილების ოჯახს, რათა მისცენ საშუალება ამ ხელნაწერის დროებით სარგებლობისათვის.

ს. ცაიშვილს მე-19 საუკუნის მოღვაწეთაგან პლ. იოსელიანის, პ. კარბელაშვილის შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებოდ ესახება ეპისკოპოს კირიონის მიერ მოწოდებული ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე. მას თავის მონოგრაფიაში („ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია") ვრცელი ადგილი დაუთმო, დაწვრილებით შეისწავლა იგი.[1]

ს. ცაიშვილი პირველ რიგში აქცენტს აკეთებს 1904 წელს ჟურნალ „მოამბეში" (№5) გამოქვეყნებულ წერილზე „ვეფხისტყაოსნის" შესამოწმებელი მასალა". წერილს ჰქონია ასეთი ხელმოწერა ე.კ. მკლევრის თქმით. წერილის ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის" ერთ ხელნაწერს, რომელიც მას ხელთ ჰქონია რამდენიმე დღის განმავლობაში. ს. ცაიშვილს მოაქვს ციტატა ამავე ავტორის წერილიდან: „ამ ათი წლის წინ ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო ქართველი საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელნაწერი. ვარიანტი რამდენიმე დღით მომიტანა სასულიერო სასწავლებლის

1. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, წიგნში: წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 356-362

მოწაფემ ბ. მიროტაძემ. როგორც მან გადმომცა, ის ეკუთვნის თბილისში მცხოვრებ ქვრივ სომეხ მანდილოსანს".

ს. ცაიშვილი აქვე იმეორებს წერილის ავტორის შენიშვნას, რომ მას 1895 წლის „ივერიაში" (№93) გამოუქვეყნებია ასეთივე ხასიათის წერილი. ს. ცაიშვილი წერს: „მართლაც „ივერიის" ამ ნომერში არის წერილი ვეფხისტყაოსანზე და იგი ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და მკვლევარს, ეპისკოპოს კირიონს (წერილს ხელს აწერს გ. საძაგელოვ-ივერიელი). წერილის ავტორი, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – აქ ეხება ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერს რომელზედაც გვაწვდის საყურადღებო ცნობებს. ავტორისეული ცნობით აშკარა ხდება, რომ აქ ორ სრულიად სხვადასხვა ხელნაწერზე არის საუბარი".[1] წორედ ს. ცაიშვილმა იტვირთა ორივე ხელნაწერის ცალ-ცალკე შესწავლა.

კვლევის შედეგად ს. ცაიშვილი მივიდა საგულისხმო დასკვნამდე: „აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ვითარება. კირიონის ხელნაწერი ყველა შემთხვევაში არა მარტო შედგენილობით, არამედ წაკითხვითაც ზუსტად იმეორებს „გურგენისეულ" ხელნაწერს. უფრო მეტიც, ყველა მონაცემით მტკიცდება, რომ კირიონისა და „გურგენისეული" ხელნაწერი არის ერთი და იგივე ნუსხა".[2] სანიმუშოდ მეცნიერს მოაქვს სპეციფიკურობით გამორჩეული წაკითხვები, რომლებიც არ დასტურდებიან სხვა არც ერთ ხელნაწერში.[3] ს. ცაიშვილის მტკიცებით, ყველა მონაცემებით: შედგენილობით, წანაკითხებით, ხელნაწერის ისტორიით (ორივე ხელნაწერი სომხის ოჯახიდან მოდის) ჩანს, რომ კირიონის მიერ ნახული და აღწერილი ხელნაწერი იგივე ნუსხაა, რომელიც 1946 წელს საქართველოს გადმოსცა საჩუქრად სომხეთის მთავრობამ და „გურგენისეული" ნუსხის სახელითაა ცნობილი".[4]

ს. ცაიშვილი გვარკვევს კირიონის აღწერილობის მნიშვნელობის შენარჩუნებაზე დღემდის ორი გარემოების გამო. 1. ამ აღწერილობიდან ირკვევა, რომ „გურგენისეულის" ხელნაწერის აწ დაკარგული პროლოგი ისეთივე ყოფილა, როგორც ეს ვნახეთ ამ აღწერილობათა შედარების დროს. 2. კირიონის აღწერილობაში შემონახულია ზოგი ისეთი სტროფის წაკითხვა, რაც დღეისათის დაზიანებულია „გურგენისეულ" ხელნაწერში.[5]

1. **ს. ცაიშვილი**, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, წიგნში: წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 356
2. იქვე, გვ. 360
3. იქვე, გვ. 361
4. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 311-312
5. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 311-312

მეცნიერი დამატების სახით შენიშნავს შემდეგს: „კირიონი ადრე 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№93) ეხებოდა ხელნაწერს, რომელიც აშკარად სხვა ხელნაწერია. რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა ამ ხელნაწერის მიკვლევაც იმ მონაცემების მიხედვით, რაც გამოაქვეყნა კირიონმა, არ არის ძნელი აღნიშნული ხელნაწერის მიგნებაც. ხელნაწერის გადამწერი ყოფილა პეტრე ტაბლიაშვილი. ხელნაწერი შეიცავს 1434 სტროფს... ხელნაწერთა მემკვიდრეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პეტრე ტაბლიაშვილს გადაუწერია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ნუსხა.[1] ს. ცაიშვილი აქ ასახელებს ნუსხას შ-2686, რომელც შეიავს ზუსტად 1434 სტროფს, ხოლო რედაქციულად იგი, მართლაც, შეიცავს ვახტანგისა და ჩუბინაშვილის გამოცემებთან შედარებით რამდენიმე დამატებით სტროფს როგორც ახლა გარკვეულია, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – ეს ჩანართი სტროფები ეკუთვნის გიორგი თუმანიშვილს. ხოლო ამ ტიპის ხელნაწერებს კი ეწოდება ე.წ. „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული ვარიანტი“, რაც ვახტანგისეული გამოცემის გვიანდელ სახესხვაობას წარმოადგენს მხოლოდ.[2]

1895 წლის 11 მაისის გაზეთ „ივერიაში“ (№98) დაბეჭდილია ინფორმაციული მასალა იმის თაობაზე, რომ ახმეტაში, რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი. წარწერიდან ირკვევა: ხელნაწერი შედგენილია მოსკოვში გრიგოლ ჩოლოყაშვილის მიერ. ჰქონია მხატვრული არშიები.

1895 წლის ჟურნალ „კვალში“ (№35) მოთავსებულია ცნობა: მელიქ ხოჯაშვილს უპოვია ერთი ხელნაწერი. მასში მოთხრობილი ყოფილა რუსთაველის პოემის გმირების თავგადასავალი და სიკვდილი ტარიელისა. რედაქციის თხოვნით ეს ხელნაწერი უნდა გადაცემოდა გ. წერეთელს.

ჟურნალი ჟმნპ (№XII) ბეჭდავს ა. ხახანაშვილის ნარკვევს რუსთაველზე და მის პოემაზე. ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს, სადაც, ამასთანავე, დაყენებულია საკითხი თხზულებაში შემდეგდროინდელი ჩამატებების შესახებ.

გაზეთ „ივერიას“ (1896, 6 აპრილი) გამოუქვეყნებია ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ მივიღეთ ბ.ა. ხახანოვის ახალი შრომა „ქართული ხელნაწერი პოემა ვეფხისტყაოსნისა“. გადმოწერილია იმ ხელნაწერიდან, რომელიც ინახება მოსკოვში, გარეშე საქმეთა სამინისტროს უმთავრეს არქივში. წიგნი მეტად საინტერესოა

1. იქვე
2. იქვე

ყველასათვის, ვინც ჩვენს მწერლობას თვალ-ყურს ადევნებს".

მოსკოვის ერთ-ერთ ჟურნალში (დრევნოსტი ვოსტოჩნიე) 1896 წელს ქვეყნდება ცნობა: მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების 1895 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ ა. ხახანაშვილს წაუკითხავს მოხსენება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე, მითითებულია მოხსენებაში, რომ პოემის ბეჭდურ ტექსტთან შედარებით განსხვავებულ სტროფებზე, ზოგი მათგანი შემდგომ ინტერპოლაციას წარმოადგენსო.[1]

1898 წლის იანვარში ჟურნალ („მოამბეში (№1) დაიბეჭდა ა. ხახანაშვილის „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები". ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაში აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე ნუსხა:

1. „ტარიელის რომანი ლექსად, 1 კაბად. ასლი სრულია, მაგრამ სისწორეს მოკლებულია (ნამდვილი სათაური ამ რომანისა არის „ვეფხისტყაოსანი"). ტარიელი სახელია უმთავრესი გმირისა. დამწერი რუსთაველია, 268 ფურც".

2. „რომანი ტარიელისა ლექსად. შემოწირულია სამეფო ბიბლიოთეკაში ბ-ნ განბას მიერ. ხელნაწერი ახალი დროისაა. გადაწერილია 1811 წელს იოანე იაღლუზოვის მიერ, თვით პოემა ეკუთვნის მე-XII საუკ. ბ-ნმა ბროსემ დაბეჭდა პოემის ნაწყვეტი „ჟურნალ აზიატიკ"-ში. არც ეს ასლი, როგორც ზემოდ მოხსენებული, არ არის სრული".

3. „VII (მეშვიდე), დაწერილია ტყავზე მე-XVII-XVIII საუკ. ხელით, მხედრული ასოებით. ჰქონია მინაწერი „დიაღ ცუდი ვეფხის ტყაოსანია". ავტორი მოკლედ ახასიათებს ხელნაწერის შედგენილობას.

4. VIII (მერვე). ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი გადაწერილი იოანნე იალღუზის ძის მიერ.

5. ავტორი ბარამისა და გულიჯას დახასიათებისას აღნიშნავს ზოგ მსგავსებას ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებთან.

6. XXIV (ოცდამეოთხე). აღწერილია ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც შიგა და შიგ ჰქონია ხელით ნაწერი ფურცლები.

გაზეთ „ივერიაში" (1899, 6 თებერვალი) გამოქვეყნებულია მღვდ. დ. ვარდიაშვილის „ხელნაწერი ვეფხისტყოსანი ერევანში". აქ საუბარია ერევანში, თათრის ოჯახში, აღმოჩენილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე. შენიშნულია, რომ ხელნაწერს თავსა და ბოლოში აკლია სტროფები. დ. ვარდიაშვილს ეს ხელნაწერი შეუდარებია „ვეფხისტ-

1. შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 202

ყაოსნის“ 1887 წლის გამოცემისათვის (ცხადია, იგულისხმება გრიგოლ ჩარკვიანის გამოცემა, ეს იყო რიგით მერვე გამოცემა) და გამოუტანია დასკვნა, რომ ხელნაწერში ბეჭდურთან შედარებით გვხვდებაო ბევრი ზედმეტი სტროფი. ხელნაწერის ტექსტს ჰქონია ანდერძები. ბოლოს ავტორი გვარკვევს იმაში, რომ თურმე ეს ხელნაწერი ჰქონია ერევნის ვიცე-გუბერნატორს ნაკაშიძეს. იგი მოითხოვს რუსთაველის პოემის ტექსტის დადგენისას მისით სარგებლობას.

აღსანიშნავია, რომ ერევნის გუბერნიაში, კერძოდ, დაბა ივდირში აღმოჩენილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე ცნობები მეორდება გაზეთებში: „ნოვოე ობოზრენიე“ (1899, 4 თებერვალი) და „ცნობის ფურცელში“ (1899, 5 თებერვალი).

ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს გამოხმაურებია ზაქარია ჭიჭინაძე და იგი „შესანიშნავ ვარიანტად“ არ მიუჩნევია. მისი აზრით, ის ადგილები, რომლებიც 1888 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტში არ მოიპოვება, XVII საუკუნეშია დაწერილი ნანუჩა ციციშვილის მიერ. მისი თქმით, ამ ადგილებს „ცხადათ აკლია რუსთაველის შემოქმედებითი ძალა, მკვეთრი ბასრი ტალი და დიდი მხატვარ ხელოვნება“ მიუხედავად ამისა, ზაქარია ჭიჭინაძის თანახმად, ამ ხელნაწერს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რუსთაველის პოემის ტექსტის დასადგენად. აუცილებლობად ესახება მისი გამოყენება ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვისას.[1]

ირკვევა, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებული ინტერესს იჩენს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მიმართ. ამისი კიდევ ერთი დასტურია ჟურნალ „კვალში“ (1899, 4 აპრილი) მის მიერ გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის ახალი ვარიანტების შესახებ“. აქ ავტორი ეხმაურება ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს, უდარებს მას პ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნ რუსთაველის პოემას და სხვა ხელნაწერებს. დაუდასტურებია მათი ერთნაირობა, რომლებიც ხასიათდებიან თხზულების გაგრძელებებით. ხელნაწერთა ურთიერთობის დახასიათებისას ა. ხახანაშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ მასში უცნობი და ახალი არაფერია, მაგრამ მაინც აუცილებელია მისი დაცვა.

ასეთია მოკლედ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების (გაგრძელებებითურთ) თავგადასავალი და რაობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ხელნაწერების ჭირისუფალთაგან კვლავ გამოვყოფდით პლ. იოსელიანის, პ. კარბელაშვილის, ეპისკოპოს კირიონის და ა. ხახანაშვილის ღვაწლს.

---

1. ზ. ჭიჭინაძე, მცირე შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, 3 მარტი

„ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტების გარშემო

როგორც ზემოთაც ვისაუბრეთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგა 1881 წელს. იონა მეუნარგია კომისიის სხდომათა ანგარიშებს აქვეყნებდა გაზეთ „დროებაში“ პირველი სხდომა ჩატარებულა 1881 წლის 6 თებერვალს, მეორე – 17 თებერვალს, მესამე – 26 თებერვალს, მეოთხე – 1 მარტს, მეხუთე – 6 მარტს, მეექვსე – 10 მარტს, მეშვიდე – 13 მარტს, მერვე – 17 მარტს, მეცხრე – 20 მარტს, მეათე – 24 მარტს, მეთერთმეტე – 27 მარტს, მეთორმეტე – 31 მარტს, მეცამეტე – 3 აპრილს. 26 აპრილს ჩატარებულა მეთექვსმეტე სხდომა. სხდომათა თარიღებს იმიტომ მივაქციეთ ყურადღება, რომ წარმოჩენილიყო თუ რა ინტენსიურად და დაუღალავად მუშაობდა კომისია პოემის ვარიანტებზე ტექსტის დასადგენად. სხდომები მიმდინარეობდა თურმე საადგილმამულო ბანკის შენობაში. სხდომებს ესწრებოდნენ და ვარიანტის კითხვაში მონაწილეობდნენ ქალბატონებიც: ო. ჭავჭავაძე, ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნ. ორბელიანი, ეკ. გაბაშვილი, ა. შაიშმელოვი.

მუშაობის დაწყებისას კომისიას ხელთ ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ 22 ხელნაწერი. იონა მეუნარგიას რუსთაველის პოემის სტამბური წესით გამოქვეყნებული ტექსტი შეუდარებია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთან. იგი მოკლედ ახასიათებს ხელნაწერებს სიძველისა და სანდოობის თვალსაზრისით და ჩამოთვლის იმ ბეჭდურ გამოცემებს, რომლებიც რედაქციას ჰქონდა.

სხდომაზე დაუდგენიათ, რომ იწერებოდეს „ვეფხისტყაოსანი“ და არა „ვეფხვისტყაოსანი. ე.ი. ამოგდებული ყოფილიყო **ვ** თანხმოვანი. პოემის პროლოგის 31 სტროფში შეუტანიათ 12 შესწორება. ასევე, დაუდგენიათ სტროფის ბოლო ტაეპის „და“-ს გამოტოვება. ცხადია, აქ ვერ გავიმეორებთ იმ შესწორებებს, რასაც კომისია მიმართავდა სხდომების განმავლობაში.[1] მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. მეცამეტე სხდომაზე (3 აპრილი) პ. უმიკაშვილს გაუკეთებია საგანგებოდ ერთი განცხადება: საზოგადოებას უნდა განემარტოს კომისიის მუშაობის მიზანი, რომ მისთვის მთავარი იყო არა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასწორება, არამედ მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება. და „თავის მხრით იგი (პ. უმიკაშვილი) „არც ერთ ასოს

1. დაწვრილებით იხილეთ გ. იმედაშვილის, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 3-74

არ ასწორებს პოემაში". ასე რომ, პ. უმიკაშვილს აუცილებლად მიაჩნდა არა პოემის ტექსტის შესწორება-გასწორებანი, არამედ ხელნაწერთა ვარიანტების შედარება – შეთანხმება ერთმანეთთან.

რედაქციის მეთექვსმეტე სხდომის ანგარიშის გამოქვეყნებისას (24 აპრილი) იონა მეუნარგია კომისიის სახელით აცხადებს, რომ ვარიანტების ბეჭდვას თავს ანებებენ და ამას „ვეფხისტყაოსნის" გამოცემაში შეიტანენ.[1]

1885 წელს გ. საძაგელოვი-ივერიელი (იგივე კირიონი, რომელზეც ზემოთაც იყო საუბარი) გაზეთ „ივერიაში" აქვეყნებს წერილს „ახალი ვარიანტი ვეფხის-ტყაოსნისა". აქ იგი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო მუშაობას. ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რუსთაველის ეპიკური ძეგლის ტექსტის ვარიანტებთან შედარებისას კომისიას ხელთ ჰქონდა ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელიც 1646 წელსაა გადაწერილი. აქვე ავტორი მიანიშნებს კომისის მუშაობის ხარვეზზეც. იგი ავალდებულებს რედაქციას, რომ აღდგენილი ტექსტის ქვეშ მოტანილი ყოფილიყო ყველა ვარიანტი. კირიონის მითითებით 1888 წელს თბილისში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" უნდა დაბეჭდილიყო ნუმერაციით, რითაც მისით სარგებლობა გაუადვილდებოდა მკითხველს. კირიონი წუხს იმაზე, რომ მიუხედავად პოემის ოცჯერ გამოცემისა, ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა პოემის ტექსტის დასადგენად.

წერილის დასასრულს კირიონის მიერ აღწერილია „ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა პეტრე ტაბლიაშვილის მიერ. 251-გვერდიანი ხელნაწერი 1434 სტროფს შეიცავს. მის მიერ ჩამოთვლილია პოემის სათაურები, მოტანილია განსხვავებული წაკითხვების პარალელური ადგილები, სტროფულად და ტაეპობრივად.[2]

1895 წელს გაზეთ „ივერიაში" ქვეყნდება ალ. ხახანაშვილის წერილი „შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება". მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერზე და მის ვარიანტებზე თავის შეხედულებებს აჯამებს წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია", ტფ., 1904. ვსარგებლობთ ამ გამოცემით. მოვუსმინოთ მკვლევარს: „ვეფხისტყაოსნის" ძველ ხელნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია. პლატონ იოსელიანს ენახა ტყავზედ ხუცურად ნაწერი შოთას პოემა გრიგოლ

1. დაწვრილებით იხილეთ **გ. იმედაშვილის**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 74

2. გაზ. „ივერია", 1895, 30 სექტემბერი, №209, გვ. 3-4

ბერეთლის სახლში. იგივე მწერალი იხსენიებს მე-XV საუკუნის ხელნაწერს, რომელიც ეკუთვნოდა ოდესმე მეფე ალექსანდრეს (1443) და შემდეგ აღმოჩნდა ნიკოლოზ ელიოზიშვილის წიგნთსაცავში".[1] ამის შემდეგ ა. ხახანაშვილი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" მესამე ხელნაწერზე, რომელიც უპოვიათ თეკლა ბატონიშვილის სახლში: „მესამე დედანი „ვეფხის-ტყაოსნისა" ვახტანგ შაჰნავაზის საკუთრება (1678) აქ გაუგებრობაა (ვახტანგ მეხუთე გარდაიცვალა 1675 წელს -ტ.მ.). იპოვეს თეკლე ერეკლეს ასულის (1846) სახლში".[2] აქვე ა. ხახანაშვილი გვამცნობს მარი ბროსეს მიერ პარიზში ნანახ პოემას რუსთაველისა, რომელიც 1702 წელს ყოფილა გადაწერილი:

„აკ. ბროსსეს შეხვედრა პარიზში რუსთაველის ნაწარმოები, 1702 წელს გადაწერილი. მე გამოვეცი მოსკოვს მე-XVII საუკ. ხელნაწერიდგან გადმოღებული „ვეფხის-ტყაოსანი". (აქვე ავტორი სქოლიოში უთითებს: „ნახე ჟურნალ „ივერიაში" და ჩემ მიერ გამოცემულ ვარიანტში"). მე-XVII საუკ. სახელდობრ, 1646 წელს ეკუთვნის ის ძველი ვარიანტიც, რომელიც ტფილისის კომისიას ჰქონდა ხელთა, როცა დაამზადა „ვეფხის-ტყაოსანი", გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული".[3]

ა. ხახანაშვილი საუბარს განაგრძობს რუსთაველის პოემაში ჩამატებულ ტაეპებზე და გაგრძელებაზე, ასევე, პოემის ვარიანტების წარმოშობის მიზეზებზე და ყალბ ადგილებზე: პირველად „ვეფხის-ტყაოსანი" დაბეჭდა ვახტანგ მე-VI 1712 წელს. სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარება გვარწმუნებს, რომ მე-XVI საუკ. გასულს რუსთაველის პოემას ბევრი ტაეპი ჩაემატა და გაგრძელებაც გამოიწვია. 308 სტროფზე მეტი აღმოჩნდა შედარებით იმ „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტთან, რომელიც 1860 წელს დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა. თვით ამ მეცნიერის გამოცემულს პოემაშიაც კრიტიკამ აღმოაჩინა ბევრი „ყალბი ადგილები", რომელნიც გამოაქვეყნა ა. სარაჯიშვილმა ჟურნალს „მოამბეში". პოეტის განთქმული თხზულება რაკი გავრცელდა ხალხში, – განაგრძობს ა. ხახანაშვილი, – ბევრს აუშალა საღერღელი პოემის შესავსებ-შესაკეთებლად და ამ გზით დაიბადა ის აურაცხელი ვარიანტები და ყალბი ადგილები, რომელნიც აქამდის რიგიანად ცნობაში არ არიან მოყვანილნი. უძველესი ვარიანტი მაინც შორს არის რუსთაველის დროზედ".[4]

1. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 344
2. იქვე
3. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 344
4. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 344-345

ა. ხახანაშვილი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშობილია ქართული ხალხური „ტარიელიანიდან“, იგი ვრცლად მსჯელობს პოემის ხალხურ ვარიანტებზე.[1]

ზემოთ თქმულს კვლავ გავიმეორებთ. დ. ვარდიაშვილის წერილს „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერევანში“.[2] მასში საუბარია პოემის იმ ვარიანტზე, რომელიც აღმოჩენილა ერევანში, თათრის ოჯახში. მღვდელ დ. ვარდიაშვილს ეს ხელნაწერი შეუდარებია თბილისში 1867 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთან“ და უპოვია ზედმეტი სტროფები და სიტყვები.

ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ხელნაწერს რუსთაველის თხზულებისა გამოეხმაურა ზ. ჭიჭინაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ – „მცირე შენიშვნა („ვეფხის-ტყაოსნის“ ახალი ვარიანტის შესახებ), თუმცა იგი არ მიიჩნია „შესანიშნავ ვარიანტად“.[3]

ამრიგად, 1881 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა არ მხოლოდ ტექსტის შესწორება-გასწორებებზე, არამედ პოემის ხელნაწერთა ვარიანტების შედარება-შეთანხმებაზე ერთმანეთთან. გიორგი საძაგლიშვილი მიანიშნებდა კომისიის მუშაობის ხარვეზზე და ავალდებულებდა რედაქციას აღდგენილი ტექსტის ქვეშ მოტანილი ყოფილიყო ყველა ვარიანტი. ა. ხახანაშვილმა თავისი შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე და მის ვარიანტებზე შეაჯამა თავისივე წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია“. აქვე იგი ვრცლად მსჯელობს პოემის ხალხურ ვარიანტებზე. დ. ვარდიაშვილი საუბრობს ერევანში აღმოჩენილ ვარიანტზე. მას გამოხმაურებია ზ. ჭიჭინაძე, თუმცა იგი მას არ მიუჩნევია „შესანიშნავ ვარიანტად“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხისათვის

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის ტექსტის დადგენის საკითხი მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეტად აქტუალური იყო. ამიტომაც ერთობ აქტიურად განიხილებოდა იგი. ამას საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. საუბარია პეტერბურგში 1841 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაზე, რომელიც ბროსეს ეკუთვნის აქ იგი შეეხო პოემის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემას, რომელიც კრიტიკულ

1. იქვე, გვ. 348-377
2. გაზ. „ივერია“, 1899, 8 თებერვალი, №27, გვ. 3-4, შდრ. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1899, თებერვალი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, 5 თებერვალი
3. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, 3 მარტი, გვ. 3

გამოცემად მიიჩნია. აქვე მან დააყენა ჩამატებათა საკითხი.

მარი ბროსე „წინასიტყვაობაში“, სხვა საკითხებთან ერთად, პოემის ტექსტის საკითხსაც შეეხო. შეუნიშნავს გადამწერ-მწერალთაგან მისი დამახინჯება: „დიდის სიხარულით იყო მიღებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დასდვეს მის დამწერსა, რომელიცა ჰსჩანს იმით, რომ წიგნი ესე მარტოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახული იყო აქამომდე, თუმცა, როგორც ზემოთ ვსთქვით, მცირედ გარყვნილი რომელთამე მწერალთაგან“.[1] აქვე ბროსე მიგვითითებს 48 სტროფზე, რომელიც მას 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისთვის“ ჩაუმატებია, ვახტანგისეული გამოცემისაგან განსხვავებით.

„წინასიტყვაობის“ ავტორი იქვე განაგრძობს: „სტიხნი, რომელნიცა ჩვენ ახალს დაბეჭდვილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე ხელნაწერებში, მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენივრად თქმულა და „ვეფხისტყაოსანსაც“ ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და ამიტომაც ჩავუმატეთ“.[2] ბროსე აქვე გვამცნობს: „ამას გარდა, პარიზში რომ სამეფოს ბიბლიოტეკაში ხელნაწერი არის, რომელიც 10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანზე“ იყო დაწერილი. იმათშიც ინპოვებიან ზემოთხსენებული ლექსნი“.[3]

კიდევ ერთ ნაწყვეტს დავიმოწმებ „წინასიტყვაობიდან“, „ასე და ამგვარად ბევრს გამოუცვლიათ ადგილ-ადგილ „ვეფხისტყაოსანი“. შემდგომად ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ვინმე ციციშვილი ყოფილა, ნანუჩად ზედ. წოდებული ვახტანგ VI მეფის წინ, რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუკეთებია სხვა რიგად „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო, სადაცა შეურთამს ცამეტის პუნკტით ათას ხუთასი სტიხი. სტიხნი ესე პარიჟის ხელნაწერშიაც იპოვებიან და ეგრეთვე უცხო ამბები ჰსწერია. ამ ახალ დაბეჭდვილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა, ამიტომ რომ რუსთველისა არ იყვნენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდა“.[4]

მარი ბროსე აფრთხილებს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ გამომცემელთ: „ზემოხსენებულნი მომატებანი პირველ ჩვენ დავბეჭდეთ, ამიტომ რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ. ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდნენ და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატევება მათი.

1. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 63
2. იქვე, გვ. 63-64
3. იქვე, გვ. 64
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 63

თუ კიდევ როდესმე დაიბეჭდება „ვეფხისტყაოსანი ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნიან ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოს.[1]

ბოლოს მარი ბროსე შენიშნავს, რომ „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი ტიფოგრაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ, ჩვენ გავასწორეთ და თუ რაოდენნიმე ცთომილებანი დარჩნენ ჩვენს ნაშრომში, წამკითხველთაგან შენდობას ვითხოვთ“.

1842 წელს დავით ჩუბინაშვილი პეტერბურგში ერთ-ერთ ჟურნალში (**უმნპ**) ბეჭდავს წერილს „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას მიაქცევს 1841 წლის გამოცემის რედაქციულ მუშაობას. აქ საბურობს ინტერპოლატორ ნანუჩა ციციშვილზე და მის მიერ შეთხზულ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაზე. აღნიშნავს, რომ დასახელებულ გამოცემაში იგი არ შეიტანეს, როგორც მხატვრული თვალსაზრისით უვარგისი ტექსტი. აქვე დავით ჩუბინაშვილი შენიშნავს, თუ როგორ გამორჩენია თურმე ვახტანგ მეექვსეს 48 სტროფი, რაც ჩამატებულ იქნა 1841 წლის გამოცემაშიო.[2]

დავით ჩუბინაშვილი მოკლედ ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაზე და აღნიშნავს, რომ თხზულების დასტამბვისას გათვალისწინებული და შედარებული იყო მრავალი ხელნაწერი. ვახტანგის მიერ გამოცემული პოემა შედგებაო 1589 სტროფისგან (მექანიკური შეცდომაა, უნდა იყოს 1587 – ტ.მ.), მოცავს 285 გვერდს, შენიშვნებიანად კი – 359 გვერდს.[3]

1853 წელს პლატონ იოსელიანის რედაქციით ქვეყნდება არჩილ ბაგრატიონის საისტორიო ეპოსის ნიმუში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, სადაც ერთგან ვკითხულობთ:

„ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყია, წმიდა რამ აუმღვრევია,
მასთან რად წერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია.
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია“.[4]

ეს სტროფი XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგე-

1. იქვე
2. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ჟურ. ЖМНП, 1842, №8, ეს წერილი განმეორებით გამოქვეყნდა გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“9 1850 წლის ოქტომბერში იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 17
3. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ნიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 196-197
4. სიტყვა ძუელთა და ახალთა საქართველოს მოლექსეთათვის, თქმული მეფისა არჩილისაგან, ნიგნში; ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად **არჩილისგან (პ. იოსელიანის** რედაქციით), ტფ. 1853

ნით დაინტერესებულ პირთ შეახსენებდა ინტერპოლატორ ნანუჩა ციციშვილს, როგორც რუსთველის პოემაში დამატებათა ავტორს, თხზულების გამოცემისას ამ ჩანართებისაგან რომ გაწმენდილიყო იგი.

„ვეფხისტყაოსნის" პოლონურ თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის კაზიმირ ლაპჩინსკის წინასიტყვაობა (შეცდომით მიეწერებოდა ა. ხოძკოს), სადაც ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „რუსთაველის ქმნილებას საუკუნეების მანძილზე ასწორებდნენ და ავსებდნენ ჩანართებით.მარტო ციციშვილმა რუსთაველის პოემის 1500 ტაეპი ჩაასწორა თუ გადააკეთა. ამგვარი მანია „ვეფხისტყაოსნის" მიმართ საქართველოში ლიტერატურულ მოდად იქცა, შეიქნა ერთმანეთისაგან განსხვავებული უამრავი ხელნაწერი, რომელთა თავმოყრა, შეჯერება და ბეჭდური სახით გამოცემა მოხერხდა 1712 წელს... ვახტანგ მეექვსის მიერ ჩატარებული მუშაობა ტექსტის დახვეწა-დაზუსტების თვალსაზრისით არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. მასში გვხვდება აშკარა ჩანართები".[1]

ამის შემდეგ კ. ლაპჩინსკი შეგვახსენებს პოემის მარი ბროსეს გამოცემას, სადაც მეცნიერმა თვითონ ჩაუმატაო ყალბი სტროფები. 1841 წლის გამოცემას: „ქართული პოემის სრულად თარგმნა უცხოურ ენებზე ჯერ ადრეა. ამ დროის დადგომას წინ უნდა უსწრებდეს თვით ქართველთა მეცნიერული ხასიათის კეთილსინდისიერი მუშაობა, რომელიც დამყარებული უნდა იყოს ქართული ენის ისტორიის ღრმა, საფუძვლიან ცოდნაზე, ფართო არქეოლოგიურ ძიებებსა და ესთეტიკურ გრძნობაზე, რომ ეს უკანასკნელი ასპექტი აუცილებელია და ღრმა განსწავლულობა საკმაო არაა, ამაში გვარწმუნებს მ. ბროსეს გამოცემა. ამ მეცნიერმა, რომელსაც სხვადასხვა სფეროში უდიდესი დამსახურება მიუძღვის, არა თუ არ განტვირთა ტექსტი (იგულისხმება რუსთაველის პოემის ტექსტი – ტ.მ.) ჩანართებისაგან, არამედ თვით ჩაუმატა რამდენიმე ყალბი სტროფი".[2]

როგორც ცნობილია, კ. ლაპჩინსკის პოემის პოლონურ ენაზე თარგმნაში გიორგი ერისთავი ეხმარებოდა. ეტყობა, მან გაარკვია პოლონელი მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის" ჩანართების რაობაში. თუმცა რატომღაც ეს საყვედური არ გავრცელებულა დავით ჩუბინაშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ზაქარია ფალავანდიშვილის მისამართით, რომლებთან ერთად ბროსე ამზადებდა თხზულებას გამოსაცემად.

1875 წელს თბილისში მეექვსედ დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი". მას ახლავს გამომცემელთა „შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ტექსტის

1. კ. ლაპჩინსკი, „ვეფხისტყაოსნის" პოლონური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 60-61
2. იქვე

გამოცემის გამო".[1] შესავალში ნათქვამია: „ჩვენ შევადარეთ ეს ძველად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი (ვახტანგის გამოცემა) ახლად გამოცემულებს და დავრწმუნდით, რომ ახლებზედ უფრო სწორი არის, თუმცა სტამბის შეცდომებით სავსეა". გამომცემელნი აკრიტიკებენ 1841 წლის გამოცემაში 48 სტროფის ჩამატებას. მით უმეტეს, ეეჭვებოდათ თუ რუსთაველის კუთვნილებად არ მიაჩნდათო გამომცემელ-რედაქტორებს ალნიშნული სტროფები, იქვე განაგრძობენ: „ეს პოემა უამისოდაც ერთობ დამახინჯებულია სხვა-და-სხვათაგან, რომელთაც თავისებურად გადაკეთებებისა და შეესებისათვის ულვნიათ და გაკეთების მაგიერ გაუფუჭებიათ მშვენიერი თხზულება".[2]

პოემის 1875 წლისგამომცემელნი იწონებენ 1867 წლის გამოცემის ტექსტის ზოგ დამახინჯებულ წაკითხვათა გასწორებას. პოემის ტექსტის გამოცემის ისტორიის მცოდნეთ კარგად მოეხსენებათ, რომ 1867 წელს თბილისში დაისტამბა რუსთაველის თხზულება გ. წერეთლისა და დიმ. ყიფიანის მცდელობით, შეიცავს 1563 სტროფს. საინტერესოა მისთვის დართული „მოკლე განსამარტებელი ლექსიკონი".[3] ეს იყო რიგით მეხუთე გამოცემა.

როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს: „ამ გამოცემის ტექსტი ავტორებს შეუდარებიათ ვახტანგის გამოცემასთან და ჩამოუცილებიათ სხვა გამოცემებში გაპარული დამახინჯებული ადგილები და დამატებული სტროფები".[4]

1877 წლის 16 აგვისტოს მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხულ მოხსენებაში მარი ბროსე ქართული მწერლობის მიმოხილვისას „ვეფხისტყაოსნის" გამოცემებსაც (1712, 1841, 1846, 1867, 1875) შეხებია, ასევე ვახტანგის გამოცემის კომენტარებს, პოემაში ჩანართ-დანართების საკითხს.[5]

ვ. ზოტოვი თავის წიგნში „ქართული ლიტერატურა" შეეხო „ვეფხისტყაოსანს", კერძოდ, პოემის 1712 წლის გამოცემას, მიიჩნია იგი წარყვნილი ხელნაწერის საფუძველზე დაბეჭდილად, როგორც 1678 წლის შაჰნავაზის ნაქონ ხელნაწერად. აქვე ზოტოვი საუბრობს მკვლევართა მხრიდან ვახტანგის კომენტარების კრიტიკაზე.[6]

---

1. **შ. რუსთაველი,** მეექვსედ დაბეჭდილი, **არსენ კალანდაძისა** და ამხ-გან, ავტორის სურათით, თფილისი, 1875
2. იქვე
3. **შოთა რუსთაველი,** ვეფხის-ტყაოსანი, ტფილისი, 1867
4. **გ. იმედაშვილი,** რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 57
5. იქვე
6. **ვ. ზოტოვი,** ქართული ლიტერატურა, 1877, იხ. **გ. იმედაშვილი,** რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 61

როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, 1880 წელს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დღის წესრიგში დადგა უმნიშვნელოვანესი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით. იმავე წლის ნოემბერში გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, იონა მეუნარგიას მოწოდება ქართველი საზოგადოებისადმი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობის მიღებისა და დახმარების აღმოსაჩენად. ისინი თხოვნით მიმართავენ პოემის ტექსტის დადგენის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოჩენილ მოღვაწეებს: გ. ორბელიანს, ი. ყიფიანს, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვ. ორბელიანს, გ. წერეთელს, ს. მესხს, პ. უმიკაშვილს, გ. დადიანს, გ. ერისთავს და სხვ.

საზოგადოებისადმი მიმართვის ავტორები აქვე წარმოადგენენ თავიანთ მიზანს და გეგმას: „ჩვენი განზრახვა არის: შევათანხმოთ „ვეფხის-ტყაოსანი“ სხვა-და-სხვა ვარიანტებთან, რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია, გამოვაკლოთ. თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხის-ტყაოსანში“ თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვა და სხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება“.[1] ასევე, მათ გეგმაში შედიოდა პოემის დამატებათა ავტორების ვინაობის გამორკვევა. მიმართვის ავტორები საზოგადოებისაგან მოთხოვენ თხზულების ხელნაწერების მოწოდებას.

კომისია 1881 წლისგანმავლობაში ეწეოდა დაძაბულ მუშაობას, სხდომათა მასალები იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“.

1880 წელს პ. კარბელაშვილი გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს წერილს „შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ განგრძობა“. იგი აცხადებს, რომ მის განკარგულებაშია „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწერი, რომელიც ჩანართების შემცველია და უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს. პ. კარბელაშვილი უჩვენებს ცალკე ჩამატებულ ტაეპთა რაოდენობას და ჩანართი თავების სათაურებს. იგი გვამცნობს, რომ ეს ხელნაწერი შეიცავს 314 სტროფს. საუბარია პოემის ჩანართი სტროფების რაოდენობაზე. მისი თქმით, ეს ჩანართები ზოგ შემთხვევაში კარგად ავსებენ „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არსებულ ხარვეზებს და ლოგიკურად ამთავრებენ პოემის ბოლოს, რომელშიაც იგრძნობაო ერთგვარი დაუმთავრებლობა.

1. გაზ. „დროება“, 1880, 18 ნოემბერი, №241, გვ. 1-2

(ეს 314 სტროფი ბეჭდურ გამოცემებში არ მოიპოვება, ცხადია, იმჟამინდელ გამოცემებში – ტ.მ.).

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია. წერილი უავტოროა. ეს არის გამოხმაურება პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოებისადმი მოწოდებაზე. ანონიმი ავტორი მიესალმება კომისიის შექმნას, „რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შესდგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს დიდებულის პოეტის დიდებული ქმნილება“.[1]

1880 წლის ჟურნალ „ივერიაში“ ქვეყნდება „ვეფხის-ტყაოსნის“ გაგრძელება“. სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: ეს „გაგრძელება“ ვეფხვის ტყაოსნისა მოგვივიდა პ. კარბელაშვილისაგან... გვგონია, რომ ეს გაგრძელება რუსთაველს არ დაუწერია.[2] აქვე მოცემულია დანართი თავების სათაურები (გაგრძელებათა ტექსტი შეიცავს 308 სტროფს). ამ სათაურებს ზემოთაც შევეხებით და კვლავ გავიმეორებთ:

1. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა
2. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა
4. აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშასაგან სისხლისათვის მოხდომა
5. ესმა ინდოთ მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა ინდოეთში
6. გამარჯვება ხვარაზმთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედან
7. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშველად
8. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშველად
9. აქა ავთანდილისა და ფრიდონის წასვლა ხვარაზმშას საომრად
10. ომი ზედ დასხმით ხვარაზმთა ინდოთ, არაბთა და თურქთა ზედა
11. ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცვლებოდა მის ჟამის ნათქვამი
12. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა
13. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ჟამსა
14. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა
15. მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა

1880 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „დროებაში“ დაანონსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგა

1.[1] გაზ. „დროება“, 1880, 16 ნოემბერი
2.[2] ჟურ. „ივერია“, 1880, №III, გვ. 3-35

1881 წლის დამდეგიდან. როგორც ზემოთაც ითქვა, სხდომების მიმდინარეობის მასალები იბეჭდებოდა „დროებაში". პირველ სხდომაზე დაუდგენიათ, რომ იწერებოდეს „ვეფხისტყაოსანი" და არა „ვეფხვის-ტყაოსანი". ე.ი. „ვ" ასო ამოღებული ყოფილიყო პოემის სახელდებიდან. თხზულების „დასაწყისში" (პროლოგი) შეუტანიათ 12 შესწორება. ასევე, დაუდგენიათ სტროფის ბოლო ტაეპში „და"-ს გამოტოვება.[1] მეორე სხდომაზე გაურჩევიათ პოემის პირველი თავის 52 სტროფი, რომლებშიც შეტანილი შესწორებანი მოყვანილია პარალელურად.[2] მესამე სხდომაზე დიმიტრი ყიფიანს შემოუტანია წინადადება: „მართლწერაში ზმნიზედას დაჰყვება „დ" და არა „თ" (უნდა საქებრად და არა საქებრათ).

აკაკი წერეთლის წინადადებით 76-ე სტროფში უნდა დარჩეს „მოესროდეს" და არა „მიისროდეს". 46-ე სტროფში უნდა დარჩეს „ტკბილთა ხმათა" და არა „მათთა ხმათა". აქვე უმსჯელიათ ორთოგრაფიულ გასწორებაზე.[3]

მეოთხე სხდომა ჩატარებულა 27 თებერვალს. განუხილავთ 22 სტროფი. უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათის შესწორებები შეუტანიათ.[4]

დანარჩენ სხდომებზე (სულ 16) განუხილავთ მთელი რიგი სტროფებისა და ტაეპებისა. უმსჯელიათ მაჯამურ რითმაზე „ასადაგეს", გაუსწორებიათ მთელი რიგი სიტყვები. გასწორებათა ნიმუში: ბალახში-ბადახში; ოთხ-ხმით-ოთხ ახმათ. მიუღიათ ზოგადი მითითება, რომ საცა არის პოემაში „თუმცა", „მაგრამ", დაიწერება „თუცა", „მაგრა". ჩამოთვლილია გასწორებები და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტიდან გამორიცხული სტროფები.

სხდომას დაუდგენია: ჰ-ს სიტყვებში: ჰსთქვა, ჰსდის, გამოსჩნდა, დაჰსთხოვა, პოემაში არ ეხმარათ იმის გამო, რომ „რუსთაველის დროში არ იხმარებოდაო". ასევე, სიტყვა „რომელსა" გაუსწორებიათ – „რომელთ".

მეცამეტე სხდომაზე (1881 წლის 31 მარტი) პ. უმიკაშვილს გაუკეთებია განცხადება: საზოგადოებას უნდა განემარტოს, რომ ჩვენი მიზანი „ვეფხისტყაოსნის" ტექტსის გასწორება კი არ არის, არამედ მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება.[5]

1. გაზ. „დროება", 1881, 12 თებერვალი
2. გაზ. „დროება", 1881, 17 თებერვალი
3. გაზ. „დროება", 1881, 26 თებერვალი
4. გაზ. „დროება", 1881, 1 მარტი
5. გაზ. „დროება", 1881, 3 აპრილი

1887 წელს თბილისში მერვედ დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი" მას წამძღვარებული აქვს შენიშვნა, სადაც აღნიშნულია: „ეხლანდელი მერვე გამოცემა გადმოიბეჭდა მეექვსე გამოცემიდან რადგანაც ის უფრო შესწორებული და უნაკლო იყო სხვებთან შედარებით".[1] ეს შენიშვნა იმას ათვალისაჩინოებს, თუ რა ყურადღება ექცეოდა პოემის შესწორებულად და შედარებით უნაკლოდ გამოცემას, რადგანაც კარგად იცოდნენ თხზულების ინტერპოლატორთა მიერ დაზიანებული ტექსტის არსებობის შესახებ და ცდილობდნენ უნაკლოდ მის დაბეჭდვას.

XIX საუკუნეში, ქართველებთან ერთად, არაერთი უცხოელი იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენით. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ე. ვეიდენბაუმი. იგი წუხდა, რომ პოემას საუკუნეთა მანძილზე განუცდია წარყვნა და საჭიროება ითხოვდა დიდ ფილოლოგიურ მუშაობას მის აღსადგენად.[2]

ზემოთ არაერთხელ ვილაპარაკეთ იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიას მუშაობაზე. კომისიის ტექსტის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის უხელმძღვანელია 22 ხელნაწერით, რომელიც შეგროვებული იყო იმჟამინდელ დაწესებულებებსა და ოჯახებში. როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, 1712 წლის ვახტანგისეული და 1841 წლის ბროსესეული გამოცემის შემდეგ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა წარმოადგენს სპეციალური კომისიის მიერ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის პირველ ცდას.

1888 წლის გამოცემას ბოლოში დართული აქვს შენიშვნა „გამომცემლისაგან" ტექსტის დადგენისა და გამოცემის მომზადების შესახებ მოკლე ცნობებით (ეს გამოცემა ჩემს მოკრძალებულ ბიბლიოთეკას ამშვენებს): „პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის" დაბეჭდისა დაიბადა მაშინ, როდესაც იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი სხვა ვარიანტებთან. თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლიარი არ აღმოჩნდა – კომისიისგან მოპოვებული უძველესი გადაწერილა 1646 წ. – მაინც კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ძველებური ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას

1. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის ტყაოსანი, ტფილისი, 1887
2. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 127

უშლიდა, ტექსტს გამოაკლო".[1]

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი გვამცნობს: „როცა „ვეფხის-ტყაოსანს" ვარჩევდით და ტექსტებს ვასწორებდით, ხმის უმეტესობით ვწყვეტდით საქმეს და ხშირად მისთანებიც იძლეოდნენ ხმას, რომელთაც ქართული არ იციან მართალია, ძალიან აურ-დაურიეთ საქმე – „შადი" – „შარდად" აღვიარეთ, მაგრამ ჩვენი ხომ გავიტანეთ და მეტი რა გვინდოდა".[2]

როგორც ადრეც მივუთითეთ, გ. საძაგელოვი-ივერიელი გაზეთ „ივერიაში" აქვეყნებს წერილს „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა", სადაც იგი საუბრობს პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო მუშაობაზე და მიუთითებს ნაკლზე, რომელიც ვერ აიცილესო. მას მხედველობაში აქვს აღდგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტის მოყვანის აუცილებლობა. ასევე აკრიტიკებს 1888 წლის პოემის ტექსტის გამოცემას ნუმერაციის გარეშე. იგი აგრეთვე მიანიშნებს პოემის ოცამდე გამოცემაზე, თუმცა ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულაო პოემის ტექსტის დადგენაში.[3] ამასთანავე, გ. ივერიელი გვიზიარებს მის მიერ ნანახი პოემის ახალი ხელნაწერის აღწერას. მოაქვს პარალელური ადგილები განსხვავებული წაკითხვებისა. გვარწმუნებს, რომ ეს ხელნაწერი გარკვეულწილად იძლევა უკეთეს წაკითხვას ცნობილ ტექსტთან შედარებით. ეხება რამდენიმე სტროფს, რომელიც ტექსტს სიტუაციის მიხედვით აკლია, ეს კი ავსებს.[4]

ალექსანდრე სარაჯიშვილმა შექმნა მონოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის" ყალბი ადგილები", რომელიც 1895-1901 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში". გ. იმედაშვილის თქმისა არ იყოს, ალ. სარაჯიშვილი ყალბი ადგილების გამორკვევაში მიმართავს მხოლოდ პირადი გემოვნების პრინციპს, დამყარებულს კონტექსტის გაგებაზე.[5] გამოდის, რომ იგი თავისებურად ცდილობდა პოემის ტექსტის დადგენას და ყალბი აგილებისაგან მის გაწმენდას. ალ. სარაჯიშვილის აზრით, დაახლოებით ერთი მესამედი უნდა გამოაკლდესო „ვეფხისტყაოსანს" ყალბი ადგილების სახით. მის ნაშრომს დავუბრუნდებით, როდესაც საუბარი

1. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემული გ.დ. ქართველიშვილის მიერ; ტფილისი, 1888

2. **ა. წერეთელი**, თეატრის გარშემო, გაზ. „კვალი", 1893, 17 იანვარი

3. **გ. საძაგელოვი-ივერიელი**, ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, გაზ. „ივერია", 1895, 3 მაისი

4. იქვე, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 189-190

5. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 189

გვექნება პოემის ინტერპოლაციებზე.

ალ. სარაჯიშვილის წერილებს გამოხმაურებია მ. გიორგაძე. მისი შენიშვნით: ვიდრე ყალბის, მქმნელებს გამოვარჩევდეთ „ვეფხისტყაოსანში", საჭიროა რუსთაველის წინა პერიოდის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომ თვით რუსთაველის სტროფები ყალბის მქმნელებს არ მივანეროთ.[1] მ. გიორგაძემ მომდევნო წერილშიც „შოთას განქიქება"[2] მკაცრად გააკრიტიკა ალ. სარაჯიშვილი, რომლის კონცეფციას მთლიანად შემცდარი უწოდა. მან უმართებულოდ გამოაცხადაო რუსთველური სტროფები ყალბის ნახელავად, რასაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიაო.

1899 წელს მეთოთხმეტეჯერ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი" ვლადიმერ ყიფიანის მიერ. ტექსტს ნუმერაცია არ გააჩნია, შეიცავს 1602 სტროფს. ბოლოში დართულია რუსთაველისათვის მიწერილი სამი ლექსი: „იამბიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა – წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის-მშობლისა"; „ზრდილობა და გვარიშვილობა, თქმული შოთა რუსთაველის მიერ".[3]

ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილ „მცირე შენიშვნაში" ლაპარაკობს ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერზე და მის ერთგვარ მნიშვნელობაზე პოემის ტექსტის დადგენისათვის. საჭიროდ მიიჩნევს მის გამოყენებას „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვის დროს.[4]

დასკვნისათვის: „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო XIX საუკუნეში. პირველად ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე დაინტერესდა ამ პრობლემით, ასევე დავით ჩუბინაშვილიც. მათი მიზანი იყო მომავალი გამოცემისას პოემის გაწმენდა ჩანართებისა და დანართებისაგან ინტერპოლატორთა შესრულებით. იგივე აზრისა იყო პლატონ იოსელიანიც. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს უცხოელებმაც. აღნიშვნის ღირსია პოემის პოლონურად მთარგმნელი კაზიმირ ლაპჩინსკი, რომელიც წუხდა თხზულების ტექსტის დამახინჯების გამო გამყალბებლების მხრიდან. „ვეფხისტყაოსნის" ყოველი მომდევნო გამომცემელი (გამომცემელნი) შეძლებისამებრ ცდილობდა წინა პუბლიკაციებთან შედარების საფუძველზე ჩანართ-დანართი ადგილებისაგან ტექსტის გაწმენდას.

1.[4] იქვე, გვ. 214

2.[5] გაზ. „ივერია", 1899, მარტის თვის ნომრები

3.[6] შოთა რუსთაველი, ვეფხის-ყატოსანი, ვლადიმერ ყიფიანის მიერ, ტფილისი, 1899

4.[1] ზ. ჭიჭინაძე, მცირე შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899, 3 მარტი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ კომისიას, რომელსაც პოემის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის უხელმძღვანელია 22 ხელნაწერით. ეს იყო სპეციალური კომისიის მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პირველი ცდა 1881 წლისათვის. თუმცა ამ მცდელობას უნაკლოდ არ ჩაუვლია.

„ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებიდან

როგორც ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, შუა საუკუნეებში (XVI-XVIII) შოთა რუსთაველის პოემას ჰყავდა როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი გადამწერნი. სწორედ ეს უკანასკნელნი აზიანებდნენ გენიალურ ნაწარმოებს. „ვეფხისტყაოსანს“ გამოუჩნდა არაერთი ინტერპოლატორი, რომელთა შორის ცნობილნი არიან: სარგის თმოგველი (მეორე), ვინმე მესხი მელექსე, ნანუჩა ციციშვილი, იოსებ თბილელი (სააკაძე), გიორგი თუმანიშვილი. სწორედ ინტეპოლატორთა დაუცხრომელი მცდელობით გაჩნდა პოემის ჩანართები, დანართები, გაგრძელება-დამატებანი. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებისადმი დაინტერესება გამოვლინებას პოულობდა XIX საუკუნეში როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა მხრიდან.

როგორც ცნობილია, 1712 წლის შემდეგ „ვეფხისტყაოსანს“ 129 წელი დასჭირდა, რათა მეორედ დასტამბულიყო, თანაც სამშობლოს გარეთ – სანკტ-პეტერბურგში 1841 წელს. გამოქვეყნდა მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილის და დავით ჩუბინაშვილის თაოსნობით. მის მომზადებაში დიდი წვლილი შეუტანია თეიმურაზ ბაგრატიონსაც.

1841 წლის გამოცემაში ყურადღებულია ინტერპოლატორთა მიერ თხზულების დამახინჯება: „წიგნი ესე გარყვნილ იყო სხვადასხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომერის სტიხების პერისტრატორის მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა და შეამოწმა ძველთ ხელთწერილებსა და შემდგომად დაჰბეჭდა“.[1] აქვე „წინასიტყვაობაში“ ნათქვამია: „დიდის სიხარულით იყო მიღებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დაჰსდვეს მის დამწერსა, რომელნიცა ჰსჩანს იმით, რომ წიგნი ესე მარტოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახუ-

1. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 63

ლი იყო აქამომდე. თუმცა როგორც ზევით ვჰსთქვით, მცირედ გარყვნილი რომელთაგან მწერალთაგან".[1]

გამომცემელნი ასახელებენ 48 სტროფს, რომელიც 1841 წლის „ვეფხისტყაოსნის" გამოცემაში ჩაუმატებიათ: „რომელნიცა ჩვენ ახალ დაბეჭდილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე ხელნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და „ვეფხისტყაოსანსაც" ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და ამიტომაც ჩაუმატეთ".[2] ამის შემდეგ სახელდება პარიზის „სამეფო ბიბლიოტეკაში" პოემის 1712 წლის გამოცემამდე 10 წლით ადრე გადაწერილი ხელნაწერი, რომელშიც იპოვებიანო ზემოთ დასახელებული ლექსნი. აქვე ახსენებენ „ვინმე ციციშვილს ნანუჩად ზედწოდებულს... რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუკეთებია სხვა რიგად „ვეფხისტყაოსნის" ბოლო, სადაცა შეურთამს ცამეტის პუნკტით ათას ხუთასი სტიხი, სტიხნი ესე პარიჟის ხელნაწერში იპოვებიან... ამ ახალ დაბეჭდვილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა, ამიტომ რომ რუსთველისა არ იყვნენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდა".[3]

რაც შეეხება ზემოთ ხსენებული 48 სტროფის ჩამატებას 1841 წლის გამოცემაში, „წინასიტყვაობის" ავტორი იმით იმართლებს თავს, რომ „მრავალთა ქართველთა სწავლულთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებში იპოვებოდნენ და ამას გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატევება მათი".[4] თუმცა ამ განზრახვას არანაირი გამართლება არ ჰქონდა. ეს იყო პოემის ტექსტში ძალდატანებითი ჩარევა.

1842 წელს დაბეჭდილ წერილში „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი" დავით ჩუბინაშვილი წარმოდგენას გვიქმნის 1841 წლის გამოცემის რედაქციულ მუშაობაზე. საუბრობს პოემის გამგრძელებელ ნანუჩა ციციშვილზე.გვარკვევს იმაში, თუ რატომ არ დაბეჭდეს მისი გაგრძელება – ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო. ე.ი. გამოდის, რომ ნანუჩას ნახელავს ეს ნაკლი რომ არ ჰქონოდა, აუცილებლად ჩამატებული იქნებოდა აღნიშნულ გამოცემაში. რაც შეეხება მათ მიერ ჩამატებულ 48 სტროფს, იგი თურმე ვახტანგ მეექვსეს გამორჩენია და 1841 წლის პუბლიკაციაში იმიტომ ჩაურთავთ. დავით ჩუბინაშვილის

1. იქვე
2. იქვე, გვ. 63-64
3. „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 64
4. იქვე

ნათქვამიდან ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ის თურმე რუსთაველის კუთვნილება ყოფილა.

გაზეთ „დროებაში" ქვეყნდება პ. კარბელაშვილის „ვეფხვის-ტყაოსნის" განგრძობა". წერილში იგი საუბრობს მის ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის" უცნობ ხელნაწერზე, რომელსაც პოემის ჩანართად აღიარებს. გვაზიარებს ჩანართი თავების სათაურებს, რომელიც 314 სტროფის შემდველია.[1] ეს სტროფები რუსთაველის თხზულების არც ერთ გამოცემაში არ მოგვეპოვება.

პ. კარბელაშვილის წერილს იმთავითვე გამოხმაურებია გაზეთი „ობზორი". გამოხმაურებას ავტორი არ ჰყავს. წერილში ნათქვამია, რომ ეს ხელნაწერი შემცველია პოემისთვის უცნობი სტროფების. იგი რუსთაველის არ უნდა იყოსო ეს ხელნაწერი მიგვანიშნებსო რუსთაველის ნაწარმოების გაგრძელების ტრადიციაზე.[2]

იგივე გაზეთი „ობზორი" ინფორმაციას აწვდის მკითხველს იონა მეუნარგიაზე, რომელსაც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერიდან ამოუწერია „ვეფხისტყაოსნის" 396 სტროფი. იგი მიუტანია გაზეთის რედაქციაში. ხსენებული ხელნაწერი 1702 წელს ყოფილა გადაწერილი ქალაქ შემახაში ბეჟანა ოცანას ქალიშვილის მიერ.

იონა მეუნარგიას მოსაზრებით, პ. კარბელაშვილის მიერ კახეთში ნაპოვნი და აღწერილი პოემის ხელნაწერის ზედმეტი ადგილების დაბეჭდვის შემდეგ გახდება შესაძლებელი გადაწყვეტა საკითხისა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის ღირებულება-შედგენილობისა, რომელსაც 396 სტროფი მეტი ჰქონია შედარებით ბეჭდურთან. იონა მეუნარგია აღნიშნავს მარი ბროსეს ღვაწლს პარიზის ხელნაწერის შესწავლათან დაკავშირებით, რომელიც, ეტყობა, რუსთაველისად არ მიაჩნდაო.[3]

ჟურნალი „ივერია" 1880 წელს ბეჭდავს პ. კარბელაშვილის მიერ მიტანილ „გაგრძელებას" პოემისა, რომელიც 15 თავისაგან შედგება. გაგრძელებათა ტექსტი 308 სტროფიანია.[4]

ზაქარია ჭიჭინაძე 1884 წელს გამოცემულ წიგნში „შოთა რუსთაველი" სხვა საკითხებთან ერთად საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გაყალბებაზე, ჩამატებების ცდებზე, ნანუჩა ციციშვილისა და ოთარ ჩოლოყაშვილის ჩართულ სტროფებზე.

„ზოგნი თავისებურად გადააკეთებდნენ ხოლმე. ზოგი სტრი-

1. გაზ. „დროება", 1880, 21 ივნისი
2. გაზ. „ობზორი", 1880, 22 ივლისი
3. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 67
4. ჟურ. „ივერია", №3, გვ. 3-35

ქონებს უმატებდა, ზოგი ტაეპს და ზოგიც რამდენ რამდენიმე ადგილებსა. ბევრჯერ დაამახინჯეს ეს უკვდავი ქმნილება და აურ-დაურიეს, ყველაზე მეტი განსაცდელი და შერყევა მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოუვლია „ვეფხვის ტყაოსანს, რადგანაც ამ საუკუნეში ოთხმმა კაცმა გადააკეთა თავისებურად, რომელთა სახელებიც ცნობილია. შემდეგ დროებში სხვებმაც გადააკეთეს. ერთი არის ვინმე ნანუჩა ციციშვილი და მეორე ოთარ ჩოლოყაშვილი. ამათაც იჯერეს გული და დღეს ციციშვილისაგან გადაკეთებული „ვეფხის ტყაოსანი" მოფენილია მთელს საქართველოში. უეჭველია, ამას დრო მოიტანს, გაარჩევენ და „ვეფხის ტყაოსანს" აღადგენენ ისე, როგორც უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს".[1]

ზაქარია ჭიჭინაძე ცოტა მოგვიანებით კვლავ უბრუნდება პოემის გაგრძელებათა საკითხს ჟურნალ „თეატრში" დაბეჭდილ სტატიაში წერს: „წმიდა ბერ-მამებს დაუწერიათ „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელება ლექსად. სწორედ ამ ლექსის ზომით, იმ კილოთი და ხელოვნებით, როგორც „ვეფხვის-ტყაოსანია" დაწერილი".[2] მის მიერ გარჩეულია ამ გაგრძელების ხასიათი და დამოკიდებულება თხზულებასთან.

1889 წლის გაზეთი „ივერია" მკითხველს აუწყებს მ. ქართველიშვილის ამბავს, რომლის განკარგულებაში ყოფილა „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებიანი ხელნაწერი, რომელიც თურმე ისე იწყებოდა, როგორც ა. ხახანაშვილის მიერ აღნერილი პარიზის ბიბლიოთეკის ხელნაწერი (იგულისხმება ომაინის ამბავი).[3]

ა. ხახანაშვილი თავის „საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში" გვესაუბრება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერზე. აღწერს რა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერს, აღნიშნავს მის შედგენილობას: საკუთრივ პოემას და მის გაგრძელებას ომაინიანის სახით: „ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომან ჭაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მიებმის ამბავსა „ვეფხისტყაოსნისასა". ა. ხახანაშვილი გვამცნობს ამ ხელნაწერის თარიღს – 1782 წელი (გადამწერი დავით რექტორი). იგი გადმოგვცემს „ომაინიანის" შინაარსს, გაგრძელების დაბადებას იმით ამართლებს, რომ ეს გამოწვეული იყო რუსთაველის პოემისადმი შეუნელებელი სიყვარულით. ხალხი არ სვამს ბოლო წერტილს იქ, სადაც სრულდებაო თხზულება.[4]

1. **ზ. მთაწმინდელი** (ზაქარია ჭიჭინაძე), შოთა რუსთაველი, ტფ. 1884, გვ. 49-50
2. **ზ. ჭიჭინაძე**, რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე, ჟურ. „თეატრი", 1887, №4, გვ. 15-32
3. გაზ. „ივერია", 1889, 8 სექტემბერი
4. გაზ. „ივერია", 1889, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

ა. ხახანაშვილი გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება“, სადაც იგი გველაპარაკება მოსკოვის გარეშე საქმეთა არქივში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გაგრძელებაზე, რომელიც არ ეკუთვნისო რუსთაველს. გამოარკვია, რომ ამ ხელნაწერის ვარიანტი უფრო ვრცელია, ვიდრე პოემის სხვა რედაქციები.[1]

კიდევ ერთ ნაწყვეტს გავეცნოთ ა. ხახანაშვილის ნააზრევიდან: „სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარება გვარწმუნებს, რომ მე-XVI საუკუნის გასულს რუსთაველის პოემას ბევრი ტაეპი ჩაემატა და გაგრძელებაც გამოინვია, 308 სტროფი მეტი აღმოჩნდა შედარებით იმ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან, რომელიც 1860 წელს დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა. თვით ამ მეცნიერის მიერ გამოცემულს პოემაშიაც კრიტიკამ აღმოაჩინა „ბევრი ყალბი“ ადგილები, რომელნიც გამოაქვეყნა ა. სარაჯიშვილმა ჟურნალს „მოამბეში“. პოეტის განთქმული თხზულება რაკი გავრცელდა ხალხში, ბევრს აეშალა საღერღელი, ეცადა კალამი პოემის შესავსებ-შესაკეთებლად და ამ გზით დაიბადა ის აუარებელი ვარიანტები და ყალბი ადგილები, რომლნიც აქამდის რიგიანად ცნობაში არ არიან მოყვანილნი“.[2]

დ. ვარდიაშვილი თავის წერილში მოგვითხრობს ერევნის ვიცე გუბერნატორ თავ. ნაკაშიძის ნაქონ ხელნაწერზე პოემისა. იგი აღმოჩენილია ერევანში, თათრის ოჯახში. პოემას თავში და ბოლოში აკლიაო სტროფები. თხზულების ნაბეჭდ ტექსტთან შედარებისას დ. ვარდიაშვილს შეუნიშნავს ბევრი ზედმეტი სტროფი და სიტყვა. ერევანში ნაპოვნ ხელნაწერს თან ახლდა თურმე ანდერძები, საიდანაც იმოწმებს სამ სტროფს.[3]

ამრიგად XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელნი და საკითხით დაინტერესებული პირნი ყურადღებას ამახვილებენ ინტერპოლაციებზე. მიუთითებენ იმ ინტერპოლატორებზე, რომლებიც ტექსტში ჩართვა-ჩამატებებით ამახინჯებდნენ ამ გენიალურ პოემას. ინტერპოლაციებზე დაკვირვებებით თავი გამოიჩინეს მარი ბროსემ, დავით ჩუბინაშვილმა, პ. კარბელაშვილმა, იონა მეუნარგიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ა. ხახანაშვილმა, დ. ვარდიაშვილმა და სხვ.

---

1. **ა. ხახანაშვილი**, შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება, გაზ. „ივერია“, 1885, 30 სექტემბერი
2. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 344-345
3. **დ. ვარდიაშვილი**, „ხელნაწერი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ერევანში, გაზ. „ივერია“, 1899, 6 თებერვალი

„ვეფხისტყაოსნის“ სრული გამოცემანი

„ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა სახის გამოცემანი მოგვეპოვება XIX საუკუნეში: სრული გამოცემანი, ნაწილობრივი გამოცემანი, პოემის შონაარსის პროზაული გამოცემანი, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების გამოცემანი.

გავეცნოთ სრულ გამოცემებს.

პირველი სრული გამოცემა განხორციელდა 1841 წელს პეტერბურგში: შოთა რუსთაველი, ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барсовая Кожа, პოემა დაწერილი შოთთა რუსთაველის მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ/პეტერბურლს, სტამბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841. ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა „ბროსეტ“-ის ხელმონერით. ტექსტი შეიცავს 1637 სტროფს. დართული აქვს მცირე ლექსიკონი.

პოემა მეორედ დაიბეჭდა 1846 წელს: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, წიგნში: ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს წერილი ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი შეიცავს 1635 სტროფს. ტექსტი თავდება შენიშვნით: „დასასრული „ვეფხვის-ტყაოსნისა“, რასაც მოჰყვება ლექსები:

1. „ნარას სოფელს ნუზალა საყდარზედ დაწერილი ლექსი“;
2. „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღუთის-მშობლის დროშა და მინიაკი მიართვა, ეს იამბიკო-ხუთეული ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა“;
3. „იამბიკო, ესე თქმული რუსთაველის მიერ, ზედა-წარწერილ-არს ხატსა ზედა ხახულის ღუთის-მშობლისასა“.

მომდევნო გამოცემა კვლავ პეტერბურგში განხორციელდა 1860 წელს: შოთა რუსთაველი, ვეფხვის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთაველისაგან თამარ მეფის დროს ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა-საგან განმარტებითურთ, სანკტ-პეტერბურლს სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა 1860 წელსა, 244 გვ. წიგნში: ქართული ქრისტომატია ან გამოწერილნი სტატიები, სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთა-გან, ნაწილი მეორე, ქართული ლექსები, ასლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან, სანტკ-პეტერბურლს 1860 წელსა. ტექსტი შეიცავს 1593 სტროფს. ახლავს განმარტებანი სათაურით: „განმარტება რომელთამე სიტყვათა და

ფრაზათა, ხმარებულთა ვეფხვის-ტყაოსნის ლექსთა შინა". აქვე მითითებულია ზემოთ დასახელებული ლექსები, რომელთაც დავით ჩუბინაშვილი რუსთაველს მიაწერს. მათ აქ არ გავიმეორებთ.

1867 წელს მეოთხეჯერ გამოქვეყნდა რუსთაველის გენიალური პოემა: „ვეფხვის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთაველისაგან, ტფილისი, მელიქიშვილისა და კამ სტამბაში, 1867. როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს, ზოგი მითითების მიხედვით წიგნის გამომცემელნი არიან გ. წერეთელი და დავ. ყიფიანი.[1] ტექსტი შედგება 1563 სტროფისაგან. ერთვის „მოკლე განსამრტებელი ლექსიკონი".

1875 წელს პოემა კვლავ იხილავს მზის სინათლეს: „შოთა რუსთაველი, ვეფხვის-ტყაოსანი, მეექვსედ (სათვალავშია 1712 წლის გამოცემაც – ტ.მ.) დაბეჭდილი არსენ კალანდაძისა და ამხ-გან, ავტორის სურათით. თფილისი, 1875". წიგნს უძღვის პატარა წინასიტყვაობა „გამომცემლებისაგან" (IX-X) -და უმთავრესი შეცდომები (XI-XII). შეიცავს 1556 სტროფს. ერთვის „სიტყვების განმარტება" (გვ. 207-220). გამომცემელთა შენიშვნით, ტექსტი დაუბეჭდავთ ძირითადად ვახტანგ მეექვსის 1712 წლის გამოცემის მიხედვით.

1883 წელს ქუთაისის სტამბამ უმასპინძლა პოემას: „ვეფხვის-ტყაოსანი თხზულება შოთა რუსთაველისა. თ.პ.გ. წულუკიძის გამოცემა, ქუთაისი, 1883. შეიცავს 1561 სტროფს დაბეჭდილია წინასიტყვაობის, ლექსიკონის და სარჩევის გარეშე.

მორიგი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველი, ვეფხვის-ტყაოსანი (ავტორის სურათით), გამოცემული გრიგოლ ჩარკვიანისაგან, ტფილისი, 1887. ტექსტს წამძღვარებული შენიშვნა გვამცნობს, რომ იგი გადმოუბეჭდავთ მეექვსე გამოცემიდგან, რადგანაც ის უფრო შესწორებული და უნაკლო იყო სხვებთან შედარებითო. ტექსტი ითვლის 1587 სტროფს. ერთვის ლექსიკონი მარტივი განმარტებით.

რუსთაველის თხზულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა განხორციელდა 1888 წელს: შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემული გ.დ. ქართველიშვილის მიერ, ტფილისი, 1888, 358 გვ. შედგება 1576 სტროფისაგან. ამ გამოცემასთან დაკავშირებით გ. იმედაშვილს მოვუსმინოთ „ვახტანგისეული 1712 წლისა და 1841 წლის ბროსეულეული გამოცემის შემდეგ წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის პირველ ცდას სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწენი: გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ნ. დადიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. მეუნარგია, ი. მაჩაბელი და სხვ.

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 45

კომისია ტექსტის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის ხელმძღვანელობდა ვეფხისტყაოსნის 22 ხელნაწერით, რომელთა შეგროვება კი შესაძლებელი გახდა იმ დროის დაწესებულებებსა და ოჯახებში. წიგნს ერთვის ილუსტრაციები შესრულებული მხატვარ ზიჩის მიერ. სულ 26 სურათია. ერთი სურათი ტექსტის წინ ლითოგრაფიით ფერებში თემაზე: რუსთაველი, ტახტზე მჯდომარე, დიდებულებით გარშემორტყმული თამარ მეფეს მოართმევს ვეფხისტყაოსანს. დანარჩენი 25 სურათი, დაბეჭდილი ერთ ფერად, ჩაკრულია ცალკე ქაღალდზე შემდეგი გვერდების გასწვრივ: 12, 18, 20, 44, 48, 53, 62, 72, 100, 114, 120, 127, 156, 192, 212, 216, 246, 250, 252, 264, 274, 284, 306, 314, 320. ბოლოში წიგნს ერთვის შენიშვნა: „გამომცემლისაგან", ტექსტის დადგენისა და გამოცემის მომზადების შესახებ".[1]

შემდეგი პუბლიკაცია: ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, მეცხრე გამოცემა, წიგნის მაღაზიის გამოცემა. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, თფილისი, 1890, 404 გვ. თითო გვერდზე ოთხი სტროფია, შუაზე გაყოფილი შაირით

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა"...

ასე რომ, თითო სტროფი დაბეჭდილია რვა სრიქონად. შეიცავს 1559 სტროფს. არა აქვს სარჩევი და წინასიტყვაობა.

1891 წელს რუსთაველის პოემის დასტამბვის საქმეში ოზურგეთმაც გამოიჩინა თავი: „ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემა ა. მიქელაშვილის და ა. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის, №6. ოზურგეთი, 1891. ტექსტს წინ ერთვის წინასიტყვაობა „გამომცემლებისაგან". მათი შენიშვნით: „ეს გამოცემა სრულიად გადმობეჭდილია პატივემული გ. ქართველიშვილის მიერ. გამოცემული დიდი სურათებიანი „ვეფხისტაოსნიდან", გარდა რამდენიმე კორექტურული შეცდომისა და ოთხი-ხუთი ტაეპისა, რომელიც შეგვეპარა შიგ სხვა გამოცემებიდან". ტექსტი შეიცავს 1582 სტროფს. ბოლოში დართული აქვს „სიტყვების განმარტება".

ერთი წლის შემდეგ კვლავ ოზურგეთში ისტამბება ჩვენი განუმეორებელი თხზულება: ვეფხის-ტყაოსანი ავტორის სურათით, გამოცემა კ. თავართქილაძისა, ოზურგეთი, 1892. წინუძღვის „წინასიტყვაობისებური". შეიცავს 1582 სტროფს, ერთვის ლექსიკონი მარტივი ახსნით.

XIX საუკუნის მიწურულს ოზურგეთს ახალ-სენაკიც არ ჩამორჩა: „ვეფხის ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, სურათებით, გამოცემა

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 129

კ. თავართქილაძისა, ახალ-სენაკი, 1896. ტექსტს წინ ერთვის „წინასიტყვაობისებური“ და რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები. შეიცავს 1563 სტროფს, ბოლოში ერთვის „სიტყვების განმარტება“.

1899 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ბათუმის სტამბაში ჩავიდა: შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემა ძმა თავართქილაძეებისა, ბათუმი, 1899. ტექსტს წინ უძღვის „წინასიტყვაობისებური“, ითვლის 1551 სტროფს, ერთვის „სიტყვების განმარტება“.

იმავე წელს პოემა თბილისში ისტამბება: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი (სურათებით). მეთოთხმეტე გამოცემა, ვლადიმერ სიმონის ძის ყიფიანის მიერ, თბილისი, 1899. წამძღვარებული აქვს ვლ. ყიფიანის წინასიტყვაობა, მისივე წერილი „შოთა რუსთაველი“. შეიცავს 1602 სტროფს ბოლოში მოთავსებულია რუსთაველისადმი მიწერილი სამი ლექსი. ახლავს ლესიკონი „ძველი სიტყვების ახსნა“.

1900 წელს კვლავ თბილისში იბეჭდება პოემა: შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემული გრ. ჩარკვიანის მიერ, თბილისი, 1900. ერთვის რუსთაველის პორტრეტი დაბეჭდილია წინასიტყვაობის, ლექსიკონის და სარჩევის გარეშე.

„ვეფხისტყაოსნის“ ნაწილობრივი პუბლიკაციები

„ვეფხისტყაოსნის“ სრული გამოცემების გარდა XIX საუკუნეში მოგვეპოვება ნაწილობრივი პუბლიკაციები ნიგნში: ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, მეხუთე შევსებული გამოცემა. თბილისი, 1885. მასში შესულია რუსთაველის პოემის სამი თავი: 1. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა (38 სტროფი), 2. ნადირობა (14 სტროფი), 3. ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა (32 სტროფი).

1885 წლის გაზეთ „დროებაში“ (24 მარტი) გამოქვეყნდა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ 25 სტრიქონის ოდენობით. იგი შეიცავს ცალკეულ აფორიზმებსა და სტროფებს, რომელნიც გამოყენებულია მილოცვისთვის სააღდგომოდ სხვადასხვა პიროვნებათა მიმართ.

1888 წელს ე. სტალინსკიმ თავის ნაშრომში „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შეიტანა ნაწყვეტები პოემიდან რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ, ქართულ ენებზე.

1892 წელს განმეორებით გამოდის იაკობ გოგებაშვილის შედგენილი „ბუნების კარი“, სადაც, ცხადია, თავის ადგილს პოულობს პოემის ზემოთ დასახელებული სამი თავი.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის პროზაული გადმოცემა

როგორც ცნობილია, ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“ წერილების გამოქვეყნებას იწყებს 1828 წლიდან. ამასთანავე, ამავე წერილებში განიხილავს ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის საკითხებს. ამავე წელს გამოქვეყნებულ წერილში მან პირველად გადმოსცა პოემის შინაარსი. 1833 წელს ა. ხოძკო თავის წერილში „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“ მოკლედ გადმოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს. რუსთაველის პოემისადმი მიძღვნილი წერილის შენიშვნაში ი. ევლახოვი 1846 წელს პროზაულად გადმოგვცემს სათარგმნი თავის შინაარსს. იმავე წელს ი. ბარტდინსკი აქვეყნებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავის „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ თარგმანს, რომელსაც თან ახლავს პროზაული შინარსი სათარგმნი თავისა ა. მურავიოვს 1848 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველო და სომხეთი“, მოტანილი აქვს პოემის პროზაული შინაარსი პირველი თავისა.

1877 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული ლიტერატურა“ გ. ზოტოვს მოყოლილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. 1885 წლისთვის ა. ბობრინსკის მიერ პოემის ტექსტი თარგმნილია პროზაულად შემოკლებით. იმავე წლის გაზეთ „დროებაში“ (8 თებერვალი) დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ფრანგულ ენაზე გამოვაო ა. ბორენის ნაშრომი, სადაც გადმოცემულია რუსთაველის პოემის შინაარსი.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული პროზაული თარგმანი თავისუფალი გარდათქმით გამოვიდა 1890 წელს თბილისში. 1892 წლის ჟურნალ „ჯეჯილში“ იბეჭდება გ. იოსელიანის მოზრდილი ყმაწვილებისათვის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი“ იგი წარმოადგენს პროზაულ გარდათქმას.[1] მოსე ჯანაშვილს 1896 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „შოთა რუსთაველი“ გადმოცემული აქვს პოემის შინაარსი, ცნობილი აფორიზმები და ცალკეული ადგილები.[2]

1898 წელს კელავ გამოდის გ. იოსელიანის „ვეფხისტყაოსანი ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის“. იგი წარმოადგენს თხზულების პროზაულად გარდათქმულ, შემოკლებულ შინაარსს. მასში ჩართულია ბრძნული თქმების, აფორიზმების და მოტივების

1.[1] ჟურ. „ჯეჯილი“, 1892, №1-6

2.[2] მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, ტფ. 1896

შემცველი სტროფები. შინაარსი დაყოფილია თავებად.[1] იმავე წელს გამოვიდა ა. ხახანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა", სადაც გადმოცემულია ნაწარმოების შინაარსიც.[2]

„ვეფხისტყაოსნის" აფორიზმების გამოცემანი

რუსთაველის პოემის აფორისტული გამოთქმების ცალკე დაბეჭდვას საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა. სულ ასეთი 19 ფაქტი ფიქსირდება. აქ მხედველობაში გვაქვს საზოგადო მოღვაწეთა მიერ ცალკეული აფორიზმების გამოყენება მოკამათის საპასუხოდ. ამის პირველი მაგალითი გვაქვს 1870 წლიდან. ამავე წელს ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში" (21 მაისი) მ. ჯიქიძესთან პაექრობისას რუსთაველის აფორიზმებს იყენებს:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,"

„გვარი ათასად დაფასდა, ათიათასად ზრდილობა."

1881 წლის გაზეთ „დროებაში" (20 აგვისტო) დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნიდან ამოღებული ორმოცამდე აფორიზმი. 1883 წლის ჟურნალ „ივერიაში" ქვეყნდება პოემიდან ამოკრებილი 58 აფორიზმი. 1884 წელს ჟურნალი „ივერია" განაგრძობს ჩვენი დიდი პოეტის აფორიზმების ბეჭდვას. იაკობ გოგებაშვილს 1885 წელს მეხუთედ გამოცემულ წიგნში „ბუნების კარი" დამოწმებული აქვს რუსთაველის ცალკეული აფორიზმები. 1885 წლის გაზეთ „დროებაში" (1 იანვარი) საახალწლო მილოცვიდან გამოყენებულია რუსთაველის ერთი აფორიზმი: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი".

1885 წლის 14 ივლისს ჟურნალ „თეატრში" გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომლის ქვეშ მოცემულია წარწერა ეპიგრამად: „არ – დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა" (რუსთაველის აფორიზმი). იმავე წლის გაზეთი „დროება" (24 მარტი) ბეჭდავს რუსთაველის აფორიზმებს, რომელიც გამოყენებულია საალდგომო მილოცვისათვის. 1887 წელს ქვეყნდება წიგნი „დამაკვირდი". მასში შესულია რუსთაველის 39 აფორიზმი. 1890 წელს ნიკო ველისციხელს შეუდგენია და გამოუცია „საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსნიდამ". მასში თავმოყრილია პოემიდან ამოკრებილი აფორიზმები.

ვაჟა-ფშაველა გაზეთ „ივერიაში" 1891 (30 მაისი) ბეჭდავს წე-

1. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის, **გ. იოსელიანის** მიერ, ტფ. 1898

2. **ა. ხახანაშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ტფ. 1898

რილს „ფიქრები", სადაც მწერლის დანიშნულებაზე მსჯელობისას „ვეფხისტყაოსნიდან" გამოიხმობს საჭირო აფორიზმებს. კ. თავართქილაძე 1892 წელს ოზურგეთში გამოცემული რუსთაველის პოემის წინასიტყვაობაში იყენებს პოეტის აფორიზმებს. სტ. ჭრელაშვილი გაზეთ „ივერიაში" (1892, 5 მაისი) ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების დახასიათებისას მიმართავს რუსთაველის აფორიზმებს.

1897 წელს ქუთაისის სტამბაში ქვეყნდება „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი ადგილები"... წიგნში 23 გვერდი ეთმობა პოემიდან ამოკრებილ სენტენციებს და აფორიზმებს.

„ვეფხისტყაოსნის" თარგმანები

სრული თარგმანები. XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული თარგმანი გერმანულ ენაზე განახორციელა არტურ ლაისტმა. როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს: „არტურ ლაისტს „ვეფხისტყაოსნის" გერმანული თარგმანისათვის რუსთაველის შაირის სანაცვლოდ გამოყენებული აქვს 12 მარცვლოვანი ლექსი. რის გამოც რაკი რუსთაველის სტროფი 12 მარცვლოვანმა საზომმა ვერ დაიტია, ერთი სტროფი ორ სტროფადაა გადატანილი.[1] არტურ ლაისტი დიდხანს მუშაობდა თარგმანზე, მაგრამ მაინც დაუმთავრებელი დარჩა. თუმცა ეს არის შედარებით პირველი სრული თარგმანი უცხო ენაზე. იგი დაისტამბა 1886 წელს.

1890 წელს თბილისში გამოქვეყნდა თხზულების რუსული პროზაული თარგმანი თავისუფალი გარდათქმით ამბავთა მიხედვით. სტროფული თანმიყოლების გარეშე, რომლებშიაც ადგილ-ადგილ მოიპოვება ცალკეული აფორიზმები ლექსად რუსულივე თარგმანით.[2]

ნაწილობრივი თარგმანები. ევგენი ბოლხოვიტინოვი იყო პირველი რუსი რუსთველოლოგი, რომელმაც 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდა ნარკვევი „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში". ნაშრომის დასასრულს იგი მსჯელობს ქართული ლექსის მეტრიკულ სტრუქტურაზე: „ქართულ ლექსთა ძველ გვართაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ცხრა, რვა საერო და ერთი საეკლესიო, რომელსაც ეწოდება იამბიკო. პირველი გვარი, ყველაზე უფრო ძველი და გავრცელებული, იწოდება შაირად. იგი შედგება ოთხტაეპედებისაგან, რომლის ყოველ ტაეპს ბოლოში

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 140
2. იქვე, გვ. 156

ერთნაირი რითმა აქვს.[1] ე. ბოლხოვიტინოვს სანიმუშოდ მოაქვს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი და მისი ზუსტი რუსული თარგმანი. ამით ჩაეყარა საფუძველი, საერთოდ, პოემის უცხო ენაზე თარგმნის ისტორიას.

1833 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“ გამოქვეყნებულია კ. ლაპჩინსკის წერილი „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, რომელიც განკუთვნილია „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის წინასიტყვაობისათვის. ავტორს გადმოცემული აქვს პოემის მოკლე შინაარსი და რამდენიმე სტროფის თარგმანი. ეს წერილი, როგორც გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, გ. იმედაშვილმა შეცდომით მიაწერა ა. ხოძკოს.[2]

დავით ჩუბინაშვილი 1842 წელს დაწერილ ნარკვევში „ქართული პოემა ვეფხისტყაოსნის შესახებ“, ქართული ლექსთაწყობის განხილვისას ეხება შაირის მეტრს და სანიმუშოდ იმოწმებს პოემის პირველ სტროფს რუსული თარგმანით. 1845 წელს პეტერბურგის ჟურნალ „ილუსტრაციაში“ ქვეყნდება ბარტდინსკის თარგმანი პოემის ნაწყვეტებისა რუსულ ენაზე.

1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ (23 აპრილი) იბეჭდება რუსთაველის თხზულების ნაწყვეტები რუსულ ენაზე, რომელიც თარგმნილია ი. ევლახოვის მიერ. იმავე წელს პეტერბურგში გამოიცა დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქართული ქრისტომატია“, სადაც წარმოდგენილია ჩვენი გენიალური პოემის ნაწყვეტები რუსულ ენაზე ბარტდინსკისეული თარგმანიდან.

1847 წელს წიგნში „კავკაზის“ გაზეთების კრებული შეტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ბარტდინსკისეული თარგმანის ნაწყვეტები. მისი რუსული თარგმანი ლექსად იწყება: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“-დან, იმავე წელს იმავე წიგნში დაბეჭდილ წერილში დავით ჩუბინაშვილი უთითებს 1846 წელს ჟურნალ „ილუსტრაციაში“ გამოქვეყნებულ ბარტდინსკის თარგმანს, როგორც სანიმუშოს, 1849 წელს გაზეთ „კავკაზში“ (26 მაისი) იბეჭდება, სტატია, რუსულ ენაზ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი, თარგმნილი ა. აბაშიძის მიერ.

ნ. ბერძენოვი გაზეთ „კავკაზში“ (1859, 31 მაისი) ბეჭდავს წერილს „ქართული ლიტერატურა“, სადაც რუსთაველის შაიროების თეორიაზე საუბრისას პროლოგიდან იმოწმებს სტროფების პროზაულ თარგმანს. იმავე გაზეთში (1871 წელს 24 თებერვა-

1. ე. ბოლხოვიტინოვი, საქართველოს ისტორ. სურათი მის პოლიტ., საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“, სანკტ-პეტერბურხი, 1802, იხ. გ. შარაძე, ევგენი ბოლხოვიტინოვი – პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978
2. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 10

ლი) პლატონ იოსელიანი ბეჭდავს წერილს ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ეხება ს. ბასტამოვის მთარგმნელობით საქმიანობას „ვეფხისტყაოსანთან" მიმართებაში, რომელსაც სომხურ ენაზე უთარგმნიაო პოემის მეხუთედი ნაწილი (დაბეჭდილა ერთ-ერთ სომხურ ჟურნალში 1860-1861 წლებში). ავტორი, ასევე, მოკლედ ეხება 1836 წელს პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნებულ პოლონურ თარგმანს „ვეფხისტყაოსნისა".

1877 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ლიტერატურა" ვ. ზოტოვი მსჯელობს რუსთაველის ნაწარმოების რუსულად თარგმნის გარშემო, სანიმუშოდ იმოწმებს ბარტდინსკის თარგმანის ერთ ნაწილს, რომელიც შეიცავს პირველ თავს და უცხო მოყმის ნახვის ამბავს. ევგენი სტალინსკის წიგნში შოთა რუსთაველზე (თბილისი, 1885) შესულია პოემის პროლოგის თარგმანის ნაწყვეტი თავისებური გარდათქმით, რომელშიაც ამოკრეფილია სხვადასხვა სტროფები. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" (1887, 23 სექტემბ.) იბეჭდება ევგენი სტალინსკის მიერ შესრულებული პოემის ნაწყვეტთა თარგმანი.

1888 წელს თბილისში გამოცემული ევგენი სტალინსკის წიგნში (შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი) შესულია პოემის ნაწყვეტების თარგმანები რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე (მთარგმნელნი: ბარტდინსკი, ბასტამიანი, არტურ ლაისტი, ბორენი). 1897 წელს ა. ხახანაშვილის წიგნში „ქართული სიტვიერების ისტორია" გამოყენებულია პოემის ნაწყვეტები ევლახოვისა და ა. აბაშიძის პროზაული თარგმანიდან. 1898 წელს ე. ბარსოვი თავის წერილში ათავსებს ნაწყვეტს „ნახეს უცხო მოყმე ვინმე" ევლახოვის თარგმანით. აგრეთვე, პროზაულად შესრულებული ა. აბაშიძის თარგმანი. იმავე წელს ა. ხახანაშვილს თავის წიგნში (შოთა რუსთაველი და მისი პოემა ვეფხისტყაოსანი) დამოწმებული აქვს რუსული და გერმანული თარგმანები. 1898 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნებულ წერილში მ. გიორგაძეს საილუსტრაციოდ მოაქვს სტალინსკის თარგმანი პოემიდან – თამარის საქებრად თქმული. 1899 წელს მ. ჯანაშვილი თავის წერილში იმოწმებს პოემის ბოლო სტროფის რუსულ პროზაულ თარგმანს 1900 წელს გამოცემულ წიგნში (თამარის ისტორია) იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე აფორიზმს, თარგმნილს რუსულ ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონები

მთელი XIX საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ ვახტანგ მეექვსისთვის მიებაძათ და „ვკეფხისტყაოსნის“ გამოცემისთვის ლექსიკონები დაერთოთ. თუმცა ეს ლექსიკონები შორს დგას ვახტანგისეული სიტყვების ახსნა-განმარტებებისაგან, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებების გამოკლებით, მიუხედავად ამისა, იგი თავის ფუნქციას მაინც ასრულებდა.

როგორც ვიცით, რუსთაველის პოემის პირველი გამოცემა XIX საუკუნეში განხორციელდა 1841 წელს პეტერბურგში, რომელსაც დართული აქვს მცირე ლექსიკონი.

1843 წელს პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონმა შექმნა სოლიდური ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“. იგი ინახებოდა ხელნაწერის სახით. გამოქვეყნდა 1960 წელს გაიოზ იმედაშვილის რედაქციით. მოკლედ გავეცნოთ ამ წიგნზე გ. იმედაშვილის შეფასებებს:

„ნაშრომი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ძნელად გასაგები, არქაული და იშვიათი სიტყვების, თქმების, აფორიზმების, პოეტური სახეებისა და მეტაფორების ვრცელ დოკუმენტალურ ლექსიკონს. ცალკეულ შემთხვევებში სიტყვის სპარსულ-არაბულ თუ სხვა ენის ძირთან ერთად ნაჩვენებია მისი სხვადასხვა მნიშვნელობა და კონტექსტის აზრი. ავტორის მეტყველების ლექსიკას ემჩნევა რუსიციზმების კვალი. თეიმურაზი ყურადღებას აქცევს რუსთაველის ლექსიკაში, სპარსიზმ-არაბიზმების გარდა, ქართული ძირებით ახსნის საჭიროებას. თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები ჰგვანან სპარსულ-არაბულს, მაგრამ „ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა, რომ შეიმეცნოს, რომ თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან“.[1]

კვლავ გ. იმედაშვილს მოვუსმინოთ: „სხვადასხვა სტროფისა თუ სიტყვის განმარტებისას თეიმურაზი ეხება ქართული მწერლობის, ისტორიის, ხელოვნების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და ყოფის საკითხებს. ავტორი ყველა სტროფსა და სიტყვას ერთნაირი სისრულით არ განმარტავს“.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ 1860 წლის პუბლიკაციაში, რომელიც ეკუთვნის დავით ჩუბინაშვილის, გარკვეული ადგილი ეთმობა პოემის განმარტებებს: „განმარტება რომელთამე სიტყვათა და ფრაზა-

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 19
2. იქვე

თა, ხმარებულთა ვეფხის-ტყაოსნის ლექსთა შინა". რუსთაველის პოემის 1867 წლის გამოცემას ერთვის „მოკლე განსამარტებელი ლექსიკონი" ასეთი შენიშვნით:

„თუმცა იმ გვარი განმარტება, როგორც უფ. ჩუბინოვისაგან 1860 -ში გამოცემულს ვეფხვის-ტყაოსანს აქვს, უფრო სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ ხარჯსაც მოგვიმატებდა და არც შეგვეძლო ისეთს სისრულეში მოგვეყვანა, როგორც იმგვარი განმარტება მოითხოვს. ვეფხვის-ტყაოსნის კარგათ გაგებისათვის, ვგონებთ, ხშირად კითხვაზე უკეთესი ღონისძიება სხვა არა იყოს რა. მხოლოდ ზოგან სწორე აზრის მიხვედრის გასაადვილებლად შევადგინეთ ეს მოკლე ლექსიკონი ეხლა უხმარისა და გაუგებარის ლექსებისა. ამისთვის ვიხმარეთ უ. ჩუბინოვის განმარტება და იმისვე ლექსიკონი და უფ. ბროსეს, ჩუბინოვისა და ფალავანდიშვილისაგან 1841-ში გამოცემულ „„ვეფხვის-ტყაოსანთან" ამავე აზრით დამატებული მცირე ლექსიკონი ლექსნი უფრო მარტო პირველ სახეობითს ფორმებში ავიღეთ და მათგან წარმოდგენილნი კი აღარ ჩავრთავით".

ასევე, „სიტყვების განმარტება" ერთვის 1875 წელს დაბეჭდილ პოემას, 1887 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანსაც" დართული აქვს ლექსიკონი მარტივი განმარტებით პოემის 1892 წლის გამოცემას ერთვის ლექსიკონი მარტივი ახსნით. „სიტყვების განმარტება" ახლავს 1896 წლის პუბლიკაციასაც. „სიტყვების განმარტება" დართვია 1899 წლის გამოცემას. იმავე წლის ელ. ყიფიანის მიერ გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს" ერთვის ლექსიკონი „ძველი სიტყვების ახსნა".

„ვეფხისტყაოსნის" მოტივებისა და გმირების შესწავლიდან

საკითხზე საუბარს დავიწყებთ არტურ ზუტნერის მრავალმხრივ საყურადღებო წერილით „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", რაც ზემოთაც გამოგვიყენებია. შეიძლება ითქვას, იგი პირველი მკვლევარია ქართველთა და უცხოელთა შორის XIX საუკუნეში, რომელიც ღრმააზროვნად მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" მოტივებზე, იდეალური პერსონაჟების თვისებებზე და ხასიათებზე. უდიდესი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ იონა მეუნარგია რუსთაველის პოემის ფრანგულ ენაზე სანიმუშო თარგმნისათვის, რაც, სამწუხაროდ, დაიკარგა და ჩვენამდე ვერ მოაღწია. ის რომ იდეალურად იყო თარგმნილი, ამაში ზუტნე-

რი მტკიცედ გვარწმუნებს, რაც მის ქება-დიდებაში გამოიხატა. ამ თარგმანმა პოემაში ღრმად ჩაახედა არა მხოლოდ ზუტნერი, არამედ უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. რომ არა ფრანგულად ეს თარგმანი, არც ზუტნერის ბრწყინვალე ნარკვევი დაიწერებოდა და არც ზიჩის მარად გაუხუნარი ილუსტრაციები შეიქმნებოდა. აღიარებულია, რომ „ვეფხისტყაოსანს უამრავი მხატვარი ჰყავს, მაგრამ ზიჩის ილუსტრაციები განუმეორებელია.

საინტერესოა იმის გახსენება, თუ საანალიზო წერილში რას ამბობს ზუტნერი იონა მეუნარგიაზე: „ამავე გატაცებამ აიძულა ბატონი ი. მეუნარგია თარგმნისათვის მოეკიდა ხელი, რათა ნარედგინა იგი ევროპელი მკითხველისათვის. მისი კალმით შეიქმნა რუსთაველის პოემის პირველი სრული პწკარედი თარგმანი. თვით მთარგმნელი, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, არ მალავს, თუ რა დიდი სიძნელის გადალახვა მოუხდა მას მიზნის მისაღწევად. აშკარად აღიარებს, რომ დასახულ ამოცანასა და მის შესრულებას შორის ღრმა უფსკრულია. ასეთი თავმდაბლობა მთარგმნელის სასარგებლოდ მეტყველებს და ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მოწიწებით და პატივისცემით მოჰქცევია იგი სათარგმნ ნაწარმოებს“.[1]

იონა მეუნარგიას თარგმანის წყალობით ზუტნერი თავის თავს უწოდებს პირველ ევროპელს, რომელმაც თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად. სწორედ ამის შედეგია მის მიერ ასეთი არაჩვეულებრივი ნაშრომის შექმნა რუსთაველის პოემაზე.

რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობისას ზუტნერი საგანგებო ყურადღებას მიაქცევს რუსთაველის მიჯნურობის თეორიას, სიყვარულის მოტივს, მიიჩნევს მას პოემის მთავარ იდეად, როგორც ამაღლებულ, წმინდა და მარადიულს. მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს ზუტნერის ნააზრევიდან:

„თუ პოემის შესავალს თვით ნაწარმოებს შევადარებთ: დავინახავთ, რა სიყვარულით ეკიდებოდა რუსთაველი თავის შრომას, პოემის მთავარი იდეა – ამაღლებული, წმინდა, მარადიული სიყვარული – წითელ ზოლივით გასდევს თავიდან ბოლომდე მთელ ნაწარმოებს. პოეტი გვამცნობს, როგორი უნდა იყოს სიყვარული და რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მიჯნურებს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა.
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
ვისაც ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.“

1. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრის „ვეფხისტყაოსანზე“, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 157

შემდეგ ნათქვამია, – განაგრძობს ზუტნერი, – „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“ უფრო შემდეგ: „ხამს თავისსა ხვაშიადსა, არვისთანა ამჟღავნებდეს“ და ბოლოს: „მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.[1]

ზუტნერი აქვე გვარკვევს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ხასიათში, საუბრობს მოქმედ პირთა გონიერებაზე, სულგრძელობაზე, სილამაზეზე: „რუსთველს არსად არ ავიწყდება, მიჯნურთა მის მიერვე ჩამოთვლილი თვისებებით შეამკოს თავისი გმირები. რომანის ეპიზოდები ისე კარგადაა მოხაზული, რომ მკითხველმა არ შეიძლება არ აღიაროს მოქმედ პირთა გონიერება, სულგრძელობა, სილამაზე... და, რადგანაც პოეტის მორალის თანახმად, ყველას უეჭველად ღირსეულად უნდა მიეზღოს, რუსთაველის პოემის თითოეული მკითხველი იმთავითვე ელის, რომ ამბავს ბედნიერი დასასრული ექნება“.[2]

სანამ ზუტნერი პოემის გმირების დახასიათებას, მათი თვისებების ჩვენებას გააგრძელებდეს, მკითხველს უზიარებს თავის შეხედულებას რუსთაველზე, არა როგორც პოეტზე, არამედ როგორც ადამიანზე, რადგანაც სჯერა ცნობილი აფორიზმისა: „პოეტის სული მის ქმნილებებში აისახება“. იგი წერს: „რუსთაველი თავის ქმნილებაში კეთილშობილური გრძნობების, ფიქრებისა და პრინციპების დიდ სიმდიდრეს ამჟღავნებს. მთელი ამბავი პოეტის უსასრულო სიკეთით არის შთაგონებული. რუსთაველი განსაკუთრებული სიყვარულით ჩერდება იმ ადილებზე, სადაც შეუძლია თავისი გულისნადები გადმოსცეს, ან ობიექტურად, გმირების პირით, ან სუბიექტურად – საკუთარი მსჯელობის საშუალებით. ზოგან, სადაც მოქმედების განვითარება მოითხოვს, რომ გმირები მკაცრნი და ულმობელნიც კი იყვნენ, რუსთაველი მათ მართლაც ასეთად ხატავს, მაგრამ ამას მალე მოაყოლებს შერიგების და პატიების სიტყვებს“.[3]

საამისოდ ზუტნერს მოაქვს სათანადო ეპიზოდები: ავთანდილის მხრიდან ასმათის მუქარა მისი სიკვდილით დასჯისა. მისი აზრით, ეს სცენა სრულ შესაბამისობაშია გმირის ხასიათთან. ზუტნერის თქმით, ავთანდილი სამი წლის განმავლობაში დაძრწოდა ტარიელის საძებნელად ტყეებსა და ველებში, როგორც იქნა, მიაგნო მის კვალს, მაგრამ მასზე ვერაფერს ათქმევინებს ასმათს. ამან კი წონასწორობიდან გამოიყვანა ავთანდილი და ძალმომრეო-

1. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრის „ვეფხისტყაოსანზე“, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 157
2. იქვე, გვ. 163
3. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრის „ვეფხისტყაოსანზე“, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 163

ბისათვის მოამზადა. მაგრამ იგი მალევე მოეგო გონს, ხვდება თავის შეცდომას, როგორც პრაქტიკული ბუნების ადამიანი. არ მოუწონა თავისთავს ძალმომრეობაზე წასვლა, ამიტომაც შეანელა განრისხება.[1]

ზუტნერი მსგავს სცენას და პასაჟს სხვაგანაც პოულობს. საუბარია როსტევან მეფის რისხვაზე. როდესაც მეფეს შერმადინი ამცნობს ავთანდილის წასვლას სამეფოდან, მან წონასწორობა დაკარგა და თავის ქვეშევრდომს სკამი ესროლა, თუმცა როსტევანი მეორე დღეს დაწყნარდა, მოიხმო შერმადინი და ალერსით გამოისყიდა წინადღის განრისხება. ამ ეპიზოდების ანალიზის შემდეგ ზუტნერი მიდის დასკვნამდის: „თითოეული ეს დეტალი მე მიმაჩნია ფაქიზ მხატვრულ შტრიხად, რომლის მსგავსიც ძნელად მოიძებნება XII საუკუნის პოეტთა თხზულებებში. მათი დახატვა ავტორს მხოლოდ საკუთარი ხასიათის კარნახით შეეძლო".[2]

ზუტნერი რუსთაველის სიკეთის ჩვენებისას აქვე მიუთითებს პოეტის, სულგრძელობაზე, მეგობრისადმი თავდადებაზე, მოცემული პირობის ერთგულებაზე: „პოემის არც ერთ გმირს არ ავიწყდება მისთვის გაწეული სამსახური. ამას ავტორი ისე გულმოდგინედ იცავს, რომ მხოლოდ მის საკუთარ ხასიათში შეიძლება ჰოვსძებნოთ ამ კეთილშობილური გრძნობის სათავე. მადლიერების გრძნობის ნამდვილი მოციქული „ვეფხისტყაოსანში" არც ტარიელია, არც ფრიდონი და არც როსტევანი, ესაა თვით რუსთაველი, რომელიც თავის გმირებს ათქმევინებს: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების".

ზუტნერს რუსთაველის, როგორც პოეტისა და ადამიანისა, ამაღლებული თვისებების, მეგობრობისა და მოვალეობისადმი მისი დამოკიდებულების დასასაბუთებლად მთელი რიგი ნიმუშები მოაქვს პოემიდან:

„ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს,
ხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს";
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".
ზუტნერის მოწონება დაუმსახურებია სხვა ტაეპებსაც:
„რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია";
„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების",
„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს".

1. იქვე
2. იქვე, გვ. 164

ზემოთ ილუსტრირებული ტაეპების ციტირებისას ზუტნერი შენიშნავს: „კეთილშობილური გრძნობებით გაჟღენთილი ასეთი აზრები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მთელ პოემაში. მათი ხშირი გამეორება გვიმტკიცებს მხოლოდ, რომ რუსთაველი თავიდან ფეხებამდე გულწრფელად გაჟღენთილი იყო ამ აზრებით და ცდილობდა თავის თანამედროვეთათვის შთაენერგა ისინი. აქედან ცხადია, რომ მისი ნაწარმოები პოეტის მიერ მკითხველთა გასართობად გამოგონილი მოვლენების ზიზილპიპილებიან აღწერად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ეთიკურ ნიგნად".[1]

რუსთაველისადმი, როგორც პოეტისა და ადამიანისადმი, მისი დამოკიდებულების ჩვენების შემდეგ ზუტნერი უბრუნდება კვლავ პოემის განხილვა-ანალიზს. მისი შეხედულებით, რუსთაველს მიზნად დაუსახავს პოემის ოთხივე გმირის ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანა. ეს საერთო მნიშვნელია ბედნიერი ერთიანობა სიყვარულსა და მეგობრობაში. ზუტნერის თანახმად ეს რთული ამოცანა დაძლია პოეტმა, მოახერხა მისი ბოლომდე შესრულება: „მან ხასიათებს ისეთი ელფერი მიანიჭა, რომ თითოეული გმირისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედი პიროვნების შექმნა მოახერხა".[2]

რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის" გმირების დასახასიათებლად და აღსაწერად გამოყენებულმა მხატვრულმა ხერხებმა ზუტნერს ტორკვატო ტასო მოაგონა: „რუსთაველის მიერ თავისი ახალგაზრდა გმირების აღსაწერად გამოყენებული ხერხი ბევრი რამით ჩამოჰგავს იმ მანერას, რომელიც 400 წლით მასზე გვიან გამოიყენა ტორკვატო ტასომ. ავთანდილი არის „საროსა მჯობი, ნაზარდი"... „ჯერთ უწყვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა"; „მას თინათინის შვენება ჰკლდვიდის წამწამთა ჯარისა"... ავტორი აქვე თინათინზე განაგრძობს მსჯელობას: „თინათინმა „გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი" სიმდიდრე, „რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა". ამით მან ნათელყო, რომ მამის მიერ ნაბოძები ძალაუფლების ღირსი იყო. ამასთანავე, იგი მშვენიერიც გახლდათ. თვით „მზეც კი თინათინებდა" სხვაგვარად რომ ვთქვათ, ულამაზესი ქალწულის მშვენებით მოხიბლული მზე თავის სხივებში მის სილამაზეს ირეკლავდა".[3] ზუტნერი იხსენებს პოუმიდან თინათინის მიერ ავთანდილის მოხმობის ეპიზოდს, რო-

1. ა. **ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 164-165
2. იქვე, გვ. 165
3. ა. **ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 165

დესაც იგი ქვეყნის სპასპეტს აგზავნის უცხო მოყმის საძებნელად: „ახალგაზრდა ქალი მიმართავს თავის უსიტყვო თაყვანისმცემელს, რომლის საიდუმლოებაც მისთვის ცნობილია:

„შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე".

ამასთანავე, თუ ძიება წარმატებით დამთავრდება, თინათინი მას ჯილდოდ თავის სიყვარულს ჰპირდება".[1] ზუტნერს მიაჩნია, რომ ამ ფაქტში თინათინის სრული დახასიათებაა მოცემული: სასურველი შედეგის მისაღწევად იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება და მისთვის ჩვეულ თავშეკავებასაც კი ივიწყებს.

ამის შემდეგ ზუტნერი შეუდგება ავთანდილის პიროვნების დახასიათებას. იგი წარმოუდგება, როგორც ანგარიშიანი და მოხერხებული, გულისწადილის შემკავებელი, დასახული მიზნისკენ გადაუხვევლად მიმსწრაფი, თინათინზე გულწრფელად შეყვარებული. ხაზი გაესმის ავთანდილის მხრიდან თავშეკავების უნარს. ამის დასადასტურებლად პოემიდან იმ ეპიზოდს იხსენებს: სამი წლის მანძილზე ტანჯვაწამებიანი ძიების შემდეგ როცა მიაგნებს ტარიელის კვალს, შეეცადა თავის შეკავებას, რათა არ მივარდნოდა ტარიელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შეხვედრა ხიფათით დასრულდებოდა. ზუტნერის თქმით, ამ შემთხვევაში ავთანდილი განუხრელად მისდევს საკუთარი თავისთვის დაკანონებულ წესს. ამისთვის იმოწმებს შესაბამის ტაეპებს:

„ხამს,თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს".

ავტორი ავთანდილის სხვა თვისებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც გამოვლინდა ვაჭრის მეუღლე ფატმანთან დამოკიდებულებისას. ზუტნერის თქმით, „ესაა ერთადერთი, ეპიზოდი, რომელიც ზნეობის დამცველთ „სარისკოდ" შეიძლება მოეჩვენოთ". იგი წერს: „ავთანდილი სინდისის ქენჯნის გარეშე გააბამს სასიყვარულო ქსელს ვაჭრის ცოლთან, მაგრამ ეს სიყვარული კვლავ ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება – მეგობრის დახმარებას – და ავთანდილი მას იყენებს იმ პრინციპის განსახორციელებლად, რაც რუსთაველს მეგობრობისთვის აუცილებლად მიაჩნია... კერძოდ, მზადაა უერთგულოს მოყვარეს „თავი ჭირსა არ დამრიდად" და მისთვის თვით სიკვდილიც კი „თამაშად და მღერად" უჩანს.[2] იგი საუბრობს ავთანდილისა და ტარიელის განმასხვავებელ თვისებე-

1. იქვე, გვ. 166

2. **ა. ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 166

ბზე. ავთანდილზე მსჯელობას ასრულებს მისი სიმპათიური თვისებების ჩვენებით. მხედველობაშია თინათინის მიჭნურის საუბარი შერმადინთან, ავთანდილის ანდერძი, სადაც მოციქული და მისი ლოცვებია ციტირებული. ზუტნერს მოვუსმინოთ:

„ანდერძის ის ნაწილი, სადაც მემკვიდრეობის გაცემაზეა საუბარი, დაგვანახებს რამდენად პრაქტიკული ადამიანი იყო ავთანდილი. ანდერძში ის იბარებს, რომ მისი სიმდიდრე ხიდებისა და ობოლთა თავშესაფრების ასაგებად გამოიყენონ. ავთანდილს კიდევ ერთი მშვენიერი თვისება პლანეტებისადმი მიმართვაშია გამოხატული".[1] თუმცა ეს პლანეტები საბაბს აძლევენ ზუტნერს, რომ რუსთაველს ასეთი რამ უსაყვედუროს:

„რუსთაველს პოეტური სახეების საკმაოდ შეზღუდული მარაგი აქვს. თავის გმირებს დაუსრულებრივ მზესა და მთვარეს ადარებს... საერთოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი პოეტური სახეები ლირიკულ პოეტებს უფრო შეჰფერით და ეპოპეის ავტორს მიეტევებოდა, სრულიად რომ არ ეხმარა ისინი. ეს ჭარბად მოხსენებული ციური მნათობები, ვარდებთან, ბროლთან, ედემის ხეებთან ერთად, პოეტის მეტაფორათა მთელ მარაგს რომ ქმნიან, ხელს გვიშლიან მისი თხზულებით დატკბობაში, არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ზოგჯერ კი თვით პოემის გაგებას აძნელებენ".[23] ცხადია, ზუტნერის ამ თვალსაზრისის გაზიარებისგან შორს ვდგავართ. იგი კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ძირშივე მცდარია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ამ დონის პიროვნებას, გაუგებარია, თუ რატომ უნდა მოსვლოდა თავში ასეთი აზრი.

რუსთაველისთვის მეორე შენიშვნის მოცემასაც არ გაურბის ზუტნერი: „პოემის გმირები აუარებელ ცრემლს ღვრიან. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სისხლიანი ცრემლები, ცრემლთა ნაკადულები, მდინარეები და ზღვებიც კი. ეს მომაკვდინებელ ეფექტს ახდენს, მაგრამ არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ მივუტევოთ ავტორს, რუსთაველი ხომ საავსებით საფუძვლიანად ამბობს:

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტრის, ტირილსა ემართლების,
სიარული, მარტოობა ჰშვენის, გაჭრად დაეთვლების".

ზეტნერი განაგრძობს: „ვფიქრობ, რომ სევდა-ნაღველი, რომელსაც პოეტი აქ წარმოგვიდგენს, საყოველთაოდ გავრცელებული იყო და მის თანამედროვეთა საზოგადოებრივ გემოვნებას შეეფერებოდა".[3]

1. იქვე
2. იქვე, გვ. 167
3. ა. **ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 167

ზუტნერი „ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთ ეპიზოდს აანალიზებს ნესტან-დარეჯანის პიროვნების წარმოსასახავად. ნესტანი ტარიელისაგან მოითხოვს მშობლების მიერ მისთვის შერჩეული გადამთიელი საქმროს მოკვლას: „რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად" და დასძენს:

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც ზროსათა, ვითა ვირთაო, –
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?"

ზუტნერი ექომაგება ნესტანს და ამართლებს მის გადაწყვეტილებას: „ვფიქრობ, ეს უკანასკნელი სიტყვები საკმაოდ კარგად გვაცნობენ და ჩვენ წინაშე ამართლებენ ნესტანს. მართლაც, განა სრულიად ბუნებრივი არ არის, რომ მას სძულდა უცხოელი, რომელსაც სატრფოსაგან უნდა განეშორებინა? ნესტან-დარეჯანი გაჭირვებული მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა და სინამდვილეში არც არსებობდა ასეთი გამოსავალი. იმ დიდი ხნის წინათ, – განაგრძობს ზუტნერი, – გარდასულ დროში ხომ მშობლები არ უთანხმებდნენ ქალიშვილებს მათი გათხოვების საკითხს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკური მიზნით ათხოვებდნენ ხოლმე, ამიტომ ჩასჭიდებს ხელს ნესტანი საკითხის ერთადერთ შესაძლებელ გადაწყვეტას, მაგრამ ამასთანავე არ ავიწყდება სთხოვოს სატრფოს, ერთი კაცის მეტი არ მოკლას, რადგან სძულს „სისხლი უბრალო".[1]

ზუტნერი არაჩვეულებრივად ფაქიზ ფსიქოლოგიურ თვისებას ხედავს „ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთ ეპიზოდში: „ნესტანი გულისნადებს აჰყვება, ტარიელს წერილს უგზავნის და თავისთან იწვევს. როდესაც ტარიელი გამოცხადდება სატრფოს მოხმობის საპასუხოდ, ქალი მას ვერაფერს ეუბნება, მხოლოდ მზერით აცილებს კარამდე. აქ იგრძნობა ქალწულის სითამამეც, რადგან მან გაბედა წერილი მიეწერა ჭაბუკისათვის, და მისი მოკრძალებაც. შემდეგაც ტარიელის ხატაეთიდან დაბრუნებისას ლხინის დროს, როდესაც მეფე ფარსადანი დიდსულოვნად აპატიებს მეფე რამაზს, გვერდიგვერდ მსხდომი შეყვარებული წყვილი თვალს ვერ უსწორებს ერთმანეთს. ეს სცენაც განსაკუთრებით ფაქიზად და დიდი მხატვრული ძალით აქვს აღწერილი პოეტს".[2]

ზუტნერის ყურადღება მიუქცევია პოემის იმ ეპიზოდს, სადაც ვეცნობით ნესტანის განრისხებას ტარიელის მონაწილეობაზე იმ თათბირში, რომელშიც წყდებოდა მისი გათხოვების ბედი: „ღრ-

1.იქვე, გვ. 169
2. იქვე, გვ. 170

მად დამწუხრებული კვლავ დაძლევს ქალწულის მოკრძალებულ გრძნობას, მოიხმობს სატრფოს და ვეფხვივით პირგამეხებული საყვედურით აავსებს მას ღალატის გამო. მაგრამ მისი მრისხანება განელდება, როგორც კი ტარიელი აუხსნის, რატომ შეიკავა თავი აზრის გამოთქმისაგან მეფისა და დედოფლის თანდასწრებით. ამ უკანასკნელთ ანაზდად აუწყეს განზრახული ქორწილის ამბავი. ტარიელს არაფრით აღარ შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა. ტარიელის ახსნა-განმარტებას შელახული თავმოყვარეობის იერიც დაჰკრავს, რადგან მეფემ და დედოფალმა მასზე სრულიად არ იფიქრეს. განა ის ნესტანის შესაფერისი არ იყო? განა მის ძარღვებში არ ჩქეფდა მეფური სისხლი? ამასთანავე, ტარიელი ეფიცება ნესტანს, რომ არასდროს უფიქრია ვისთვისმე დაეთმო მისი შერთვის უფლება. ქალსაც სჯერა, რადგან მის კეთილშობილებას ენდობა. ასეთი შეხედულება აქვს პოეტს ტარიელზე. იგი მუდამ პირდაპირი და პატიოსანია. თუ ამ შემთხვევაში მეფის მიმართ სხვაგვარად იქცევა, ამის მიზეზი ყველაზე უფრო მის შელახულ თავმოყვარეობაში უნდა ვეძიოთ".[1]

ზუტნერი გვერდს ვერ უვლის არაბეთის მეფის როსტევანის პიროვნების ხასიათების ჩვენებას. როსტევანს ბრძენს და მოწყალეს უწოდებს, მაგრამ ნაკლოვან მხარეზეც მიუთითებს. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე იმ სცენას, სადაც როსტევანი ავთანდილის ანდერძს კითხულობს: „მკითხველი მოელის, რომ მეფე განრისხდება და ერთგვარად კიდეც ნანობს, რომ ამ კეთილმა კაცმა წონასწორობა უნდა დაკარგოს, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად ხდება, – მეფე სიმშვიდეს და სიდიადეს ინარჩუნებს. როსტევანმა იცის, რომ ამგვარი საქციელით ასრულებს მის სურვილს, ვის დაკარგვასაც ასე ნაღვლობს".[2]

ზუტნერს ყურადღების მიღმა არც ასმათის პიროვნება დარჩენია. ნათლავს მას ქალური თავდადების ნამდვილ განსახიერებად, რომლის ერთგულება ტარიელისადმი თავგანწირვამდეა მისული. ავტორის აზრით, ასმათი პირველი გამოჩენისთანავე „ვეფხისტყაოსანში" უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რომელიც თანდათანობით უფრო მხატვრულად სრულყოფილი და საინტერესო ხდება: „იგი არ დაერიდა საკუთარი რეპუტაციის შელახვას და ნესტანის წერილი წაუღო ტარიელს. მან იტვირთა ნესტანისა და ტარიელის უიღბლო სიყვარულის ყველა არასასიამოვნო შედეგი.

1. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 170
2. იქვე, გვ. 170-171

ბოლოს იგი ტარიელის ერთგული დარჩა გაჭირვების ჟამს".[1]

ზუტნერი ხაზს უსვამს ასმათის სითამამეს და სინაზეს იმ ეპიზოდში, როცა ავთანდილს მისი გამოტეხა სურდა: „იგი მზადაა მოკვდეს, ოღონდ არ გასცეს ტარიელის საიდუმლოება, მაგრამ როდესაც ავთანდილს გამიჯნურებულად შეიცნობს, გული მოულბება და თვითონ უწევს მას დახმარებას".[2]

ასმათის პიროვნებაზე მსჯელობისას ზუტნერი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მისი დახატვით რუსთაველმა დააფასა არა მარტო ქალი, არამედ ჩაგრული დაბალი ფენაც, კეთილშობილი როლი მიანიჭა მათ. რუსთაველს, ამით იმის დამტკიცება სურს, რომ დიდსულოვანი შეიძლება იყოს საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენელი. ასეთივე აზრისაა სხვათა შორის ტარიელიც, რომელიც ასმათს მოახლესავით კი არ ექცევა, არამედ მეგობარივით. უფრო მეტიც, დასავით. ასმათის ერთგულება დაუჯერებელი არ რჩება. ტარიელი დარწმუნებულია, რომ ვისაც სამსახურის გაწევა შეუძლია, მას მართვაც ძალუძს. ამიტომ აჩუქებს ასმათს პატარა სამეფოს".[3]

ზუტნერის სიმპათიები ფრიდონსაც მიწვდა. ხიბლავს მისი უბადლო რაინდობა. გამბედაობა, სიმამაცე, მოყვასისათვის დახმარების აღმოჩენის დაუმცხრალი წყურვილი: „იგი არ ემონება სიყვარულს, იმიტომ კი არა თითქოს ქალები სძულდეს, არამედ იმიტომ, რომ იცავს მოციქულის მცნებას. იგი ბედნიერია, როდესაც საშუალება ეძლევა დახმარება აღმოუჩინოს მეგობარს სატრფოს დახსნაში... ბოლოს, როდესაც მისი ორივე მეგობარი დაქორწინდება, ფრიდონი ემშვიდობება მათ, თავის სამეფოში ბრუნდება და პირდება, რომ ხშირად მოინახულებს და მათი ოჯახური ბედნიერებით დატკბება".[4] ზუტნერმა ასევე ღირსეული პატივი მიაგო ფარსადანს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ არტურ ზუტნერი პირველია XIX საუკუნეში, რომელმაც თავის საინტერესო ნაშრომში „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე" მოგვცა ვრცელი და მასშტაბური დახასიათება პოემის გმირებისა, რომლის თანმხლებია მთავარი მოტივების ჩვენებაც.

ნიკოლოზ გულაკი თავის ცალკე წიგნად გამოცემულ ნაშრომში (1884) „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" ეხება პოემის პერ-

1. იქვე, გვ. 171
2. **ა. ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 171
3. იქვე, გვ. 172
4. იქვე

სონაჟებსაც – ნესტან-დარეჯანს და თინათინს. პოემაში აღწერილი ეპიზოდების თამარ მეფის ეპოქასთან შედარებისას მიდის დავით ჩუბინაშვილისმიერ უფრო ადრე გამოტანილ დასკვნამდე, რომ ნესტანის სახეში ალეგორიულად ჩამალულია თამარ მეფის ხატება.

ნ. გულაკი წერს: „პოემაში აღწერილ ეპიზოდებს თუ შევუდარებთ თამარის ცხოვრებას, ფრიად საგრძნობ მსგავსებას შევნიშნავთ. ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პოემის მთავარი გმირის ნესტან-დარეჯანის სახეში საგულვებელია თამარი. დ. ჩუბინაშვილის აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. მაგრამ თამარი იგულისხმება არა მარტო ნესტან-დარეჯანის, არამედ თინათინის სახეშიც. ეს კი არა და, რამდენიმე ასეთი პერსონაჟიც რომ იყოს პოემაში, ყველა მათგანი, ალბათ, თამარის სახით იქნებოდა შთაგონებული“.[1] ამით ფაქტიურად ნ. გულაკი ნესტანისა და თინათინის დახასიათებასაც გვიზიარებს, ვინაიდან ისინი წარმოუდგენია თამარივით იდეალურ ადამიანებად, იმ თვისებების მატარებლად, რაც თამარ დედოფალს ამშვენებდა და ამკობდა.

როსტევან მეფის გახსენებისას ნ. გულაკი მის რელიგიურობაზე დაფიქრებულა: „აღსანიშნავია, რომ პოემაში როსტევანისა და მის ქვეშევრდომთა მუსულმანობა არ ჩანს. პირიქით, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას“.[2] ამის დასასაბუთებლად ავთანდილის ანდერძიდან სათანადო ნიმუში დაუმოწმებია:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან ცნობანი მიაფერენ.
სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეუვანი, ამას ჟღერენ“.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ნ. გულაკის მიერ ციტირებული კიდევ ორი სტროფი მას სიტყვასიტყვით ფსალმუნიდან მოხმობილად მიაჩნია:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად.
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად.
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.
რაცა ღმერთსა არ სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,
მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების
თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენების,
მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების“.

1. ნ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 141
2. იქვე, გვ. 144

გაკვრით ეხება რა ნ. გულაკი „ვეფხისტყაოსნის" გმირებს, უქებს მათ სიმამაცეს, აღთქმული სიტყვისადმი ერთგულებას, ხელგაშლილობას, სამართლიანობას, მგზნებარე სიყვარულს, რითაც ისინი არ ჩამორჩებიანო დასავლეთის რაინდებს. სანიმუშოდ ასახელებს ტარიელს. მის მიერ ხატაელთა ჯარის დამარცხებას. როსტევან მეფეს, სიბრძნესთან ერთად, უწონებს ხელგაშლილობას. ასევე, გულუხვობას უქებს ავთანდილს, რომელიც ვეზირ სოგრატს საჩუქრად უზგავნის ასი ათას ოქროსა და სტავრა-ატლასს, ხოლო შემდეგ ზღვათა სამეფოსაკენ ცურვისას, დაამარცხებს რა ზღვის მეკობრეებს და ხელში ჩაიგდებს მათ განძს, უარს ამბობს მადლიერი ვაჭრების მიერ შეთავაზებულ სიმდიდრეზე.

ნ. გულაკი გარკვეულ ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსნის" სიყვარულის მოტივს: „რუსთაველის პოემაში გვხვდება ლალის ბაგე, გიშრის თმა, მარგალიტი კბილები, ალვის ტანი და ა.შ. თინათინი მზეს იწუნებს, ხოლო ნესტან-დარეჯანი ისეთი გასაოცარი სილამაზით ბრწყინავს, რომ ღამე მზიანი ხდება. სწორედ საოცარი ფიზიკური სილამაზით იტაცებენ ისინი თავიანთ მაღმერთებელ ტარიელს და ავთანდილს და არა სულის ზნეობრივი მშვენიერებით, რაზედაც პოემაში მხოლოდ გაკვრითაა ნათქვამი. მაგრამ გარკვეული აზრით სიყვარული მათ აკეთილშობილებს. ტარიელი და ავთანდილი – ორივე მიჯნურია, რაც საფუძველია მათივე მეგობრობისა".[1]

ნ. გულაკი სიყვარულის გრძნობასთან დაკავშირებით იხსენებს გამოქვაბულში ასმათთან ავთანდილის პირველი შეხვედრის ეპიზოდს. მან ასმათს ვერაფრით ათქმევინა უცხო მოყმის ვინაობის თაობაზე. მაშინ გადაწყვიტა ასმათისათვის გაემხილა თინათინზე მისი გამიჯნურების ამბავი სწორედ სიყვარულის სახელით აიძულებს ის ასმათს თხოვნის შესრულებას.[22] არასწორად მსჯელობს ნ. გულაკი ავთანდილის, სიყვარულის გრძნობაზე: „ავთანდილი მწვავედ განიცდის თინათინთან განშორებას და ციურ მნათობებსაც კი მიმართავს. მაგრამ, მიუხედავად მხურვალე სიყვარულისა, გარკვეულ შემთხვევაში დიდ დანაშაულად არ თვლის სხვა ქალთან სასიყვარულო კავშირს.

ნ. გულაკი, ეტყობა, ნაკლებად გარკვეულა ფატმანთან ავთანდილის გამიჯნურების საქმეში, რაც თინათინისადმი ღალატს კი არ მოასწავებდა, არამედ ამით სურდა ვაჭრის ცოლისგან დაეზუს-

1. **ნ. გულაკი**, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 147
2. იქვე

ტებინა თუ შეეტყო ნესტანის გასაიდუმლოების ამბავი, დაედგინა მისი ადგილსამყოფელი. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამას მხოლოდ ფატმანის შემწეობით შეძლებდა. ამ მიზნით დაიჭირა სქესობრივი კავშირი ამ სიძვის დიაცთან.

ავთანდილის ამ მიზანმიმართულ ქმედებაში ნ. გულაკმა დაინახა „ზუსტი ანარეკლი მუსულმანური აღმოსავლეთის ცხოვრებისა. ცნობილია, რომ მუსულმანი ვაჭრები და პილიგრიმები, როცა მათ შორეულ ქალაქში გაჩერება უხდებოდათ, ხშირად ქორწინდებოდნენ დროებით, მაგალითად, რამდენიმე თვით, რაც მათთვის საძრახისად სულაც არ ითვლებოდა".[1] ასეთი პრიმიტიული და გაუმართლებელი პარალელი „მუსულმანური აღმოსავლეთის ცხოვრებასთან" ნ. გულაკს შეცდომების ჩიხში მოაქცევს. თუმცა ნათქვამი, საერთოდ არ აკნინებს ავტორის ნაშრომის პოზიტიურ მხარეებს.

ნ. გულაკის აზრით, შედარებით ამაღლებული და წმინდაა პოემაში პერსონაჟ ქალთა სიყვარული. სანიმუშოდ ასახელებს ნესტან-დარეჯანის წერილს ტარიელისადმი: „უღრმესი სინაზით სუნთქავს ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი. ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულს აღარ სჯერა გათავისუფლებისა. ტარიელს მოუწოდებს, ამაოდ ნუ ჩაიგდებს თავს ხიფათში. იმედოვნებს, რომ თუ ამქვეყნად არ უწერიათ მათ შეხვედრა, საიქიოში მაინც ნახავენ ერთმანეთს. ეფიცება მიჯნურს მარადიულ ერთგულებასა იმუქრება, რომ ან კლდეზე გადაიჩეხება, ან დანით მოიკლავს თავს".[2]

ნ. გულაკი ცდილობს დაწვრილებით დაახასიათოს რუსთაველის პოემის მთავარი გმირები: როსტევანი, ავთანდილი და ტარიელი. საუბარს იწყებს როსტევან მეფეზე. მოიხსენიებს მას აღმოსავლური, პატრიარქალური მეფის ტიპად. ხაზს უსვამს არაბთა მეფის მგრძნობიარე ხასიათს, რის გამოც ადვილად გამოდიოდა მოთმინებიდან გაფიცხებისას. ამის დასადასტურებლად მოაქვს ის ეპიზოდი პოემიდან, როცა მეფემ ვეზირს, სოგრატს, სკამი ესროლა. თუმცა მეორე დღეს ალერსიანად შეხვდა მას. როდესაც შერმადინი როსტევან მეფეს ავთანდილის ანდერძს გადასცემს, იგი წაკითხვისთანავე ატირდება და ბრძანებს: ჯარი ძაძით შემოსილიყო, ხოლო ქვრივები და ობლები ღმერთს შეევედრებოდნენ, რომ მეფის საყვარელი ავთანდილი მშვიდობიანად დაბრუნებულიყო.[3]

1.[1] **ნ. გულაკი**, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 147
2. იქვე, გვ. 148
3. იქვე

ამის შემდეგ ნ. გულაკი გვაზიარებს ავთანდილის დახასიათებას. მისი აზრით, ავთანდილი რუსთაველის საყვარელი გმირია პოემის დასაწყისიდანვეო მეფე როსტევანთან ურთიერთობაში ავთანდილი, მართალია, მკაცრად იცავს აღმოსავლური ეტიკეტის ნორმებს, მაგრამ თავის ღირსებას არ კარგავს და მეფეს გაბედულად იწვევს შეჯიბრში".[1] ნ. გულაკი განიხილავს თინათინისა და ავთანდილის ურთიერთობას. მიაჩნია, რომ ეს ურთიერთობა პოემაში განსაკუთრებით ნაზად და ფაქიზადაა ნაჩვენები: „მათი საუბარი თავდაპირველად ძალიან ფრთხილია, შემდეგ კი გულახდილი და გულწრფელი. თინათინი გამოუტყდება ავთანდილს, რომ სურს გაიგოს ვეფხისტყაოსანი მოყმის ვინაობა. მან იცის, რომ ავთანდილს იგი უყვარს. სწორედ სიყვარულის სახელით მოუწოდებს, წავიდეს, რომ ამოხსნას ამოცანა – უსახო მოყმე კაცია (ან საერთოდ სულიერია) თუ არა, ავთანდილი ხალისით დაეთანხმა თინათინს".[2]

ნ. გულაკი ეხება ავთანდილისა და თინათინის მეორე შეხვედრას, რომელიც სამწლიანი განშორების შემდეგ შედგა: „მათი საუბარი გულწრფელია, ავთანდილი სთხოვს თინათინს სახსოვარს. იგი ისე იყო გატაცებული და „ტკბილ ქართულით" ლაპარაკობდა, რომ თინათინმა თხოვნა შეუსრულა და მარგალიტი მისცა, ავთანდილი გვიან ღამით, ფიქრებით დამძიმებული ბრუნდება სასახლეში, ვერ იძინებს, ხვნეშის, ტირის და გულისტკივილით ამბობს, რომ „საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია".[3]

„ვეფხისტყაოსნის" გმირებს შორის ნ. გულაკს ტარიელი ერთერთ მთავარ გმირად ესახება. ტარიელი ისეთსავე როლს ასრულებდაო ინდოეთის მეფის ფარსადანის კარზე. როგორც ავთანდილი როსტევანის სამეფო კარზე. ავთანდილის მსგავსად ტარიელი მეფის სიყვარულით სარგებლობდა და მასავით უყვარდა მეფის ასული, ულამაზესი ნესტან-დარეჯანი. გარეგნული სილამაზით, მხნეობით და მამაცობით ის არ ჩამოუვარდებაო ავთანდილს, მაგრამ „რამდენადაც ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია თავშეკავება აღგზნების დროს, იმდენად ტარიელში დუღს თავდაუჭერელი ვნება, რომელსაც ის მიჰყავს გულისყრამდე, ციებ-ცხელებამდე, მკვლელობამდე, რის შედეგად მას გონება უბნელდება და სევდა-ნაღველსა თუ სასოწარკვეთილებაში ვარდება".[4]

1. იქვე, გვ. 148-149
2. **ნ. გულაკი**, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 149
3. იქვე
4. იქვე

„ვეფხისტყაოსნის" კვალდაკვალ გულაკი ხსნის ტარიელის სასონარკვეთილობის მიზეზს: მამიდა დავარის შურისძიების გამო ნესტანის შორეულ ქვეყანაში გადაკარგვა, ტარიელის მიერ ინდოეთის დატოვება და ველად გაჭრა მიჯნურის საძებნელად, ნესტანის კვალის მიგნება ამაოდ ჩაივლის, ტარიელი სევდა-ნაღველში იძირება, ამალაც ჩამოცილდა, ასმათის ამარა გამოქვაბულში განმარტოვდა. სულზე მიუსწრო ავთანდილმა, დახმარებას დაპირდა, დანაპირები შეასრულა-კვლავ დაუბრუნდა ტარიელს.

ავთანდილისა და ტარიელის ერთმანეთთან შედარებისას გულაკი ასკვნის: „ავთანდილი ჩვენ წარმოგვიდგება აღმოსავლეთის ქრისტიან რაინდად, რომელიც მამაცობით და მხნეობით ტოლს არ უდებს დასავლეთის როლანდს და ტანკრედს, ხოლო ტარიელი – მუსულმანი ველური აზიელის ტიპად, რომელც მართლაც, გამბედავი და მამაცია, მაგრამ ამავე დროს თავშეუკავებელია თავისი ვნებებით, რაც მას გონებას უბნელებს და არაადამიანურ მოქმედებამდე მიჰყავს".[1] როგორც ვხედავთ, ტარიელის დახმასიათებისას გულაკის თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს. მასზე კომენტარის გაკეთება არც ღირს.

მოკლედ მსჯელობს გულაკი ნესტანზე და თინათინზე. გამოყოფს მათივე გამორჩეულ თვისებებს: საოცარი სილამაზე, გრძნობის სინაზე, მიჯნურისადმი ერთგულება. ფატმანში ის ხედავს ნამდვილ მუსულმან ქალს, ვნებიანს, მგრძნობიარეს, მაგრამ გულითადსა და კეთილ მისწრაფებათა მქონეს. მისი დახასიათებით: „პოეტს თინათინის სახე და ხასიათი უფრო რელიგიური და ცხოვრებისეული გამოუვიდა, ვიდრე ნესტან-დარეჯანისა. სახელოვანი დედოფალი თამარი ნამდვილად არის პროტოტიპი არა ნესტან-დარეჯანისა, არამედ თინათინისა. მართლაც, რუსთაველი მას ხედავს ნამდვილ ევროპელ ქალად. ის დაჯილდოებულია მაღალი სიბრძნით, ყურადღებით ისმენს მამის ბძნულ დარიგებას, მზადაა გაიზიაროს მისი რჩევა. ის ამხნევებს ხოლმე დანაღვლიანებულ როსტევანს, თვით განაგებს თავის ბედს და, მიუხედავად იმისა, რომ უყვარს ავთანდილი, მაინც გზავნის მას სამი წლით სახიფათო მოგზაურობაში".[2]

აი, რას ამბობს გულაკი ნესტანზე: „ნესტანი კი არის ნამდვილი აღმოსავლელი ქალი. მის ბედს, მისი თანხმობის გარეშე, განაგებენ სხვები. ნესტანის მთელი ენერგია მხოლოდ პასიურ

1. ნ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, ნიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, გვ. 150
2. იქვე

წინააღმდეგობაში ვლინდება".[1]

გულაკის ნაშრომს რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე", რომელიც გამოქვეყნდა 1884 წელს, იმთავითვე გამოხმაურებია გაზეთი „კავკაზი" (1884, 3 ნოემბერი). ხელმოუწერელ სტატიაში ავტორი საუბრობს გულაკის ნარკვევის დადებით და ნაკლოვან მხარეზეც. აღნიშნავს, რომ გულაკი სწორია სიყვარულის მოტივის გაგებაში, რაც რუსთაველს ასხვავებსო სხვა შემოქმედთაგან.

ე. სტალინსკი 1885 წელს თბილისში დაბეჭდილ წიგნში „შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი" „ვეფხისტყაოსანს" უწოდებს სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის ჰიმნს. იგი ეძღვნებაო ქალებს, რომელთაც პოემის ავტორი ეკრძალებოდაო. ვითარცა ბუნების საუკეთესო ქმნილებებს. „შოთა რუსთაველი იყო იმ პირველ პიონერთა რიცხვში, რომელნიც თავიანთ ხალხში ქრისტიანულ ცივილიზაციას ნერგავდნენ. რუსთაველს გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ ქალის ემანსიპაციისთვის პირველი მებრძოლი".[2] მისი თქმით, საცოლეთა მიერ საქმროთა ნებაყოფლობით არჩევის იდეა საქართველოში გავრცელდა XII საუკუნეში, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიის ოქროს საუკუნედ ითვლება.

ე. სტალინსკი თავის წიგნში შეეხო „ვეფხისტყაოსნის" მოტივებს და პერსონაჟებს. იგი მთავარ მოქმედ პირებს ანუ იდეალურ პერსონაჟებს რატომღაც პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან გმირებად ჰყოფს. პირველხარისხოვან გმირთა წრეში ფიგურირებენ ნესტანი და ტარიელი, ხოლო მეორეხარისხოვანში – ავთანდილი და თინათინი. მართალია, ასეთი დაყოფა ავტორის ნებაა, მაგრამ იგი საფუძველს მოკლებულია. ამით იჩრდილებიან თინათინი და ავთანდილი.

წიგნის ავტორის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის" მკითხველის ყურადღება არაა მიპყრობილი მრავალრიცხოვან მოქმედ პირთა მიმართ. პოემა მკითხველის ყურადღებას იპყრობს ნესტან-დარეჯანითა (თამარით) და ტარიელით (დავითით), რადგან მათი მომხიბლველობით საცნაური ხდება პოემის მთელი მშვენიერება. პოემის მეორეხარისხოვან მოქმედ პირთაგან უმთავრესნი, რომელნიც აქტიურად მონაწილეობენ „პირველ" გმირთა ცხოვრებაში, საგანგებოდ ჩაფიქრებული აზრის, ან ქართველთა ცხოვრების რომელიმე სფეროს გამომსახველები არიან.[3]

1. იქვე
2. **ე. სტალინსკი**, შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი, ტფ. 1885, ნიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 211
3. იქვე, გვ. 213

სტალინსკი პოემის მთავარ გმირთა, ნესტანისა და ტარიელის, ხასიათის ძირითად თვისებად გამოარჩევს მათი ურყევი მეუღლეობრივი სიყვარულის დომინირებას, რაც დაფუძნებულიაო ნებაყოფლობით არჩევანსა და ერთმანეთის ღირსებათა გონივრულ შეცნობაზე და არა უგონო სიყვარულზე: „ნესტან-დარეჯანის სიყვარული და ერთგულება გულის რჩეულისადმი იმდენად დიდია, რომ იგი არ ერიდება მოსიყვარულე მშობლების წყენინებას, ოღონდ თავი დააღწიოს არასასურველი ადამიანის (ხვარაზმშას ძის) ცოლობას. ეს კიდევ ცოტაა: ტარიელის ერთგული რომ დარჩეს და აიცილოს არასასურველი ქორწინება, იგი სატრფოს ხვარაზმშას ძის მოკვლას ურჩევს".[1]

ტარიელის ხასიათი „ვეფხისტყაოსანში" სტალინსკის კარგად წარმოსახულად მიაჩნია, როგორც ნესტან-დარეჯანისა. მას დაკვირვების ობიექტად უქცევია ტარიელის თავგადასავალი მიჯნურის უგზოუკვლოდ დაკარგვის გაგების დღიდან მის პოვნამდე და ქაჯთა ტყვეობიდან გათავისუფლებამდე. ძნელბედობის პერიოდში ვერ ისვენებდაო მისი მოსიყვარულე გული. არ უშინდებოდა ხიფათს. არ ეცემოდა სულით, მუდამ სულდგმულობდა სატრფოზე ფიქრით უდაბნოში, გამოქვაბულში გამოკეტვის დროსაც: „როდესაც ჭაბუკი მეუდაბნოე მიიღებს ნესტანის წერილს, თავის მეგობართან ერთად დაუყოვნებლივ მიაშურებს ქაჯეთის სამეფოს, რათა გაათავისუფლოს სატრფო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს".[2]

სტალინსკის მიხედვით, „მეორეხარისხოვან გმირთაგან უპირველესი ადგილი, უეჭველია, ავთანდილს უკავია. ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა გვაგონებს კასტორისა და პოლუკსის მეგობრობას. თუმცა აქვს სხვა საფუძველიც".[3] ავტორი იქვე განაგრძობს ავთანდილზე საუბარს:

„ახალგაზრდა ავთანდილს უყვარს მშვენიერი თინათინი, იმედოვნებს, რომ მასზე დაქორწინდება. მაგრამ გაუთვალისწინებელი გარემოება აიძულებს, მოშორდეს სამშობლოს, თინათინის თხოვნითა და დავალებით სამი წლის განმავლობაში ეძებოს უცხო და ზღაპრული მოყმე. მიუხედავად მომავალი ფათერაკებისა და მოსალოდნელი სიკვდილისა, ავთანდილი გადაწყვეტს შეასრულოს სატრფოს დავალება. ტარიელთან დამეგობრებისა და ნესტან-დარეჯანის ამბის შეტყობის შემდეგ ავთანდილი ეხმარება შეყვარე-

1. იქვე
2. ე. სტალინსკი, შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი, ტფ. 1885, ნიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 213
3. იქვე

ბულ სატრფოს და უარს აცხადებს პირად ბედნიერებაზე, ვიდრე ტარიელს არ გააბედნიერებს".[1]

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ავთანდილის მეგობრული მხარდაჭერა: „იგი მეგობარს შემდგომაც არ ტოვებს. მათთან ერთად ბრუნდება თავის სამშობლოში, ქორწინდება თინათინზე, კრებს მრავალრიცხოვან ლაშქარს და ტარიელთან ერთად მიდის მეგობრის სამშობლო ინდოეთში, რათა არაკანონიერი მპყრობელნი გადააყენოს. (რამეთუ ამ დროისათვის ნესტანის მამა გარდაცვლილია), სამეფო ტახტზე აიყვანოს ნესტანი და ტარიელი და საბოლოოდ გააბედნიეროს ისინი".[2] ავტორი მოკლედ საუბრობს ფრიდონზე, მის დამსახურებაზე ტარიელის წინაშე: „ფრიდონის ხასიათში ჩანს სხვა ზნეობრივი მხარე ქართველი ხალხის ცხოვრებისა. ესაა უზენაესი შეფასება სტუმართმოყვარეობის წესისა არა მხოლოდ ნაცნობ-მეგობართა, არამედ უცხო პირთა მიმართ".[3] მას არც ასმათი რჩება უყურადღებოდ: „ასმათი ნესტან-დარეჯანის სეფექალია, თავისი მბრძანებლისადმი ერთგულებისა და თავდადების იდეალია. მან ცხოველი მონაწილეობა მიიღო ტარიელისა და ნესტანის დაახლოებაში და ბოლომდე არ ტოვებს მათ. მოგზაურობა-ხეტიალის დროს თან ახლავს ტარიელს, სასოწარკვეთის ჟამს ნუგეშისმცემლად და თანამდგომად ევლინება მას".[4] ასმათის ხასიათის სიმტკიცეს სტალინსკი ხედავს ავთანდილთან საუბარში, როდესაც რაინდი მოითხოვს ტარიელის ვინაობისგამხელას, ასმათი მზადაა მკერდი შეუშვიროს ავთანდილის ხანჯალს, ოლონდ არ გათქვას საიდუმლო.

1886 წელს ჟურნალ „თეატრში" (№30) გამოქვეყნებულ ხელმოუწერელ რეცენზიაში გაკრიტიკებულია მურიეს წიგნაკი შოთა რუსთაველზე. მასში მურიეს გაუტარებია უმართებულო აზრი იმის შესახებ, თითქოს გადაჭარბებული ადგილი ეთმობა პოემაში სიყვარულის, მეგობრობის და რაინდობის მოტივებს.[5]

ე. ბარსოვი თავის წერილში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი" ყურადღებას ამახვილებს, პოემის მხატვრულ მხარეზე და აღნიშნავს პოემის მთავარ მოტივებს.[6] 1898 წელს აკაკი წერეთელი კრებულში „აკაკის თვიური კრებული" აქვეყ-

1. იქვე, გვ. 214
2. იქვე
3. იქვე
4. იქვე, გვ. 214-215
5. ჟურ. „თეატრი", 1886, №30, გვ. 329-331
6. **იხ. გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 208

ნებს თავის ნაშრომს „სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზე“. რიგით მეორე წერილში მოცემულია ქვესათაური „ვეფხვის-ტყაოსნის“ ტიპების ხასიათები“. ლ. მენაბდის შენიშვნით: „აკაკი ერცლად და თითქმის ამომწურავად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე. გულმოდგინედ ეძებდა და გამოყოფდა მათ დამახასიათებელ თვისებებს, ყურადღებას ამახვილებდა თითოეული მათგანის სპეციფიკურ ხასიათზე, ერთმანეთს უდარებდა და უპირისპირებდა მათ ბუნებას და განსხვავებული ნიშნების მიხედვით ცდილობდა ამა თუ იმ ტომისთვის მათ მიკუთვნებას.[1] დიდი პოეტის ურყევი დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ნამდვილი ქართველები არიან. ტარიელი ქართლელის ტიპია – თავისი დამახასიათებელი ნიშნებით – სიზარმაცით, პირდაპირობით, შეუდრეკლობით, ვაჟკაცობით. ავთანდილი იმერელია – გონიერებით, წინდახედულობით, ზომიერების გრძნობით და სხვა. ფრიდონი მეგრელია, რომელიც არ ბრწყინავს არც ტარიელისებური ვაჟკაცობით, არც ავთანდილის გონიერებით, თუმცა უშიშარია და მხნე. სიყვარულს პირველი გმირებივით არ ემორჩილება. იგი ამჯობინებს ქორ-მიმინოსა და მწევარ-მეძებრებს სდიოს,ი ამხანაგებს დაეხმაროს.

აკაკის თანახმად, ამერელ ტარიელის, იმერელი ავთანდილის და ზღვისპირელი მეგრელის ფრიდონის ხასიათში წარმოდგენილია ყველა ქართველი ტიპის თავისებურება. ეს ხასიათები პოემის სიუჟეტის განვითარების ყოველ დეტალში მჟღავნდება. აკაკის მიერ სათანადო მაგალითია მოტანილი. ქაჯეთის ციხის აღების წინ მეგრელი ფრიდონი საბელით ქურდულად გადაპარვას არჩევს, იმერელი ავთანდილი ვაჭრულად, ქართლელ ტარიელს კი პირდაპირი იერიშის მიტანით და ბრძოლით სურს ციხის აღება.

აკაკი წერეთელი პოემის გმირ ქალებზეც იგივე შეხედულებას ავითარებს. ნესტანს ქართლელად მიიჩნევს, თინათინს – იმერელად, ნესტანში ტარიელივით წინა პლანზეა გული, პირდაპირობა, თავდადება, იმერელი თინათინი კი, ავთანდილის მსგავსად, გულისამყოლია იმდენად, რამდენადაც თავს ნებას აძლევს. აკაკის ზღვისპირელი მეგრელის ტიპი ფატმან-ხათუნი წარმოუდგენია ინიციატივიანად, გაქნილად და ავხორც ქალად. ავტორს ნესტან-დარეჯანი დაუსახავს საქართველოს მდგომარეობის სიმბოლოდ, რომლის გამოხსნა ტარიელს არ შეუძლია ავთანდილის და ფრიდონის ძალისხმევის გარეშე. ამაში გამოიხატებაო ჩვენი სამ-

1. ლ. **მენაბდე**, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 179

შობლოს გაერთიანების იდეა, ტომობრივ-კუთხურობისდაძლევა.[1]

აკაკი წერეთლის გამოთქმული მოსაზრებები, გასეგები მიზეზების გამო, არ დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში. მან ერთ-ერთი პირველი კრიტიკა დიდი ილიასაგან იწვნია. ა. ხახანაშვილი 1899 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ წერილში რუსთაველზე ზოგადად ახასიათებს „ვეფხისტყაოსნიას" იდეებს, მოტივებს და მთავარ გმირებს.

ზემოთ განვიხილეთ იმ ავტორთა შეხედულებები, რომლებიც შედარებით ღრმად ჩაუკვირდნენ „ვეფხისტყაოსნის" მოტივებს და პერსონაჟებს. ქვემოთ გავეცნობით იმ ავტორებს, რომლებიც გაკვრით ან ზოგადად, მეტნაკლები ინტერესით შეეხნენ მას.

დავით ჩუბინაშვილი წერს: „რუსთაველის გმირები, აღმოსავლური გმირების მსგავსად, გლოვის ჟამს თავზე მტვერს იყრიან ...გმირთა მოქმედების აღწერისას რუსთაველი ისე იჩენს თავისუფლებას, როგორც ყველა აღმოსავლელი პოეტი და მთხრობელი".[2] კვლავ დავიმოწმოთ დავით ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული აზრი: „მთავარი გმირი ქალის ნესტან-დარეჯანის სახელის ქვეშ იმალება თვით თამარი... ნესტანისა და ტარიელის ერთად აღზრდის შედეგად იშვა მათი სიყვარული. ასევე შესაძლებელია თამარი ბავშვობიდანვე შეეთვისა დავით სოსლანს".[3]

ს. ბარათოვი თავის ნაშრომში (საქართველოს ისტორია), დავით ჩუბინაშვილის მსგავსად, მიმართავს ისტორიული ანალოგიების ხერხს: გიორგი მესამეს აიგივებს როსტევანთან, თამარს კი – თინათინთან.[4]

მ. ვლადკინა 1874 წელს გელათის აღწერისას არ ივიწყებს რუსთაველს, „ვეფხისტყაოსნის" ნაკლოვან მხარედ მიაჩნია მისი გმირების მეტისმეტი სინაზე. რომელთა მშვენიერება მზესა და ვარსკვლავებს აჭარბებს, ერთმანეთთან შეხვედრა-დაცილებისას წვიმასავით იცრემლებიან.[5]

ინგილო ჯანაშვილის მიხედვით, რუსთაველმა პოემა თამარის საქებრად დაწერა და თავისი პიროვნება ავთანდილის სახელს ამოაფარა.[62] გ. იოსელიანი 1874 წელს (14 მარტი) გაზეთ „კავკაზ-

---

1. **ა. წერეთელი**, სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზე", „აკაკის თვიური კრებული", 1898
2. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი", წიგნში რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 198
3. იქვე, გვ. 199
4. **იხ. გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 53
5. შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 56
6. [2] **ი. ჯანაშვილი**, საქართველოს ცხოვრებიდამ, გაზ. „დროება", 1884, 5 ივლისი

ში" გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსანი" ტრადიციულ შეხედულებას იმეორებს ნესტან-დარეჯანისა და თამარის, ტარიელისა და დავით სოსლანის იგივეობაზე. დაკვირვების საგნად აქცევს პოემის ტიპების საკითხს. მისი აზრით, თხზულების თითოეული გმირი საკაცობრიო იდეის გამომხატველია. ამ გმირთა ხასიათები ინდივიდუალურთან ერთად ზოგადსაკაცობრიონი არიან, რაინდობის მაღალი ღირსებით შემკულნი.[1]

ვ. ზოტოვი ტარიელზე საუბრისას იხსენებს „შაჰ-ნამეს" გმირს. ვეფხვის ტყავი აცვია. ამის მიბაძვით დაარქვაო რუსთაველმა თავის მთავარ გმირს ვეფხისტყაოსანი. როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს, ვ. ზოტოვი არჩევს პოემის მთავარ გმირებს და გაჰყავს ზოგი ანალოგია თხზულებასა და ქართლის ცხოვრებას შორის, რაც აღნიშნული ჰქონდათ იოსელიანს და ჩუბინაშვილს.[2]

1887 წელს გაზეთ „ივერიაში" ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის გამოხმაურება აკაკი წერეთლის მიერ „ვეფხისტყაოსანზე" წაკითხული ლექციების გარშემო. დიდი ილია წერდა: „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედააზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი, მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია – ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი – იმერელი, და ფრიდონი კი – არ გვახსოვს, რა მიზეზით და რის გამო ზღვისპირის ქართველია"... „დედააზრის აკიდო მეტისმეტად სუსტი არის და თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ უძლებს". დიდი ილია დიდივე აკაკის უწუნებს „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობის ვიწრო ფარგალში მომწყვდევას".

ილია უმტკიცებს აკაკის, რომ რუსთაველის ქმნილების გმირები „კაცად-კაცადნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. რუსთაველის ტიპებს იმ პანია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელი სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაევლებოდეს მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე".[3]

სამეცნიერო ლიტერატურაში ილიას ნარკვევში ღირსებასთან ერთად მითითებულია ნაკლზეც. „მიუხედავად მრავალი ღირსე-

1. იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 57
2. იქვე, გვ. 61
3. გაზ. „ივერია", 1887, 18, 19, 21 აპრილი

ბისა, ილიას წერილი არ იყო დაზღვეული ნაკლისაგან. პოლემიკით გატაცებულმა მწერალმა უყურადღებოდ დატოვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულებელყოფამ რამდენადმე ჩრდილი მიაყენა მის ნარკვევს. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ისეთი დაცილება, როგორიც მის წერილში შეინიშნება, არის გაუმართლებელი".[1]

მელიტონ კელენჯერიძე თავის წიგნში „სახალხო პოეზია"... განიხილავს ქართული კულტურის, მწერლობისა და ფოლკლორის საკითხებს და, ბუნებრივია, გვერდს ვერ უვლის რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს". ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორი მსჯელობს პოემის გმირებზე და ასახელებს მათ მსოფლიო ლიტერატურის გმირებს შორის. მისი თქმით, მშობელ ხალხს „ვეფხისტყაოსნის" გმირების გარდა სხვა იდეალი არ გააჩნია.[2]

1896 წელს გაზეთ „ივერიაში" ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". მასში მსჯელობა გაშლილია შემოქმედებით მეთოდზე. ხაზგასმული და აქცენტირებულია, რომ მხატვრული ლიტერატურა მოგონილის ამბით ნარმოაჩენს მართალს. სამაგალითოდ მითითებულია რუსთაველის შემოქმედებით მეთოდზე:

„ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯან, ფრიდონ, თინათინ არც თავის დღეში ყოფილან და არც არიან. არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ. მაგრამ აბა ნახეთ ჩვენი საყვარელი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედებს ადამიანებზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს. მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს. მაგრამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არა-ჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი, ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არყოფილისა ყოვლად მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალ-ღონეს ქმნისას შემოქმედობისას ეძახიან".[3]

მოსე ჯანაშვილი თავის წიგნში „შოთა რუსთაველი" სხვადასხვა საკითხთა განხილვისას „ვეფხისტყაოსნის" გმირებზეც მსჯელობს. ნესტანთან დაკავშირებით იმეორებს ტრადიციულ შეხედულებას, დავით ჩუბინაშვილიდან მოკიდებულს, რომ ნესტანი ქართლის ცხოვრების თამარია, რომელთაც ბევრი მოტივი აერთებთ. ავთანდილთან მიმართებაში მან ახალი თვალსაზრისი

1. **ლ. მენაბდე**, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, გვ. 126
2. **მ. კელენჯერიძე**, სახალხო პოეზია... ქუთაისი, 1896, გვ. 13
3. გაზ. „ივერია", 1896, 26 იანვარი

განავითარა – გააიგივა ის ამირსპასალარ გამრეკელთან.[1]

1897 წელს ა. ხახანაშვილი აქვეყნებს ნაშრომს „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი". მასში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია რუსთაველის თხზულების გმირებზე, გმირთა სახელების ეტიმოლოგიაზე. მიუთითებს პოეტის მიერ ხალხური ტარიელიანით სარგებლობაზე. ა. ხახანაშვილი წერს: „ვეფხისტყაოსნის" გმირნი – ტარიელი და ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი და თინათინი. ფრიდონი და ასმათი წარმოადგენენ იმ ხელოვნური სიმარტივით და ამავე დროს ფსიქოლოგიური სისრულით დახატულ ტიპებს, რომელთა სახელი გახდა სათაყვანებელ სახედ, გულიდან მოწყვეტილ ვარსკვლავად, გზის გამაშუქებელ მნათობად".[2]

ე. ბარსოვი წერილში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი" ეხება პოემის მთავარ მოტივებს. გაჰყავს პარალელები „ვეფხისტყაოსანსა" და რუსთაველის ეპოქის ქართულ სინამდვილეს შორის. იმეორებს ადრე გამოთქმულ შეხედულებებს, რომ ნესტან-დარეჯანის პიროვნებაში თამარ მეფეა ნაგულისხმევი.[3]

1899 წელს ალ. ხახანაშვილი გაზეთ „ივერიაში" აქვეყნებს წერილს „ისტორიული შენიშვნები". ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" რაინდულ სულისკვეთებაზე, ავლებს პარალელს ევროპულ პოეზიასთან, გვარკვევს იმაში, რომ რუსთაველის გმირებისათვის დამახასიათებელი რაინდული თვისებები (მამაცობა, გულუხვობა, სულგრძელობა, კეთილგონიერება) მახლობელი იყო ევროპული პოეზიისთვისას. ამით მას სურს აღმოაჩინოს ბევრი რამ საერთო თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ევროპულ რაინდს აკლია მზეობა და სილამაზე. ხაზს უსვამს ევროპული რაინდის ოდენ მეომრულ შემართებას, რუსთაველის რაინდთან შედარებით, რომელიც უფრო მეტად საზოგადოებრივია და მიჯნურობით გამორჩეული.[4] იმავე წელს პეტერბურგში რუსთაველზე გამოქვეყნებულ ნერილში ა. ხახანაშვილი ზოგადად ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის" იდეებს, მთავარ გმირებს, მოტივებს და აფორიზმებს ავტორის შენიშვნით, პოემის დიდი მნიშვნელობა მის მხატვრობასა და პროგრესული იდეების ქადაგებაშია.[5]

ამრიგად, XIX საუკუნეში ქართველი და უცხოელი მკვლევა-

---

1. **მ. ჯანაშვილი**, შოთა რუსთაველი, ტფ. 1896, გვ. 17
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 215
3. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 208
4. **ა. ხახანაშვილი**, ისტორიული შენიშვნები, გაზ. „ივერია", 1899, 31 ოქტომბერი
5. შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 223

რების მხრიდან სათანადო ყურადღება გამახვილდა „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე და პერსონაჟების თვისებებ-ხასიათებზე. მოტივებიდან განსაკუთრებით აქცენტირებულია მიჯნურობა და მეგობრობა. დაკვირვების ობიექტად ქცეულა პოემის გმირების გონიერება, სულგრძელობა, სიბრძნე, ჰუმანისტური განწყობილება. გარეგნული და სულიერი მშვენიერება, პრაქტიკული ბუნების ადამიანობა, მეგობრისადმი თავდადება, მიცემული პირობის ერთგულება. მოვალეობისადმი თავგანწირვა, ამაღლებული და წმინდა სიყვარულის გრძნობა, ზნეობრივი სრულყოფილება.

„ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე და გმირების ხასიათებზე შექმნილი ნარკვევებიდან უცხოელთაგან გამოსარჩევია ა. ზუტნერის, ნ. გულაკის და ე. სტალინსკის ნაშრომები, სადაც დამაჯერებლად და საფუძვლიანად არის მსჯელობანი გაშლილი აღნიშნულ საკითხებზე. ქართველთაგან უნდა გამოიყოს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი. მართალია, ხსენებულ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მსჯელობანი შეცდომა-ნაკლისაგან არ არის დაზღვეული. თუმცა ეს სრულებით არ აკნინებს მათ ღირსებას და მნიშვნელობას რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში XIX საუკუნისა.

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხისათვის XIX საუკუნის რუსთველოლოგიაში

XIX საუკუნის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, კვლევისა და დაკვირვების ობიექტად ქცეულა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა. ამით დაინტერესებული ყოფილან არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელნი მოღვაწენი, „ვეფხისტყაოსანზე“ შეყვარებული პირნი. მართალია, რუსთაველის მსოფლმხედველობაზე დაკვირვებანი თუ კვლევანი არ გამოირჩევა სიღრმისეული საფუძვლიანობით, რაღაც განსაკუთრებული მიღწევებით, როგორც იგი გაიშალა XX საუკუნეში, მაგრამ ამ პრობლემით დაინტერესება, თუნდაც ფრაგმენტული მოსაზრების დაფიქსირება უაღრესად ანგარიშგასაწევია. მისი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან მაიმპულსირებელის როლი ითამაშა, რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორიის სათავეებთან დადგა. ღირებულია ამ მიმართულებით იმჟამინდელ დაინტერესებულ პირთა მიერ მოცემული მინიშნებანი. XX საუკუნეში კი ამ პრობლემის კვლე-

ვა-ძიებამ არნახული მასშტაბური ენერგია შეიძინა და მსოფლიოში გაითქვა სახელი თვითონ „ვეფხისტაოსანთან“ ერთად.

ზემოთ ფრაგმენტული მინიშნებანი ვახსენეთ, რად ღირს ამ თვალსაზრისით პლატონ იოსელიანის მცდელობანი. მან 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი „შოთა რუსთაველი“, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო ჩვენი გენიალური შემოქმედის მსოფლმხედველობასაც. მან პირველთაგანმა აღძრა საკითხი რუსთაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონური ნაკადის არსებობის შესახებ. იგი ფიქრობდა, რომ პოეტი სწავლობდა როდოსზე, სადაც იმ დროისათვის ნეოპლატონიზმი იყო განვითარებული.[1]

როგორც ვნახეთ, პლატონ იოსელიანმა ზოგადად წარმოთქვა ეს აზრი, იმის იქით იგი არ წასულა, არ მოუცია მტკიცებულებანი, თუ როგორ გამოვლინდა ნეოპლატონიზმი „ვეფხისტყაოსანში“. არც ულიარებია რუსთაველი ნეოპლატონიკოს პოეტად, წარმოდგენა შეგვიქმნა მის მხოლოდ გარკვეულწილ გავლენაზე. მართებულად შენიშნა გურამ შარაძემ, რომ რუსთველოლოგიის ისტორიაში პლატონ იოსელიანმა პირველმა გამოაცხადა რუსთაველი ნეოპლატონიზმის იდეებზე აღზრდილად.[2]

ამ საკითხს შეეხო შ. მაჭავარიანიც: „რასაკვირველია, აქ პლატონ იოსელიანს არ მოუცია (და არც შეეძლო მიეცა) რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის დასაბუთება, მაგრამ აქ მაინც მოცემულია ის აზრი, რაც შემდეგ ნიკო მარის ხელში მნიშვნელოვან მეცნიერულ თეორიად იქცა“.[33] როგორც ითქვა, XX საუკუნეში რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის იდეამ და თეორიამ ფართოდ გაშალა მხრები. პლატონ იოსელიანის აზრი გაიზიარა და მეცნიერულ თეორიად აქცია ნიკო მარმა (თუმცა ამ შეხედულებას იგი ბოლომდე არ შერჩენია), რომლის მიმდევრები გახდნენ: იუსტინე აბულაძე, სილოვან ხუნდაძე, ვუკოლ ბერიძე. რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის მტკიცებას დიდი ენერგია შეალიეს შალვა ნუცუბიძემ, შალვა ხიდაშელმა და სხვებმა, თუმცა მათ მოწინააღმდეგენი და ამ თეორიის უარმყოფელნი ჰყავდათ კორნელი კეკელიძის მეთაურობით. რუსთველოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ხსენებული კონცეფციები პოეტის ნეოპლა-

1. გაზ. „კავკაზი“, 1870, 30 იანვარი, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 49

2. **გ. შარაძე**, პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 121

3. **შ. მაჭავარიანი**, რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორია, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, თბ. 1944, გვ. 4

ტონიკოსობისა გაზიარებული არ გახლავთ. თუმცა აშკარაა და ეს აღიარებულია კიდეც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდ იკვეთება ნეოპლატონიზმის ანარეკლი.

XIX საუკუნეში რუსთველის ფილოსოფოსობაზე პირველად ალაპარაკდა ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, იგი დარწმუნებული იყო, რომ შოთა რუსთაველს აღზრდა-განათლება საბერძნეთში ჰქონდა მიღებული, სადაც შეეძლო დაუფლებოდა ფილოსოფიურ ცოდნას: „უეჭველად რუსთაველი იყო ერთი მათგანი, აღზრდილი საბერძნეთის შკოლაში და რაც ბერძნულად ენახა და ეპოვა პოემანი და ფილოსოფიურნი წიგნნი, უთუოდ სულ წაეკითხა და მას უკან თვისი პოემაც დასწერა“.[1]

მართალია, მარი ბროსეს რუსთველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არ უკვლევია, მაგრამ მისი მინიშნება ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ფილოსოფოსობაზე ერთი გამოკვლევის ტოლფასია. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემას (ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барсова Кожа. პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურღს, სტამბაში სახელმწიფო აკადემიის მეცნიერებათა, 1841, წინასიტყვაობა – გვ. VI-XIV) წამძღვარებული აქვს მარი ბროსეს წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია: „რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. იმდენი უფრო და უფრო მოგვწონს. მიზეზი ამისი არის: ზღაპრის („ზღაპარში“ პოემის ფაბულა-სიუჟეტია ნაგულისხმევი – ტ. მ) ტურაფა – თხზულება, შაირების კეთილხმიანება, სიტყვააღრჩევით ენამჭევრობა, ჰაზრების მშვენივრად დანმასნვა და ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიური მხატვრობა“.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისეული შაირობის თეორიამ მარი ბროსეს ძველბერძნული ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი არისტოტელე მოაგონა: „რუსთველი ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერს შესავალში, რომ ზღაპარი არ უნდა იყოს არც ძალიან გრძელი და არც ძალიან მოკლე. ამაზე არისტოტელეც თანახმა არის“.[3]

ნიკო ნიკოლაძეს გაზეთ „დროებაში“ მ. ქიქოძესთან კამათისას განსჯის საგნად უქცევია რუსთველის აფორიზმები:

1. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის სანკტ-პეტერბურგის გამოეცმის წინასიტყვაობა **მარი ბროსესი**, გადაბეჭდილია წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 62
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 59
3. იქვე, გვ. 60

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“;
„გვარი ათასად დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“,

ნიკო ნიკოლაძის თანახმად, გამოთქმას: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, რუსთაველის დროს ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რასახ ეხლა მ. ქიქოძე და ილია ჭავჭავაძე აძლევენო. მაშინ ეს უბრალო მოწყალებას გულისხმობდაო. მისი მტკიცებით, აქედან იმ აზრის გამოტანა, რომ რუსთაველი მეთერთმეტე საუკუნეში ბატონყმობის მოსპობას ქადაგებდაო, შეცდომაზე უარესიც არის“.[1] როგორც ვნახეთ, დამოწმებული აფორიზმის საფუძველზე ნიკო ნიკოლაძე გაკვრით შეეხო რუსთველის სოციალურ შეხედულებას.

რუსთაველის სოციალური შეხედულებიდან გ. იოსელიანი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ იდეაზე ქართველი ქალის თავისუფლების გამოსახატავად, რომლის ხორციელი განსახიერება არისო თამარ მეფე. ამით ავტორი შედარებას ახორციელებს აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალის მონურ მდგომარეობაზე. ქალის თავისუფლებას და მის მიმართ თაყვანისცემაზე საქართველოში გ. იოსელიანს ეს დასჭირდა პოემის ორიგინალობის საკითხთან დაკათშირებით.[2].

რუსთაველის სოციალურ შეხედულებაზეა საუბარი გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში თეოდოსიძის ავტორობით (სახელდახელო – „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისათვის). საინფორმაციო მასალა ქიზიყელების შეკითხვის პასუხზე. შეკითხვა ეხებოდა პოემის დაწერის თარიღის გარკვევას ქიზიყელების შეკითხვა ასე ჟღერს:

„ყველას უკვირს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ წიგნზე („ვეფხისტყაოსანზე“ – ტ. მ.) ხმას არ იღებენ მემატიანენი. მართლაც, საკვირველი იქნებოდა, რომ ასეთ თხზულებაზე ხმა არავის ამოეღო, თუკი სწორედ თამარის დროს ყოფილიყო დაწერილი, ამიტომ დღეს ქიზიყში ბევრნი ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია რამდენიმე საუკუნის შემდეგ დიდებულის თამარისა“.

ამ კითხვაზე პასუხი გაუცია თეოდოსიძეს, კერძოდ, ქიზიყელები დაურწმუნებია იმ მიზეზში, რასაც გამოუწვევია რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“ „ქართლის ცხოვრების“ დუმილი, „ვეფხისტყაოსანზედ“ იმიტომ არა არის – რა ნათქვამი ქართლის მატიანეებში, რომ ამ წიგნის მოხსენება აკრძალული უნდა ყოფილიყო, რაც იმით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წოდებრიობის

1. გაზ. „დროება“, 1870, 21 მაისი, გვ. 2
2. გაზ. „კავკაზი“, 1875, 14 მარტი, გვ. 3

გადალახვის ქადაგებაა, რასაც მაღალი წოდება უნდა აემხედრებინოს, რომელიც თანასწორობის ქადაგებაში თავისი კლასობრივი უფლებების შელახვას ხედავდა, გავეცნოთ სიტყვა-სიტყვით თეოდოსიძის პასუხს, სადაც გამოკვეთილია რუსთაველის სოციალურ-საზოგადოებრივი იდეოლოგია:

„რუსთაველი კი იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, თავისის სპეტაკის ჭკუით, ნათელის გრძნობითა და უუდიდესის ნიჭიერებით ებრძვის ამისთანა ცრუ ამპარტავნობას, აღმერთებს სუფთა გრძნობას სიყვარულისა და ჰქადაგებს, რომ ნამდვილი სიყვარული არ უნდა შეეგუოს ცრუ რწმენას, გადააბიჯოს შთამომავლობას, გვარიშვილობას და ეძებდეს კაცში ადამიანს, როგორც მოიქცა თინათინი, შეფის ქალი, რომელიც შეუუღლდა თავის კარის კაცს, მშვენიერს ავთანდილს და როგორც ნესტან-დარეჯანი, რომელმაც არ ინდომა ქმრად არც ერთი ხელმწიფე და მისცა თავისი სული, გული და სამაგალითო სიყვარული თავის ქვეშევრდომს ტარიელს".[1]

კვლავ დავუბრუნდეთ რუსთველის ფილოსოფოსობას და „ვეფხისტყაოსნის" ფილოსოფიურობისთვის აქცენტის გაკეთებას. ნიკოლოზ გულაკის ნარკვევში „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" ხაზგასმულია პოეტის ქრისტიანული იდეები და პლატონის ფილოსოფიასთან ზიარება. მინიშნებულია პერსონაჟების ქრისტიანობაზე და პლატონის ფილოსოფიის ცოდნაზე: „აღსანიშნავია, რომ პოემაში როსტევანისა და მის ქვეშევრდომთა მუსულმანობა არ ჩანს, პირიქით, „ვეფხისტყაოსნის" ზოგი ადგილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას. ასე, მაგალითად, ანდერძში, რომლითაც ავთანდილი მეფეს აუწყებს არაბეთიდან თავისი ნებით წასვლას, იგი წერს:

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აგვამაღლებს", ვით ეჟვანი ამას ჟღერენ".

როგორც ვნახეთ, ნ. გულაკი აქცენტს აკეთებს რუსთაველის მიერ დიდი ფილოსოფოსის პლატონის სახელის მოხმობაზე: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".[2]

როგორც ვიცით, ძმებმა თავართქილაძეებმა ოზურგეთში და ბათუმში გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი" მათივე წინასიტყვაობით („წინასიტყვაობისებური") 1899 წელს. ამჯერად დაგვაინტერესა

1. გაზ. „ივერია", 1888, 9 იანვარი, გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკი", 1849, 4 იანვარი, შდრ. გ. ომედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1857, გვ. 127
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 142-143

ერთმა გამონათქვამმა პოემაზე" ის დიდებული პოეტური სურათები და მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრები, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მკითხველს".[1] ჩვენთვის ამ სიტყვა-თქმაში მნიშვნელოვანია რუსთაველის თხზულებაში ფილოსოფიური აზრისთვის ყურადღების მიპყრობა, რითაც წინასიტყვაობის ავტორებმა მიგვანიშნეს რუსთველის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე.

ტრადიციული გადმოცემების გამეორებით ალ. ხახანაშვილი გვამცნობს, რომ რუსთაველი საბერძნეთში დაუფლებია პლატონის ფილოსოფიას: „საბერძნეთში რუსთაველმა გაიცნო პლატონის ფილოსოფია, ჰომეროსის პოემები, შეისწავლა ღვთისმეტყველება, რიტორიკა და პოეტიკა-უმთავრესი საგნები შუა საუკუნეების განათლებისა".[2]

ალ. ხახანაშვილი „ვეფხისტყაოსნის" შეფასებისას ცხადია, მხედველობიდან არ უშვებს რუსთაველის ფილოსოფიურ დაკვირვებებს: „რუსთაველის პოემა იყო შვიდი საუკუნის განმავლობაში ერის ზნეობით აღმზდელს წყაროდ, სახარება-დავითთან ან წასაკითხ წიგნად, უაღრეს სილრმემდის პოეტის მიერ სულის მოძრაობის ანალიზი და ახსნა, შეუდარებელი ნარნარი ლექსთ წყობა და მდიდარი გამომეტყველი ენა, ფილოსოფიური დაკვირვება და სპეტაკი გრძნობით შემოსილი კეთილშობილი იდეა, დედააზრი შეადგენენ განსაკუთრებითს თვისებას „ვეფხისტყაოსნისას".

ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე) თავის წიგნში „შოთა რუსთაველი" შთამბეჭდავ ადგილს უთმობს რუსთაველის ბიოგრაფიის დადგენას. დავიმოწმებთ ზოგიერთ ნაწყვეტს: „მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის მწერალნი დაბეჯითებით და დაჭეშმარიტებით მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთაველი ათინაში სწავლობდაო... იგი შესულა იქაურ ფილოსოფიურ სკოლაში, სადაც განვითარებულა როგორათაც ელინურს და ლათინურს ენებში, ეგრეთვე ფილოსოფოსთა წიგნებში და მჭერმეტყველებაში.[3]

ზაქარია ჭიჭინაძე იმოწმებს ვინმე „ძველ მელექსეს", რომელიც წერდა თურმე: „რუსთველის ცალი პიიტიკოსი ჩვენში არავინ ყოიფლაო. ეს პიიტიკოსობა მას საბერძნეთის ფილოსოფოსთაგან შეუსწავლია და შემდეგ ის დაბრუნებულა საქართველოში; მაღალითა სათნოებითა სავსე, ბრძენი, რიტორი, ენა წყლიანი, ფილოსოფოსი. ღრმად გამომეტყველი, სიტყვა მჭეხი, ფილოსოფიასა

---

1. **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, ძმები **თავართქილაძეების** გამოცემა, რომელსაც უძღვის მათივე „წინასიტყვაობისებური", ბათუმი, 1899
2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ. 127
3. **ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე)**, შოთა რუსთაველი, თბ., 1884, გვ. 13

შინა უაღრესობით განსწავლული,[1] „შოთა რუსთაველი ათენელთა ფილოსოფოსთაგან სწავლობდა".[2]

ჩვენ სპეციალურად გავხაზეთ ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან მიტანილ ნაწყვეტებში სიტყვა „ფილოსოფია". ავტორს არ უკვლევია რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობანი, მაგრამ მის მიერ ცნება „ფილოსოფიის" არაერთხელ მოხმობა, რუსთაველისათვის „ფილოსოფოსის" წოდება აშკარად მიგვანიშნებს ზ. ჭიჭინაძის მხრიდან გენიალური პოემის ფილოსოფიური იდეებით გაჯერებაზე, პოეტის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე.

XIX საუკუნეში რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზეც მახვილდება ყურადღება. როგორც ცნობილია, ეს საკითხი XVIII საუკუნის დამდეგს ვახტანგ მეექვსის ინტერესის სფეროში მოექცა. მან თავის კომენტარებში („თარგმანი") რუსთაველი ქრისტიან პოეტად აღიარა, ხოლო რუსთველური მიჯნურობა საღმრთო სიყვარულად გამოაცხადა და მისტიკურ-ალეგორიულ სამოსელში გაახვია.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მარი ბროსემ დაუწუნა ვახტანგ მეექვსეს ამგვარი პოზიცია. ამ თვალსაზრისით ვახტანგის კომენტარებს „უშესაბამო და უხამსი" უწოდა: „სადაც რუსთველის აშიკობაზე სწერს. ვახტანგ შეფე თავისის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ცხოვრებაზე უთქვამსო, ხოლო თვითოეულმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი" ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედებასა „ვეფხისტყაოსნისასა" განმარტებს საღმრთო წერილთა და სხვა".[3] ბროსეს ეს სიტყვები პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდანაა, რაც მასვე ეკუთვნის. „წინასიტყვაობაში" ფრანგ ქართველოლოგს არაფერი უთქვამს, საერთოდ, რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზე, არ პოემაზე დაწერილ სხვა ნარკვევებშიც ერთი სიტყვა არ დასცდენია მასზე. როგორც ვნახეთ, მან უგულებელყო ვახტანგის „თარგმანი" პოემის „გალვთაებრიობის" შესახებ და მტკიცედ განაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი" საერო ლიტერატურული ძეგლია და არა საღმრთო წერილი. ეს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ პოემაში პოეტის რელიგიური განწყობის, საერთოდ, რელიგიურობის დაუნახველობა, ან მასზე ზოგადად მაინც ყურადღების გაუმახვილებლობა მოულოდნელი ჩანს და საკვირველიც თხზულების ისეთი დიდი მცოდნისაგან, როგორიც იყო მარი ბროსე.

„ვეფხისტყაოსანზე", როგორც ქრისტიანული იდეებით გამსჭვა-

1. იქვე, გვ. 14
2. იქვე, გვ. 17
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 63

ლულ პოემაზე, საუბრობს პლატონ იოსელიანი გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილ წერილში – „რუსთაველის ქრისტიანობა“.[1] გურამ შარაძეს მოვუსმინოთ: „რაც შეეხება რუსთაველის რელიგიურ აღმსარებლობას, პლატონ იოსელიანი მას უყოყმანოდ ქრისტიანად, ქრისტიანული მსოფლგაგების პოეტად მიიჩნევს და თვით ვეფხისტყაოსანს ქრისტიანული იდეებით გაჟღენთილ პოემად აცხადებს. პლატონ იოსელიანის შეხედულებით – განგრძობს გ. შარაძე, – ღრმა ქრისტიანულმა მიდრეკილებებმა აიძულა პოეტი ბერად აღკვეცილ იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“.[2]

დავით ჩუბინაშვილი წერს: „ვახტანგი ფიქრობდა და ამტკიცებდა, რომ ეს პოემა არის ალეგორია, შექმნილი კაცთა ჭკუის სასწავლებლად. რუსთაველი, ვითარც ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავი თამარ მეფის“... მან „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას დაურთო – თავისი შენიშვნები, რომლებშიც თავისებურად განმარტავს ავტორის გამოთქმებს და უკავშირებს მათ ბიბლიის ტექსტსა და სახარების მოძღვრების წესებს“.[3]

დავით ჩუბინაშვილი იწონებს ვახტანგისეულ კომენტარებს, როგორც კეთილი განზრახვით ნაკარნახევს და შესრულებულს. თუმცა შენიშნავს: პოემის განმარტებისას ვახტანგი ზოგჯერ აშკარად აჭარბებს. იყენებს ბიბლიურ ტექსტებს იქ, სადაც პოემა მათგან სავსებით დაშორებულია და ავტორს სულ სხვა რამ აქვს ნაგულისხმევი. დავით ჩუბინაშვილს უხერხულად ეჩვენება „ვეფხისტყაოსნის“ რაღაც მისტიკურ ქრისტიანულ პოემად წარმოსახვა.[4]

დავით ჩუბინაშვილს პოემის განხილვისას მრავალი ადგილი ებრაელთა სასულიერო პოეზიას აგონებს და სხვა თხზულებებს: „რუსთაველის პოემის განხილვისას, ერთი მხრივ, ვპოულობთ მრავალ ადგილს, რომელიც გვაგონებს ებრაელთა სასულიერო პოეზიას, ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს, ხოლო ფილოსოფოსთა დამოწმება, ზოგან აშკარად, სახელით, ზოგან კი ფარულად, ოღონდ ისე, რომ ადვილია მათი ამოცნობა, ნათელყოფს ავტორის მიერ კლასიკური ლიტერატურის ცოდნას“.[5]

ე. სტალინსკის შოთა რუსთაველი მიაჩნია მშობელ ხალხში ქრისტიანული ცივილიზაციის დამნერგავად. „შოთა რუსთაველი იყო იმ პირველ პიონერთა რიცხვში, რომელნიც თავის ხალხში

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1857
2. გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი-რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 122
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ. 197
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ. 197
5. იქვე.

ქრისტიანულ ცივილიზაციას ნერგავდნენ.[1]

სამწუხაროდ, რუსთაველზე გაბოროტებული ტიმოთე გაბაშვილი გენიალურ ქართველ პოეტს, ჭეშმარიტად ქრისტიან შემოქმედს ქრისტიანობის გამრყვნელს უწოდებდა: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განჰბრყუნა ქრისტიანობა".

გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილში „შოთა რუსთაველი" პლატონ იოსელიანი საუბრობს პოემის რელიგიაზე. ავტორის ქრისტიანობაზე, მის ქრისტიანულ ლიტერატურულ გარემოში ყოფნაზე. რუსთაველის მიერ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით სარგებლობაზე, სახარებათა წიგნების გამოყენებაზე. ასევე, წყაროდ ასახელებს ბასილი დიდის თხზულებათა ქართულ თარგმანებს.[2]

1873 წელს პეტერბურგში ქვეყნდება ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ", სადაც ავტორი შეეხო „ვეფხისტყაოსანსაც", კერძოდ, ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს პოემის პუბლიკაციას. და მისთვის დართულ კომენტარებს: „1712 წელს თბილისში, ვახტანგის სტამბაში, დაიბეჭდა ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი". საღმრთო მიზანი, რომელიც ვახტანგმა დაისახა ქართული სტამბის დაარსებისას, სადაც უნდა დაბეჭდილიყო საეკლესიო და დიდაქტიკური წიგნები, აღნიშნული პოემის გამოცემაშიც აისახა. გამოცემას მან დაურთო თავისი კომენტარები, რომლებიც განსაკუთრებით იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ნათელყოფენ იმდროინდელ მოწინავე ადამიანთა გემოვნების სრულ დამახინჯებას ხელოვნების ნიმუშთა შეფასებისას და ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის საუკეთესო თხზულების გაუგებლობას".[3]

ამის შემდეგ ა. ცაგარელი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეულ კომენტარებზე: „მისი (ე.ი. ვახტანგის – ტ. მ) მტკიცებით, ეს პოემა საღმრთო ალეგორიეს წარმოადგენს თუმცაღა მოწოდებულია საერო სახით... სინამდვილეში აქ აღწერილიაო სულიერი სიყვარული ღმერთსა და ადამიანებს შორის. რუსთაველი, ვითარც ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავი თამარ მეფის, ორი კათალიკოსისა და მრავალი, ზნეობაზე გადაგებული სასულიერო პირის თვალწინ ვერ გაბედავდა დაუწერა უზნეო რამ. მისი მიზანი იყო წარმოედგინა ცოლქმრული ერთგულების სიმტკიცე და მეგობრობის ურყევობა. ადამიანური ცხოვრე-

1. იქვე, გვ. 211
2. გაზ. „კავკაზი", 1870, 30 იანვარი, გვ. 3
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988, გვ. 205

ბის ყოველგვარი გაჭირვების ჟამს. ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი პოემის ყველა ადგილის ვახტანგისეული კომენტარები".[1]

როგორც ჩანს, ალ. ცაგარელი არ იზიარებს რუსთველური ამქვეყნიური სიყვარულის საღმრთო მიჯნურობად გამოცხადებას: „თავისი აზრის დასამტკიცებლად იგი უდარებს პოემის ადგილებს საღმრთო წიგნებს და ქრისტიანული მოძღვრების წესებს, მაგრამ იჩენს ისეთ აშკარა მიკერძოებას. ამ შეფასებისას მოაქვს ისეთი მაგალითები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს მეტყველებენ და ეწინააღმდეგებიან თავსმოხვეულ მნივნელობებს".[2]

ნ. გულავის მიერ „ვეფხისტყაოსნის" გმირების დახასიათებისას აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ ავტორი პოემის ზოგი ადგილის მიხედვით ასკვნის: როსტევანი და მისი ქვეშევრდომნი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას. რუსთაველი სარგებლობსო ფსალმუნთა წიგნით, თხზულებაში საიქიო ცხოვრების რწმენა ყოველ ნაბიჯზე გვხვდებაო.[3]

ამრიგად, რუსთაველის მსოფლმხედველობის და რელიგიის საკითხებზე დაკვირვება – მსჯელობანი სათანადო გამლვლინებას პოულობს XIXსაუკუნის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. თუმცა ეს ყოველივე მაინც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და შორს დგას სიღრმისეული კვლევებისაგან. ჩვენთვის აქ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხები არ დარჩენილა უყურადღებოდ. რად ღირს მარტო პლატონ იოსელიანის მიერ შენიშნული ნეოპლატონიკური ნაკადი „ვეფხისტყაოსანში", რაზეც მეოცე საუკუნეში არაერთი ნაშრომი დაიწერა ნიკო მარის, შალვა ნუცუბიძის, იუსტინე აბულაძის, შალვა ხიდაშელისა და სხვათა მხრიდან.

რუსთაველის ენის გარშემო

XIX საუკუნეში რუსთაველის ენაზე დაკვირვება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩებოდა 1829 წლიდან. სწორედ ამ წელს გაზეთ „ტფილისის უწყებანში" გამოქვეყნებულ წერილში ვინმე ლ. ა-დ (ამბერკი გაჩეჩილაძე ამტკიცებს, რომ იგი მწერალი ლავრენტი არდაზიანია), რუსთაველს ქართული ენის რეფორმატორად აღიარებს, რომელმაც გაამდიდრაო ქართული მეტყველება ახალი სახეებით და ლექსიკით. ავტორის თქმით, ჩვენი განუმეორებელი პოეტის ენა არისო „პირველი მამა აწინდელისა ენისა".

1. იქვე, გვ. 202
2. იქვე.
3. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985, გვ. 142-143

თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო რუსთაველის ენას, პოეტის ლექსიკას. საგანგებო ყურადღება მიაქცია რუსთაველის ლექსიკაში, სპარსიზ-არაბიზმების გარდა, ქართული ძირებით ახსნის საჭიროებას. მისი შეხედულებით პოემის სიტყვები ჰგვანან სპარსულ-არაბულს, „თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან“.[1]

დავით ჩუბინაშვილი თავის „შენიშვნებში“ ყურადღებას ამახვილებს რუსთაველის ენის თავისებურებებზე და თარგმანის სიძნელეებზე, განასხვავებს პოეტურ თარგმანს ჩვეულებრივისაგან, როდესაც გვრჩება მხოლოდ შინაარსი. ბგერის ჰარმონიისა და ფრაზის თამაშის გარეშე ის ემსგავსება გვამს. გამომდინარე ამ კონცეფციიდან, ის აკრიტიკებს ევლახოვის მცდელობას პოემის რუსულად თარგმნისა. თარგმანში იგი მოსდევსო პოემის გარდაქმნის მეთოდსა, უშვებს შეცდომებს, უმატებს ან აკლებს ორიგინალს.[2] ალექსანდრე ორბელიანი წერილში „რამდენიმე სიტყვა გაყრის კომედიაზედ“ შენიშნავდა: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა“.[3]

1863 წელს პლატონ იოსელიანმა შეადგინა და გამოსცა „პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა“. იგი არჩევს რა სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებს (ზმნიზედა, თანდებული, კავშირები, ტმესის მოვლენა), სანიმუშოდ იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის ადგილებს.[4]

გაზეთ „დროებაში“ ანონიმი ავტორი საუბრობს ქართულ ენაში ბარბარიზმების მოჭარბებაზე. მას საფუძვლიანად ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული და შეუნიშნავს არაერთი არაბული და ბერძნული სიტყვები: „აბა ახლა წარჩინებულს ძველს მწერალს რუსთაველს ვკითხოთ, თუ რამდენი არაბული და ბერძნული სიტყვები უხმარია თავის თხზულებაში. „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალე, მკითხველო, და მაშინ შეიტყობ“.[5]

1. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა ვეფხის-ტყაოსნისა, **გ. იმედაშვილის** რედაქციით, თბ., 1960, გვ. 200
2. **დ. ჩუბინაშვილი**, ვეფხისტყაოსნის თარგმნაზე, წიგნში: „კავკაზის“ გაზეთების კრებული, ტფ. 1847, გვ. 3-6, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 27
3. ჟურ. „ცისკარი“, ტფ. 1857, სექტემბერი, გვ. 45-48
4. **პ. იოსელიანი**, პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა, თფ., 1863, გვ. 32, 63, 108, 112
5. გაზ. „დროება“, 1867, 6 იანვარი

პლატონ იოსელიანი ჟურნალ „ცისკარში" წერდა: „ქართუელთა მწერლობა ძუელი წინათ ქრისტესა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომად განვრცელებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართუელთა, ეკლესიისათვის ქრისტესა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვისა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა".[1]

1880 წელს შექმნილი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია სხვადასხვა საკითხთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა რუსთაველის ენას. როგორც ცნობილია, კომისიის სხდომათა ანგარიშები ქვეყნდებოდა გაზეთ „დროებაში" (იხ. 1881 წლის თებერვლის, მარტის, აპრილის, ნომრები). ამის საშუალებით მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა კომისიის მუშაობის მასალებს მეტნაკლებად, მათ შორის რუსთაველის ენის შესახებაც.

პირველივე სხდომაზე (1881 წლის 6 თებერვალი) დაუდგენიათ, რომ პოემის სათაურის ადრინდელი ხმარების ფორმა „ვეფხვის-ტყაოსანი" შეცვლილიყო ფორმით – „ვეფხის-ტყაოსანი", „ვ" თანხმოვნის გარეშე. ასევე, დაუდგენიათ პოემის ყოველი სტროფის ბოლო ტაეპის წინ ხმარებული „და"-ს ამოღება. აქვე ვეცნობით აკაკი წერეთლის წინადადებას, რომ 76-ე სტროფში დარჩენილიყო სიტყვა „მოესროდეს" ნაცვლად სიტყვისა „მიისროდეს". ამასთანავე, დიდი პოეტი მოითხოვდა 46-ე სტროფში „ტკბილთა ხმათა" დარჩენას „მათთა ხმათა" მაგივრად, გადაუწყვეტელი დარჩენილა ერთ-ერთ ტაეპში („უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა") ნახმარი ბოლო სიტყვის დაწერის სისწორე – და მითა „თუ" ამითა". იგივე ითქმის 106-ე სტროფში მოცემული გამოთქმანის შესახებ: „მელი მე მოყვანებასა", „მოელი მოყვანებასა", „რად მელი მოყვანებასა".

1881 წლის პირველი მარტის სხდომაზე „ვეფხისტყაოსანში" შეუტანიათ ორთოგრაფიული შესწორებები, რომლებიც ჩამოთვლილია კიდეც. 13 მარტს გამართულა მეშვიდე სხდომა. გაეცნოთ ტექსტის გასწორებათა ნიმუშებს: ბალახში – ბადახში, ოთხ-ხმით-ოთხ-ახმით, პოემის „თუმცა", „მაგრამ" დაიწეროს ასე: „თუცა", „მაგრა". აქვე ჩამოთვლილია გასწორებები და თხზულების ტექსტიდან ამოღებული სტროფები.

ამავე სხდომაზე დამტკიცებულა, რომ სიტყვებს: ჰსთქვა, ჰსდის, გამოსჩნდა, დაჰსთხივა – ჩამოშორებოდა თანხმოვნები „ჰ", „ს". ეს უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ, გამორკვევის თა-

1. ჟურ. „ცისკარი" 1869, მარტი, გვ. 3

ნახმად, იგი „რუსთაველის დროში არ იხმარებოდა". 24 მარტის მეათე სხდომაზე პოემის ტექსტში შეუტანიათ სიტყვების ცალკეული გასწორებანი. ერთი მაგალითი: 121 სტროფის „რომელსა" გაუსწორებიათ როგორც „რომელთა". „დროებაში" დაბეჭდილ კომისიის სხდომათა ანგარიშებში წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში შეტანილი გასწორებათა ცხრილი.[1]

ეგ. იოსელიანი ჟურნალ „ივერიაში" დაბეჭდილ წერილში „ქართული ლიტერატურა" (საუბარია გრიგოლ ორბელიანზე) შენიშნავს: „შოთა რუსთაველის გავლენას ადვილადა გრძნობს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს შესამჩნევ პოეტზე. „ვეფხის-ტყაოსნის" მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირველად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს, რაკი იწყებს იმის შესწავლას... რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს თავის პოემით. შვიდის საუკუნის განმავლობაში ათას ნაირ ერის დარბევასა და დატყვევებაში მან შეინახა „ვეფხისტყაოსნით" ლიტერატურული ენა არც ერთ პირს არ მიუძღვის. ჩვენს ისტორიაში ამნაირი ღვაწლი ერის წინაშე. ორბელიანი კარგად ხედავდა ამას და გულ-მტკივნეული შეჰყურებდა რუსთაველის ენის დამახინჯებას".[2]

კოტე დოდაშვილი ალ. ცაგარელთან კამათისას საილუსტრაციო მასალებს იმოწმებს „ვეფხისტყაოსნიდან" და ასკვნის: „რუსთაველის მიერ ნახმარის სიტყვებიდამ – „გვინახავს", „დაგვიხოცია" – ვხედავთ, რომ როცა ზმნის ფორმას წინ უზის პირველ პირის ნიშანი „გვ", მაშინ მრავლობითის რიცხვის ნიშანი „თ" ბოლოში აღარ არის საჭირო, როდესაც იგივე მარცვალი „გვ", როგორც ორ-მაპიროვნებელი ფუნქციისაგან შემდგარი, თავად გამოხატავს სიმრავლესა".[3]

გაზეთ „ივერიაში" ანონიმი ავტორის მიერ გამოქვყნებულ წერილში საუბარია ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაზე. შენიშნულია, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურა ინახავდა ენის ერთობას: „ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ქართული ენა შოთა რუსთაველმა დაიცვაო".[4] იმავე გაზეთში მოსე ჯანაშვილი თავის წერილში „სიბრძნე ბალავარისა" ამბობს: „აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ენა ამ რომანისა ფრიად ადვილი გასაგებია და სრულად მიემსგავსება „ვეფხის-ტყაოსნის" ენას".[5]

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 71-74
2. ეგ.იოსელიანი, ქართული ლიტერატურა, ჟურ. „ცისკარი", 1883, № IV, გვ. 73-90
3. გაზ. „ივერია", 1887, 25 ოქტომბერი, გვ. 3
4. გაზ. „ივერია", 1888, 14 აგვისტო
5. გაზ. „ივერია", 1888, 29 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში" არ. ქუთათელაძე თავის „პასუხში" ეპაექრება სილოვან ხუნდაძეს ზოგი გრამატიკული კატეგორიის გამო „ვეფხისტყაოსნის" მაგალითების საფუძველზე. არ იზიარებს მის აზრს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან წარმოშობის საკითხში. ამისთვის დასჭირდა რუსთაველის პოემიდან სათანადო მაგალითების დამოწმება: „თქვენი", „მით", „მათი", „ჩემად".[1]

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ 1889 წლის გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა ნაშრომი „აი, ისტორია". სულ 14 წერილი გამოქვეყნდა. ბეჭდვა დაიწყო 29 აპრილიდან. 7 თიბათვეს გამოქვეყნებულ წერილში (№116) ავტორი ქართული პოეტური ენის ბუნებაზე მსჯელობისას წერდა: „დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველსა, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას, ასეთი განიერი გზა და სავალი მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნია... ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი არსებითი არ იბრუნებოდეს".[2] საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნიდან" მოტანილია სათანადო გამოთქმები. იმავე წელს სტეფანე ჭრელაშვილი (სანო) გაზეთ „ივერიაში" წერდა: „უარსა ჰყოფენ თვით ქართველების ენის ჩამდგმელს რუსთაველს, რომლის ღვაწლი, ადრე თუ გვიან, უნდა შეიქმნეს საუნჯე საკაცობრიო ხელოვნებისა".[3]

სილოვან ხუნდაძე „პასუხის პასუხში" ასაბუთებს ქართული ანბანიდან მოძველებული ასოების ამოღების აუცილებლობას და სხვა საბუთთა შორის იმასაც ასახელებს, რომ რუსთაველს არ მოეპოვება ისინიო. იგი ეკამათება არ. ქუთათელაძეს ნაცვალსახელის „ის" ბრუნების თაობაზე, რომელსაც იმის დასამტკიცებლად, რომ მოქმედებითში „ის" იღებს „მით" ფორმას და ენებითში „იმად" ფორმას, მოუყვანიაო ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციო მაგალითები.[4]

ალექსანდრე სარაჯიშვილი მიხეილ გიორგაძესთან კამათისას აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" გასაგებად აუცილებელია რუსთაველის ენის შესწავლა. ეს კი შეგვაძლებინებს პოემაში ჩა-

1. გაზ. „ივერია", 1889, 2 მარტი, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 145
2. გაზ. „ივერია", 1889, 7 თიბათვე, №116, გვ. 3; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 146
3. გაზ. „ივერია", 1889, 17 იანვარი
4. გაზ. „ივერია", 1889, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 149

ნართი სტროფები გამოვავლინოთ.[1] გ. იმედაშვილი მოსე ჯანაშვილის წერილთან დაკავშირებით შენიშნავს: „ავტორს დილარიანისა და ამირანდარეჯანიანის გმირების დახასიათებისას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის" უკანასკნელი სტროფი „ამირან დარეჯანისძე"... და მისივე პროზაული თარგმანი (იგულისხმება რუსულად – ტ.მ.). ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ XI-XII საუკუნეებიდან მოგვეპოვება რამდენიმე თხზულება ორიგინალური წარმოშობის. მათ შორის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომლის ენა უაღრესად სრულყოფამდე მიღწეული, არავითარი უცხო გავლენის კვალს არ ამჟღავნებს".[2]

ამრიგად, XIX საუკუნეში რუსთაველს აღიარებდნენ ქართული ენის დამცველად, ქართული ენის რეფორმატორად, ქართული მეტყველების ახალი სახეებით და ლექსიკით გამამდიდრებლად. ყურადღება გამახვილებულია რუსთაველის ენის თავისებურებებზე. სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებზე მსჯელობისას ილუსტრირებულია შესაბამისი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან". 1881 წლის პოემის ტექსტის დამდგენი კომისია საგანგებო ყურადღებას აქცევდა რუსთაველის ენას. გენიალური პოემა მიჩნეულია საუკუნეების მანძილზე ქართული სალიტერატურო ენის შემნახველად. ამასთანავე, მხედველობიდან არ არის გამორჩენილი რუსთაველის ლექსიკაში ბარბარიზმების გამოვლინების ფაქტი. განსაკუთრებით აქცენტირებულია სპარსულ-არაბული სიტყვების არსებობა.

რუსთაველის მხატვრული მეტყველების და პოეტიკისათვის

გარდა ზემოთ განხილული საკიხებისა, XIX საუკუნეში დიდ დაინტერესებას იჩენდნენ „ვეფხისტყაოსნის" სხვა პრობლემების მიმართაც: რუსთაველის პოეტური მეტყველება, „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკა, თხზულების წყაროები, რუსთაველის დამოკიდებულება წინარე ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან. ჩამოთვლილ საკითხებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

მსჯელობას დავიწყებთ რუსთაველის მხატვრული მეტყველების პრობლემატიკით. ჯერ კიდევ 1810 წელს ამ საკითხს შეეხო მალტ-ბრენი. მან რეცენზია დაბეჭდა ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნზე. შეეხო „ვეფხისტყაოსნის" ლექსთწყობის საკიხებს და

1. გაზ. „ივერია", 1899, 14 თებერვალი
2. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 223-224

პირველთაგანმა მიგვანიშნა რუსთაველის პოეტური მეტყველების თავისებურებებზე.[1]

როგორც ვიცით, 1863 წელს პოლონეთში დაიბეჭდა კაზიმირ ლაპჩინსკისეული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ პოლონურ ენაზე (მისთვის დახმარება გაუწევია გიორგი ერისთავს). მას წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა, სადაც დახასიათებულია რუსთაველის პოეტური ენა, აღნიშნულია ქართული ენის მხატვრული თავისებურებანი. შენიშნავს, რომ პოემა შეთხზულია შაირის მეტრით, აქვე ნარმოადგენს მის სქემას. მოვუსმინოთ კაზიმირ ლაპჩინსკის: „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული ტაეპი შედგება 16 მარცვლისაგან, რითმა მეტად მაღალი ღირსებისაა. ქართველთ ყურს არ სჭრით მისი მონოტონურობა, რადგან ისინი მიჩვეულნი არიან გაბმულ ლექსებს, რომელთაც ხშირად ერთნაირი რითმა აქვთ. ქართული ენა საერთოდ არ წარმოადგენს რთულ ენას. ვითარცა ზოგ სხვა თანამედროვე ენაში, ქართულშიც მხოლოდ ზოგიერთ მარცვალს მოუდის მახვილი. რუსთაველმა გონივრულად გამოიყენა ეს ენობრივი თავისებურებაც. 16-მარცვლიანი ტაეპის წყობა თუმცა ზოგჯერ იცვლება, მაგრამ მახვილი თანაზომიერადაა განლაგებული. ქორე და დაქტილი უფრო ხშირია, ვიდრე სხვა საზომი. ქართულში ხომ მახვილი ყოველი სიტყვის პირველ მარცვალს მოუდის, პოემის ყოველი სტროფის ბოლო ტაეპი იწყება „და“ კავშირით, რომელიც მარცვალთა რაოდენობაში არ შედის და ყოვლთვის მოთავსებულია გვერდით, არშიაზე“.[2]

1842 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალში (უმნპ) გამოქვეყნებულ წერილში დავით ჩუბინაშვილი მსჯელობს რა ქართულ ლექსთწყობაზე, ყურადღებას ამახვილებს შაირის მეტრზე და სანიმუშოდ იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფს რუსული თარგმანით.[3]

ზემოთ არაერთხელ შევხებივართ 1843 წელს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ პეტერბურგში შექმნილ სოლიდურ და ფრიად საყურადღებო ნაშრომს „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“. ამ ნაშრომის გამომცემლის გ. იმედაშვილის ენით რომ ვთქვათ, „იგი წარმოადგენს ძნელად გასაგები, არქაული და იშვიათი სიტყვების, თქმების, აფორიზმების, პოეტური სახეებისა და მეტაფორების ვრცელ დოკუმენტალურ ლექსიკონს. ცალკეულ შემთხვევებში სი-

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 7
2. კ. ლაპჩინსკი, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 61
3. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 17

ტყვის სპარსულ-არაბულ თუ სხვა ენის ძირთან ერთად ნაჩვენებია მისი სხვადასხვა მნიშვნელობა და კონტექსტის აზრი".[1]

1846 წელს გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილ წერილში მოცემულია დავით ჩუბინაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული მხარის და პოეტური ენის დახასიათება.[2]

ნიკო ბერძენიშვილი 1859 წლის გაზეთ „კავკაზში" (10 სექტემბერი) გამოქვეყნებულ წერილში ჟურნალ „ცისკრის" ნომრების განხილვისას მსჯელობს პოეზიის იდეალებზე და ყურადღების არეალში აქცევს რუსთაველის შემოქმედებას, არჩევს პოეტის თეორიულ შეხედულებებს პოეზიაზე და „ვეფხისტყაოსნიდან" იმოწმებს პროლოგის შესაბამისი სტროფების პროზაულ თარგმანს რუსულ ენაზე.[3]

არტურ ზუტნერი თავის ნაშრომში „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე" შეეხო პოემის მხატვრულ კონსტრუქციას. იგი წერს: „პოეტს შეუსვენებლივ ხელთ უნდა ეპყრას ყველა სიუჟეტური ხაზი, რათა ერთფეროვანი არ გახდეს და ერთმანეთში არ აერიოს გმირთა ხასიათები, მათი ერთიანობის მიუხედავად. ვფიქრობ, რომ რაგინდ ძნელიც არ იყოს ეს ამოცანა, რუსთაველმა მოახერხა მისი ბოლომდე შესრულება".[4]

არტურ ზუტნერი გმირების აღსაწერად გამოყენებულ ხერხებზე საუბრობს, რამაც მოაგონა ტორკვატო ტასო: „რუსთაველის მიერ თავისი ახალგაზრდა გმირების აღსაწერად გამოყენებული ხერხი ბევრი რამით ჩამოჰგავს იმ მანერას, რომელიც 400 წლით მასზე გვიან გამოიყენა ტორკვატო ტასომ. ავთანდილი არის „საროსა მჯობი ნაზარდი", „ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა", „მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა"... თინათინი მშვენიერიც გახლდათ, თვით მზეც კი „თინათინებდა", როგორც შესანიშნავად გამოხატა ავტორმა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ულამაზესი ქალწულის მშვენებით მოხიბლული მზე თავის სხივებში მის სილამაზეს აირეკლავდა".[5]

არტურ ზუტნერი მსჯელობს რუსთაველზე არა როგორც ვერსიფიკატორზე ან მისი ლექსის ჰარმონიულობაზე, არამედ

1. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 19
2. იქვე, გვ. 24
3. იქვე, გვ. 38
4. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 165
5. იქვე

როგორც ეპიკოსზე ანუ რომანისტზე: „მე არ ვლაპარაკობ პოეტზე ვინრო გაგებით ანუ ვერსიფიკატორზე, რადგან ვიმეორებ, არ ძალმიძს, შევაფასო მისი ლექსის ჰარმონიულობა, მაგრამ მე ვმსჯელობ რუსთაველზე, როგორც ეპიკურ პოეტზე ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, როგორც რომანისტზე. ჩემდა სასიამოვნოდ, ამ ნაწარმოებში აღმოვაჩინე ხელოვნების ყველა კანონის თანახმად აგებული რომანი, სადაც კვანძიც გვაქვს და კვანძის გახსნაც. ზუსტად არის დაცული სიუჟეტის განვითარების წესები. ამასთანავე, იგი შედგენილია მკაცრად მოფიქრებული გეგმის თანახმად, სადაც პოემის ძირითადი იდეა (სიყვარულისა და მეგობრობის გამარჯვება) თავიდან ბოლომდე იშვიათი თანმიმდევრობითა და სიმტკიცით ვითარდება".[1]

არტურ ზუტნერი „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკაზე საუბრისას შენიშნავს: „რუსთაველს პოეტური სახეების საკმაოდ შეზღუდული მარაგი აქვს. თავის გმირებს დაუსრულებლივ მზესა და მთვარეს ადარებს... საერთოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი მხატვრული სახეები ლირიკულ პოეტებს უფრო შეჰფერით და ეპოპეის ავტორს მიეტეებოდა, სრულიად რომ არ ეხმარა ისინი. ეს ჭარბად მოხსენიებული ციური მნათობები, ვარდებთან, ბროლთან, ედემის ხეებთან ერთად. პოეტის მეტაფორათა თითქმის მთელ მარაგს რომ ქმნიან, ხელს გვიშლიან მისი თხზულებით დატკბობაში. არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ზოგჯერ კი თვით პოემის გაგებას აძნელებენ".[2] როგორც იტყვიან, ამაზე კომენტარები ზედმეტია.

კიდევ ერთი შენიშვნა მოვისმინოთ არტურ ზუტნერისგან: „შეიძლებოდა პოეტისათვის მცირე შენიშვნა მოგვეცა იმის გამო, რომ მისი პოემის გმირები აუარებელ ცრემლს ღვრიან. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სისხლიანი ცრემლები, ცრემლთა ნაკადულები, მდინარეები და ზღვებიც კი. ეს მომაკვდინებელ ეფექტს ახდენს, მაგრამ არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ მივუტევოთ ავტორს. რუსთაველი ხომ სავსებით სამართლიანად ამბობს:

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების,
სიარული, მარტოობა შვენის, გაჭრად დაეთვლების".

ვფიქრობ, რომ სევდა-ნაღველი, რომელსაც პოეტი აქ წარმოგვიდგენს, საყოველთაოდ გავრცელებული იყო და მის თანამე-

1. ა. ზუტნერი, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", ნიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 159-160
2. იქვე, გვ. 167

დროვეთა საზოგადოებრივ გემოვნებას შეეფერებოდა".[1]

გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილ წერილში ვინმე „ინ-ფარი" არ-ჩევს შოთა რუსთაველის ლექსის თეორიას. მისი შეხედულებით, რუსთაველი სამ ხარისხად ჰყოფს მგოსნებს. მესამე ხარისხის მგოსნები წერენ ისეთ ლექსებს, რომელნიც გამოდგებიან სანა-დიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოთ, ამხანაგთა სათრე-ველად". უკვდავი შოთას შემდეგ საქართველოში სწორედ მესამე ხარისხის მგოსნების რიცხვი გამრავლდაო".[2]

1896 წელს თბილისში იბეჭდება მოსე ჯანაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი". წიგნში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია რუსთაველის ლექსთა წყობაზე, თუ როგორ ესმის შაირობა რუს-თაველს და მისი დროის მწერლებს.[3]

ამრიგად, XIX საუკუნის რუსთველოლოგიაში დაკვირვების საგნად იყო ქცეული რუსთაველის პოეტური მეტყველების თა-ვისებურებანი, პოეტიკის საკითხები. ყურადღებას იქცევს თეი-მურაზ ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება პოემა „ვეფხისტ-ყაოსნისა", რომელშიც ძნელად გასაგებ, არქაულ და იშვიათი სიტყვების ახსნასთან ერთად ვეცნობით პოეტური სახეებისა და მეტაფორების ლექსიკონს. „ვეფსტყაოსნის" პოეტური მეტყვე-ლებისა და პოეტიკის საკითხებზე მსჯელობენ ქართველებთან ერთად უცხოელი მკვლევარნიც. ყურადღებულია რუსთაველის ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციები, პოეტის ვერსიფი-კატორობა, ლექსის ჰარმონიულობა, ხელოვნების ყველა კანონის თანაბრად აღმოჩენა თხზულებაში, სიუჟეტის განვითარების წესები.

„ვეფხისტყაოსნის" წყაროებისათვის

XIX საუკუნეში, კერძოდ, ამ პერიოდის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო გამოვლინება უპოვია „ვეფხისტ-ყაოსნის" წყაროების ძიებას, მასზე დაკვირვებებს. პირველი იყო დავით ჩუბინაშვილი, რომელმაც პოემის წყაროებზე გაამახვილა ყურადღება:

„რუსთაველის პოემის განხილვისას, ერთი მხრივ, ვპოულობთ მრავალ ადგილს, რომელიც გვაგონებს ებრაელთა სასულიერო

1. იქვე
2. გაზ. „ივერია", 1895, 8 აგვისტო, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 187
3. **მ. ჯანაშვილი**, შოთა რუსთაველი, ტფილისი. 1896

პოეზიას, ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს, ხოლო ფილოსოფოსთა დამოწმება, ზოგან აშკარად, სახელით, ზოგან კი ფარულად, ოლონდ ისე რომ ადვილია მათი ამოცნობა, ნათელყოფს ავტორის მიერ კლასიკური ლიტერატურის ცოდნას, მეორე მხრივ, – განაგრძობს დ. ჩუბინაშვილი, – რუსთაველის ენაზე დაკვირვებისას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით აღმოსავლურ ლიტერატურასთან მსგავსებას, უპირატესად „ათას ერთი ღამის" მოთხრობებთან".[1]

დიმიტრი ბაქრაძე „ვეფხისტყაოსანში" აღმოსავლურ კოლორიტს ხედავდა,[2] პლატონ იოსელიანი ნარკვევში „შოთა რუსთაველი" გარკვეულ ადგილს უთმობს პოემის წყაროებს: კონკრეტულად ასახელებს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს, სახარებას, ბასილი დიდის თხზულებათა თარგმანებს. ესენი მას პოეტისთვის ჩვეულებრივ წყაროებად მიაჩნია. მისი თქმით, რუსთაველის წინამორბედნი საზრდოობდნენ ბიზანტიური სასულიერო ლიტერატურით, რომელთა გავლენა განიცადაო კიდეც,[3] როგორც ზემოთაც მივუთითეთ, პლატონ იოსელიანმა რუსთაველის მსოფლმხედველობაში პირველმა შეამჩნია ნეოპლატონური იდეების ანარეკლი ამავე წერილში.

რ. ალისუბნელი (რაჟდენ ჩიკვაიძე) ჟურნალ „თეატრში" გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენ ლიტერატურაზე" გაკვრით ეხება „ვისრამიანის" გავლენას „ვეფხისტყაოსანზე".[4] ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებულ წერილში „ამირან დარეჯანიანი" ერთმანეთს უდარებს ამ ნაწარმოების და რუსთაველის პოემის შინაარსს და გამოაქვს დასკვნა: „ამირანდარეჯანიანის" შინაარსს დიდი გავლენა მოუხდენია „ვეფხისტყაოსნის" შინაარსზე: „ვინც ამ რომანს წაიკითხავს, იმას ცხადად გაახსენდება „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი. „ამირანდარეჯანიანის" შინაარსს ერთობ დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს „ვეფხის ტყაოსნის" შინაარსზე".[5]

გაზეთ „ივერიაში" 1890 წელს იბეჭდება ვაჟა-ფშაველას პოლემიკური წერილი „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ავტორი ეკამათება ალ. ხახანაშვილს, არ იზიარებს მის დებულებებს რუსთაველის პოემის ქართული ხალხური სიტყვიერებიდან მომ-

1. დ. ჩუბინაშვილი, ქართული, პოემა „ვეფხისტყაოსანი", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 197
2. გაზ. „კავკაზი", 1855, 6 აპრილი
3. გაზ. „კავკაზი", 1870, 30 იანვარი
4. ჟურ. „თეატრი", 1883, №3, გვ. 84
5. ზ. ჭიჭინაძე, ამირან დარეჯანიანი, გაზ. „დროება", 1885, 30 ივლისი

დინარეობის თაობაზე. დიდი ვაჟას დასკვნით: „ლიტერატურული ვეფხის-ტყაოსანი" წინად ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეყვარებია პოემა და რაც დაჰვიწყებია პოემიდამ, ის თითონ უკეთებია და უმატებია".[1]

იონა მეუნარგია „ეგრის" ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში" ბეჭდავს წერილს „რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი" უწერია". ავტორი ეხმაურება პოემის პროლოგში მოცემულ შესიტყვებას „სპარსული ამბავი". იგი წერს: „ნურვის ჰგონია, ვითომ რუსთაველის უკვდავი სახელი შეიძლება დამდაბლდეს მით, რომ აღმოჩნდეს ის „ამბავი", რომელიც გახდა შინარსად მისის უკვდავის პოემისა".[2] წერილიდან ირკვევა, ი. მეუნარგიას სჯერა პროლოგში ნათქვამისა: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნთარგმანები". სჯერა პოემას ფაბულის სპარსული წარმომავლობისა, ასევე, რაც მთავარია, თხზულების ლიტერატურულ წყაროდ მიიჩნევს „ბარამიანს" ან „ბარამ-გულ-ჯანიანს". ავტორის თქმით, ონანა მდივნის ქობულოვის (ონანა ქობულაშავილი – ტ.მ.) მიერ გალექსილი, ჩუბინ ბრძენისაგან ქირმანეულისა" ნათქვამი ბარამიანი სპარსულიდან არის გადმოღებული. თუმცა იონა მეუნარგია მისი მოსაზრების სიმართლეში ბოლომდის არ არის დარწმუნებული, რისი მინიშნებანი ჩანს წერილში. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსისა" და „ბარამიანის" ერთმანეთთან შედარებისას შინაარსობრივი სიახლოვე და მსგავსება ნახა, გმირების ხასიათებისა და გარეგნობის მსგავსებანი.

ალექსანდრე ხახანაშვილმა არაერთი ნაშრომი უძღვნა „ვეფხისტყაოსნის" ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან წარმომავლობის საკითხს. ამასთანავე, ის არ გამორიცხავდა ხალხური „ტარიელიანის" შინაარსის ზეპირი გზით აღმოსავლეთიდანაც შემოსვლას. ავტორი განიხილავდა „ტარიელიანის" ვარიანტებს და ხედავდა მათი შინაარსის „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის შინაარსთან აშკარა მსგავსებას. გამოყოფდა თავისი შეხედულებების გასამყარებლად ცალკეულ მოტივებს, ტროპულ მეტყველებას, აფორისტულ გამოთქმებს. ა. ხახანაშვილის კონცეფციები შეჯამებულია მისივე წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია".

ა. ხახანაშვილი მკითხველს მიმართავს: „თუ არ დაიზარებთ

1. ვაჟა-ფშაველა, „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ, გაზ. „ივერია", 1890, 21 თებერვალი
2. გაზ. „ივერია", 1882, 27 მარტი

და გადაათვალიერებთ ამ ვარიანტებს (საუბარია ხალხურ ვარიანტებზე – ტ.მ.), დარწმუნდებით, რომ ვრცელ და ნაწყვეტ ვარიანტებს შორის დიდი მსგავსება და კავშირი არსებობს. მოგეხსენებათ, რომ ლექსს უფრო ადვილად და დიდხანს იხსომებს ხალხი შეუცვლელად, ვიდრე ამბად ნათქვამს ანუ პროზას".[1] მისი თქმით, ტარიელის შესახებ ლექსები შეუცვლელია ყიზლარში, ფშავეთში, ხევსურეთში, კახეთში, ქართლში. ა. ხახანაშვილი მოითხოვდა ნაწყვეტი ვარიანტების შინაარსის შეერთებას იმ მოთხრობით, რომელიც ვრცელ ვარიანტში იპოვებაო.

ა. ხახანაშვილის თანახმად: „თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ რუსთაველმა „ამბად ნათქვამი" და აღმოსავლეთით ზეპირად მოთხრობილი ზღაპარი გარდაქმნა წყობილ მარგალიტად, მაინც ეძებდნენ და ეძებენ ახლად „ვეფხისტყაოსნის" დედანს სპარსულ ლიტერატურაში". აქ მკვლევარი აკრიტიკებს ნარდონს (ივანე ჯაბადარი), რომელმაც რუსთაველის პოემა სპარსული „ლეილმაჯნუნიანიდან" ანუ ნიზამი განჯელის თხზულებიდან მომდინარედ მიიჩნია ასევე. ავტორს შეუწყნარებლად ესახება იონა მეუნარგიას მტკიცებანი, პოემის სპარსული „ბარამიანიდან" წარმომავლობის თაობაზე".[2]

„ვეფხისტყაოსნის" წყაროებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს მოსე ჯანაშვილის წიგნი „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი". ნაშრომში ავტორი პარალელებს გვაზიარებს რუსთაველის პოემასა და ქართული საგალობლების ცალკეულ გამონათქვამს შორის, სადაც ბევრი საერთოობა და მსგავსება იკვეთება. წიგნში მოცემულია „ამირანდარეჯანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" შედარებითი ანალიზი. ავტორის დაკვირვებით, შინაარსის მხრივ ორივე ნაწარმოები გარკვეულწილად ემსგავსება ერთმანეთს, პერსონაჟების სახელები იდენტური არ არის, თუმცა შესაძლებელია რუსთაველისავე გამოთქმები: „აქამდის ამბად ნათქვამი", „დავჯე, რუსთველმან გავლექსე". იმას გულისხმობდეს, რომ მოსე ხონელის პროზად ნათქვამი ამბავი პოემად ვაქციეო.

მოსე ჯანაშვილის წიგნიდან სპეციალურად ამოვიწერეთ ავტორის მიერ გავლებული პარალელები „ვეფხისტყაოსანსა" და „ამირანდარეჯანიანს" შორის:

---

1. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ. 1904, გვ. 349
2. იქვე

ნადირობის დროს როსტევან მეფე შეხვდა ჭაბუკსა, ვეფხის ტყავით მოსილს, მის ამბის შესატყობად გაგზავნის კაცებს. ჭაბუკა გასწყვეტს ამ კაცებს და გადაჩქმალება. მეფე დანაღვლიანდება, გაგზავნის კაცს მის მოსაძებნად. ავაანდილი მიაგნებს ჭაბუკას კვალს. ავთანდილივე შეიტყობს ჭაბუკას სიყვარულის ამბავს. მის ტყვეობას. მივლენ ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ, გამოიხსნიან ქაჯეთს დამწყვდეულს დარეჯანს, მივლენ არაბეთს, ავთანდილი შეირთავს თინათინს და მერე ტარიელს გააცილებს ინდოეთს.

ნადირობის დროს აბესალომ მეფე შეხვდება სახლს, რომელზედაც სწერია სახელი ამირანისა. სახლის გარეშემო მინდორი, მოფენილია აღწყვეტილ კაცებისა და ცხენების ლეშებით. მეფე შეიტყობს, რომ ეს კაც-ცხენები დაუხოცია გმირს ამირანს. მოისურვებს მის ამბის შეტყობას. ვერ შეიტყობს. დანაღვლიანდება. გაგზავნის კაცებს ამირანის ამბების შესატყობად. მიაგნებენ სავარსამიძეს, აირანის ყმას. სავარსამიძე უამბობს მეფე ამირანის ისტორიას. ამირანს სწვავს ხვარეშანის სიყვარული. ხვარეშანი მაღალს და მაგრს კოშკშია შემწყვდეული. ამირანი და მისი სამნი მეგობარნი მიდიან ქალის გამოსახსნელად. მუსრს ავლებენ დევგმირებს, ვაჭრებს იხსნიან მეკობრეთაგან, გამოჰყავთ ქალი და მას ირთავს ამირანი.

„ასეთია დედა აზრი, – განაგრძობს მოსე ჯანაშვილი, – ორთავე ამა თხზულებათა, ახლა შევადაროთ ზოგიერთი კერძოობანიც“:

იყო არაბეთს როსტევან... მორჭმული, განგებიანი

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული. მეფემ მოიხმო ვაზირნი... მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს... ღმერთმან არ მომცა ყმა შვილი, ასულო, დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს... დაუდგეს ტახტი ფასდაუდებელი.

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ მორჭმული, განგებიანი

მოიხმო მეფემან დიდებული და დაჯდა, მიუგზავნა ასულსა თვისსა კაცი, ვითა: შვილო, მე დავბერებულვარ და შენ ხარ მკვიდრი სამეფოსა ჩემისა და არა მივის შენგან კიდე სხვა ძე... პირმზე ასული მისი ვნახეთ და ვსთქვით: თუცა არა არს ხორციელი, თუმცა მზე არსო, ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა, შეუმკეს – ტახტი მნათობი.[11]

პარალელები ვრცელია, ცხადია, გადმოწერა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, შესაძლოა მკითხველს ამ საილუსტრაციო მასალების მოხმობითაც მოვაბეზრეთ თავი. თუმცა ამის დამოწმებას ის გამართლება ჰქონდა, დავრწმუნებულიყავით თუ როგორ ეძებდა მოსე ჯანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ წყაროებს ჩვენს ეროვნულ მწერლობაში.

გარდა ამისა, მ. ჯანაშვილს მოუცია პარალელები „ვეფხისტყაოსანსა“ და „აბდულმესიანს“ შორის, ასევე, რუსთაველის პოემასა და „ტარიელიანს“ შორის, სადაც უპოვია შემხვედრი წერტილები. ეს დასჭირდა არა მხოლოდ წყაროების გამოსავლინებლად, არამედ იმის დასამტკიცებლად, რომ პოემა ქართულ სინამდვილეშია აღმოცენებული. ამასთანავე, მას სამცხის ციხე ვარაუდის დონეზე პოემისეულ ქაჯეთის ციხედ დაუგულვებია. აქვე ავტორი

ასკვნის, რომ „ამირანდარეჯანიანის" ერთ-ერთი პერსონაჟი ინდო ჭაბუკი და „ვეფხისტყაოსნის" ტარიელი ქართველები არიანო.[1]

მელიტონ კელენჯერიძე რუსთაველს ადგილს მიუჩენს ისეთ მოაზროვნეებს შორის, როგორებიც იყვნენ: „არისტოტელი, პლატონი, სოკრატი, ლეიბნიცია, კანტი, შოთა, გეტე და სხვა ასეთი ტიტანები მეცნიერებისა და ხელოვნებისა".[2] მისი თვალსაზრისით, რუსთაველის მასაზრდოებელი წყარო იყო ქართული ხალხური შემოქმედება: „ვეფხისტყაოსანი" მთელ საქართველოს მეორე სახარებად გადაექცა და მის დიადობასა ვერა სკეპტიკოსი და კრიტიკოსი ვერ შეარყევს. ამ პოემაში პოვა ხალხმა თავისი საყვარელი გმირები, რომლებზედაც წინადაც იყო უთუოდ ხალხში ხმები, თქმულებანი. ის ორგანულად დაკავშირებულია ხალხის გულთან, სულთან, პოეზიასთან, და ამიტომ არის სახალხო ნაწარმოები".[3]

მ. გიორგაძე გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" წყაროებზე, სათანადო პარალელების მოხმობით ასეთ ლიტერატურულ წყაროებად ასახელებს შავთელისა და ჩახრუხაძის „აბდულმესიანს" და „თამარიანს".[4] იოანე შავთელის „აბდულმესიანის" გავლენაზე შოთა რუსთაველის პოეზიაში მსჯელობდა ნიკო მარი. მისი მტკიცებით, ვეფხისტყაოსანი როგორც სახელი, მიუთითებს გმირის გარეგან მხარეს, აბდულმესია -შინაგანს.[5] მისი თქმით: რუსთაველი, როგორც ჩანს, მოხიბლული იყო შავთელის ლექსით და ამ სტრიქონში (იგულისხმება „აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა" – ტ.მ.) ის აქებს შავთელის ლექსს.[6] ნიკო მარი „აბდულმესიანსა" და „ვეფხისტყაოსანს" შორის გავლებული პარალელით გამოავლენს შემხვედრ წერტილებს და მსგავსებას.[7]

მოსე ჯანაშვილს თავის წიგნში „საუნჯე მეათე საუკუნისა", ერთმანეთთან შეუდარებია X საუკუნის დიდი ჰიმნოგრაფის იოანე მტბევარის ერთ-ერთი საგალობლის და „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის დასაწყისი ტაეპები საერთოობის გამოსავლენად. ამით მტკიცდება, რომ რუსთაველს მტბევარის საგალობელი უმტკივნეულოდ ჰქონია გამოყენებული. ეს მომენტი უცილო-

1. იქვე, გვ. 40
2. **მ. კელენჯერიძე**, სახალხო პოეზია , ქუთაისი, 1896, გვ. 68
3. იქვე
4. გაზ. „ივერია", 1899, 4 მარტი
5. ჟურ. „კავკაზსკი ვესტნიკი", 1990, № 1, გვ. 67
6. იქვე
7. იქვე, გვ. 67-68

ბლად მიგვანიშნებს პოეტის მიმართებაზე, საერთოდ, სასულიერო პოეზიასთან. ამ შეხედულებამ შემდეგში (XX საუკუნ.) განვითარება ჰპოვა და დაიწერა სადისერტაციო ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი" და ქართული ჰიმნოგრაფია", რომლის ავტორია ნესტან სულავა, ცნობილმა პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გაიოზ იმედაშვილმა შექმნა სანიმუშო ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის" პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში".

მოწაფე აბო თბილელზე იოანე მტბევარის მიერ შექმნილი საგალობლის ვრცელ მიმოხილვას თავის წიგნში მოსე ჯანაშვილი ასე ამთავრებს: „დასასრულს საგალობლიდან მომყავს ერთი წინადადება, რომელიც აზრითა და წინადადების მოკაზმულობით თითქოდეს „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისს მიემსგავსება".[1]

საგალობელი	რუსთაველი
რომელმან სიბრძნით	რომელმან შექმნა სამყარო
დაჰბადნა ცანი ძალითურთ	ძალითა მით ძლიერითა
და შექნა ქუეყანაა ყოველთა თანა მკვიდრითურთ	ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა"

პარალელთა მოხმობისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იოანე მტბევარის დამოწმებული საგალობლის პირველი ტაეპი შესრულებულია რუსთველური დაბალი შაირის მეტრით, რაც შესწავლილია კიდეც – სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვა მაგალითების საფუძველზეც დასაბუთებულია, რომ შაირის მეტრი რუსთაველის დამკვიდრებული კი არ არის, არამედ მისი წყაროებია ქართული სასულიერო პოეზია და ქართული ხალხური პოეზია. შევნიშნავთ, რომ ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან რუსთაველის შემოქმედებითი მიმართების საკითხს პირველად სწორედ მოსე ჯანაშვილმა მიაქცია ყურადღება.

გაზეთ „ივერიაში" 1898 წელს გამოქვეყნებულ წერილში მოსე ჯანაშვილი კვლავ შეეხო ძველ ქართულ პოეზიასთან რუსთაველის მიმართების საკითხს. აქ გამეორებული აქვს ზემოთ დამოწმებული ტაეპები იოანე მტბევარის საგალობლიდან და რუსთაველის პოემის პროლოგიდან. გარდა ამისა, ილუსტრირებულია სხვა პარალელიც. კარძოდ, ნაჩვენებია რუსთაველის დამოკიდებულება შავთელის პოეზიასთან. გამოვლენილია ცალკეული თქმების მსგავსება.

1. მ. ჯანაშვილი, საუნჯე მეათე საუკუნისა, ტფილისი, 1891, გვ. 51-52

იოანე შავთელი: „მზეცა სწორებით ჰნათობს
მაღალთა ადგილთა და დაბალთა
მოფენითა დღისაათა".
შოთა რუსთაველი: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორედ მოეფინების".[1]

ამრიგად, XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" წყაროებზე პირველად ყურადღება გაამახვილა დავით ჩუბინაშვილმა, რომელსაც მიმდევრები გამოუჩნდნენ. წყაროებში იგულისხმება საისტორიო, ფილოსოფიური, რელიგიური და ლიტერატურული წყაროები, საუბარია აგრეთვე უცხოურ ლიტერატურასთან მსგავსება. წყაროებიდან სახელდება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები, სახარების წიგნები, ბასილი დიდის თხზულებანი, ქართული სასულიერო პოეზია, „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „ბარამიანი", ან „ბარამგულიჯანიანი", „თამარიანი", აბდულმესიანი", ქართული ხალხური პოეზია, ხალხური „ტარიელიანი", ასევე, ნეოპლატონური მოძღვრება და ა.შ.

1. მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, გაზ. „ივერია, 1898, 19 მარტი, გვ. 3

ზოგადი დასკვნები

მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართველი თუ უცხოელი მკვლევარნი და მწერლები ხოტბა-დიდებას ასხამენ რუსთაველს და „ვეფხისტყაოსანს". საგულისხმოა მთავარი რამ: როდესაც ცარისტული ხელისუფლების რეჟიმი სასტიკად დევნიდა ქართულ კულტურას, მწერლობას, ქართულ ენას, ქართულ სკოლას, ძარცვავდა ეკლესია-მონასტრებს, კირს ასხამდა ფრესკებს და ანადგურებდა, ამ კოშმარულ პერიოდში რუსული მოწინავე ინტელიგენციის კეთილშობილი წარმომადგენლები დაინტერესებული არიან „ვეფხისტაოსნით", განადიდებენ რუსთაველს, წერენ მასზე წერილებს, თარგმნიან პოემას, რათა მისი შინაარსი თუ იდეები ახლოს მიიტანონ რუსი მკითხველების გულთან და გზა გაუკაფონ ევროპისაკენ.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი" განიხილებოდა მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, აღიარებდნენ მის საკაცობრიო ღირებულებას, მოიხსენიებდნენ მსოფლიო მნიშვნელობის თხზულებად. რუსთაველს აყენებდნენ სახელგანთქმული ევროპელი პოეტების გვერდით (არიოსტოსი, ოსიანი). რუსთაველს ადარებდნენ ჰომეროსს, დანტეს, მილტონს (დანტეზე მაღლაც აყენებდნენ). ადარებდნენ გერმანელ შემოქმედ ვოლფრამ ფონ ეშენბახს („ჰარციფალი"). რუსთაველი სახელდება პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, ლეიბნიცის, კანტის, გოეთეს, ფირდოუსის გვერდით. რუსთაველი წოდებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელი აღმოსავლეთის გენიად, ხაზი გაესმის პოეტის გენიოსობას, მას დიდ მეცნიერადაც ნათლავენ, აღიარებენ ბრძენთა ნინამძღოლად. სიბრძნის სხივთა მგზენებელად. განასხვავებენ ევროპელი ტრუბადურებისაგან. მოითხოვენ ამ დიდი შემოქმედისთვის ძეგლის აგებას.

„ვეფხისტყაოსნის" ავტორს მზესთან აიგივებენ, უწოდებენ ჩვენი წარსული გონიერების დასაბამს და დასასრულს, დიდებით მოსილ ქართველ პოეტს. მოიხსენიებენ ტკბილხმოვან მგოსნად, ქართველთა საყვარელ პოეტად, უწონებენ ენამჭევრობას, ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიურ მხატვრობას, „ჰაზრების მშვენივრად დაწმახნვას". რუსთაველის დიდების წარმოსასახავად ხმარობენ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა: დიდი, დიდებული, უკვდავი სასიქადულო, საუკეთესო, გენიოსი და ა.შ.

ქართველ და უცხოელ მკვლევართა მხრიდან „ვეფხისტყაო-

სანი" შედარებულია „იდიადასთან", „ოდისეასთან", „ათას ერთი ღამის" მოთხრობებთან, „შმაგ როლანდთან", „შაჰ-ნამესთან", ებრაულ სასულიერო პოეზიასთან. პოემა წოდებულია კავკასიის „ილიადად", კლასიკურ ნაწარმოებად, საუკეთესო ქმნილებად, მარგალიტად, მაღალი პოეტური ღირსების მქონედ. უნაზესი გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებად, სიბრძნის გამომხატველ უკვდავ ძეგლად, სასიცოცხლო წყაროს წყლად, სახალხო თხზულებად, მთელი საქართველოს მეორე სახარებად, დიად ნაწარმოებად, ქართველების გონებრივი კულტურის საწყავ-საზომ ემბლემად მარი ბროსეს თქმისა არ იყოს, „ვეფხისტყაოსანი" უებროა და უამხანაგო, ევროპაშიც მისი უმჯობესი არ იპოვებაო".

XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი მკვლევარნი, მწერალნი და მოღვაწენი „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობაზე ფიქრისას ძირითადად XVII-XVIII საუკუნეების მონაცემების თუ ქართული ხალხური თქმულებების ზეგავლენის ქვეშ არიან. მათ რაიმე ახალი დოკუმენტური წყარო და მასალა არც მოუპოვებიათ. მათთვისაც მთავარი დასაყრდენი გახლავთ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში რუსთაველზე შემონახული დოკუმენტური მასალები.

წინა საუკუნეებთან შედარებით XIX საუკუნეში უფრო დაფიქრებულან პოეტის სახელზე „შოთა", რომლის თავდაპირველი ფორმა იყოო „აშოთანი". სახელი „შოთა" დაუკავშირეს არმაზის კერპს, ან ღვთაება იაზდანის სახელს. ერთხმად აღიარებენ, რომ პოემის ავტორის გვარი თუ ფსევდონიმი მოდის სიტყვა „რუსთავიდან".

XIX საუკუნეში განსჯის საგანი გამხდარა თუ რომელი რუსთავიდან იყო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი. ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ პოეტი იყო თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან (თ. ბაგრატიონი, პლ. იოსელიანი, ვ. ზოტოვი, თ. ბარტდინაკი). XIX საუკუნეში უფრო მეტი და უტყუარი მასალები დაგროვდა იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტი იყო მესხეთის რუსთავიდან (ზ. ჭიჭინაძე, თ. ჟორდანია, დ. ჩუბინაშვილი, ი. კერესელიძე, ვ. ორბელიანი, მ. ნათაძე, ა. ხახანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე...).

XIX საუკუნეში დაინტერესებული ყოფილან რუსთაველის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებისა თუ გეოგრაფიული ადგილების დაზუსტებით, თუმცა უშედეგოდ. ასევე, ფიქრის საგანია პოეტის აღზრდა-განათლება საქართველოში და საზღვარგარეთ, ამასთანავე, უცხო ენების ცოდნა. განსჯის საგანი ხდება რუსთაველის ურთიერთობა სამეფო კართან. რუსთაველი მიჩნეულია

თამარ მეფის დიდებულად, უცხო მხარეთა მდივნად, კარის პოეტად, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესად (მოლარეთუხუცესად).

ამავე პერიოდში აქტიურობს საკითხი: რუსთაველი და იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი. პრესაში გაიელვებს მასალები რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნისადმი" კონსერვატიულ-კლერიკალური საზოგადოების დამოკიდებულების თაობაზე. თუმცა XIX საუკუნის ქართული და უცხოური პრესა ნაკლებად აქტიურობს „ვეფხისტყაოსნის" დევნაზე სამღვდელოების მხრიდან, რადგანაც ამისი საფუძველი არ გააჩნია.

პრესაში აქა-იქ გამოჩნდება მსჯელობანი თამარისა და რუსთაველის სამიჯნურო ურთიერთობაზე, რუსთაველის მიერ პოემის თამარის შთაგონებით შექმნაზე. გვხვდება სათანადო მასალები რუსთაველის სურათთან დაკავშირებით.

XIX საუკუნის მკვლევარნი თუ „ვეფხისტყაოსნით" დაინტერესებული პირნი არ გამოირჩევიან დიდი ენთუზიაზმით პოემის დაწერის დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი სიმართლისგან შორს დგას მითუმეტეს სათანადო დოკუმენტური მასალა არ სახელდება. ერთადერთი მკვლევარი აღმოჩნდა ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც მსჯელობის საფუძველზე სცადა „ვეფხისტყაოსნის" თარიღის დადგენა, რითაც იგი ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულ თარიღს თითქმის მიუახლოვდა.

XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის წყაროზე მსჯელობა, დაფიქრება თუ დაკვირვება რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა და მოღვაწეთა ერთი ნაწილი ფაბულას რუსთაველის კუთვნილებად თვლიდა. ისევე როგორც მთელ პოემას (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ბაგრატიონი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. პავლიაშვილი, მარი ბროსე, ი. ბოჩაროვი, ვ. ზოტოვი, კ. აიდენბაუმი...), მეორე ნაწილი კი „ვეფხისტყაოსნის" ამბავს და შინაარსს ნასესხებად მიიჩნევდა (პ. იოსელიანი, პ. კვიცარიძე, ი. მეუნარგია, ი. ჯაბადარი, ნ. გულაკი, ნიკო მარი, კ. მილერი, კ. რდულტოვსკი, კ. ლაპჩინსკი და სხვ.).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მოსაზრებანი და კონცეფციები იმის თაობაზე, რომ რუსთაველის „ვეფხისტაოსანი" ქართული ხალხური შემოქმედების ნაყოფია, რითაც უსარგებლია გენიალურ ქართველ შემოქმედს (ა. ხახანაშვილი, ა. ნანეიშვილი, დ. ხიზანიშვილი, ს. მერკვილაძე, თ. სახო-

კია, მ. კელენჯერიძე, ა. საძაგელოვი-ივერიელი, ს. მაჭავარიანი, ვ. ბარსოვი...): ზოგიერთი მკვლევარი კი რუსთაველის პოემის წყაროდ „ვისრამიანს“ და „ამირანდარეჯანიანს“ ასახელებდა.

XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის შედარებამ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულ რიგ დეტალებთან ქართველ და უცხოელ მკვლევართა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიყვანა რუსთაველის პოემაში ისტორიული ანალოგიების ძიებამდის. ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ გარკვეული მინიშნებების დონეზე პირველად მოგვცა 1831 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის დაკავშირება თამარის ეპოქასთან. მან ქართველთა ცხოვრების ანარეკლი და ისტორიული ვითარების კვალი შენიშნა „ვეფხისტყაოსანში“. მასში გადმოცემული ამბავი ისტორიულ თხრობად, ხოლო უცხოელი გმირები ქართველ მამულიშვილებად გამოაცხადა. ამ საკითხზე დაკვირვება კიდევ უფრო გააღრმავა დავით ჩუბინაშვილმა, რომელმაც ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ისტორიის თამარის ისტორიასთან მსგავსების ჩვენებას დაუკავშირა ასევე მოქმედების ადგილის (ინდოეთი-საქართველო) მსგავსებაც ამის დასამტკიცებლად გავლებულია მეტად მეტყველი პარალელები.

საგულისხმოა, რომ XIX საუკუნეში დ. ჩუბინაშვილის მეთოდს მიმდევრები გამოუჩნდრენ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მხრიდან, რომლებიც ფაქტიურად იმეორებდნენ მისეულ პარალელებს და ანალოგიებს მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი მიმართული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობის დასაბუთებისკენ.

აკაკი წერეთელი ფაქტიურად იზიარებდა დავით ჩუბინაშვილის თუ მისი მიმდევრების თეორიას, მაგრამ, ამასთანავე, მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქართულ წარმომავლობაზე, თუმცა ამ გმირებს არ აცლიდა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნებს. დიდი პოეტი პოემის მთავარი პერსონაჟების საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ქართლი, იმერეთი, ზღვისპირეთი – სამეგრელო) წარმომადგენელთა დასახვით ცდილობდა არა მხოლოდ პოემის ორიგინალობის დამტკიცებას, არამედ ქართველთა ეროვნული გრძნობების გაღვივებასაც.

დღეისათვის შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ძველი ხელნაწერები თარიღდება XVII საუკუნით. ერთი ფრაგმენტი XVI საუკუნისაა. პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერს წარმოადგენს მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1646 წელს ლევან მეორე დადიანის სამთავრო კარზე ზუგდიდში

გადაწერილი ტექსტი (ჩ-599). მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების მთელი რიგი მინაწერები სხვა ხელნაწერებზე და მატერიალურ ძეგლებზე. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ზრუნავდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების (გაგრძელებითურთ) შეგროვებაზე, დახვეწაზე და შეძლებისამებრ მეცნიერულ გამოცემაზე. ხელნაწერების ჭირისუფალთაგან გამოირჩნენ: პლ. იოსელიანი, პ. კარბელაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ალ. ხახანაშვილი.

1881 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა არა მხოლოდ ტექსტის შესწორება-გასწორებებზე, არამედ პოემის ხელნაწერთა ვარიანტების შედარება-შეთანხმებაზე ერთმანეთთან. გიორგი საძაგლიშვილი მიანიშნებდა კომისიის მუშაობის ხარვეზზე და ავალდებულებდა რედაქციას აღდგენილი ტექსტის ქვეშ მოტანილი ყოფილიყო ყველა ვარიანტი. ა. ხახანაშვილმა თავისი შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე და მის ვარიანტებზე შეაჯამა თავისივე წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია“. აქვე იგი ვრცლად მსჯელობს პოემის ხალხურ ვარიანტებზე. დ. ვარდიაშვილი საუბრობს ერევანში აღმოჩენილ ვარიანტზე. მას გამოხმაურებია ზ. ჭიჭინაძე, თუმცა იგი არ მიუჩნევია „შესანიშნავ ვარიანტად“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო XIX საუკუნეში. პირველად ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე დაინტერესდა ამ პრობლემით, ასევე დავით ჩუბინაშვილიც. მათი მიზანი იყო მომავალი გამოცემისას პოემის გაწმენდა ჩანართებისა და დანართებისაგან ინტერპოლატორთა შესრულებით. იგივე აზრისა იყო პლატონ იოსელიანიც. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს უცხოელებმაც. აღნიშვნის ღირსია პოემის პოლონურად მთარგმნელი კაზიმირ ლაპჩინსკი, რომელიც წუხდა თხზულების ტექსტის დამახინჯების გამო გამყალბებლების მხრიდან. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი მომდევნო გამომცემელი (გამომცემელნი) შეძლებისამებრ ცდილობდა წინა პუბლიკაციებთან შედარების საფუძველზე ჩანართ-დანართი ადგილებისაგან ტექსტის გაწმენდას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ კომისიას, რომელსაც პოემის ვარიანტების შედარებისა და ნაკითხვათა დადგენისათვის უხელმძღვანელია 22 ხელნაწერით. ეს იყო სპეციალური კომისიის მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პირველი ცდა 1881 წლისათვის. თუმცა ამ მცდელობას უნაკლოდ არ ჩაუვლია.

XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" გამომცემელნი და საკითხით დაინტერესებული პირნი ყურადღებას ამახვილებენ ინტერპოლაციებზე. მიუთითებენ იმ ინტერპოლატორებზე, რომლებიც ტექსტში ჩართვა-ჩამატებებით ამახინჯებდნენ ამ გენიალურ პოემას. ინტერპოლაციებზე დაკვირვებებით თავი გამოიჩინეს მარი ბროსემ, დავით ჩუბინაშვილმა, პ. კარბელაშვილმა, იონა მეუნარგიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ა. ხახანაშვილმა, დ. ვარდიაშვილმა და სხვ.

XIX საუკუნის მანძილზე განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის" სრული და ნაწილობრივი გამოცემანი, პოემის შინაარსის პროზაული გამოცემა. აფორიზმების გამოცემა, რუსთაველის თხზულება ითარგმნა სხვადასხვა ენაზე სრულად, ნაწილობრივ პოემის გამოცემებს ერთვოდა ლექსიკონები.

XIX საუკუნეში ქართველი და უცხოელი მკვლევარების მხრიდან სათანადო ყურადღება გამახვილდა „ვეფხისტყაოსნის" მოტივებზე და პერსონაჟების თვისებებ-ხასიათებზე. მოტივებიდან განსაკუთრებით აქცენტირებულია მიჯნურობა და მეგობრობა. დაკვირვების ობიექტად ქცეულა პოემის გმირების გონიერება, სულგრძელობა, სიბრძნე, ჰუმანისტური განწყობილება. გარეგნული და სულიერი მშვენიერება, პრაქტიკული ბუნების ადამიანობა, მეგობრისადმი თავდადება, მიცემული პირობის ერთგულება. მოვალეობისადმი თავგანწირვა, ამაღლებული და წმინდა სიყვარულის გრძნობა, ზნეობრივი სრულყოფილება.

„ვეფხისტყაოსნის" მოტივებზე და გმირების ხასიათებზე შექმნილი ნარკვევებიდან უცხოელთაგან გამოსარჩევია ა. ზუტნერის, ნ. გულაკის და ე. სტალინსკის ნაშრომები, სადაც დამაჯერებლად და საფუძვლიანად არის მსჯელობანი გაშლილი აღნიშნულ საკითხებზე. ქართველთაგან უნდა გამოიყოს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი. მართალია, ხსენებულ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მსჯელობანი შეცდომა-ნაკლისაგან არ არის დაზღვეული. თუმცა ეს სრულებით არ აკნინებს მათ ღირსებას და მნიშვნელობას რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში XIX საუკუნისა.

რუსთაველის მსოფლმხედველობის და რელიგიის საკითხებზე დაკვირვება – მსჯელობანი სათანადო გამლვლინებას პოულობს XIX საუკუნის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. თუმცა ეს ყოველივე მაინც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და შორს დგას სიღრმისეული კვლევებისაგან. ჩვენთვის აქ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხები არ დარჩენილა უყურადღებოდ. რად ღირს მარტო პლატონ იოსელიანის მიერ შენიშნული ნეოპლატონიკური ნაკადი

„ვეფხისტყაოსანში“, რაზეც მეოცე საუკუნეში არაერთი ნაშრომი დაიწერა ნიკო მარის, შალვა ნუცუბიძის, იუსტინე აბულაძის, შალვა ხიდაშელისა და სხვათა მხრიდან.

XIX საუკუნეში რუსთაველს აღიარებდნენ ქართული ენის დამცველად, ქართული ენის რეფორმატორად, ქართული მეტყველების ახალი სახეებით და ლექსიკით გამამდიდრებლად. ყურადღება გამახვილებულია რუსთაველის ენის თავისებურებებზე. სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებზე მსჯელობისას ილუსტრირებულია შესაბამისი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“. 1881 წლის პოემის ტექსტის დამდგენი კომისია საგანგებო ყურადღებას აქცევდა რუსთაველის ენას. გენიალური პოემა მიჩნეულია საუკუნეების მანძილზე ქართული სალიტერატურო ენის შემნახველად. ამასთანავე, მხედველობიდან არ არის გამორჩენილი რუსთაველის ლექსიკაში ბარბარიზმების გამოვლინების ფაქტი. განსაკუთრებით აქცენტირებულია სპარსულ-არაბული სიტყვების არსებობა.

XIX საუკუნის რუსთველოლოგიაში დაკვირვების საგნად იყო ქცეული რუსთაველის პოეტური მეტყველების თავისებურებანი, პოეტიკის საკითხები. ყურადღებას იქცევს თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელშიც ძნელად გასაგებ, არქაულ და იშვიათი სიტყვების ახსნასთან ერთად ვეცნობით პოეტური სახეებისა და მეტაფორების ლექსიკონს. „ვეფსტყაოსნის“ პოეტური მეტყველებისა და პოეტიკის საკითხებზე მსჯელობენ ქართველებთან ერთად უცხოელი მკვლევარნიც. ყურადღებულია რუსთაველის ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციები, პოეტის ვერსიფიკატორობა, ლექსის ჰარმონიულობა, ხელოვნების ყველა კანონის თანაბრად ალმოჩენა თხზულებაში, სიუჟეტის განვითარების წესები.

XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ წყაროებზე პირველად ყურადღება გაამახვილა დავით ჩუბინაშვილმა, რომელსაც მიმდევრები გამოუჩნდნენ. წყაროებში იგულისხმება საისტორიო, ფილოსოფიური, რელიგიური და ლიტერატურული წყაროები, საუბარია აგრეთვე უცხოურ ლიტერატურასთან მსგავსებაზე. წყაროებიდან სახელდება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები, სახარების წიგნები, ბასილი დიდის თხზულებანი, ქართული სასულიერო პოეზია, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „ბარამიანი“, ან „ბარამგულიჯანიანი“, „თამარიანი“, აბდულმესიანი“, ქართული ხალხური პოეზია, ხალხური „ტარიელიანი“, ასევე, ნეოპლატონური მოძღვრება და ა.შ.

წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები

1. ვეფხის-ტყაოსანი, რუსულად Барсова Кожа, პოემა დაწერილია **შოთა რუსთველის** მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა **მ. ბროსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა** და **დ. ჩუბინოვისათა**, სპბ, 1841

2. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, ტფილისი, 1867

3. **შოთა რუსთაველი**, მეექვსედ დაბეჭდილი **არსენ კალანდაძისა** და ამხ...გან, ავტორის სურათით, ტფილისი, 1875

4. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, ტფილისი, 1887

5. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემული **გ.დ. ქართველიშვილის** მიერ, ტფილისი, 1888

6. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის **გ. იოსელიანის** მიერ, ტფილისი, 1898

7. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, **ვლადიმერ ყიფიანის** მიერ, ტფილისი, 1899

8. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი, გამოცემა ძმები **თავართქილაძეების**, ბათუმი, 1899

9. **შოთა რუსთაველი**, ვეფხის-ტყაოსანი (სურათებით), მეთოთხმეტე გამოცემა **ვლადიმერ სიმონის ძე ყიფიანის** მიერ, ტფილისი, 1899

10. **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, **იუსტინე აბულაძის** რედაქტორობით, ტფილისი, 1914

11. **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი 1712 წლისა, აღდგენილი **აკ. შანიძის** მიერ, თბ., 1937

12. არჩილიანი, II, **ა. ბარამიძისა** და **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., 1937

13. **ანტონ ბაგრატიონი**, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო **ი. ლოლაშვილმა**, თბ., 1983

14. **იოანე ბატონიშვილი**, კალმასობა, II, თბ., 1968

15. **ტ. გაბაშვილი**, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ელ. მეტრეველმა**, თბ., 1958

16. **დ. გურამიშვილი**, თხზულებათა სრული კრებული, **ს. ცაიშვილის** რედაქციით, თბ., 1980

17. **თეიმურაზ პირველი**, თხზულებათა სრული კრებული, **ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას** რედაქციით, თბ., 1934
18. **თეიმურაზ მეორე**, თხზულებათა სრული კრებული, **გ. ჯაკობიას** რედაქციით, თბ., 1938
19. მოხილვა წმინდათა ადგილთა ტიმოთესაგან, **პლ. იოსელიანის** გამოცემა, ტფილისი, 1952
20. ქართული ქრისტომატია, სპბ, 1846
21. შაჰნავაზიანი, **გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის** რედაქციით, თბ., 1935
22. **ნ. ციციშვილი**, შვიდი მთიები, **კ. კეკელიძის** რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბ., 1930
23. წყობილ-სიტყვაობა ქმნილი **ანტონისაგან პირველისა**, კათალიკოს პატრიარხისაგან, თფილისი, 1853
24. აღაპი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა **ნიკო მარმა**, სპბ, 1912
25. ჟურ. ეთნოგრაფიული მიმოხილვა, მოსკ., 1890, №2
26. ჟურ. „თეატრი", 1886, №30
27. ჟურ. „თეატრი", 1886, №47
28. ჟურ. „ივერია", 1877, 21 ნოემბ., №8
29. ჟურ. „ივერია", 1880, №3
30. ჟურ. „ივერია", 1882, №1
31. ჟურ. „ივერია", 1884, №V-VI
32. ჟურ. „იმედი", 1883, №1
33. ჟურ. „კრებული", III, 1887
34. ჟურ. „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), 1977, №4
35. ჟურ. „მწყემსი", ქუთაისი, 1886, 20 ივნისი
36. ჟურ. „მწყემსი", 1888, 30 სექტ.
37. ჟურ. „ტელესკოპი", მოსკ., 1833
38. ჟურ. „ჯეჯილი", 1892, №1-6
39. ჟურ. „ცისკარი", 1870, ივნისი
40. ჟურ. „ცისკარი", 1870, მარტი
41. ჟურ. „ცისკარი", 1861, აპრილი
42. გაზეთი „დროება", 1870, 21 მაისი
43. გაზეთი „დროება", 1875, 11 იანვარი
44. გაზეთი „დროება", 3 ღვინობისთვე, №122
45. გაზეთი „დროება", 1879, 28 თებერ.
46. გაზეთი „დროება", 1879, 3 მარტი
47. გაზეთი „დროება", 1880, 21 ივნისი

48. გაზეთი „დროება“, 1880, 18 ნოემბერი
49. გაზეთი „დროება“, 1880, 16 ნოემბერი
50. გაზეთი „დროება“, 1880, 28 ნოემბერი
51. გაზეთი „დროება“, 1881, 6 იანვარი, 11 იანვარი
52. გაზეთი „დროება“, 1881, 12, 17, 21 თებერვალი
53. გაზეთი „დროება“, 1881, 1 მარტი
54. გაზეთი „დროება“, 1881, 3 აპრილი
55. გაზეთი „დროება“, 1883, 8 მაისი
56. გაზეთი „დროება“, 1884, 28 ნოემბერი, 2 დეკემბერი
57. გაზეთი „დროება“, 1885, 13 აგვისტო
58. გაზეთი „ზაკავკაზსკი ვესტნიკ", 1850, 12 ოქტომბერი
59. გაზეთი „ივერია“, 1884, 1 სექტემბერი
60. გაზეთი „ივერია“, 1886, 9 აპრილი
61. გაზეთი „ივერია“, 1887, 18, 19, 21 აპრილი
62. გაზეთი „ივერია“, 1887, 30 სექტემბერი
63. გაზეთი „ივერია“, 1889, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი
64. გაზეთი „ივერია“, 1890, 1 თებერვალი
65. გაზეთი „ივერია“, 1890, 10, 23, 30 ნოემბერი
66. გაზეთი „ივერია“, 1892, 1, 17, 18 აპრილი
67. გაზეთი „ივერია“, 1895, 3 მაისი
68. გაზეთი „ივერია“, 1895, 10 ივლისი
69. გაზეთი „ივერია“, 1895, 30 სექტემბერი
70. გაზეთი „ივერია“, 1896, 26 იანვარი
71. გაზეთი „ივერია“, 1896, 5 მაისი
72. გაზეთი „ივერია“, 1898, 16 აპრილი
73. გაზეთი „ივერია“, 1899, 8 თებერვალი
74. გაზეთი „კავკაზი“, 1846, 6 ივლისი
75. გაზეთი „კავკაზი“, 1847, 1 მარტი
76. გაზეთი „კავკაზი“, 1848, 12-20 ნოემბერი
77. გაზეთი „კავკაზი“, 1870, 30 იანვარი
78. გაზეთი „კავკაზი“, 1875, 14 მარტი
79. გაზეთი „კავკაზი“, 1880, 30 იანვარი
80. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, 2 ნოემბერი
81. გაზეთი „ობზორი“, 1880, 29 ივნისი, 22 ივლისი
82. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899, 3 მარტი

ბ) ლიტერატურა

83. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, შემდგენლები: **ლ. მენაბდე, ნ. ორლოვსკაია, შ. რევიშვილი, დ. ფანჩულიძე,** მთავარი რედაქტორი **ლ. მენაბდე**, თბ., 1976

84. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, შემდგენლები: **ჯ. გაგნიძე, ჯ. გიუნაშვილი, ლ. მენაბდე, ს. რავიჩი, ფ. ჯინჯიხაშვილი,** მთავარი რედაქტორი **ლ. მენაბდე**, თბ., 1978

85. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, შემდგენლები: **ნ. ბეპიევა, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, დ. მენაბდე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ო. ჭურღულია,** მთავარი რედაქტორი **ლ. მენაბდე**, თბ., 1988

86. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, შემდგენლები: **ნ. ბართაია, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, კ. კვაჭანტირაძე, ბ. კილანავა, ლ. მენაბდე, მ. რობაქიძე, უ. სახლთხუციშვილი, ვ. ტიმინსკირტე, ა. ცალქალამანიძე, რ. ხვედელიძე, ვ. ჯანგიძე, ფ. ჯინჯიხაშვილი,** მთავარი რედაქტორი **ლ. მენაბდე**, თბ., 1985

87. **შ. ამირანაშვილი**, „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968

88. **გ. არაბული**, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1987

89. **ლ. ა-დ**, რაიმე რუსთაველისათვის, გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, №3, 21 იანვარი

90. **თ. ბაგრატიონი**, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, სპბ., 1848

91. **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960

92. **ს. ბარათოვი**, საქართველოს ისტორია, სპბ., 1871

93. **ა. ბარამიძე**, შოთა რუსთაველი, თბ., 1975

94. **ვ. ბარსოვი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მოსკ., 1898

95. **დ. ბაქრაძე**, ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი, გაზ. „ივერია“, 1877, 5 მაისი

96. **დ. ბრეგაძე**, ქართველი მწერლები რუსეთში, თბ., 1958

97. **ა. გაჩეჩილაძე**, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1952

98. **ი. გოგებაშვილი**, ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, თფილისი, 1885

100. **ნ. გულაკი**, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ტფილისი, 1884

101. **ს. დოდაშვილი**, თხზულებანი, თბ., 1961
102. **ეგრი** (იონა მეუნარგია), რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი" უწერია, გაზ. „ივერია", 1892, 27 მარტი
103. **დ. ვარდიაშვილი**, ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა" ერევანში, გაზ. „ივერია", 1898, 6 თებერვალი
104. **ვაჟა-ფშაველა**, „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, გაზ. „ივერია", 1890, 26 თებერვალი
105. **ვ. ვიდენბაუმი**, მოგზაურობა კავკასიაში, ტფილისი, 1888
106. **ვ. ზოტოვი**, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურა, I, სპბ-მოსკოვი, 1877
107. **ა. ზუტნერი**, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I
108. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712-1956), თბ., 1957
109. **პ. ინგოროყვა**, რუსთველოლოგიური თხზულებანი, II, თბ., 2016
110. **პ. იოსელიანი**, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, **ა. გაწერელიას** რედაქციით, თბ., 1936
111. **პ. იოსელიანი**, რუსთაველის ქრისტიანობა, გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკ", 1849, 4 იანვარი
112. **ს. კაკაბაძე**, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1966
113. **პ. კარბელაშვილი**, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" განგრძობა, გაზ. „დროება", 1880, 21 ივნისი
114. **კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981
115. **მ. კელენჯერიძე**, სახალხო პოეზია..., ქუთაისი, 1896
116. **პ. კვიცარიძე**, ალექსანდრიანი, ქუთაისი, 1889
117. **არტურ ლაისტი**, ქართული ლიტერატურა, ჟურ. „ივერია, 1884, V-VI
118. **გ. ლეონიძე**, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1958
119. **ნ. მარი**, წერილი „ვეფხის-ტყაოსნის" გამო, გაზ. „თეატრი", 1890, №12
120. **ს. მაჭავარიანი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი", გაზ. „ივერია", 1888, 8 მარტი
121. **შ. მაჭავარიანი**, რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორია, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, თბ., 1944

122. **ლ. მენაბდე**, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973
123. **დ. მენაბდე**, იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის" გამომცემელი და მთარგმნელი, კრებ., „რუსთველოლოგია", III, თბ., 2003
124. **ზ. მთაწმინდელი** (ზაქარია ჭიჭინაძე), შოთა რუსთაველი, ტფილისი, 1884
125. **ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966
126. **ალ. ნანეიშვილი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი", გაზ. „ივერია", 1888, 28 თებერვალი
127. **ალ. ნანეიშვილი**, „ვეფხის-ტყაოსანი" და ზეპირ-სიტყვიერება, 1888, 11 მარტი
128. **სტეფანოზ ორბელიანი**, ისტორია, მოსკ., 1861
129. **თ. სახოკია**, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი", გაზეთი „ივერია", 1890, 11 იანვარი
130. **იაკობ სვიმონიძე** (გოგებაშვილი), ძირითადი უკუღმართობა, გაზ. „ივერია", 1890, 20 მაისი
131. **ე. სტალინსკი**, შოთა რუსთაველი-ქართველი სახალხო პოეტი, ტფილისი, 1885; შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
132. **ნ. ურბნელი** (ნ. ხიზანიშვილი), საბიბლიოგრაფიო შენიშვნები, გაზ., „ივერია", 1896, 2 აპრილი
133. **რ. ფირცხალაიშვილი**, ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987
134. **ა. ფურცელაძე**, რუსთაველი და იმისი ცოლი, ჟურ. „ცისკარი", 1863, იანვარი
135. **ა. ფურცელაძე**, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, ტფილისი, 1886
136. **ა. ფურცელაძე**, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, ბათუმი, 1899
137. **ა. ქუთათელაძე**, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, გაზ., „ივერია", 1889, 1 აპრილი
138. **გ. შარაძე**, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973
139. **გ. შარაძე**, პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1982
140. **გ. შარაძე**, ევგენი ბოლხოვიტინოვი – პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1888
141. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი", ჟურ. ЖМНП, 1842, №8, შდრ. წიგნში: რუსთაველი მსოფლიო

ლიტერატურაში, III, თბ., 1988
142. **ა. ცაგარელი**, ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
143. **ს. ცაიშვილი**, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984
144. **ა. წერეთელი**, სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე", „აკაკის თვიური კრებული", 1898
145. **ა. წერეთელი**, თეატრის გარშემო, გაზ., „კვალი", 1899, 17 იანვარი
146. **გ. წერეთელი**, ნიზამი და რუსთაველი, გაზ., „ნოვოე ობოზრენიე", 1890, 9 იანვარი
147. **ი. ჭავჭავაძე**, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი", ჟურ. „ივერია", 1887, №36
148. **ი. ჭავჭავაძე**, სომეხნი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი, გაზ., „ივერია", 1899, 25 მარტი
149. **ზ. ჭიჭინაძე**, ამირან დარეჯანიანი, გაზ., „დროება", 1885, 30 ივლისი
150. **ზ. ჭიჭინაძე**, რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე, ჟურ., „თეატრი", 1886, №46, 47
151. **ზ. ჭიჭინაძე**, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თფილისი, 1887
152. **ი. ჭყონია**, „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად თარგმნის შესახებ, გაზ., „დროება", 1884, 11 აგვისტო
153. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფილისი, 1885
154. **ა. ხახანოვი**, გაკვრით შოთა რუსთაველზე, გაზ., „ნოვოე ობოზრენიე", 1890, 15 აპრილი
155. **ა. ხახანაშვილი**, შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება, გაზ., „ივერია", 1895, 30 სექტემბერი
156. **ა. ხახანაშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ტფილისი, 1898
157. **ა. ხახანოვი**, ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები, მოსკოვი, 1897
158. **ა. ხახანაშვილი**, ისტორიული შენიშვნები, გაზ., „ივერია, 1899, 31 ოქტომბერი
159. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფილისი, 1904
160. **თ. ხეთერელი**, რუსი მწერლები რუსეთში, თბ., 1978
161. **დ. ხიზანიშვილი**, ზღაპარი ტარიელისა ანუ ხალხური

„ვეფხისტყაოსანი“
161. **ი. ჯავახიშვილი**, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956
162. **გ. ჯაკობია**, „იოსებ ზილიხანიანის“ ქართული ვერსიები, თბ., 1932
163. **ი. ჯანაშვილი**, საქართველოს ცხოვრებიდამ, გაზ., „დროება“, 1884, 5 ივლისი
1645. **მ. ჯანაშვილი**, მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, ტფილისი, 1895
165. **მ. ჯანაშვილი**, შოთა რუსთაველი, ტფილისი, 1896

სარჩევი

რუსთაველის „შესხმა-მკობანი, მუსიკობანი“ 3
„მე, რუსთველი, ხელობითა“ 22
„დავჯე, რუსთველმან გავლექსე“... 50
„ესე ამბავი სპარსული“... 57
„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციებიდან“ 81
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხები 97
„ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტების გარშემო 114
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხისათვის 117
„ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებიდან 128
„ვეფხისტყაოსნის“ სრული გამოცემანი 133
„ვეფხისტყაოსნის“ ნაწილობრივი პუბლიკაციები 136
„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის პროზაული გამოცემა 137
„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების გამოცემანი 138
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები 139
„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონები 142
„ვეფხისტყაოსნის“ მოტივებისა და გმირების შესწავლიდან 143
„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხისათვის 166
რუსთაველის ენის გარშემო 175
რუსთაველის მხატვრული მეტყველებისა და პოეტიკისათვის 180
„ვეფხისტყაოსნის“ წყაროებისათვის 184
ზოგადი დასკვნები 193